საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№5 (240)
12 - 18 თებერვალი, 2014
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

«ქრისტიან-დემოკრატიული» აფერა 10

7 ბიძინოკრატია და სანჩოს ახდენილი ოცნება

12 რომელი მაღალჩინოსანი აპირებს «ქართული ოცნების» ხმაურით დატოვებას?

12 სამეგრელოს ახალი გუბერნატორი ლევან შონია «ნაცებს» იბარებს და სთხოვს, რომ მომავალ არჩევნებში დაეხმარონ

14 ციხეებში სუბარდაკია

16 «უნდა ველოდოთ ახალ რეპრესიულ ტალღას, რომლის სამიზნეც, უნინარესად, იქნება ეკლესია»

## ოლიგარქის ამბორი 11



«ბჟეზინსკის მრევლი» 2

მეუფე სერაფიმე:
**ვფიქრობ, საშიშია მაღალი ტრიბუნიდან მოწოდება, რომ არაფერი ცუდი ეკლესიის კრიტიკაში არ არის** 5

დეკანოზი თეოდორე გიგნაძე:
**პატრიარქმა ივანიშვილზე თქვა ისეთი რაღაც, რასაც ვერ გეტყვით, რადგან ამის უფლება არ მაქვს!** 5

## «ივანიშვილისა და «ქართული ოცნების» სახით საქართველომ მმართველობის ახალი ფორმა – ოლიგარქატი მიიღო!» 17

### რა მოხდა ქაბუას ორმოცზე? 4

«საზოგადოებაც გაოცებული, განაწყენებული და უაღრესად გულნატკენი დარჩა...»



### «არ ვენდობი ივანიშვილს და ვფიქრობ, რომ ის ტყუის, – მან ყველაფერი იცოდა!» 6

### 13 «უწმინდესმა მითხრა, ვეძახი ბიძინას და არ მოდის ჩემთან, გაბუტულია ჩემზეო»

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სააკაშვილის ხელისუფლების მსგავსად, ამჟამინდელი ხელისუფლებაც თვალებში შესციცინებს ამერიკელ და ევროპელ პატრონებს და მათ განკარგულებებს უსიტყვოდ ასრულებს. სხვაგვარად რომ მოიქცეს ბიძინა ივანიშვილი, გასაკვირიც კია, რადგან იმ 8-მილიარდიანი ქონებისგან, რომელიც მან რუსეთში იშოვა და შემდეგ უცხოეთში გადაიტანა, სწორედ დასავლეთის გავლენიანი ძალების ძალისხმევით აღარაფერი დარჩება.**



# 1 მარტიდან ახალი ჯარიმები ამოქმედდება

**საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებები შევიდა, რომლებიც 2014 წლის 1 მარტიდან ამოქმედდება.**

ცვლილების მიხედვით, **სატრანსპორტო საშუალების გარეცხვა ზღვაში, ტბაში, წყალსაცავში, მდინარეში ან სხვა ობიექტში,** ანდა მის ნაპირთან 10 მეტრზე უფრო ახლო მანძილზე გამოიწვევს დაჯარიმებას **50 ლარის** ოდენობით.

გარდა ამისა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ განსაზღვრული წესის დარღვევით **სატრანსპორტო საშუალებაზე სპეციალური ციმციმა სიგნალის ან/და ხმოვანი სიგნალის ან/და სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე ხელსაწყოს დაყენება ან/და ოპერატიული ან სპეციალური სამსახურის სატრანსპორტო საშუალებებისთვის განსაზღვრული შეფერილობის გამოყენება** გამოიწვევს დაჯარიმებას **200 ლარის** ოდენობით, აგრეთვე, სპეციალური ციმციმა სიგნალის და ხმოვანი სიგნალის ან/და სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე ხელსაწყოს კონფისკაციას. სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა წლის განმავლობაში გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 6 თვით შეჩერებას.

**„B“ კატეგორიის ან „A1“ ან „B1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე 18 წლამდე ასაკის პირის მიერ მგზავრთა გადაყვანა** შემოსავლის (მოგების) მიღების მიზნით (მათ შორის, ტაქსით) ან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე მძღოლად მუშაობა გამოიწვევს დაჯარიმებას **100 ლარის** ოდენობით.

**ზემოჩამოთვლილი რომელიმე სამართალდარღვევის მესამედ ჩადენა გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 1 წლით შეჩერებას.**

**საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება** ან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე სატრანსპორტო საშუალების შემთხვევის ადგილიდან გადაადგილება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, **გამოიწვევს დაჯარიმებას 250 ლარის ოდენობით.**

**სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ იმ პოლიციელის მოთხოვნის შეუსრულებლობა,** რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას და ზედამხედველობს საგზაო მოძრაობის წესების დაცვას, **გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით** ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 1 წლით შეჩერებას.

**გზაზე მარეგულირებლის მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.**

თუ აღნიშნულ სამართალდარღვევას მოჰყვა **საავარიო ვითარების შექმნა** ან საგზაო მოძრაობის შეფერხება, **გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით** ან ადმინისტრაციულ **პატიმრობას 15 დღემდე ვადით** ან მართვის უფლების 2 წლით შეჩერებას.

სატრანსპორტო საშუალებით **ბავშვთა გადაყვანის უსაფრთხოების წესების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 40 ლარის ოდენობით.**



# ბჟეზინსკის მრევლი

## ის, რაც აღაფრთოვანებს «ანჟელას», ქართველ ერს სიკეთეს არ მოუტანს!

**„საზოგადოებამ უნდა გადალახოს ის ბარიერი, რომ ეკლესიის თემა არის ტაბუდადებული და იქ რაც ითქმება, როგორც ითქმება, არის უმწიკვლო და ხელშეუხებელი... ისინიც საჭიროებენ კრიტიკას, ისინიც საჭიროებენ მითითებას. ამ დროს ყველას შეიძლება შეეშალოს, პატრიარქსაც შეიძლება შეეშალოს“, — განაცხადა საქართველოს №1-მა მოქალაქემ, ბიძინა ივანიშვილმა 4 თებერვალს მის მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ პრეზენტაციისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე.**

ივანიშვილის ამ განცხადებამ ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილის გაკვირვება და აღშფოთება გამოიწვია, რადგან ყველას ახსოვს, რა დაპირებებითა და ვისი მხარდაჭერით მოვიდა „ქართული ოცნების“ ლიდერი ხელისუფლების სათავეში. ეს დაპირებები იყო სამართლიანობის აღდგენა, განათლების, კულტურისა და სპორტის აღორძინება, ეროვნული ფასეულობებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვა თავდასხმებისგან, ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესება და სხვ. რაც შეეხება მხარდაჭერას, **„ნაციონალური“ რეჟიმის დამხობასა და არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებისთვის ხალხის მობილიზებაში უდიდესი წვლილი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურთ მიუძღვით.** სწორედ **ამიტომ იყო მიუღებელი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის პატრიარქისა და საპატრიარქოს არცთუ საფუძვლიანი საჯარო კრიტიკა, რომელსაც „ნაცმოძრაობის“ ლიდერი და პრეზიდენტყოფილი მიხეილ სააკაშვილიც ვერ ბედავდა.**

**ივანიშვილის ზემოაღნიშნული განცხადება პატრიარქის მიმართ ოლიგარქის ამბორი იყო!**

თუმცა, თუ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განვითარებულ პროცესებს გავაანალიზებთ, ბიძინა ივანიშვილის განცხადებაში გასაკვირი არაფერია.

**2012 წლის არჩევნების შემდეგ ხომ დასავლეთის თითის დაქნევით დაიწყო ე.წ. კოაბიტაცია, რაც იმას გულისხმობდა, რომ „ნაცმოძრაობის“ მიერ ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ერის მიმართ 9 წლის განმავლობაში ჩადენილ უბოროტეს დანაშაულებზე თვალი უნდა დაგვეხუჭა და „ნაცმოძრაობის“ გაზულუქებულ და ქართველი ხალხის სისხლში ხელებგასვრილ ლიდერებს — სააკაშვილს, მერაბიშვილს, ახალაიებს, გიგა ბოკერიას, გივი თარგამაძეს და სხვებს ყველაფერი შერჩენოდათ.** და ეს იმიტომ, რომ **სააკაშვილის ხელისუფლების მსგავსად, ამჟამინდელი ხელისუფლებაც თვალებში შესციცინებს ამერიკელ და ევროპელ პატრონებს და მათ განკარგულებებს უსიტყვოდ ასრულებს. სხვაგვარად რომ მოიქცეს ბიძინა ივანიშვილი, გასაკვირიც კია, რადგან იმ 8-მილიარდიანი ქონებისგან, რომელიც მან რუსეთში იშოვა და შემდეგ უცხოეთში გადაიტანა, სწორედ დასავლეთის გავლენიანი ძალების ძალისხმევით აღარაფერი დარჩება.** სხვათა შორის, ეს ის ძალებია, რომლებმაც შესანიშნავად იციან, რომ საზოგადოების გაკონტროლების საქმეში ეკლესიას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ეკლესიისგან მოდის ის ნათელი, რომელიც ადამიანს ზნეობას ანიჭებს. **ზნეობრივ ადამიანს კი ვერც ერთ ბინძურ სქემაში ვერ ჩასვამ, ამიტომაც ცდილობენ მართლმადიდებელი ეკლესიის რეპუტაციის შელახვასა და უზნეობის დამკვიდრებას — ლაფს ასხამენ და მიზანმიმართულად ებრძვიან ავტორიტეტებს, ხალხში სოლიდარობის განცდა და თანაგრძნობა რომ არ არსებობდეს.**

**„კომუნიზმის დამხობის შემდეგ აშშ-ის მთავარი მტერი მართლმადიდებლობაა!“** — ამ ფრაზის უსაფრთხოების საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ყოფილ მრჩეველს, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგს, ცნობილ პოლიტოლოგსა და სოციოლოგს — **ზბიგნევ ბჟეზინსკის** მიაწერენ.

**„ჩვენ შეუმჩნევლად, მაგრამ აქტიურად და რეგულარულად შევუწყობთ ხელს მექრთამე მალალჩინოსნების თვითნებობას. პატიოსნება და წესიერება კი დაცინვის საგანი გახდება, საჭირო აღარ იქნება და დავიწყებას მიეცემა. უზრდელობა და თავხედობა, ტყუილი და თაღლითობა, ლოთობა და ნარკომანია, ერთმანეთის მიმართ ცხოველური შიში, ღალატი, ხალხებს შორის შუღლი — ამ ყველაფერს ჩვენ შეუმჩნევლად დავნერგავთ. და მხოლოდ ცოტა, ძალიან ცოტა ადამიანი თუ მიხვდება, რაც ხდება. მაგრამ ასეთ ადამიანებს უმწეო მდგომარეობაში ჩავყრით, დაცინვის ობიექტებად ვაქცევთ და საზოგადოებას ლექად გამოვაცხადებთ. ამოვძირკვავთ სულიერ ფესვებს, გავრყვნით და გავანადგურებთ ხალხის ზნეობას. მთავარი მიზანი კი ახალგაზრდობის გარყვნა იქნება. ჩვენ მათ ცინიკოსებად, ურწმუნო ადამიანებად და კოსმოპოლიტებად ვაქცევთ“,** — ეს საშინელი განზრახვა კი, რომლის სისრულეში მოყვანა უკვე დაწყებულია, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შემქმნელსა და მის პირველ შეფს — **ალან უელშ დალესს** (1893-1969) ეკუთვნის. აი, ამ ძალებს ემორჩილებოდა სააკაშვილის ხელისუფლება და ემორჩილება ამჟამინდელიც.



**საქართველოს პატრიარქისა და საპატრიარქოს კრიტიკით, მათი ავტორიტეტის შელახვით ცდილობენ, ქართველ ხალხს სულიერება და ზნეობა მოუსპონ, შესაბამისად — მომავალიც**



აღსანიშნავია, რომ სწორედ დასავლეთის, პირველ რიგში კი, ნატოს, ძალისხმევით გაანადგურეს სერბეთში ათასობით მართლმადიდებლური ეკლესია და კულტურის ძეგლი, სწორედ ნატოს ჯარების წაყრუებით ჰკიდებდნენ კოსოვოში მართლმადიდებელ მღვდელმსახურებს სამრეკლოებზე, სწორედ დასავლეთის ძალისხმევით გაიხლიჩა საბერძნეთისა და რუმინეთის ეკლესიები. ახლა კი **საქართველოს პატრიარქისა და საპატრიარქოს კრიტიკით** (არადა, კრიტიკას ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი — დეპუტატი თუ მინისტრი — უფრო იმსახურებს), **მათი ავტორიტეტის შელახვით ცდილობენ, ქართველ ხალხს სულიერება და ზნეობა მოუსპონ, შესაბამისად — მომავალიც.**

საქართველოს პატრიარქის გაკრიტიკებამ აღფრთოვანება გამოიწვია „ნაცმოძრაობის“ წევრებსა და მათ აპოლოგეტებში. მათ შორის აღსანიშნავია ვინმე „ანჟელა“ — გიორგი მაზმანიანი, რომელსაც გეიაღლუმების ორგანიზებაში ადანაშაულებენ და რომლის კერპიც მიხეილ სააკაშვილია.

და **რაც აღაფრთოვანებს „ანჟელას“, ის საქართველოსთვის, ქართველი ხალხისთვის სასიკეთო იქნება?!**

პუტინის განცხადება არ იძლევა იმის დიდ იმედს, რომ საქართველოსა და რუსეთის პირველი პირების ოფიციალურ დონეზე შეხვედრა უახლოეს მომავალში გაიმართება, თანაც მას შემდეგ, რაც გახმაურდა საქართველოში აშშ-ის ელჩის, რიჩარდ ნორლანდის, მიერ საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილისთვის სოჭის ოლიმპიადაზე გამგზავრების აკრძალვის ამბავი.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თავაზიანი კაცის თავაზიანი პასუხი,
## ანუ როდის გაიმართება რუსეთისა და საქართველოს პირველი პირების ოფიციალური შეხვედრა

**საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა 2008 წლის აგვისტოში შეწყდა. მთავარი პოლიტიკური პრობლემა, რომელიც საქართველომ და რუსეთმა 5 წლის განმავლობაში ვერ მოაგვარეს, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სტატუსია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ბოლო ხანს ვითარების დათბობა შეინიშნება, ნორმალური პოლიტიკური ურთიერთობისთვის ეს საკმარისი აშკარად არ არის.**



და აი, ახლახან რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ მზად არის, საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს შეხვდეს, თუ მას ამის სურვილი ექნება.

კითხვა გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრის გამართვის შესახებ რუსეთის პრეზიდენტს ქართველმა ჟურნალისტებმა სოჭში, ოლიმპიადის მედიაცენტრში დაუსვეს. რუსეთის პრეზიდენტის პასუხი ზრდილობიანი კაცის ზრდილობიანი პასუხი იყო (ოლიმპიადის მასპინძელი ხომ არ იტყოდა, სტუმარს არ შევხვდებიო?!), მიუხედავად ამისა, **პუტინის განცხადება არ იძლევა იმის დიდ იმედს, რომ საქართველოსა და რუსეთის პირველი პირების ოფიციალურ დონეზე შეხვედრა უახლოეს მომავალში გაიმართება, თანაც მას შემდეგ, რაც გახმაურდა საქართველოში აშშ-ის ელჩის, რიჩარდ ნორლანდის, მიერ საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილისთვის სოჭის ოლიმპიადაზე გამგზავრების აკრძალვის ამბავი** (არადა, სწორედ ოლიმპიადის ატმოსფეროა საუკეთესო არაოფიციალური შეხვედრისთვის, რაც ოფიციალური შეხვედრის წინაპირობა იქნებოდა). **რატომ უნდა შეხვდეს რუსეთის პრეზიდენტი პირველ პირს იმ ქვეყნისა, რომელსაც სხვა სახელმწიფო მარიონეტად მიიჩნევს და მართავს? არ ურჩევნია, საჭირბოროტო საკითხებზე თვითონ იმ სახელმწიფოს წარმომადგენელს დაელაპარაკოს, რომელიც ჩვენი ხელისუფლების ნაცვლად წყვეტს ყველა საკითხს, მათ შორის, სახელმწიფოს პირველი პირის ოლიმპიადაზე გამგზავრება-არგამგზავრების საკითხს?!**

საქართველოს პრეზიდენტმა კი განაცხადა, რომ ვლადიმერ პუტინის რეპლიკას ზედმიწევნით გაანალიზებს, გაივლის კონსულტაციებს (ალბათ, ისევ აშშ-ის ელჩთან) და პოზიციას ჩამოაყალიბებს, თუ არის შესაძლებლობა, რომ ასეთი ტიპის შეხვედრამ ქართულ-რუსულ ურთიერთობებს პოზიტიური იმპულსი მისცეს. ისე, რა არის საკონსულტაციო, გაუგებარია — **საქართველოს რუსეთთან მოლაპარაკების გარდა, სხვა გზა, ალტერნატივა აქვს?**

რუსეთის პრეზიდენტის განცხადებას საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის სურვილის შესახებ გამოეხმაურა საქართველოს პრემიერმინისტრი. **ირაკლი ღარიბაშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განაცხადა, რომ მზად არის ვლადიმერ პუტინთან შესახვედრად.**

**ჯერჯერობით უცნობია, როდის გაიმართება ან გაიმართება თუ არა უახლოეს ხანში რუსეთის პრეზიდენტისა და საქართველოს პრემიერმინისტრის (ან პრეზიდენტის) ოფიციალური შეხვედრა, მაგრამ, თუ ეს შეხვედრა გაიმართა, უცხოელი ექსპერტების ვარაუდით, მხარეები შეძლებენ ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სტატუსზე მისაღები ფორმულის ჩამოყალიბებას, რადგან საქართველოც და რუსეთიც დაინტერესებულნი არიან, რომ კავკასიაში მშვიდობა სუფევდეს.**



# ქუთაისის რეაბილიტირებულ უბანში კედელი ჩამოინგრა

საკაშვილის ხელისუფლების მიერ **რეაბილიტირებულ ქუთაისის ერთ-ერთ უბანში კედელი ჩამოინგრა და მამაკაცი დააშავა, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს.**

„როგორც კი ჩამოინგრა, მაშინვე დავრეკეთ სასწრაფოში, თუმცა სასწრაფომ ძალიან დაიგვიანა, ამიტომაც მამაკაცის მდგომარეობა გართულდა“, — განაცხადეს თვითმხილველებმა.



# ტექდათვალიერება სავალდებულო ხდება

**2015 წლის პირველი მარტიდან საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექდათვალიერება სავალდებულო ხდება. პროექტს გერმანული კომპანია „ტუვ რეინალდ გრუპი“ განახორციელებს. მსუბუქი ავტომობილებისთვის ტექდათვალიერების საფასური, სავარაუდოდ, 48 ლარს არ აღემატება.**

შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის განცხადებით, ავტოავარიების 30-35 პროცენტის მიზეზი ავტომანქანების გაუმართაობაა და ტექდათვალიერების შემოღების გადაწყვეტილება სწორედ მოქალაქეების უსაფრთხოდ გადაადგილების უზრუნველყოფას ემსახურება.

ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით კი, ავტომანქანების ტექდათვალიერებიდან ბიუჯეტში არც ერთი თეთრი არ შევა. მინისტრის განმარტებით, ეს საბიუჯეტო პროექტი არ არის, შესაბამისად, ბიუჯეტში თანხების გადახდა საჭირო არ იქნება.

# «არ გაბედოთ ვაშინგტონთან ვაჭრობა!»

**აშშ-ის ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს სოჭის ოლიმპიადაზე გამგზავრება აუკრძალა. საინფორმაციო სააგენტო „საქინფორმმა“ გაავრცელა სკანდალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის რამდენიმე წყაროდან გახდა ცნობილი.**



„ბოლო ხანს საქართველოს ხელისუფლების კულუარებში აქტიურად განიხილებოდა საკითხი საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის შესაძლო გამგზავრების შესახებ სოჭში, ზამთრის „ოლიმპიადა-2014“-ზე ქართული სამთავრობო დელეგაციის ხელმძღვანელად. მაგრამ, როდესაც გიორგი მარგველაშვილმა ამ საკითხზე საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიმართა აშშ-ის ელჩ რიჩარდ ნორლანდისგან ნებართვის აღების მიზნით, უარი მიიღო.

**„შეგიძლიათ ყველას ევაჭროთ, ვაშინგტონის გარდა! გადაწყვეტილებას არ შევცვლით და ჩვენთან ვაჭრობა არც იფიქროთ!“** — აი, ასე დატუქსა აშშ-ის ელჩმა საქართველოს პრეზიდენტი. ამ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის არც ეროვნულ, არც მამაკაცურ სიამაყეზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ჩვენ, ამომრჩევლებმა და საქართველოს მოქალაქეებმა, თვითონაც არაერთხელ გამოვხატეთ ჩვენი თანხმობა, აშშ-ის პროტექტორატი ვყოფილიყავით, როდესაც ვირჩევდით ხელისუფლებას, რომელიც ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური საგარეოპოლიტიკური კურსის დეკლარირებას ახდენდა.

საკვირველი სხვა რამეა: რუსეთ-საქართველოს გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობის პირობებში ამერიკამ, რომელმაც მრავალჯერ მიუთითა საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის მოგვარების აუცილებლობაზე, რატომ დაბლოკა რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების — ვლადიმერ პუტინისა და გიორგი მარგველაშვილის არაოფიციალური ურთიერთობის ბრწყინვალე შესაძლებლობა რუსეთისთვის ისეთ საზეიმო ღონისძიებაზე, როგორიც სოჭის ოლიმპიადაა? რატომ აუკრძალეს საქართველოს სოჭში სამთავრობო დელეგაციის გაგზავნა, როდესაც თვითონ აშშ სოჭში სამთავრობო დელეგაციას აგზავნის?

**ცნობისთვის: აშშ-ის სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობაში შედიან აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების ექსმინისტრი ჯანეტ ნაპოლიტანო (ამაჟამად — კალიფორნიის უნივერსიტეტის პედაგოგი), აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწე — თეთრი სახლის თანამშრომელთა აპარატის ხელმძღვანელის მოადგილე რობერტ ნაბორსი, რუსეთში აშშ-ის ელჩი მაიკლ მაკფოლი და სახელმწიფო მდივნის პირველი მოადგილე უილიამ ბერნსი“,** — წერს „საქინფორმი“.

# ბუნებრივ აირსა და ელექტროენერგიაზე ტარიფები არ შემცირდება

**ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ მისმა გუნდმა ამ მიმართულებით მაქსიმუმი გააკეთა:**

„ამ ეტაპზე იმის მაქსიმუმი გაკეთდა, რისი საშუალებაც იყო. როდესაც მე თანამდებობაზე დავინიშნე, ჩემს გუნდთან ერთად დავიწყე მუშაობა ტარიფების შემცირებაზე. ეს ყველაფერი გვინდოდა ისე გაგვეკეთებინა, რომ არ დაზარალებულიყო კომპანიები, რომლებიც ელექტროენერგიის დისტრიბუციას ახორციელებენ და ამასთანავე, შეგვესრულებინა დაპირება, რომელიც წინასაარჩევნოდ იყო გაცემული. ელექტროენერგიის ტარიფის 4 თეთრით შემცირება შევძელით, გაზის ტარიფის კი — 10%-ით. ამ ეტაპზე არანაირი რესურსი არ არსებობს, თუმცა, თუ სამომავლოდ გამოინახება მარჟა ან საშუალება იმისა, რომ მოხდეს ტარიფების შემცირება, ეს საზოგადოებას აუცილებლად ეცოდინება“, — განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა.

# 2013 წელს ავღანეთში 3 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, 2013 წელს ავღანეთში დაღუპული და დაშავებული მშვიდობანი მოქალაქეების რიცხვი 14%-ით გაიზარდა. როგორც ანგარიშშია ნათქვამი, 2013 წელს ავღანეთში 3 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, 5600-ზე მეტი კი დაშავდა.**

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, ავღანეთში 34%-ით მეტი ბავშვი და 36%-ით მეტი ქალი დაიღუპა.

შეგახსენებთ, რომ **ქართველი სამხედროები სამშვიდობო მისიით ჰელმანდის პროვინციაში მსახურობენ. ქართული სამშვიდობო კონტიგენტის რაოდენობა ავღანეთში 1700 კაცამდეა, რაც არადეკვატურია — საქართველოს 1 სულ მოსახლეზე ყველაზე დიდი კონტიგენტი ჰყავს ავღანეთში და ნატოს არაწევრ სახელმწიფოებში პირველ ადგილზეა სამხედროთა რაოდენობით.** თუ 4-მილიონიან საქართველოს ავღანეთში 1700 სამხედრო ჰყავს, ნატოს წევრი თურქეთი, რომლის მოსახლეობაც 75 მილიონია, 998 სამხედროთი იბრძვის. საბერძნეთი კი, რომლის მოსახლეობა 10 მილიონია, 10 სამხედროთი იხდის თავის ვალს საერთაშორისო უსაფრთხოებაში. ასევე 10-მილიონიან პორტუგალიას მხოლოდ 141 სამხედრო ჰყავს ავღანეთში. ჰოლანდიის მოსახლეობა 16 მილიონია, მაგრამ მათ მხოლოდ 500 სამხედრო გაგზავნეს ISAF-ის მისიაში საბრძოლველად. მაგრამ ეს ერთადერთი პრობლემა არაა საქართველოს უსაფრთხოებისთვის. ჩვენი კონტიგენტის უდიდესი ნაწილი ჰელმანდის პროვინციაში იბრძვის. ეს პროვინცია არა მარტო ავღანეთს, არამედ მსოფლიოს ყველაზე ცხელი წერტილია, შესაბამისად, სწორედ იქ არის საბრძოლო დანაკარგის ყველაზე დიდი საფრთხე.

**2009 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც საქართველო ISAF-ის მისიას შეუერთდა, ავღანეთში 29 ქართველი სამხედრო დაიღუპა.**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა მოხდა ჭაბუა ამირეჯიბის ორმოცზე?



**ვაჟა ოთარაშვილი:**

# ქართველი ხალხი ღვთის ანაბარაა მიტოვებული და ახლა თითსაც უქნევთ, რომ ღვთის გზაზე არ იაროს?

**ყოფილი პრემიერმინისტრის, ბიძინა ივანიშვილის, მიერ არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ პრეზენტაცია-პრესკონფერენციაზე საქართველოს პატრიარქის არცთუ სახარბიელოდ მოხსენიებამ ქართველ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება პოეტი ვაჟა ოთარაშვილი:**

**— ბატონო ვაჟა, ბიძინა ივანიშვილის განცხადებამ, ეკლესიაც საჭიროებს კრიტიკას და პატრიარქსაც შეიძლება შეეშალოსო, საზოგადოების დიდი გაღიზიანება გამოიწვია. თქვენი აზრით, რატომ თქვა ეს?**

— ბიძინა ივანიშვილისგან ეს სიტყვები პირველად არ მომისმენია. არ ვაპირებდი ამის გამხელას არც ერთი გაზეთისა და ტელევიზიისთვის, რადგან ეს ამბავი ჩვენი უდიდესი კლასიკოსი მწერლის, ჭაბუა ამირეჯიბის, ორმოცზე მოხდა, მაგრამ ახლა თავს ველარ ვიკავებ და თქვენი გაზეთის ფურცლებზე ვამბობ პირველად, რომ ეს სიტყვები ბიძინა ივანიშვილმა სწორედ ჭაბუას ორმოცზე განაცხადა. **როდესაც ლაშა თაბუკაშვილმა პატრიარქი ადღეგრძელა და მზეგრძელობა უსურვა ქართულ ეკლესიას, სწორედ მაშინ თქვა ივანიშვილმა ის, რაც შემდეგ პრესკონფერენციაზეც გაიმეორა.**

**— კონკრეტულად რა თქვა?**

— რომ პატრიარქიც კაცია, უამრავი ნაკლი აქვს, რომ პატრიარქს ნუ ვაფეტიშებთ და ა. შ. როდესაც ეს ამბავი ოჯახში მოვყევი, არ დამიჯერეს.

**— სუფრის წევრებმა არ გააპროტესტეთ, ივანიშვილს არაფერი უთხარით?**

— **მე პროტესტი გამოვხატე აღნიშნულთან დაკავშირებით... საზოგადოებაც გაოცებული, განაწყენებული და უაღრესად გულნატკენი დარჩა... მას შემდეგ ჩემთვის ბევრი რამ ცხადი გახდა... არავის აქვს ჩვენი უწმინდესის, 80 წელს გადაცილებული სპეტაკი, ბრძენი მოხუცის გაკრიტიკების უფლება. ჩვენს პატრიარქს აქვს უდიდესი ავტორიტეტი, იგი მთელი ქართველი ერის სულიერი მწყემსი და ჭეშმარიტი მოძღვარია. ბატონ ბიძინას ურჩევნია გამინისტრებული და გაპარლამენტარებული უგემოვნო პოლიტიკური გვამები გააკრიტიკოს, რომლებიც, წელიწად-ნახევარია, ხელისუფლებაში არიან და ქვეყნისთვის კარგი არაფერი გაუკეთებიათ.**

**— მაინც რისთვის დასჭირდა ივანიშვილს პატრიარქის გაკრიტიკება?**

— სოროსელები, კმარელები, „თავისუფლების ინსტიტუტი“, „რუსთავი 2“-ის მიერ „გაპიარებული“ „ტელებიჭუნები“ და, აგრეთვე, ამჟამინდელ პარლამენტში მოკალათებული პოლიტიკური გვამები მასონური ძალების დავალებას კარგად ველარ ასრულებენ, რადგან ქართველ ხალხში ავტორიტეტი აღარ აქვთ. გიგა ბოკერიას, ბერძენიშვილების, თუთბერიძეების, ზურაბიშვილების, ზულაძეების, კიკაბიძეებისა და კორძაიების პირით პატრიარქის გინება ქართველი ერისთვის მიუღებელი და ყავლგასულია. ამიტომ ამერიკიდან ეს დავალება სხვა, გაცილებით ძლიერ ფიგურას მისცეს, რომელსაც მათთან შედარებით მეტი ავტორიტეტი აქვს, **გავიხსენოთ რაფიელ ერისთავის უკვდავი სიტყვები: „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.** თავმდაბლობაა სიკეთის სათავე, **ღმერთი ჩვენთვის, კაცთათვის, დამდაბლდა. ჩვენც დავმდაბლდეთ საქართველოსთვის, ჩვენი წინაპართა სისხლით მორწყული მამულისთვის. დავმდაბლდეთ ქართველობის გადასარჩენად...**

სამშობლოს გადარჩენა კი პატრიარქის გინებით, ეკლესიის შეურაცხყოფით, სასულიერო პირთა გასამართლებით არ ხდება. ბატონ ბიძინა ივანიშვილს პატივისცემით ვურჩევ, კარგად გაეცნოს ჩვენი დიდი მეფის, დავით აღმაშენებლის, ცხოვრებას და წაიკითხოს **„გალობანი სინანულისანი“.** როდესაც დიდი დავითი იწყებს თავისი ცოდვების ჩამოთვლას, ამბობს: **„ესენი ვსცოდე სახარებასა, სჯულთა და მცნებათა შინა... ზარი მეფობისაი წარხდეს და დიდებაი დაშრტეს, შვებანი უქმ იქმნენ, ყვავილოვნებაი დაჭნეს, სხვამან მიიღოს სკიპტრაი, სხვასა შეუდგენ სპანი, მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო“.** ყველა სკამი და ჩინ-მედალი წარმავალია. ნაძირალა, ნაპრეზიდენტალი სააკაშვილიც იფიცებდა აღმაშენებლის საფლავზე, სამების ტაძარშიც ხშირად გვინახავს ამბიონზე ავარდნილი, მაგრამ... **ეკლესიაში შესვლა, ეკლესიისთვის დახმარების გაწევა და აშენება არ ნიშნავს, რომ ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობ და ერის დამოძღვრის უფლება გაქვს!** ვისაც სულიერი ცხოვრებისა არაფერი გაეგება, ის ამ სიტყვებსაც ვერ გაიგებს **და ვისურვებდი, რომ საქართველოს ჰყავდეს ქრისტიანი, სულიერებით სავსე ხელისუფლება და არა სხვადასხვა პატრონის ანტიქართული, ანტიეროვნული მოძღვრებებით გაჟღენთილი!**

ხშირად ვფიქრობ, რამ გამოიწვია ბიძინა ივანიშვილის გაღიზიანება პატრიარქისადმი, ალბათ, — პატრიარქის საშობაო ეპისტოლემ. მოგეხსენებათ, პატრიარქის საშობაო ეპისტოლეს გამოქვეყნების შემდეგ, საპატრიარქოსთან მივარდა ურწმუნოთა ჯგუფი, რომლებსაც სული ეშმაკისთვის აქვთ მიყიდული. იუდას ვერცხლი ყოველთვის 30 როდია! ხან ასი დოლარია და ხანაც — სამი მილიონი. **დღეს ქართველი ერის ყოფნა-არ ყოფნაზეა საუბარი და, თუ არ გესმის, როდესაც პატრიარქი გვეუბნება, რომ სუროგატი დედების, ხელოვნურად განაყოფიერების, ქალის ქალთან და კაცის კაცთან ქორწინების გზა ღვთიური არ არის, ეს რა საკამათოა. შენ აირჩიე გზა ღვთისკენ ან ეშმაკისკენ. პატრიარქი ხომ არ გიკრძალავს ამას? ჩვენი სულიერი მამა უფლისკენ სავალ გზას გვირჩევნებს, ღვთიური კანონებით გვირჩევს ცხოვრებას. ვისაც არ მოსწონს ეს გზა, იცხოვროს ადამიანის მიერ შექმნილი არასწორი კანონებით, არაბუნებრივად, იქორწინონ მამაკაცებმა ერთმანეთზე, ასევე ქალებმაც; აღარ გამრავლდნენ ბუნებრივად, გაამრავლონ სუროგატი დედები და მხოლოდ სინჯარაში მოხდეს განაყოფიერება. არ შემიძლია, არ ვახსენო, რომ სწორედ ივანიშვილის მოყვანილი პარლამენტარები გვიქადაგებენ საქართველოს რეგიონულ — ტერიტორიულ მოწყობას, რეგიონული დაყოფის პრინციპს, რომელიც საქართველოს დაშლის დასაწყისი იქნება.**

**დაანგრიეს მწერალთა კავშირი, მოსპეს ენის პალატა და გაანადგურეს ყველაფერი, რაც ქართული სულიერების საძირკველს წარმოადგენდა. დარჩა მართლმადიდებელი ეკლესია და ქართული ოჯახი. დღეს იმასაც ამტკიცებენ, რომ ქართული ოჯახი არ არის აუცილებელი და მისაღებია, რომ კაცმა კაცი მოიყვანოს ცოლად და ქალი ქალზე გათხოვდეს. ვინც ამ სიბინძურის აგიტაციას ეწევით, თქვენს ოჯახში არ გამოილიოს ქალის ქალზე და კაცის კაცზე დაქორწინება!** ოთხი შვილის მამა ვარ და ამისგან საქართველო ღმერთმა დაიფაროს. არც ასეთი ამერიკა მინდა და არც ასეთი ევროპა. თუ საქართველო არ იქნება ერთიანი და არ დაგვიბრუნდება აფხაზეთი და სამაჩაბლო, არც ნატო მინდა, არც ევროკავშირი და არც ევრაზიის კავშირი. ეპისკოპოსი **გაბრიელ ქიქოძე** ბრძანებდა: **„საქართველო ნეიტრალური სახელმწიფო უნდა იყოსო!“.** იქნებ გაგვეხსენებინა გამორჩეული ღვთისმოსავის ეს მოწოდებაც. მე ვარ ქართველი და საქართველოში საქართველოს ვეძებ. ჩვენ უდიდესი კულტურის მქონე ერი ვართ. გავიხსენოთ შალვა ნუცუბიძის გენიალური აღმოჩენა, რომელიც შემდეგ დიდმა ავსტრიელმა მეცნიერმა ერნესტ ჰონიგმანმაც დაადასტურა, რომ ევროპული რენესანსი სათავეს იღებს ივერიიდან, რომელიც ღვთისმშობლის წილხვედრია. ბატონო ბიძინა, ილია ჭავჭავაძის სიტყვებს უფრო ჩაუღრმავდით. ილია ამბობს, ქრისტიანობა და ქართველობა არა მხოლოდ აზიაში, არამედ მსოფლიოში სინონიმურ ტერმინებად ითვლებოდაო. ასე რომ, **ქართველი ერი ვერასდროს შეეგუება ეკლესიისა და პატრიარქის კონტროლს. თითის ქნევას და ლანძღვა-გინებას. ყველას ცუდად წაუვიდა საქმე, ვინც ქართულ ეკლესიას დაუპირისპირდა. სხვათა შორის, 22 წლის ილია ჭავჭავაძეს უკვე შექმნილი ჰქონდა თავისი უკვდავი ლექსი „მამაო ჩვენო...“ რაც მის მაღალ ქრისტიანულ მრწამსზე მეტყველებს. ილიას თავისი ერის ბედი აწუხებდა უპირველესად და არა ავლა-დიდება...**

დღეს, ბეჭდური მედიის გარდა, არ არსებობს, ქართული ორიენტაციის საინფორმაციო საშუალება. საუბედუროდ, ჩვენი ტელევიზიები ტელემეძავებით არის სავსე, რომლებიც ეროვნულობას ებრძვიან და ხალხისთვის ტვინების გამორეცხვას ცდილობენ, ტელეზომბირების ამაზრზენი საშუალებებით მუშაობენ მოსახლეობის გამოთაყვანებაზე, სოდომ-გომორული ცოდვის შემოტანაზე, ყალბი ღირებულებების ე. წ. პიარზე...

**— ბიძინა ივანიშვილის პირველ წერილი, რომელიც 2011 წლის შემოდგომაზე გამოქვეყნდა, ეროვნული სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი, რასაც მის ბოლოდროინდელ განცხადებებზე ვერ ვიტყვით...**

— პიარკამპანიები, რომელთაც არჩევნების წინ ატარებენ პოლიტიკური ძალები, საქართველოს მტრების, ანუ, როგორც გოგლა ლეონიძე იტყოდა, ქართველთყლაპიების შტაბებშია დამუშავებული. იციან, რომ ქართველი კაცისთვის ძალიან სათუთი და ფაქიზია ეროვნულ სიმებზე შეხება, ამიტომაც წინასაარჩევნო პერიოდი ყოველთვის დატვირთულია ფარისევლური ეროვნული შტრიხებით. ფარისევლობა უმძიმესი ცოდვაა. **ბიძინა ივანიშვილს პირველ ღია წერილში პატრიარქი და ეკლესია ასე რომ გაეკრიტიკებინა, ქართული მედიისთვის, რომელმაც მას შეუსრულებელი დაპირებები შეახსენა, თითი დაექნია და ჭკუა ესწავლებინა, მოიყვანდნენ ხელისუფლებაში?**

მეც გავახსენებ მის დაპირებებს: საწვავი გაიაფდება, საწარმოები ამუშავდება, ხელფასები და პენსიები გაიზრდება, ქართველი გლეხის შრომას და მოწეულს ფასი დაედება, ჯანდაცვა იქნება უფასო, სამართლიანობა აღდგება, დამნაშავენი დაისჯებიან და ა. შ. ბატონო ბიძინა, იქნებ გადაიცვათ გლახუნას ფორმა და თქვენ მიერ მოწონებულ მინისტრებთან ერთად გახვიდეთ ხალხში! **ქართველი ხალხი ღვთის ანაბარაა მიტოვებული და ახლა თითსაც უქნევთ, რომ ღვთის გზაზე არ იაროს?**

ასე არ შეიძლება! საკითხავია, რა ასპექტში დაეტყო ქვეყანას წინსვლა? ბედნიერია გლეხობა, პედაგოგები, ექიმები, მეცნიერები და ა.შ.? რატომ არ აღადგინეს კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც სააკაშვილმა ჩალის ფასად გაყიდა? რით ვერ მოახერხეთ დავით აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნება თავის ადგილზე? გვითხარით, რომელი პროფესიის ადამიანია ბედნიერი? — არც ერთი! **ბედნიერები არიან მხოლოდ თქვენი პარლამენტარები, მინისტრები 5 და 7-ათასლარიანი ხელფასებით, 27-ათასლარიანი ქეიფებით და ა. შ. გაიხსენეთ, თქვენი დეპუტატები და მთავრობის წევრები პარლამენტში შესვლამდე როგორ გამოიყურებოდნენ და ახლა როგორები არიან — ღაბაბი და თავ-ყბა კადრში რომ აღარ ეტევათ! ალბათ, გინახავთ ნაგვის ყუთებთან მდგარი ხალხი ანდა ჩვენი ბანკებისგან გამწარებული უსახლკაროდ დარჩენილი ქართული ოჯახები; ქართველი ბაზრებიდან გამოძევებული გლეხობა და გენმოდიფიცირებული და შხამქიმიკატებით გაჯერებული უცხოური პროდუქტით გატენილი ბაზრები...**

**— გამოსავალს თუ ხედავთ?**

— **უნდა ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები რაც შეიძლება სწრაფად! უნდა დადგინდეს საარჩევნო სიები და კანონმდებლობა. ჩვენ ველოდით, რომ საქართველო ეროვნული და ჭეშმარიტად დემოკრატიული ღირებულების მქონე ქვეყანა გახდებოდა, მაგრამ „საოცნებო“ ფაშიზმის კონტურები გამოიკვეთა. ხალხი შიმშილობს, ერი სულს ღაფავს, დემოგრაფიულ პრობლემებზე აღარაფერს ვამბობ. რუისურბნისის საეკლესიო კრება რომ ჩაატარო, დავით აღმაშენებლის დონის საერო და სასულიერო პირი უნდა იყო.** მოსაძებნია გზა ერის და ბერის გასაერთიანებელი. ხალხმა უნდა აირჩიოს ისეთი მთავრობა, რომლის უპირველესი ნიშანი იქნება მართლმადიდებლური ცნობიერება. ასეთი ცნობიერებისა კი დღევანდელ ხელისუფლებაში არავინ მეგულება.

ქართველისთვის დემოკრატია მართლმადიდებლური აზროვნებაა. ამიტომ საჭიროა, ქვეყანაში გაჩნდეს ახალი ძალა ეროვნულად მოაზროვნე ადამიანებისა, რომლებიც ქართულ ეკლესიასთან ერთად გადაარჩენენ საქართველოს. დღეს ერის ყოფნა-არ ყოფნაზეა საუბარი. ღმერთის იმედადღა ვართ დარჩენილნი. არადა, ნამდვილად მეგონა, რომ ბიძინა ივანიშვილის სახით ქვეყნის სათავეში მოდიოდა ეროვნული ცნობიერების პიროვნება, რომელმაც თავის დროზე ბევრი კარგი საქმე გაუკეთა საქართველოს; მეგონა, რომ ეროვნული ცნობიერების გადასარჩენად მოდიოდა, მაგრამ დღეს ამ ყველაფერში ეჭვი მეპარება.

დასკვნის სახით დავსძენ; რამდენჯერაც ქართველმა ხალხმა პატრიარქის მოწოდება არ შეისმინა, იმდენჯერ სავალალო შედეგებამდე მივედით. ჩემო ქართველებო, დავუგდოთ ყური ჩვენს სულიერ მწყემსს და ვიაროთ ერთად ღვთისკენ! მივენდოთ უფალს... და არა პოლიტიკოსთა მოწოდებებს. გავუფრთხილდეთ ქართულ ენას — ქართული საგალობლებივით ღვთიურად ტკბილხმოვანს, ღვთიურად სრულყოფილს. „ყოველი საიდუმლო ამა ენასა შინა დამარხულ არს!“, **ნუ განვიკითხავთ ჩვენს პატრიარქს ამა ენითა...**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

„სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში არიან ადამიანები, რომლებსაც ძალიან თამამად შეუძლიათ განიკითხონ და უშვერი სიტყვებით გალანძღონ ეკლესია, თვით მაღალი იერარქებიც კი. ამიტომ ამ საზოგადოებაში იმის თქმა, რომ ეკლესიის კრიტიკაში ცუდი არაფერია, არასწორია, ვინაიდან გვახსოვს ცოტა ხნის წინანდელი მოწოდებები ჩარეცხილების სულის ამოხდის შესახებ და ა.შ.“

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# მეუფე სერაფიმე (ჯოჯუა): ვფიქრობ, საშიშია მაღალი ტრიბუნიდან მოწოდება, რომ არაფერი ცუდი ეკლესიის კრიტიკაში არ არის

**ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტი, წმინდა სინოდის წევრი, მეუფე სერაფიმე (ჯოჯუა) ესაუბრება.**

## «ვშიშობ, რომ კრიტიკის მაგივრად ჩვენ თავდასხმას და დაპირისპირებას მივიღებთ»

**— მეუფე სერაფიმე, როგორ აფასებთ მთავრობის გადაწყვეტილებას პრემიერის აპარატთან რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო შექმნისა და, მართლმადიდებლური ეკლესიის გარდა, კიდევ 4 რელიგიური ჯგუფის დაფინანსების თაობაზე?**

— კონკრეტულად არ ვიცი, რა მიზნით შეიქმნა აღნიშნული სააგენტო, მისი შექმნის თაობაზე შემთხვევით გავიგე. დებულებაში რა წერია, არ ვიცი, მაგრამ თუ ეს სააგენტო გარკვეულწილად გაიმეორებს, წარსულში ეკლესიის გასაკონტროლებლად შექმნილი სპეციალურად აპარატის მოქმედებებს, ბუნებრივია, ეს სააგენტო ჩვენთვის მიუღებელი იქნება.

რაც შეეხება სხვა კონფესიების დაფინანსებას, მისასალმებელია, როდესაც სახელმწიფო რელიგიურ ორგანიზაციებს ეხმარება, მაგრამ, როდესაც ჩვენ მართლმადიდებლურ ეკლესიას უცხოეთში არც ერთი ქვეყნის ადგილობრივი ხელისუფლება არ ეხმარება, მიმაჩნია, რომ მთავრობის ეს გადაწყვეტილება, სხვა კონფესიებთან მიმართებაში, მართლმადიდებლურ ეკლესიას, ცოტა არ იყოს, არათანაბარ პირობებში აყენებს.

**— როგორც სასულიერო პირი, როგორ შეაფასებდით ყოფილი პრემიერის განცხადებას ეკლესიასთან და პატრიარქთან დაკავშირებით?**

— ეს არასწორი და არასახელმწიფოებრივი მიდგომაა, ვინაიდან ეროვნულ სახელმწიფოში ამის უფლებას საკუთარ თავს არ აძლევენ. მაგალითად, გსმენიათ ჩვენს მეზობელ თურქეთში ან აზერბაიჯანში, სადაც თავის ეროვნულობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, მსგავსი რამ ეთქვათ? **სადმე გსმენიათ, სახელმწიფომ მოუწოდოს საზოგადოებას, აკრიტიკოს ქვეყნის წამყვანი რელიგიური ინსტიტუტი?** ერთი მხრივ, თითქოს კრიტიკაში ცუდი არაფერია, მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგიერთი ამას მიიღებს ისე, რომ, უბრალოდ, კი არ გააკრიტიკოს, არამედ უნდა შეებრძოლოს ეკლესიას.

**— ანუ ფიქრობთ, რომ ეს გზას გაუხსნის იმ ადამიანებს, რომლებიც არც მანამდეც გამოირჩეოდნენ ეკლესიის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებით?**

— ვფიქრობ, ის ადამიანები, რომლებიც მიჩვეულები არიან კატეგორიული და განკითხვის ტონით საუბარს, რომლებისთვისაც დამახასიათებელია თავშეუკავებლობა და უკმეხი საუბარი, შესაძლოა, ამ განცხადებას მიიღებენ, როგორც გარკვეულ ნებართვას, ვინაიდან ერთია კრიტიკა და მეორეა ლანძღვა. ყველაფერს თავისი ფორმა და კულტურა გააჩნია, მაგრამ, **სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში არიან ადამიანები, რომლებსაც ძალიან თამამად შეუძლიათ განიკითხონ და უშვერი სიტყვებით გალანძღონ ეკლესია, თვით მაღალი იერარქებიც კი. ამიტომ ამ საზოგადოებაში იმის თქმა, რომ ეკლესიის კრიტიკაში ცუდი არაფერია, არასწორია, ვინაიდან გვახსოვს ცოტა ხნის წინანდელი მოწოდებები ჩარეცხილების, სულის ამოხდის შესახებ და ა. შ.** ვფიქრობ, საშიშია, როდესაც მაღალი ტრიბუნიდან ხდება მოწოდება, რომ არაფერი ცუდი ეკლესიის კრიტიკაში არ არის. ვშიშობ, რომ კრიტიკის მაგივრად ჩვენ თავდასხმას, ლანძღვას და დაპირისპირებას მივიღებთ.

ჯერ თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარი ცოდვების განკურნებით უნდა დავიწყოთ. პრობლემების არსებობა არ ნიშნავს, რომ ეკლესიას ომი უნდა გამოუცხადო. თუ რაიმე დარღვევა ხდება, ყველაფერს თავისი ფორმა და წესი აქვს. ნებისმიერი ასეთი პრობლემა განიხილება ეკლესიაში და გადაჭრის გზებიც მოიძებნება. ღია წერილები, ხმამაღალი განცხადებები მიუღებელია.

**როდესაც საუბარია ეკლესიის პრობლემებზე, ეკლესია ცოცხალი ორგანიზმია და, ბუნებრივია, შეცდომებიც ხდება, მაგრამ, როდესაც ხაზგასმით ხდება აღიარება მხოლოდ ცუდის, პრობლემების, როდესაც თავს ესხმიან ეკლესიას, რატომ არიან უმადურები და რატომ არ იხსენებენ იმ უამრავ სიკეთეს, რომლებიც ეკლესიას გაუკეთებია? ისინი მხოლოდ განიკითხავენ ეკლესიას.** თუნდაც პატრიარქის საშობაო ეპისტოლე მინდა გავიხსენო, რომელსაც დიდი განკითხვა და აღშფოთება მოჰყვა. პატრიარქმა თქვა ის, რაც ეკლესიის კანონია. მაგრამ ასეთი მძაფრი რეაქცია იმიტომ მოჰყვა ამ ყველაფერს, რომ ეს პატრიარქმა თქვა. ეს რომ სხვას, მაგალითად, კათოლიკე ეპისკოპოსს ეთქვა ან რომელიმე დიპლომატს, თუნდაც ამერიკის ელჩს განეცხადებინა, დარწმუნებული ვარ, უამრავი ადამიანი, რომლებიც დღეს ამ განცხადების გამო პატრიარქს განიკითხავს, ტაშს დაუკრავდა. ქართული ეკლესია, როგორც ღარიბი ნათესავი, როგორც კონკია, ისეა ჩვენ ქვეყანაში. **როდესაც ხალხს და მათ შორის, პოლიტიკოსებს სჭირდებათ, მიდიან ეკლესიაში, სამებაში საჯაროდ სანთლებს ანთებენ, მაგრამ, როდესაც თანამდებობებს მიიღებენ, აღარ ახსოვთ პატრიარქი.**

ჩვენს პოლიტიკოსებს ეს შევარდნაძემ ასწავლა — ეკლესიას მხოლოდ გარეგნულად სცემენ თაყვანს, მაგრამ, თუ მცირედი რამ არ მოეწონათ, მაშინვე მის ლანძღვასა და განკითხვას იწყებენ.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

# «პატრიარქმა ივანიშვილზე თქვა ისეთი რაღაც, რასაც ვერ გეტყვით, რადგან ამის უფლება არ მაქვს!»

**ჯვრის ამაღლების სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი თეოდორე გიგნაძე ეკლესიასა და საზოგადოებაში არსებულ პრობლემებზე გვესაუბრება.**



## დეკანოზი თეოდორე გიგნაძე: პატრიარქსა და ეკლესიაზე ასე პირდაპირ სააკაშვილის ხელისუფლებასაც არ მიუტანია იერიში!

**— ბიძინა ივანიშვილის მიერ პატრიარქის გაკრიტიკებას როგორ შეაფასებთ?**

— ივანიშვილის სიტყვებს ძალიან ცუდი რეაქცია მოჰყვა საზოგადოებაში. მის ნათქვამში ძალიან ბევრი შეცდომა იყო დაშვებული. რა თქმა უნდა, პატრიარქი უცდომელი არ არის, მაგრამ, როდესაც ეპისტოლეს აკრიტიკებ, ღვთისმეტყველის თვალსაზრისით მაინც უნდა გააკრიტიკო. პატრიარქი კი ვერ იტყვის და არ იტყვის იმას, რაც ქრისტიანობას ეწინააღმდეგება. **ბიძინა ივანიშვილს პატრიარქი საჯაროდ არ უნდა გაეკრიტიკებინა, რადგან ჩვენი უწმინდესი ერთადერთი ავტორიტეტია, რომელიც ერს ჯერ კიდევ კრავს. რომ არა პატრიარქის ავტორიტეტი, ივანიშვილი ვერ გაიმარჯვებდა.**

ასე რომ, ივანიშვილმა ამ სიტყვებით ძალიან ცუდი რამ გააკეთა და ამის თქმა არაფრით შეიძლებოდა. არ ვიცი, მისი მოტივაცია რა იყო. **მის სიტყვებში რამდენიმე არაჯანსალი მომენტიც გამოიკვეთა. ნათლად გამოჩნდა, რომ ივანიშვილი თავს ეკლესიაზე მაღლა აყენებს.** ეს ყველაფერი გამოსჭვივის არა ფრაზაში, ეკლესიაში ძალიან ბევრი ცუდი ხდებაო, რაც მართალიცაა და ნამდვილად ასეა, მაგრამ **გამაოგნებელია ბიძინა ივანიშვილის ნათქვამი, — მე და ჩემი ოჯახი გარკვეულ დონემდე ვიღებთ ეკლესიასო!** ამიხსენით, რას ნიშნავს გარკვეულ დონემდე ეკლესიის მიღება? **მან ასევე თქვა, ნუ გეშინიათ ეკლესიის გაკრიტიკებისო. ეს სიტყვები მე რომ მითხრა, კიდევ გასაგებია, მაგრამ ვის უთხრა? მათ, ვინც წლების განმავლობაში კბილებს ილესავენ ეკლესიაზე და ელიან მომენტს, რომ როგორმე დაგჯიჯგნონ?!**

ამას რატომ ეუბნებით ისეთ ადამიანებს, რომლების ისედაც გვწეწავენ? **ივანიშვილის ამ სიტყვებმა საეკლესიო წრეებში დიდი გულისტკივილი გამოიწვია.** შეიძლება ადამიანი არ იყოს თავგადაკლული მორწმუნე, მაგრამ, როდესაც ვერ აცნობიერებ, ეკლესიას რა როლის შესრულება შეუძლია საქართველოს აღმშენებლობაში, უკვე სხვა პრობლემასთან გვაქვს საქმე. ეკლესია არის ერის დუღაბი და ამ დუღაბის შერყევა დღეს, მითუმეტეს, არ შეიძლება. თუ რამე არაჯანსალი ხდება ეკლესიაში და ნამდვილად ხდება, კარგად ვიცი. მაგალითად, უღირსი სამღვდელო პირები... ამ ყველაფერს სხვანაირი მხარში დადგომა და მიდგომა სჭირდება და არავითარ შემთხვევაში ეკლესიისა და პატრიარქის აუგად მოხსენიება. **ვინც ეკლესიას დაეჯახა, ყველამ რქები დაიმტვრია. ყოფილი პრემიერ-მინისტრი თუ არაჯანსალად შეეხო ეკლესიას, მისთვისვე იქნება ცუდი. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ, როგორც კი ხელისუფლებაში მოდიან ადამიანები, როგორც კი ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებენ, მაშინვე ეკლესიის დამოძღვრას იწყებენ.** როგორც ნოე ჟორდანია იქცეოდა თავის დროზე, ახლაც ისე იქცევიან ესენი. ჯერ ერთი პატრიარქი მოკლა, მეორე კი საპატრიარქოდან გამოაძევა. ჩვენ ქრისტეს წინაშე ყოველთვის ვაშავებთ, ამიტომაც მძიმდება ჩვენი მდგომარეობა.

**პატრიარქსა და ეკლესიაზე ასე პირდაპირ სააკაშვილის ხელისუფლებასაც არ მიუტანია იერიში,** თუმცა სააკაშვილი და შევარდნაძე შემოვლითი გზებით ათას სისაძაგლეს სჩადიოდნენ უშუალოდ პატრიარქის მიმართაც. **ჩვენ ვიცით, რომ არსებობენ უღირსი სასულიერო პირები, ამაში ლომის წილი მიუძღვით სააკაშვილსა და შევარდნაძეს.**

**— მაინც რატომ დაუპირისპირდა ბიძინა ივანიშვილი პატრიარქს და ეკლესიას?**

— არ ვიცი. ივანიშვილის ამ განცხადების შემდეგ, როდესაც საპატრიარქოში მივედი, გულისტკივილი იგრძნობოდა. არადა, მსგავს გულისტკივილს არც შევარდნაძის და არც სააკაშვილის გამო არ გამოხატავდნენ. ივანიშვილის შემთხვევაში კი ძალიან შეწუხდნენ, რადგან მისი განცხადება საპატრიარქოშიც მოულოდნელი იყო. კი, ბატონო, მე გამაკრიტიკე, რატომაც არა, მაგრამ პატრიარქი?! გასაგებია, რომ **პატრიარქიც ადამიანია და უცოდველი არავინაა, მაგრამ ივანიშვილმა ძალიან ცუდ კონტექსტში გამოთქვა ეს ყველაფერი და თანაც იმ ადამიანებთან, რომლებიც ჩასაფრებულნი არიან საპატრიარქოს წინააღმდეგ.**

**— ამ განცხადების შემდეგ თუ მოინახულა ბიძინა ივანიშვილმა პატრიარქი?**

— დღემდე არ ყოფილა.

**— პატრიარქმა რა თქვა ამ ყველაფერზე?**

— **პატრიარქმა ივანიშვილზე თქვა ისეთი რაღაც, რასაც ვერ გეტყვით, რადგან ამის უფლება არ მაქვს...**

**— ამბობთ, საპატრიარქოში აგენტებია შეგზავნილიო...**

— ვის რაში სჭირდება შეგზავნა? ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მზად არ არის ეკლესიისთვის, აკურთხე მღვდლად და შეუშვი ეკლესიაში, ის აუცილებლად გააფუჭებს საქმეს. ელემენტარულია, **მიეცი ისეთ ადამიანს ექიმის დიპლომი, რომელსაც არ აქვს მედიცინასთან შეხება და გააკეთებინე ოპერაცია, პაციენტი ხომ შემოაკვდება? ზუსტად ასეთი ვითარებაა ეკლესიაშიც!**

ესაუბრა **ნინო მაისურაძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ივანიშვილს ცოცხალი თავით ვერავინ ათქმევინებს ერთ გადახრილ სიტყვასაც კი არსებულ ხელისუფლებაზე, რაც ცალკე თემა და პარადოქსია „ქირავნობაზე“. ეს ადამიანები მისი ხელდასმულები არიან და ბევრი მათგანი, როგორც თავად ხშირად ამბობს, მისი ხელისბიჭი იყო, პირდაპირი გაგებით, ამას ჰქვია „გარსონ“.**



*თემურ ქორიძე:*

# არ ვენდობი ივანიშვილს და ვფიქრობ, რომ ის ტყუის, — მან ყველაფერი იცოდა!

**აწ უკვე ბრჭყალებში და ბრჭყალებს გარეთ მოქალაქე ბიძინა ივანიშვილმა საზოგადოების წინაშე თავისი ბოლო გამოსვლისას კიდევ ერთხელ „გაგვაოცა“. საზოგადოებაში ხშირად სვამენ შეკითხვას — ვინ არის დღეს ბიძინა ივანიშვილი და რა ფუნქცია აკისრია მას? საქართველოს იდეოლოგიური და ინტელექტუალური პატრიარქი? ამ შეკითხვებზე პასუხისთვის „საქართველო და მსოფლიომ“ ეროვნული მთავრობის ყოფილ წევრს, ფილოლოგ თემურ ქორიძეს მიმართა.**

— საზოგადოება ინტერესით ადევნებს თვალყურს თავისი ერთადერთი მილიარდერი შვილის ყოველ მოძრაობას, რაც გასაკვირი სულაც არაა, თუმცა სასურველი იქნებოდა, ასეთივე თუ არა, ცოტა ნაკლები ყურადღება მაინც გამოეჩინა ქართველი საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილის მიმართ.

**რამდენიმე დღეა, ერთ პიროვნებაზე ვფიქრობ. თქვენი გაზეთი 12 თებერვალს გამოდის, 11 თებერვალს ბაჩანა ბრეგვაძის დაბადების დღეა. ბაჩანა ბრეგვაძე მოკრძალებული ადამიანია, მაგრამ, ვისაც წიგნი წაგვიკითხავს და წარმოდგენა გვაქვს კულტურულ-საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ ცხოვრებაზე, აღფრთოვანებით ვაცნობიერებთ იმას, რომ საქართველოში ბაჩანა ბრეგვაძე მოღვაწეობს.**

საქართველო ჭკვიანი კაცების ნაკლებობას არასოდეს განიცდიდა, კრიზისი გვქონია, მაგრამ იყვნენ ერის კაცებიც და ინტელექტუალებიც.

არ ვეთანხმები ივანიშვილს, რომ ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა „ქირავნობაა“, არ ვეთანხმები ივანიშვილს, რომ მთავარი პრობლემა ჟურნალისტიკაში არსებული კრიზისია, ჩვენი საზოგადოების უმთავრესი პრობლემაა, რომ ყურს არ ვუგდებთ ბაჩანა ბრეგვაძისნაირ ადამიანებს. სამწუხაროა, რომ ახლა ბატონი ბაჩანას ხსენება ბიძინა ივანიშვილთან ერთად მიხდება და ამას მხოლოდ იმიტომ ვაკეთებ, რომ პარალელი გავავლო. ეს დიდი ტრაგედიაა ქართული საზოგადოებისა. **სასოწარკვეთაში ვარდები იმის გამო, რომ საზოგადოების ინტერესი ასეა მოწყობილი. მხოლოდ მცირედნი, მაგრამ ღირსეულნი ეზიარებიან მაღალ ფასეულობებს. ამ აზრს ბიბლიაში ვკითხულობთ: „არა მისცეთ მარგალიტი ღორთა“. მარგალიტებზე საუბარი მათ მცირერიცხოვან მფლობელებს დავუტოვოთ, ხოლო ფულსა და „ქირავნობაზე“ ივანიშვილებმა და მისმა თანამზრახველებმა იზრუნონ.**

მცირედი შესავალი გავაკეთე, ვიცი, ჩემი თანამოაზრეები ხართ, თქვენი კოლექტივი ჩემს განწყობას გაიზიარებს.

**იმ შეპირაპირებაში, რომელიც გადავწყვიტე, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით გამეკეთებინა, მთელი შუქ-ჩრდილები ირეკლება, ერთი მხრივ, ბატონი ბაჩანა ბრეგვაძის პიროვნება და მისი შემოქმედება და, მეორე მხრივ, ის უზადრუკი ლირებულება, რომელიც მხოლოდ შვიდი მილიარდით განისაზღვრება.**

ახლა დავუბრუნდეთ „მოქალაქეს“. არავის მიუქცევია ყურადღება, ერთი ახალგაზრდა კაცის გარდა, მისი სახელია ლევან ლორთქიფანიძე, რომელმაც საზოგადოებას შეახსენა, რომ **„მოქალაქის“ ეტიმოლოგია დაკავშირებულია ფრანგულ „ბურჟუასთან“.**

საზოგადოების ნაწილი, ივანიშვილის გამოჩენას ელოდება, რაც კარგი ნამდვილად არ არის, ეს ჩვენი საზოგადოების სიკეთეზე არ მიგვანიშნებს...

სამწუხაროდ, ბატონმა ივანიშვილმა გადაწყვიტა, თავისი, ჩვენთვის უცნობი კოლეგების დახმარებით, შეგვასწავლოს „ქირავნობა“, ეს მან რამდენიმეჯერ გაიმეორა. ჩემს ყურთასმენას სასიამოვნოდ არ ხვდება მუდმივად ქირაობაზე, ვაჭრობაზე, ყიდვა-გაყიდვაზე საუბარი, იმიტომ, რომ არ მივეკუთვნები იმ ადამიანების კატეგორის, რომლებიც ფიქრობენ, რომ საზოგადოებისა და ხელისუფლების ნორმალური ფორმა დაქირავებაა. ასეთ დროს მახსენდება ოთარაანთ ქვრივის რეაქცია მოჯამაგირეობაზე. ივანიშვილი გვასწავლის, როგორ დავიქირავოთ ხელისუფლება, როგორ შევუკვეთოთ და შევასრულებინოთ ყველაფერი, მაგრამ გადავხედოთ უახლოეს წარსულს. **ივანიშვილი იყო მთავარი დამქირავებელი სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების, აღმოჩნდა, რომ ხელი მოეცარა, როგორც დამქირავებელს. მესმის, შესაძლებელია, ის დღეს ცდილობს, რომ გამოისყიდოს საქართველოს წინაშე ჩადენილი დანაშაული, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში მოიყვანა. მართალია, ცდილობს იმასაც, რომ პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს და ხშირად გვთავაზობს წარმოუდგენელ სიცრუეს.**

წაგიკითხავთ ციტატებს მისი ნათქვამიდან: **„ინფორმაციას მხოლოდ სააკაშვილისა და მერაბიშვილისგან ვიღებდი, ამ პერიოდში ტელევიზორს პრაქტიკულად არ ვუყურებდი, ამიტომ გვიან შევიტყვე, რომ დემოკრატიის ნაცვლად ავტოკრატიას აშენებდნენ“, „მე ვერაფერს ვხვდებოდი...“**

**დააკვირდით, ადამიანი ტელევიზორს არ უყურებდა და ინფორმაციას იღებდა ვანოსგან და მიშასგან. მისი ეს ნათქვამი სცილდება მოაზროვნის ნათქვამს, უფრო მეტიც: ავადმყოფურ მიდრეკილებაზე მეტყველებს.**

ამ წერილშივე შენიშნავს, რომ **„ხალხი, როგორც ჩანს, მათგან ძალიან იტანჯებოდა და ყველაფერს ხვდებოდა“.** ანუ აღმოჩნდა, რომ დამქირავებელი, რომელიც საზოგადოებას ჭკუის დამრიგებლად მოევლინა, გაცილებით დაბალ საფეხურზე მდგარა, ვიდრე ის საზოგადოება, რომლიის „გასანათლებლადაც“ იღვწის.

მისი მეორე ინტერვიუდან კი ნათლად ჩანს, რომ ის ცრუობს: **„მერაბიშვილი „რუსთავი 2“-ს რომ ახსენებს, მე შემომხედოს თვალებში. ბევრი რამ ხომ ჩემს თვალწინ გაკეთდა, ვიცი, როგორ სთხოვეს ქიბარ ხალვაშს „რუსთავი 2“-ის ყიდვა“.** გამოდის, რომ **მას თვალები 2007 წელს კი არ აეხილა, როგორც ამბობს, მანამდე არანაკლებ მძიმე მოვლენა მის თვალწინ ხდებოდა.**

მინდა, ყველას ვთხოვო, რომ ივანიშვილის ნათქვამს კრიტიკულად მივუდგეთ, იმიტომ, რომ არა ერთხელ ამ ადამიანს, როგორც დამქირავებელს, ხელი მოეცარა, მისი სანდოობა დიდი კითხვის ქვეშ დგას. მოდი, კარგად გავაანალიზოთ მისი ყოველი ნათქვამი და მერე ვთქვათ „ვაშა“, რადგან ივანიშვილისთვის ყველაფერი ისევ ისე კარგად იქნება, როგორც 2003 წლიდან 2007 წლამდე იყო, ჩვენთვის კი ყველაფერი ცუდად იქნება.

**ივანიშვილს ცოცხალი თავით ვერავინ ათქმევინებს ერთ გადახრილ სიტყვასაც კი არსებულ ხელისუფლებაზე, რაც ცალკე თემა და პარადოქსია „ქირავნობაზე“. ეს ადამიანები მისი ხელდასმულები არიან და ბევრი მათგანი, როგორც თავად ხშირად ამბობს, მისი ხელისბიჭი იყო, პირდაპირი გაგებით, ამას ჰქვია „გარსონ“.**

ივანიშვილის პრინციპია „ჯობია მოვკვდე, ვიდრე ჭეშმარიტება შევიმეცნო, ვიდრე სიმართლეს თვალებში ჩავხედო“.

**— კაცობრიობამ გამოიარა მატრიარქატი, პატრიარქატი... ახლა ოლიგარქატი დაგვიდგა, ჩვენ ამ წყობას არ ვიცნობთ...**

— მე მაინც იმ პრესკონფერენციის შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. თქვენს კითხაზე პასუხს მერე გაგცემთ.

**ბატონმა ბიძინამ თქვა, იუმორით შევხედოთ „ნაცმოძრაობის“ ქმედებებსო. არ ვიცი, რამდენად გაიზიარებენ მის ამ ნათქვამს მგლოვიარე დედები, გაუბედურებული ოჯახები. დადგებიან კი ისინი იუმორის ხასიათზე, როდესაც ჯალათების სახეები კვლავ გამოჩნდება?**

რაც შეეხება „ოლიგარქატს“, ასეთი სისტემა ძალიან იშვიათად გამიგონია. მგონი, ჰაიტზე იყო, როდესაც ჩავიდა შეძლებული ადამიანი და ჩაუდგა სათავეში. როგორ წარიმართა მათი ცხოვრება, უკვე აღარ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ შეძლებული ადამიანები ხელისუფლებაში არ მიდიან. არსებობს დაუწერელი კანონი, შეძლებულთა ფენა ხელისუფლებაში არ მიდის. **ივანიშვილს სინდისის ქენჯნა დაეწყო, რადგან ქართველი ერის შეცდომაში შეყვანაში დიდი წვლილი მიუძღვის — მან სააკაშვილი მოიყვანა. მან შეგნებული თუ შეუგნებელი დანაშაული უნდა გამოისყიდოს.**

როგორ შეიძლება შეხვდე სააკაშვილს და ვერ მიხვდე, ვინ არის, თანაც თუ მას მერაბიშვილიც ახლავს. რა ლიბრი უნდა გადაგეფაროს თვალებზე, რომ ვერ მიხვდე, ეს ორი ადამიანი რას წარმოადგენს.

**არ ვენდობი ივანიშვილს და ვფიქრობ, რომ ის ტყუის, მან ყველაფერი იცოდა და, თუ მართალს ამბობს, მითუმეტეს, მოვუწოდებ ჩვენს საზოგადოებას, რომ მის არც ერთ სიტყვას არ ენდოს. ამ კაცს ანალიზის უნარი არ გააჩნია.**

**— ბატონო თემურ, ვინ არის ბიძინა ივანიშვილი? ყოფილი პრემიერი? მერე რა, ერთი ყოფილი ციხეში ზის. არასამთავრობოს თავმჯდომარე? ასეთი ათასობით არის...**

— ბიძინა ივანიშვილი არის დიდი ფულის პატრონი. ვერასოდეს გავიგებთ, ეს ფული როგორ იშოვა. როკფელერის სიტყვები მახსოვს: „ნურავინ მკითხავს, როგორ ვიშოვე პირველი მილიონი, დანარჩენზე ვილაპარაკოთ“. **როდესაც ადამიანს დიდი ფული აქვს, მას უკვე ძალაუფლებაც უნდა, მაგრამ სენეკას გაცილებით მეტი ფული ჰქონდა, ვიდრე ივანიშვილს, მაგრამ ძალაუფლებაზე არ უოცნებია.** ჩარლზ ფინი, არის ასეთი ადამიანი, დადის მეტროთი, უკეთია 15-დოლარიანი საათი, ცხოვრობს პატარა სახლში, მისი შვილები უბრალო სამსახურებში არიან. ის მილიარდერია. როგორ გაიგეს? აფრიკაში, ყველაზე გაჭირვებულ უბნებში დაუსრულებლად წლების განმავლობაში მიდიოდა დახმარება, რომელიც, არავინ იცოდა, საიდან იყო. დაიწყეს ძიება და ამ ადამიანს მიადგნენ. **„კეთილ საქმეში, ყველაზე მშვენიერი მისი დამალვის სურვილია“. ბატონი ბიძინა კი წერს: „მე ხომ ქვეყანას ოცი წლის განმავლობაში ვეხმარებოდი. ამას როგორ დამალავ?“ ის თავად „ღაღადებს“ თავის ღვაწლზე. ბატონი ბიძინა ჩვეულებრივი მილიარდერია, მისი მიზანი, რომ აღზარდოს, გაწვრთნას, ასწავლოს, ბოროტი ამბიციაა.** ის ცუდადაც მეტყველებს. არ ვიცი, რომელი ენა იცის, ამბობს, რომ რუსული დამავიწყდაო, ინგლისურზეც პრეტენზია არ აქვს და ქართულადაც რას ამბობს, არ გვესმის, მაგრამ შეგვიძლია მივუხვდეთ.

**ივანიშვილს ეცოტავება პრეზიდენტობა, პრემიერობა; მინისტრობა ხომ საერთოდ რა მოსატანია, მას სურს, იყოს მოძღვართ-მოძღვარი. მინდა იცოდეთ, რომ სულმოკლე ადამიანს მილიარდები თავხედობის უფლებას აძლევს.**

ივანიშვილს, გარდა იმისა, რომ სურს, „ქირავნობა“ გვასწავლოს, უნდა, თქვენ, ჟურნალისტებს, გასწავლოთ, არ იცრუოთ. **როგორი თავხედი უნდა იყო ადამიანი, მიზნად დაისახო ის, რაც ჩვენმა შემქმნელმა იესომ 2 ათასი წლის წინ გვითხრა: „არა იცრუო“. მისგან ვერ ვისწავლეთ, თან ის მილიარდელი კი არ იყო ბიძინასავით, ჩვენი ცოდვებისთვის მოკვდა. ივანიშვილს კი ჰგონია, რომ მას მეტი შეუძლია. როგორი ამპარტავნებაა!!!** ამიტომაც არის, რომ ყველა ეპატარავება, იტყვის „ც“ ნაწილაკს და მორჩა — „პატრიარქიც ადამიანია და ისიც ცდება“. ამას იმიტომ აკეთებს, რომ ჰგონია, თავად ხელეწიფება. **ეს პიროვნება თავის თვალშია გადიდკაცებული. ხშირად ამბობს: „მე ნიჭიერი ვარ“, „ყველაფერი ვიცი“, „ყველას ვაკონტროლებ“, ამის მიღმა კი დიდი სიცარიელეა, სულმდაბალი ადამიანი.** ის უსმენდა მერაბიშვილს და სააკაშვილს და ამისთვის ბოდიშსაც არ იხდის, არ აღიარებს, რომ უფლება აღარ აქვს, რაიმეს სათავეში ჩაუდგეს. ის ვერ გამოდგება საზოგადოების მასწავლებლად, განსაკუთრებით კი იმ ახალგაზრდებს ვურჩევ, რომლებიც ბიძინას გვერდით არიან, არ მისცენ თავს უფლება, რომ რაიმე გვასწავლონ. აი, მაგალითად, ბაჩანა ბრეგვაძეს საერთოდ არ სჭირდება მათი სწავლება.

**გავიხსენოთ არაკი, ლომმა კატას რომ უთხრა, ჩემს შვილს ხეზე ცოცვა რატომ არ ასწავლეო. ჰოდა, ბიძინამაც, ჯობია, თავის ხელისბიჭებს, „გარსონებს“, ასწავლოს მილიონების შოვნა, ჩვენ კი მისგან არაფერი გვჭირდება.**

ჩვენ რომ იმაზე გვეფიქრა, რაზეც ბიძინა ფიქრობს, არ გვექნებოდა ბრწყინვალედ თარგმნილი ნეტარი ავგუსტინე, არ გვექნებოდა პლატონის დიალოგები, პასკალი, არ გვექნებოდა ახალ ქართულ ენაზე თარგმნილი ბიბლია.

**„ივანიშვილს ეცოტავება პრეზიდენტობა, პრემიერობა; მინისტრობა ხომ საერთოდ რა მოსატანია, მას სურს, იყოს მოძღვართ-მოძღვარი. მინდა იცოდეთ, რომ სულმოკლე ადამიანს მილიარდები თავხედობის უფლებას აძლევს“**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**ის, ვინც დღეს ზედმეტი სიფრთხილისთვის აკრიტიკებს, ალბათ, ძალიან უსამართლოდ იქცევა, რადგან გარე მოთამაშეების დასაყრდენი საქართველოში ჯერჯერობით საკმაოდ დიდია და ისინი ინარჩუნებენ შესაძლებლობას, განაწყენების შემთხვევაში, ივანიშვილს სერიოზული „მაიდანი“ მოუწყონ (შედეგი ამოუცნობია, მაგრამ დესტაბილიზაცია — გარანტირებული).**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბიძინოკრატია და სანჩოს ახდენილი ოცნება

**უცნაური, ირონიული ტერმინი „ბიძინოკრატია“ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გვხვდება. ის, სავარაუდოდ, იმის გამო გაჩნდა, რომ პოლიტოლოგებს ძალიან უჭირთ იმ რეჟიმის აღწერა, რომელიც საქართველოში მკვიდრდება. ამას, დიდი ალბათობით, ვერც გაცოცხლებული არისტოტელე შეძლებდა, პლატონზე რომ არაფერი ვთქვათ (პლატონის თაყვანისმცემლებს შეუძლიათ ბოლო ფრაზაში სახელებს ადგილი შეუცვალონ). ეს რაღაც ახალია, ნაწილობრივ ამოუცნობი და უაღესად საინტერესო.**



**იმ შემთხვევაში, თუ ივანიშვილი სრული სერიოზულობით შეეცდება ერის მონუმენტალური მამის როლი შეასრულოს და საზოგადოებისგან შესაბამის დამოკიდებულებას მოითხოვს, მის ისტორიას, დიდი ალბათობით, ძალიან სევდიანი ფინალი ექნება**

ფორმალური თვალსაზრისით, საქართველოში დემოკრატიაა (განვითარებადი, ჯერჯერობით არასრულყოფილი, მაგრამ მაინც), თუმცა მას მთელი რიგი „ეროვნული თავისებურებები“ ახასიათებს. ამომრჩევლების დიდი ნაწილი, ერთი მხრივ, დარწმუნებულია, რომ ქვეყნის ბედი მის არჩევანზეა დამოკიდებული, ხოლო მეორე მხრივ, შეგუებულია აზრს, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც ბიძინა ივანიშვილი გადაწყვეტს. ბევრ ღრმადპატივცემულ თავში ეს ორი იდეა ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე თანაარსებობს.

**მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილმა პრემიერმინისტრის პოსტი სამი თვის წინ დატოვა, როგორც მომხრეების, ისე მოწინააღმდეგეების აბსოლუტური უმრავლესობა მას ისევ ქვეყნის მმართველად, საქართველოს არაფორმალურ დირექტორად აღიქვამს და, შესაბამისად, მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებლობას აკისრებს.** ეს კი, სხვა ყველაფერთან ერთად, ქვეტექსტში გულისმობს უხმო თანხმობას იმაზე, რომ ივანიშვილმა ხელისუფლებაზე ნებისმიერი სახის გავლენა მოახდინოს და, ფაქტობრივად, მართოს ის, როგორც მოეხასიათება. მეტიც, აშკარაა, რომ **უამრავი ადამიანი გაცილებით მშვიდად იძინებს, თუ დარწმუნებული იქნება, რომ ღარიბაშვილი და მარგველაშვილი ივანიშვილის ინსტრუქციის მიხედვით** (ან, როგორც მინიმუმი, მის კონტროლქვეშ) **მოქმედებენ, ვიდრე მაშინ, როდესაც შეიტყობს, რომ მათი ნაბიჯები სრულიად დამოუკიდებელია.** დემოკრატიისა და ავტოკრატიის უცნაური სიმბიოზი სახელად „ბიძინოკრატია“ არაერთ მსგავს პარადოქსს უკავშირდება.

სიტუაციამ, როდესაც კანონი არ ანიჭებს ფორმალურ უპირატესობას მდიდარ ადამიანებს, მაგრამ ამის მიუხედავად, ისინი პოლიტიკაზე განმსაზღვრელ ზეგავლენას ახდენენ, ბუნებრივად შეიძლება პლუტოკრატია გაგვახსენოს (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სასურველია, ეს ტერმინი პროპაგანდისტული დატვირთვის გარეშე გამოვიყენოთ). მაგრამ პრობლემა ისაა, რომ საუბარმა პლუტოკრატიაზე, ისევე, როგორც ოლიგარქიის ნებისმიერ სახეობაზე, შეიძლება შეგვიყვანოს წინააღმდეგობაში თავად ტერმინთან (ოლიგონ — ცოტა, მცირედნი; არქე — ძალაუფლება) და იმ საყოველთაოდ გავრცელებულ მოსაზრებასთან, რომ ნებისმიერი ოლიგარქია მმართველთა თუნდაც ძალიან მცირერიცხოვანი ჯგუფის არსებობას გულისხმობს.

მაგალითად, ლათინური ამერიკის ქვეყნების ისტორიაში ხშირად გვხვდება დაახლოებით ასეთი ფრაზა: **„რეალურ ძალაუფლებას ხუთი** (ათი, ოცი — მნიშვნელობა არ აქვს) **უმდიდრესი ოჯახი ფლობდა“. ბიძინა ივანიშვილი კი მარტოდმარტოა და ჰორიზონტზე არ ჩანს არც ერთი ფიგურა ანალოგიური სიმდიდრით და პოტენციური გავლენით, რომელიც იმავე როლს შეასრულებს. საერთოდ, ბოლო დროს ძალიან მდიდარი ადამიანები, რომელთაც კონსპიროლოგები „პლუტოკრატიის ბურჟებს“ უწოდებენ, თავს იკავებენ პოლიტიკაში უშუალო ჩარევისგან და გავლენის პროეცირებას მათ კონტროლქვეშ მყოფი პროფესიონალი პოლიტიკოსებისა და ლობისტების მეშვეობით ახდენენ.** ეს ძალაუფლება ძალიან ჩუმია და ნაკლებად შესამჩნევი უცხო თვალისთვის, მას კრიპტოკრატიული ეთიკა და ესთეტიკა უკავშირდება. ივანიშვილი თითქოს მიისწრაფოდა ამ მიმართულებით, მაგრამ თავი ვალდებულად ჩათვალა (ან იძულებული გახდა) პოლიტიკაში უშუალოდ ჩარეულიყო, ახლა კი იმავეს სამოქალაქო სექტორში აკეთებს. **ბიძინოკრატიას, როგორც სისტემას, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე, როგორც ჩანს, არ შეუძლია იფუნქციონიროს ისე, რომ მისი ცენტრალური ფიგურა სასახლეში ჩაიკეტოს და საზოგადოებაში აღარ გამოჩნდეს. ის პროცესებში უშუალოდ უნდა ჩაერთოს და ტელეაუდიტორიის წინაშე გარკვეული პერიოდულობით წარდგეს.**

დიდი გავლენა ივანიშვილის პოლიტიკურ მსოფლმხედველობაზე, სავარაუდოდ, მოახდინა 90-იანი წლების იმ პერიოდმა, როდესაც რუსეთის მსხვილი ოლიგარქები ელცინის მთავრობის პოლიტიკაზე ძალიან სერიოზულ გავლენას ახდენდნენ — ე. წ. „სემიბანკირშინა“. ეს სიტყვა XVII საუკუნის დიდი რუსული არეულობის („სმუტა“) დროინდელი ერთ-ერთი მთავრობის, „სემიბოიარშინას“ ირონიულ გადამღერებას წარმოადგენს და ასეთი სახით ამიტომ დამკვიდრდა. რეალურად, ოლიგარქები, რომლებმაც კონფლიქტების მიუხედავად, ელცინის გადასარჩენად, 1996 წლის არჩევნების წინ არაფორმალური კავშირი შექმნეს, ცხრანი იყვნენ. მათ უმრავლესობას ხელისუფლებისა და მსხვილი ბიზნესის ურთიერთობის იდეალურ მოდელად დაახლოებით ის მდგომარეობა მიაჩნდათ, რომელიც ივანიშვილმა დღეს საქართველოში დაამკვიდრა (ფაქტობრივად, სრული კონტროლი). მაგრამ **რუსული „სემიბანკირშინა“ საკუთარ თავში შეიცავდა კონკურენტი ოლიგარქების ურთიერთშეკავების მექანიზმს, მაგალითად, ბერეზოვსკის გავლენის ზრდას ხელს უშლიდა გუსინსკი და პირიქით; ბიძინა ივანიშვილი კი მარტოა, მას არავინ აკავებს. საქართველოში „ოდნობანკირშინაა“, „ოლიგარქია მხოლობით რიცხვში“, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ბიძინოკრატია.**

ზოგს ჯერ კიდევ ჰგონია, რომ კონკურენციას ივანიშვილს და მის კონტროლქვეშ მყოფ პოლიტიკოსებს მიხეილ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ უწევენ, მაგრამ რეალურად „ნაცმოძრაობის“ ლიდერების უდიდესმა ნაწილმა უკვე გაიაზრა თავისი დაქვემდებარებული მდგომარეობა ახალ სისტემაში და, მწვავე რიტორიკის მიუხედავად, მშვენივრად თანამშრომლობს ახალ ხელისუფლებასთან, დაახლოებით ისე, როგორც რამდენიმე წლის წინ ე. წ. „ფსევდოოპოზიცია“ თანამშრომლობდა სააკაშვილის რეჟიმთან. შესაძლოა, რამდენიმე ლიდერმა ეს ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერა, თუმცა რეალურად მათ არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ და მალე მათივე თანაპარტიელები დაამშვიდებენ. მაგრამ **თქმული არ ნიშნავს, რომ ბიძინოკრატიას არაფერი ემუქრება. მას დასავლელი პარტნიორების მიერ გავლებული რიგი „წითელი ხაზების“ გათვალისწინება უწევს. საქართველო ძალიან სუსტი სახელმწიფოა და ვიდრე ივანიშვილის კონტროლი პოლიტიკურ ძალებზე და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე კიდევ უფრო მყარი არ გახდება, მას არ ექნება შესაძლებლობა, ხსენებულ „წითელ ხაზებს“ დაუფიქრებლად გადააბიჯოს.** ის, ვინც დღეს ზედმეტი სიფრთხილისთვის აკრიტიკებს, ალბათ, ძალიან უსამართლოდ იქცევა, რადგან გარე მოთამაშეების დასაყრდენი საქართველოში ჯერჯერობით საკმაოდ დიდია და ისინი ინარჩუნებენ შესაძლებლობას, განაწყენების შემთხვევაში, ივანიშვილს სერიოზული „მაიდანი“ მოუწყონ (შედეგი ამოუცნობია, მაგრამ დესტაბილიზაცია — გარანტირებული). **ივანიშვილი, ხასიათის თავისებურებებიდან გამომდინარე, 99%-იანი ალბათობით, არ შეეგუება ამ სიტუაციას და თანდათან შეცვლის მას, მაგრამ ამას ნელი, მეთოდური, ნაწილობრივ ფარული მუშაობა დასჭირდება, რომელიც შეიძლება წლების განმავლობაში გაგრძელდეს.**

საუბრები ბიძინოკრატიაზე ადრე თუ გვიან ბუნებრივად მიგვიყვანს ამ ისტორიაში პიროვნების როლის გააზრებამდე, ცხონებული პლეხანოვის თქმის არ იყოს. უფრო ლოკალურ პრობლემას თუ ავირჩევთ, ლიდერის ავტორიტეტის მნიშვნელობაზე ახალი სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის. **არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ბევრი ამომრჩევლისთვის ბიძინა ივანიშვილის სიტყვა დაახლოებით ისეთივე წონა აქვს, რაც დალაი-ლამას სიტყვას ბუდისტებისთვის. ამ ადამიანების გულწრფელი აღტაცების გარეშე ივანიშვილი, უბრალოდ, ვერ მოახერხებდა, გაეტარებინა პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთ საკვანძო ელემენტს წამოადგენს მოწოდება „სიტყვაზე მენდეთ“.** მაგრამ არიან სხვა მოქალაქეებიც, რომელნიც ვერ აღიქვამენ ივანიშვილის მოსაზრებებს ჭეშმარიტებად უკანასკნელ ინსტანციაში და მათ აშინებთ პერსპექტივა, რომლის ფარგლებში ის ექსპერტებსა და ჟურნალისტებს ჭკუის სწავლებას დაუწყებს. მათი პოზიცია შეიძლება დაახლოებით ასე ჩამოვაყალიბოთ: **სააკაშვილის გაგდებისთვის დიდი მადლობა** (ეს, ალბათ, საერთო დამსახურებაა, მაგრამ მაინც)**, თუმცა, ძველ ინდოეთში რომ იტყოდნენ, ახლა ბრაჰმანებმა თავის საქმეს უნდა მიხედონ, ქშატრიებმა, ვაიშიებმა და შუდრებმა — თავისას.** ისინი ვერასოდეს აღიქვამენ ივანიშვილს ბრაჰმანად, ინტელექტუალად, რომელსაც შეიძლება საზოგადოებისთვის ჭკუის დარიგების პრეტენზია ჰქონდეს და ნებისმიერ მის ნაბიჯს ამ მიმართულებით დასცინებენ, ისე, როგორც თავის დროზე „ნაციონალებს“ დასცინოდნენ. **ივანიშვილს ფული რომც გამოართვან, ზურგსუკან მაინც დასცინებენ** (თანამედროვე ქართული მენტალიტეტი მსგავსი ქცევის შესაძლებლობას ნამდვილად უშვებს და ამის მოწმე, სავარაუდოდ, ბევრი ჩვენგანი გამხდარა). **ივანიშვილმა ეს, სავარაუდოდ, იცის და, ალბათ, ძალიან სწყინს.**

რა რეაგირებას მოახდენს ბიძინოკრატია მისი მთავარი ფიგურის და მასთან დაკავშირებული მითის ინტერპრეტირების ორი პარალელური ვერსიის არსებობაზე? მსგავსმა გაორებამ, უფრო ზუსტად კი „ინტერპრეტაციების ომმა“ არაერთი, გაცილებით ძლიერი სისტემა დაღუპა. **სიტუაციის შეცვლა უხეში ზეწოლით, როგორც ამას XX საუკუნის ტოტალიტარული რეჟიმები აკეთებდნენ, დღესდღეობით შეუძლებელია. ალბათ, ბიძინა ივანიშვილმა უნდა მოძებნოს ისეთი როლი, რომელიც ორივე ინტერპრეტაციის ფარგლებში მიმზიდველი იქნება.** ერთ-ერთ ვარიანტს, ალბათ, პირობითად შეიძლება ეწოდოს „სანჩო პანსა, რომელსაც ყველა ოცნება აუხდა“. ღმერთკაცი თანასოფლელებისთვის და ანგარიშგასაწევი (სიმდიდრის და გავლენის გამო), მაგრამ ოდნავ ღიმილისმომგვრელი ფიგურა სერვანტესის რომანში აღწერილი სხვა ფენების წარმომადგენლებისთვის, რომელთაც არ აქვთ იმის პრეტენზია (ეს საკვანძო მომენტია!), რომ ყველამ ერთნაირი მოწიწებით აღიქვას. ამ როლის შესრულება საკმაოდ დახვეწილ თამაშს და მოქნილობას მოითხოვს, მაგრამ სავარაუდო ამონაგებიც ძალზე დიდია. **იმ შემთხვევაში კი, თუ ივანიშვილი სრული სერიოზულობით შეეცდება ერის მონუმენტალური მამის როლი შეასრულოს და საზოგადოებისგან შესაბამის დამოკიდებულებას მოითხოვს, მის ისტორიას, დიდი ალბათობით, ძალიან სევდიანი ფინალი ექნება.** იმ მნიშვნელობიდან გამომდინარე, რომელიც ბიძინოკრატიის ფარგლებში პირველ პირს და მის იმიჯს ენიჭება, ყოველივე თქმული არა თეორიული იმიჯოლოგიის, არამედ სისტემის სტაბილურობის, შესაბამისად, სახელმწიფოს უსაფრთხოების საკითხია.

რით დასრულდება ბიძინოკრატია? „ნორმალური დემოკრატიის“ ფორმირებით, სისტემის სრული მსხვრევით თუ ოლიგარქიული დინასტიის ჩამოყალიბებით, რომელიც ქართულ პოლიტიკაზე ათწლეულების განმავლობაში ისეთივე გავლენას მოახდენს, როგორსაც ბიძინა ივანიშვილი დღეს? საუბარი ამაზე ზოგს შეიძლება ნაადრევად მოეჩვენოს, მაგრამ, როგორც არ უნდა მოგვწონდეს დღევანდელი სიტუაცია (დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეს, ალბათ, მაინც ყველაზე კომფორტული რეჟიმია), უკვე საჭიროა ფიქრი იმაზე, თუ როგორ მოხდება ერთი ადამიანის უნიკალურ როლზე მიბმული სისტემის ტრანსფორმაცია მომავალში, თუ სტრატეგიული აზროვნების პრეტენზია გვაქვს.

**ცხადია, ყოველივე თქმული ბიძინოკრატიას სრულყოფილად არ აღწერს. აქ მონიშნულია მხოლოდ რამდენიმე საინტერესო თემა, სხვას კი ახლო მომავალში შევეხებით. საუბრები ბიძინოკრატიაზე, როგორც ჩანს, ძალიან ხანგრძლივი და დეტალური იქნება.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ხელისუფლება უარს იტყვის პუტინის წინადადებების მოსმენაზე მისთვის სასურველ ფორმატში, რუსეთის პრეზიდენტი, სავარაუდოდ, გამოძებნის სხვა საშუალებებს, რათა თავისი მესიჯები მის ყურამდე მიიტანოს და გამორიცხული არაა, ეს პროცესი ქართული მხარისთვის გაცილებით უსიამოვნო აღმოჩნდეს.**

# შეხვდება თუ არა ვლადიმერ პუტინი გიორგი მარგველაშვილს?

**სოჭის ოლიმპიადის გახსნის გრანდიოზულმა ცერემონიამ, რომელსაც საქართველოში ამდენი კომენტარი მოჰყვა, სრულიად დაჩრდილა ერთი შეხედვით უმნიშვნელო ეპიზოდი — რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივნის განცხადება ოლიმპიადაზე პუტინისა და მაგველაშვილის შესაძლო შეხვედრის თაობაზე და ოფიციალური თბილისის რეაქცია მასზე. ქართულ, ისევე, როგორც უცხოურ, ტელეაუდიტორიას განსაკუთრებული ყურადღება არც თვითმფრინავის გატაცების მცდელობისთვის მიუქცევია, რომელიც ოლიმპიადის გახსნის დღეს მოხდა. არადა, ორივე ეპიზოდს, სავარაუდოდ, უშუალო კავშირი ჰქონდა „დიდ თამაშთან“, რომელიც ჩვენს რეგიონში მიმდინარეობს.**





## ლაპარაკობს და უჩვენებს მოსკოვი

**6 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განუცხადა ჟურნალისტებს, რომ სოჭში ოლიმპიადის დროს ვლადიმერ პუტინი შეიძლება არა მხოლოდ უკრაინის, არამედ საქართველოს პრეზიდენტსაც შეხვდეს. „ამის გამორიცხვა არ შეიძლება“, — თქვა პესკოვმა. ქართული მხარე ამ განცხადებამ გააკვირვა, რადგან მოსკოვისთვის ცნობილი იყო, რომ მარგველაშვილი სოჭში გამგზავრებას არ აპირებდა. რაღაც მომენტში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ კრემლი მას პოზიციის გადახედვას და სოჭში ვიზიტის სასწრაფო დაგეგმვას სთავაზობს.** დაუზუსტებელი ინფორმაციით, ხელისუფლება ერთობ დაიბნა და კონსულტაციისთვის ამერიკელ პარტნიორებსაც კი მიმართა, რომლებმაც თავშეკავებული პოზიციის დაფიქსირება ურჩიეს. საბოლოოდ, ყველაფერი დასრულდა პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელის, თინათინ მჟავანაძის, კომენტარით: **„პუტინის პრესმდივნის, პესკოვის, განცხადებაზე გეტყვით, რომ საქართველოს პრეზიდენტის არანაირი ვიზიტი არ იგეგმება და ეს საკითხი არც განხილულა. ვერ გეტყვით, რა ფორმულირებით იყო კითხვა დასმული, ჩვენ რაც ვნახეთ, იყო პესკოვის პასუხი, რომ პრეზიდენტების შეხვედრა არ გამოირიცხება, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ეს საკითხი განხილული არ ყოფილა“.**

**კრემლმა, სავარაუდოდ, „დატესტა“ საქართველოს ხელისუფლების რეაქცია პუტინისა და მარგველაშვილის გაცნობითი ხასიათის შეხვედრის შესაძლებლობაზე, რომელსაც იდეაში ორი ქვეყნის პრეზიდენტს შორის პირდაპირი დიალოგის აღდგენა უნდა მოჰყვეს.** ეს ფორმატი რუსებს, როგორც ჩანს, თავისი ახალი ინიციატივების წამოყენებისთვის საუკეთესოდ მიაჩნიათ. მათ, სავარაუდოდ, სურთ, რომ საქართველოს ხელისუფლების პირველ პირებთან უშუალოდ, დასავლელი (უპირველესად, ამერიკელი) პარტნიორების გარეშე ისაუბრონ. **გამორიცხული არაა, ეს, თავის მხრივ, მიანიშნებდეს ახალი რუსული წინადადებების არსებობაზე, რომლებიც შეიძლება საინტერესო იყო საქართველოსთვის, მაგრამ აპრიორი მიუღებელია მისი დასავლელი პარტნიორებისთვის,** ხოლო მათი განხილვა აბაშიძე-კარასინის შეხვედრებზე ან მხოლოდ საიდუმლო დიპლომატიის ჩარჩოებში ნაკლებად შედეგიანი იქნება.

მარტივად რომ ვთქვათ, **კრემლს ოფიციალურ თბილისთან „ერთი-ერთზე“ საუბარი სურს და ამაზე არაერთი სიგნალი მიანიშნებს** („პესკოვის ეპიზოდი“ ამ კონტექსტში პერიფერიულია). ამ დიალოგის დროს რუსეთი, დიდი ალბათობით, შეეცდება, დაადგინოს, შეძლებს თუ არა ოფიციალური თბილისი რაღაც ჰიპოთეტურ სიტუაციაში, სერიოზული ბონუსების სანაცვლოდ, ამერიკელების ნების წინააღმდეგ წავიდეს. მაგრამ ვიდრე დავიწყებთ ფიქრს იმაზე, რა შეიძლება შემოგვთავაზოს მოსკოვმა, ალბათ, იმის დადგენა უნდა ვცადოთ, **გააჩნია თუ არა ჩვენს ხელისუფლებას პოლიტიკური ნება იმისთვის, რომ უბრალოდ მოუსმინოს პუტინს ახალი ფორმატის ფარგლებში.**

**ამ დიალოგის დროს, რუსეთი, დიდი ალბათობით, შეეცდება, დაადგინოს, შეძლებს თუ არა ოფიციალური თბილისი რაღაც ჰიპოთეტურ სიტუაციაში, სერიოზული ბონუსების სანაცვლოდ, ამერიკელების ნების წინააღმდეგ წავიდეს**

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ხელისუფლების პოზიციები საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება და, ერთი შეხედვით, შეუძლია თამამად იმოქმედოს, ისე, რომ არ შეუშინდეს სირთულეებს, რომელიც შეიძლება ოპოზიციამ გარე ძალების წაქეზებით შეუქმნას, **საგარეო არენაზე ის ძალიან ფრთხილად მოქმედებს, რათა არ გააღიზიანოს დასავლელი პარტნიორები და სრულიად გამორიცხოს ბრალდებები „ბალანსის პოლიტიკის“ გატარებასთან დაკავშირებით, რომელიც სააკაშვილის მმართველობის წლებში ლამის სასიკვდილო ცოდვად განიხილებოდა.** სააკაშვილის რეჟიმმა კრახი განიცადა, ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში რაღაც შეიცვალა (ზოგან — მეტად, ზოგან — ნაკლებად), მაგრამ ეს მიდგომა უცვლელი დარჩა. საქართველოს საგარეო პოლიტიკა გათავისუფლდა შიზოფრენიული ავანტიურიზმისგან და ჭარბი ისტერიულობისგან, მაგრამ ვერ მოიპოვა მანევრის თუნდაც მცირედი შესაძლებლობა და, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, ამ მხრივ გაცილებით შებოჭილი ჩანს (არა მხოლოდ აზერბაიჯანთან, არამედ სომხეთთანაც კი, რომელსაც ქართველი ექსპერტები მოსკოვის ცალსახა სატელიტად განიხილავენ).

მეტიც, არაერთი პოლიტიკოსი და საზოგადოების წარმომადგენელი მივიდა დასკვნამდე, რომ მსგავსი მანევრი, როგორც ასეთი, საჭირო არ არის, მთავარია, ვიმოქმედოთ დასავლელი პარტნიორების რეკომენდაციების შესაბამისად (და შევეცადოთ, ამ პროცესში მაქსიმალური ბონუსები გამოვტყუოთ). ეს სიტუაცია ქმნის საკმაოდ ცუდ წინაპირობებს იმისთვის, რომ საქართველოს ხელისუფლების პირველი პირები რუს კოლეგებთან პირდაპირ დიალოგს დათანხმდნენ და მის ფარგლებში განიხილონ წინადადებები და გეგმები, რომლებმაც შეიძლება ამერიკელები გააღიზიანოს. **შესაძლოა, ხელისუფლებისთვის გაცილებით კომფორტულია, არ აიღოს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა, თავი აარიდოს ასეთ დიალოგს და, უბრალოდ, არ მოუსმინოს პუტინს. კრემლი, შესაძლოა, ელოდა, რომ ოფიციალური თბილისის რეაქციაში პესკოვის განცხადებაზე, შეხვედრის შესაძლებლობის უარყოფასთან ერთად, გაკეთდებოდა მინიშნება იმაზე, რომ ზოგადად, ასეთი შეხვედრა სასურველია და ქართული მხარე მისთვის მზადაა.** მაგრამ მსგავსი რამ არ მომხდარა.

ამასთანავე, ალბათ, უნდა აღინიშნოს, რომ **იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ხელისუფლება უარს იტყვის პუტინის წინადადებების მოსმენაზე მისთვის სასურველ ფორმატში, რუსეთის პრეზიდენტი, სავარაუდოდ, გამოძებნის სხვა საშუალებებს, რათა თავისი მესიჯები მის ყურამდე მიიტანოს და გამორიცხული არაა, ეს პროცესი ქართული მხარისთვის გაცილებით უსიამოვნო აღმოჩნდეს.**

## რა მოხდებოდა თუ...

**7 თებერვალს, 16 საათსა და 28 წუთზე ხარკოვიდან სტამბოლის მიმართულებით გამოფრინდა თურქული ავიაკომპანია „პეგასუს ეირლაინის“ თვითმფრინავი, რომლის ბორტზე 110 მგზავრი, 3 პილოტი და 4 ბორტგამცილებელი იმყოფებოდა. 17 საათსა და 21 წუთზე უკრაინის ცენტრალურმა სადისპეტჩერო სამსახურმა გაავრცელა ცნობა სიმფეროპოლის საჰაერო ზონაში ამ თვითმფრინავის გატაცების შესახებ. 18 საათსა და 15 წუთზე სოჭში ოლიმპიადის გახსნის ცერემონია უნდა დაწყებულიყო და სწორედ იქ მოსთხოვა პილოტებს ჩაფრენა თვითმფრინავის გამტაცებელმა.**

გამტაცებელი, 45 წლის უკრაინის მოქალაქე არტემ კოზლოვი, „ევრომაიდანის“ ერთ-ერთი აქტივისტი გახლდათ. ის აქტიურად მონაწილეობდა ბოლოდროინდელ აქციებში, რასაც ადასტურებს მისი ფოტოები „ფეისბუქზე“; ორ ფოტოზე ის უკრაინული ოპოზიციის ლიდერების — კლიჩკოს და ლუცენკოს — გვერდით დგას (მათ თავი ისე უჭირავთ, თითქოს კოზლოვს კარგად იცნობენ).

თურქმა პილოტებმა, რომელთა მოქმედება მთელი ინციდენტის განმავლობაში მართლაც რომ სამაგალითო იყო, განახორციელეს რამდენიმე მანევრი და შეუქმნეს გამტაცებელს შთაბეჭდილება, რომ თვითმფრინავის კურსი შეიცვალა. საბოლოოდ კი ის სტამბოლში დასვეს (თურქეთის საჰაერო სივრცეში ის აეროპორტამდე ერთმა ან, სხვა წყაროების ცნობით, ორმა „ფ-16“-მა მიაცილა), სადაც კოზლოვი თურქმა სამართალდამცავებმა დააპატიმრეს.

**ერთი შეხედვით, ყოველივე მომხდარს საქართველოსთან კავშირი არ აქვს, მაგრამ, თუ ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ ეკიპაჟი გამტაცებლის მოთხოვნას შეასრულებდა, მოვლენები შეიძლებოდა ძალზე დრამატულად განვითარებულიყო.** როგორ მოიქცეოდა რუსეთის ხელმძღვანელობა, როდესაც შეიტყობდა, რომ იმ სტადიონს, რომელზეც უამრავი მაყურებელი, სპორტსმენი და ათობით ქვეყნის ლიდერი იმყოფება, გატაცებული თვითმფრინავი უახლოვდება? თუ ჩამოაგდებდნენ, რუსეთი საშინელ, მისი იმიჯისთვის გამანადგურებელ სკანდალში გაეხვეოდა, რომელიც სამხრეთკორეული „ბოინგის“ ისტორიას დაჩრდილავდა. თუ არ ჩამოაგდებდნენ, შეიქმნებოდა წინაპირობები 11 სექტემბრის ნიუ იორკის ტერაქტის „გამეორებისთვის“; არ არსებობდა გარანტია, რომ ტერორისტები თვითმფრინავს ტარანისთვის არ გამოიყენებდნენ. თანაც, **დაბალ სიმაღლეზე, ადლერის აეროპორტთან მიახლოებული, გლისადაში შესული თვითმფრინავის ჩამოგდება, თეორიულად, ტერორისტებსაც შეეძლოთ, გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის გამოყენებით და კრემლს წლების განმავლობაში მოუწევდა იმის მტკიცება, რომ ეს მის სამხედროებს არ გაუკეთებიათ. ასე რომ, ვარიანტი, რომლის ფარგლებში თვითმფრინავი უბრალოდ დაეშვებოდა ადლერში, სადაც უკრაინელი ოპოზიციონერი თავის პოლიტიკურ დეკლარაციას გააჟღერებდა, შედარებით „მსუბუქია“ იმასთან შედარებით, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო.**

და ბოლო შტრიხი: 2012 წლის მაისში რუსეთის ეროვნულმა ანტიტერორისტულმა კომიტეტმა გაავრცელა ცნობა იმის თაობაზე, რომ **რუსეთის სპეცსამსახურებმა აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოავლინეს 10 სამალავი, რომლებშიც დიდძალი შეიარაღება ინახებოდა.** რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის ვერსიით, **ტერორისტებს ეს იარაღი 2012-14 წლებში სოჭში უნდა გადაეტანათ და ოლიმპიადის წინ და მისი ჩატარების პერიოდში გამოეყენებინათ.** რუსეთის ანტიტერორისტული კომიტეტის მტკიცებით, **„ის აფხაზეთში საქართველოდან ჩაიტანეს“.** იმავე განცხადებაში ნათქვამი იყო: **„ოპერატიული მონაცემებით, რუსეთში გადაგზავნაში უშუალოდ მონაწილეობდნენ ქართული სპეცსამსახურები და მათთან დაკავშირებული უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენლები თურქეთის ტერიტორიაზე“.** ამავე განცხადების თანახმად, **მთელ ამ პროცესს „კოორდინაციას უწევდა საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციის „კავკასიის იმარათი“ თავკაცი უმაროვი, რომელსაც საქართველოს სპეცსამსახურებთან მჭიდრო კავშირი აქვს“.** იქ, სხვა იარაღთან ერთად, იყო სამი გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი.

ამ კონტექსტში არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, მართლა თანამშრომლობდა თუ არა ესოდენ მჭიდროდ სააკაშვილის რეჟიმი „იმარატთან“, რის თაობაზეც ეჭვი არაერთმა ქართველმა ექსპერტმა გამოთქვა, განსაკუთრებით ლაფანყურის ინციდენტის შემდეგ, თუ რუსებმა ყოველივე გამოიგონეს. თუ უკრაინელი ოპოზიციონერი არტემ კოზლოვი არ წარმოადგენდა აქციის მთავარ ფიგურას, არამედ ის, უბრალოდ, გამოიყენეს, როგორც იდიოტი, რომელსაც თავისი ნაბიჯებით თვითმფრინავი სამიზნედ უნდა გადაექცია და, თუ საქმე გადასატანი საზენიტო კომპლექსების გამოყენებამდე მივიდოდა, საუბარი „ქართულ კვალზე“ ავტომატურ რეჟიმში ამ ძველ, ზემოთ ციტირებულ განცხადებაზე დაყრდნობით დაიწყებოდა. ამ ვარაუდს ერთ მნიშვნელოვან თემამდე მივყავართ.

## ანტიტერორისტული ინტერნაციონალი

**სააკაშვილის მომხრეები აკრიტიკებდნენ ახალ ხელისუფლებას იმის გამო, რომ მან არაერთგზის** ▶

**ბიძინა ივანიშვილმა და მისმა „ქართულმა ოცნებამ“ იგნორირება გაუკეთა ქართველი მშრომელი ხალხის — საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გრძნობებსა და სურვილებს — დამორჩილდა ანტიქართულ, ანტიეროვნულ ძალებს და ფეხქვეშ გათელა თავისივე დაპირებები.**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გამოთქვა მზადყოფნა, ეთანამშრომლა მოსკოვთან სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში, რადგან მასთან ნებისმიერი სახის თანამშრომლობა მიუღებლად მიაჩნიათ, მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით წინდახედული ამერიკელები დაჟინებით ურჩევდნენ ოფიციალურ თბილისს, ამ საკითხში რუსებთან ურთიერთგაგებისთვის მიეღწია.** თუ ყურადღებით დავაკვირდებით ზოგიერთ (მცირე, მაგრამ ხმაურიან) ჯგუფს სოციალურ ქსელებში, ვნახავთ, რომ **არაერთი „ნაციონალი“ განიხილავს „კავკასიის იმარატის“ მებრძოლებს არა როგორც ტერორისტებს** (ამ ორგანიზაციას ტერორისტულად აღიარებს გაეროც და აშშ-ც), **არამედ როგორც საქართველოს ბუნებრივ მოკავშირეებს მოსკოვთან დაპირისპირებაში.** ისინი, აგრეთვე, ეწინააღმდეგებიან ლაფანყურის და ნებისმიერი სხვა ეპიზოდის გამოძიებას, სადაც შეიძლება სააკაშვილის რეჟიმის და საერთაშორისო ტერორისტების კავშირი გამოიკვეთოს და ამას, როგორც წესი, „სახელმწიფო ინტერესებით“ ამართლებენ.

რაოდენ რთულიც უნდა იყოს საქართველო-რუსეთის ურთიერთობა, თუნდაც მასში კონფრონტაციის ახალი ეტაპი დაიწყოს, ალბათ, ყველასთვის ცხადია, რომ არ არსებობს მიზეზი, რომელიც გაამართლებს ცივილიზებული სახელმწიფოს თანამშრომლობას ტერორისტებთან, მითუმეტეს დღევანდელ, გლობალურ ტერორიზმთან მებრძოლ მსოფლიოში. **თუ საქართველოს უახლეს წარსულში დარჩება „თეთრი ლაქები“ და გამოუძიებელი საქმეები, ლაფანყურის ინციდენტი იქნება თუ სააკაშვილის შესაძლო თანამშრომლობა უმაროვთან, რუსეთს ან ნებისმიერ სხვა ქვეყანას მუდამ ექნება შესაძლებლობა, რომ საქართველო ტერორისტების მფარველობაში დაადანაშაულოს, რამაც ქვეყნის რეპუტაციას შეიძლება უდიდესი ზიანი მიაყენოს.** ამიტომ, ალბათ, სასურველია, რომ სააკაშვილის მმართველობის პერიოდთან დაკავშირებული საქმეების (ლაფანყური, აფეთქება შეერთებული შტატების საელჩოსთან და ა.შ.) გამოძიება წამითაც არ შეწყდეს, ხოლო უშიშროებამ მუდმივი მონიტორინგი (ცხადია, კანონის ფარგლებში) გაუწიოს კავშირებს ზოგიერთ საეჭვო ჩრდილოკავკასიურ სტრუქტურასა და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის. ამასთანავე, ალბათ, **მნიშვნელოვანია ანტიტერორისტული თანამშრომლობის გაღრმავება** (მისი მიბმა პოლიტიკურ კონიუნქტურაზე დაუშვებელია), **როგორც აშშ-თან, ისე რუსეთთან, რათა საქართველოს ჰაერში გამოკიდებული უსაფრთხოება ნაწილობრივ მაინც განვამტკიცოთ.** დღეისთვის ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული თემაა, რომელმაც შეიძლება ამ ეტაპზე რუსულ-ქართულ „გადატვირთვას“ სერიოზული ბიძგი მისცეს.

**დიმიტრი მონიავა**

# ოცნება კი არა, ღალატი!

**როგორც მოვლენები გვიჩვენებს, ბატონ ბიძინა ივანიშვილის „ქართულმა ოცნებამ“ საქართველოს მოსახლეობას იმედები გაუცრუა. ვიდრე ის პოლიტიკაში შემოვიდოდა, ქართველი ხალხის საკმაო პატივისცემით სარგებლობდა. ჟურნალისტები როცა მეკითხებოდნენ — ვის ვისურვებდი პრეზიდენტად და პრემიერმინისტრად, ვპასუხობდი: პრეზიდენტად მხარს დავუჭერ ჯუმბერ პატიაშვილს, ხოლო პრემიერმინისტრად ბიძინა ივანიშვილს ვისურვებდი — საქართველოს დიდ პატრიოტს და მეცენატს. მის მიერ საქართველოში გაკეთებული სამშენებლო-სარესტავრაციო სამუშაოები და ინტელიგენციის გარკვეული ნაწილისთვის გაწეული ფინანსური დახმარებები ამის საფუძველს იძლეოდა, ჭორვილაში მისი დასახლება კი გვეუბნებოდა, რომ მას ქართული მიწა უყვარდა.**



ახლა უკვე გასაგებია, რისთვის დასახლდა თავის მშობლიურ სოფელში... საქართველოს ფარგლებს გარედან საქმიანობით იგი ერის ასეთ სიყვარულს ვერ მოიპოვებდა, ვერ შეძლებდა მასონურ-სიონისტური ძალების იმ გეგმების განხორციელებისთვის წარმატებულ ბრძოლას, რომელიც დააკისრეს.

**ბატონ ბიძინას ქართული მიწა, ალბათ, უყვარს, მაგრამ ქართველი მშრომელი ხალხი — ერი უყვარს? ამაშიც, არ გვინდა, ეჭვი გვეპარებოდეს, მაგრამ არჩევნების შემდეგ მისი მოქმედება ამ კითხვას ბადებს.**

**აშკარაა, რომ ბიძინა ივანიშვილს ქართულ პოლიტიკაში შემოსასვლელად წლების მანძილზე ამზადებდნენ ის ძალები, რომლებიც მსოფლიოს ახალი წესრიგის დამყარებას ესწრაფვიან და რომლებმაც სააკაშვილი მოიყვანეს.** ამ ძალების მიზანი იყო დისკრედიტირებული და ხალხის საძულველი სააკაშვილის ჩანაცვლება. ეს ისე ოსტატურად იყო მოფიქრებული და ხორცშესხმული, რომ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ივანიშვილს ბრმად დაუდგა გვერდით. მის მოქმედებას, პოლიტიკურად გაეცოცხლებინა და გაეაქტიურებინა ერის საძულველი პარტიები და პოლიტიკოსები, კრიტიკა და უარყოფა არ მოჰყოლია.

ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს მთავრობა და პარლამენტი მიცემული ინსტრუქციის შესაბამისად თავისუფლების ინსტიტუტისა და მეხუთე კოლონის — ე. წ. არასამთავრობოების წევრებისგან დააკომპლექტა. მან რეანიმაცია გაუკეთა ხალხისგან უარყოფილ „ნაციონალურ მოძრაობასაც“. **ივანიშვილის ხელისუფლებაში მომყვანნი მისგან მოითხოვდნენ საქართველოში ორპარტიული მმართველობითი სისტემის შექმნას. ეს დავალება შესრულებულია; მომავალში ხელისუფლებაში იქნებიან რესპუბლიკელები (და არა „ქართული ოცნება“!) და „ნაცმოძრაობა“.**

არჩევნების წინ „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელები, დეპუტატობის კანდიდატები ქართველი ხალხის ინტერესების ცხოვრებაში გამტარებლებად გვისახავდნენ თავს; გვპირდებოდნენ საარსებო მინიმუმის გაზრდას ბიოლოგიურ მოთხოვნილებამდე, რაც 2012 წლისთვის 250 ლარამდე ითვლებოდა. ახლა ეს საარსებო მინიმუმი 150 ლარად აქციეს და გვეუბნებიან — ამის შესაბამისად პენსიაც გავზარდეთო. საჯაროდ აცხადებდნენ სამართლიანობის აღდგენას, უსამართლოდ დაპატიმრებულთა განთავისუფლებას, მაგრამ ჯერჯერობით დაპირებები არ სრულდება.

## როცა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა პატივისცემითა და სიყვარულით შეამკო სტალინის სახელი, ბიძინა ივანიშვილმა სტალინი ჰიტლერს გაუთანაბრა და მწვანე შუქი აუნთო ხალხის მიერ სიყვარულით აგებული სტალინის ძეგლების ნგრევას

როცა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, თავი სააკაშვილის ნაკეთები საქმეების სამართალმემკვიდრედ გამოაცხადა: მთლიანად მოიწონა საგარეო პოლიტიკა, ქვეყნის აღმშენებლობაც დადებითად შეაფასა, კრიტიკა დაუთმო ფინანსების დატაცებას, ზოგიერთ ბიზნესმენზე ზეწოლასა და ქონების წართმევას.

**ბიძინა ივანიშვილმა და მისმა „ქართულმა ოცნებამ“ იგნორირება გაუკეთა ქართველი მშრომელი ხალხის — საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გრძნობებსა და სურვილებს — დამორჩილდა ანტიქართულ, ანტიეროვნულ ძალებს და ფეხქვეშ გათელა თავისივე დაპირებები.**

რატომ არ დაბრუნდა დავით აღმაშენებლის ძეგლი თავის ძველ ადგილზე? რატომ არ ხდება ქუთაისში აფეთქებული დიდების მემორიალის აღდგენა? რატომ არ ხდება სააკაშვილის ერთგული მონების გამოყვანა საბიუჯეტო სამსახურიდან და იქ იმ ადამიანების დასაქმება, რომლებმაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მიიყვანა?

რატომ გრძელდება ჰიპოთეკარ და ბანკირი ყაჩაღების მიერ ბინებიდან ადამიანების გამოყრა?

რატომ გრძელდება ძეგლებისა და სიწმინდეების წინააღმდეგ ბრძოლა? როცა ივანიშვილი გორში, ამომრჩეველთა წინაშე გამოვიდა, თქვა, რომ სტალინის ძეგლი აუცილებლად დაბრუნდებოდა თავის ძველ ადგილას. ამ განცხადებით მან კაპიტალიზმის მოწინააღმდეგე სტალინელთა უზარმაზარი არმია მიიმხრო.

**სტალინის თემა არაა უბრალო საკითხი. მისი ძეგლი გორში დაიდგმება თუ არა, არც ეს წყვეტს ბევრ რამეს. სტალინის ფენომენი ეს ზოგადსაკაცობრიო საკითხია. სტალინის სახეს და სახელს ვერც „ქართულ ოცნებაში“ გაერთიანებული პარტიების ლიდერები, ვერც ე. წ. ნაციონალები და მათი ტვინგახურებული სააკაშვილი, ვერც მასონურ-სიონისტური მოძრაობის არმია თავისი უზარმაზარი კაპიტალით ვერაფერს დააკლებს.**

ი. ბ. სტალინის სახელი მშრომელ ადამიანებში ასოცირდება კაცობრიობის უკეთესი ცხოვრების, თანაბარი პირობების შექმნის მოწყობასთან, ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის, ძმობის, მეგობრობის დამყარებასთან. ეროვნულ სახელმწიფოებში ძირითადი რელიგიური კონფესიებისადმი პატივისცემის გამოხატვაში.

**სტალინი, როგორც მართლმადიდებლური ერის წიაღიდან გამოსული და ასევე მართლმადიდებლური დიდი ქვეყნის ხელმძღვანელი, განსაკუთრებულ ყურადღებას მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ რელიგიას აქცევდა.** 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსეთში ხელისუფლება კომუნისტებთან მიტმასნილმა მასონურ-სიონისტურმა წრემ აიღო. ამ ჯგუფის სათავეში იყო ცნობილი მასონ-სიონისტი ტროცკი, რომლის უშუალო მითითებით მასობრივად დაიწყეს არა მარტო მართლმადიდებლური ეკლესიის, არამედ რუსეთისა და საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების ინტელიგენციისა და ჭეშმარიტი პატრიოტების განადგურება.

**სტალინის ხელმძღვანელობით მასონ-სიონისტების თარეში აღიკვეთა მთელ საბჭოთა კავშირში, გადაარჩინა მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება, ააშენა ისეთი სახელმწიფო, რომელმაც მსოფლიო იხსნა ფაშიზმისგან.**

სტალინმა იცოდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ეს ძალები შურს იძიებდნენ — გალანძღავდნენ სტალინს, დაანგრევდნენ სოციალიზმს და საბჭოთა კავშირს, მაგრამ საბოლოო წარმატებას მაინც ვერ მიაღწევდნენ.

1939 წლის ნოემბერში ი. ბ. სტალინმა კრემლში მიიღო საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეციაში ალექსანდრა კოლონტაი. მან მასთან საუბრისას თქვა: **„მსოფლიო სიონიზმი მთელი ძალებით ეცდება ჩვენი კავშირის განადგურებას, რათა რუსეთმა ველარასოდეს შეძლოს წამოდგომა. საბჭოთა კავშირის ძლიერება ხალხთა მეგობრობაშია. მძაფრი ბრძოლა, უპირველესად, მიმართული იქნება ამ მეგობრობის დარღვევისკენ...**

**განსაკუთრებული ძალით თავს ნაციონალიზმი წამოყოფს. ის დროის რაღაც მონაკვეთში ინტერნაციონალიზმსა და პატრიოტიზმს შეავიწროებს, მხოლოდ მცირე ხნით. ერებს შიგნით წარმოიქმნება ნაციონალური ჯგუფები და კონფლიქტები. გამოჩნდებიან ბელადი-პიგმეები, თავისი ერის გამყიდველები.**

**მომავალში ვითარება ძალზე გართულდება და მძაფრი გზითაც წავა, მოსახვევები უსაზღვროდ მრუდე იქნება. საქმე იქეთკენ მიდის, რომ განსაკუთრებით აღმოსავლეთი აფორიაქდება. დასავლეთთან მძაფრი დაპირისპირება მოხდება.“**

ბიძინა ივანიშვილმა არჩევნებში გამარჯვების შემდეგ განაცხადა: სტალინის დროს მე მილიარდელი ვერ გავხდებოდიო.

მართალი ბრძანდებით, ბატონო მილიარდერო! სამაგიეროდ, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა, მთლიანად დედამიწის მოსახლეობის ცხოვრების პირობები გაცილებით უკეთესი და უსაფრთხო იქნებოდა, ვიდრე თქვენი მილიარდერობის დროსაა.

**როცა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა პატივისცემითა და სიყვარულით შეამკო სტალინის სახელი, ბიძინა ივანიშვილმა სტალინი ჰიტლერს გაუთანაბრა და მწვანე შუქი აუნთო ხალხის მიერ სიყვარულით აგებული სტალინის ძეგლების ნგრევას.**

პოლიტიკა, რომელსაც „ქართული ოცნება“ ახორციელებს, არაა ქართული, ქართველი ერის სასიკეთოდ მიმართული. იგი კოსმოპოლიტური პოლიტიკაა, ქართველი ერის თვითმყოფადობის გაქრობის პოლიტიკაა. საქართველოს ისტორიული წარსულისადმი ვითომ პატივისცემა, ძველი კულტურის ძეგლების რესტავრაცია არ ნიშნავს ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვას. როცა ხალხს დაპირებებს აძლევ, მოიპოვებ მის მხარდაჭერას, ხდები ხელისუფალი, შემდეგ არ ასრულებ დანაპირებს და საწინააღმდეგოს აკეთებ, კარგავ უფლებას, იყო ხელისუფლებაში.

დღეს საქართველოს არ ჰყავს ერისა და ქვეყნის ინტერესების გამომხატველი, გამტარებელი პარლამენტი და მთავრობა. „ქართული ოცნება“ „ნაციონალების“ გზას აგრძელებს, გზას, რომელიც ხალხმა დაგმო. რევოლუციის სუნი ჰაერში ტრიალებს.

**ხალხის მოთმინების ფიალა ივსება!**

**ვილჰელმ მახარაძე,**
**საქართველოს სახალხო პატრიოტული კავშირის თავმჯდომარე,**
**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ლგბტ-ის დამცველებს საპატრიარქოში აგენტები ჰყავდათ შეგზავნილი და ცდილობდნენ, იქ მამათმავლობა და გარყვნილება შეეტანათ, შემდგომში ამ კომპრომატებით ეკლესია რომ გაეჩუმებინათ.“

# «ივანიშვილი ისე თუ არ ილაპარაკებს, როგორც ამერიკას ესიამოვნება, თავისი მილიარდები ფერფლად ექცევა»

**„ერი და ბერი — საქართველოს სადარაჯოზე!“ — ამ ლოზუნგით ორგანიზაცია „სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზი“ საქართველოს შემოივლის, იმ რაიონებს მოინახულებს, რომლებშიც სადროშოები უკვე დააარსეს, ხოლო 17 მაისისთვის თბილისში დიდ აქციას გამართავს. მანამდე კი „სახალხო დარბაზის“ წევრები სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წინააღმდეგ უკვე მომზადებულ სარჩელს სასამართლოში შეიტანენ, რადგან მიიჩნევენ, რომ საქართველოში მართლმადიდებელ ქრისტიანთა უფლებები რეგულარულად ირღვევა. ამ საკითხებზე გვესაუბრებიან „სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის“ თავმჯდომარე გოდერძი ოთარაშვილი და ამავე ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ დოგრაშვილი:**



თინათინ დოგრაშვილი



გოდერძი ოთარაშვილი

**თინათინ დოგრაშვილი:**

— ჩვენ სარჩელი მოვამზადეთ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც მართლმადიდებლობას ებრძვიან. სარჩელი საკმაოდ მოცულობითია, რადგან მათ უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი ქართველი ერის წინაშე.

**გოდერძი ოთარაშვილი:**

— პარალელურად ვაგროვებთ ხელმოწერებს და **ქართველი ერის სახელით მივმართავთ წმინდა სინოდს — აღკვეთოს ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ქმედება თუ მცდელობა, ხოლო მართლმადიდებლობის მტრები გადასცეს ანათემას!** დიახ, წმინდა სინოდიც იგივე სასამართლოა და ის არსებები, რომლებიც წლების განმავლობაში ერისა და ეკლესიის წინაშე დანაშაულს სჩადიოდნენ, ანათემას გადაეცნენ.

**— კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

— გიგა ბოკერიას, ნინია კაკაბაძეს, თეა თუთბერიძეს, მთლიანად „თავისუფლების ინსტიტუტს“, „ნაცმოძრაობის“ წევრებსა და დღევანდელი ხელისუფლების საკმაოდ ბევრ წარმომადგენელს. **მოვითხოვთ, ანათემაზე გადაეცეს ყველა ქართველთმოძულე, რომლებიც ფარულად თუ ღიად ებრძვიან ჩვენს სულიერებასა და ეროვნულ ცნობიერებას. დროა, დამთავრდეს ამ ულმერთოთა ბოგინი!**

ყველაფერს გავაკეთებთ ამისთვის — გავმართავთ აქციებს, გადავკეტავთ გზებს და ულმერთოებს არსად გავაჭაჭანებთ! **ჩვენს უფლებებს თვითონვე დავიცავთ.**

არ ვიმუქრები მაგრამ ნებისმიერი ქართველი ვალდებულია, რომ ყველაფრის ფასად დაიცვას სამშობლო და სარწმუნოება. ასე რომ, ვაი, იმ ე. წ. ადამიანებს, საწყალ არსებებს, რომლებიც დღეს დაფარულად თუ ღიად ებრძვიან მართლმადიდებლობას. მათ აღგვით პირისაგან მიწისა! ეს არ არის ცარიელი სიტყვები, ძალიან მალე დადგება დრო, როდესაც ერი თავის სათქმელს იტყვის.

## «ივანიშვილზე უცხო ძალები ზემოქმედებენ და ამიტომ ამბობს ისეთ რაღაცას, რაც ქართველებისთვის მიუღებელია»

**თინათინ დოგრაშვილი:**

— ლგბტ-ის დამცველებს საპატრიარქოში აგენტები ჰყავდათ შეგზავნილი და ცდილობდნენ, იქ მამათმავლობა და გარყვნილება შეეტანათ, შემდგომში ამ კომპრომატებით ეკლესია რომ გაეჩუმებინათ. მადლობა უფალს, რომ მათ ამ სიბინძურის გალვივება ვერ შეძლეს საზოგადოებაში! გასული წლის 17 მაისი ამის ნათელი დადასტურებაა. ამ ყველაფრის შემდეგ მნიშვნელობა აღარ აქვს, ესა თუ ის პარტია ან ბიზნესმენი რას განაცხადებს, მთავარია, ქართველი ერი რას ფიქრობს და ამბობს. ქართველი ერი კი ამბობს, რომ **უფალი მეფობს და არა რომელიმე პოლიტიკოსი თუ მილიარდერი. ბატონ ბიძინა ივანიშვილს დიდ პატივს ვცემ თუნდაც იმიტომ, რომ ნაცჯოჯოხეთი მოგვაშორა, მაგრამ ივანიშვილი ისე თუ არ ილაპარაკებს, როგორც ამერიკას ესიამოვნება, თავისი მილიარდები ფერფლად ექცევა.** ამიტომ ნუ შევყურებთ ერთ ადამიანს პირში და, თუ რამე არ მოგვწონს, თუნდაც ივანიშვილის ნათქვამი, დავანებოთ თავი. როგორც ჩანს, **ივანიშვილზე უცხო ძალები ზემოქმედებენ და ამიტომ ამბობს ისეთ რაღაცას, რაც ქართველებისთვის მიუღებელია. თავი დავანებოთ ბიძინა ივანიშვილს და ერმა თქვას თავისი სათქმელი.**

**— ხალხი ძალიან გააღიზიანა ბიძინა ივანიშვილის ნათქვამმა პატრიარქის მისამართით...**

— ჰოდა, გამოვიდეს ქუჩაში ეს გაღიზიანებული ხალხი და გააპროტესტოს. რასაც ერი მოითხოვს, იმას ვერც ივანიშვილი აღუდგება წინ და ვერც ვერავინ. ამის შემდეგ ამერიკაც და მთელი მსოფლიოც უკან დაიხევს. **რით ვერ შევიგნეთ, რომ საქართველოში უფალი მეფობს და არა ბიძინა ივანიშვილი?!**

ხოლო უფლის სიტყვის გამხმოვანებელი ჩვენი უწმინდესია.

**გოდერძი ოთარაშვილი:**

— არ უნდა დავემსგავსოთ სამზარეულოს ვირთხებს, რომლებიც ყავის ფინჯანს ხელიდან არ აგდებენ და ქადაგებენ, ეს ასე რატომ ხდება, ის — ისეო. თუ მართლა სტკივათ თავიანთი ქვეყნის ბედი, ქუჩაში გამოვიდნენ და გააპროტესტონ ის, რაც არ მოსწონთ. დადგნენ ერის გვერდით და მორჩნენ სამზარეულოში ჭორაობას. **სატანა საქართველოში ვერ გამეფდება, მას წინ აღუდგება მთელი ერი პატრიარქის ხელმძღვანელობით.**

**— რას აპირებთ?**

— პატრიარქის კურთხევით, გვაქვს გეგმები, რომელთა განხორციელებაც უკვე დავიწყეთ, მთელი საქართველოს მასშტაბით შევქმენით ჩვენი დარბაზის სადროშოები, ვემზადებით, რომ შევკრიბოთ ერთიანი, ძლიერი ქართული საზოგადოება. გაზაფხულზე დავასრულებთ სრულიად საქართველოს შემოვლას, 17 მაისს კი გავმართავთ დიდ დარბაზობას და, რასაც ამ დარბაზობაზე გადაწყვეტს ერი, ის იქნება უმთავრესი კანონი. ამას პატრიარქთან ერთად გავაკეთებთ.

**თინათინ დოგრაშვილი:**

— დღევანდელი ხელისუფლების წევრთა უმრავლესობა წლების განმავლობაში მიხეილ სააკაშვილთან იყო გარიგებული, პოლიტიკა ფულის საქრელ დაზგად ჰქონდა გადაქცეული და ქვეყანას პირადი ბედნიერებისთვის იყენებდა. **„ნაცმოძრაობასთან“ ერთად ერის წინაშე არანაკლები დანაშაული მიუძღვით რესპუბლიკელებს, ირაკლი ალასანიას, ზვიად ძიძიგურს და ა.შ.**

**ქვეყნის გაყიდვასა და დაჩოქებაში ამ ადამიანებთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვით არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებსაც. მაგალითად, გიორგი თარგამაძეს** ▶

# «ქრისტიან-დემოკრატიული» აფერა

**2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რამდენიმე პარტიამ მიიღო მონაწილეობა, დიდი ბრძოლისა და დავის შემდეგ ბევრმა მათგანმა საწადელს ვერ მიაღწია და სახელმწიფო დაფინასება ვერ მიიღო, სამაგიეროდ, კვლავ დაფინანსდნენ „ნაციონალები“ და მათთან დაახლოებული პარტიები, ერთ-ერთი ასეთია „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად იცოდნენ, რა შედეგსაც დადებდნენ, არჩევნებში მონაწილეობა მაინც გადაწყვიტეს, 50 ათასი ცოტა ფული არ იყო. სად დაიხარჯა ფული? ვინ მიიღო დარიცხული ხელფასი და რას ედავებიან პარტიის ლიდერებს ის ადამიანები, რომელთა ანგარიშზეც ფული დაირიცხა, მაგრამ ადრესატებს თვალითაც არ უნახავთ? „საქართველო და მსოფლიო“ „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერთან ლევან ვეფხვაძესთან დაკავშირებას შეეცადა, მაგრამ მან სატელეფონო ზარებს არ უპასუხა, ასევე არ უპასუხა ზარს პარტიის იურისტმა მამუკა ხიმშიაშვილმა. ამ უკანასკნელთან დაკავშირება იმიტომ ვცადეთ, რომ მას დაზარალებულები ახსენებენ.**




**გელა აზირაშვილი,** ახალციხეში მცხოვრები:

— 2013 წლის ნოემბრის დეკლარაციაში შეცდომა დაუშვეს და სხვისი პირადი ნომერი — 03001013432 სხვა სახელისა და გვარის ადამიანზე ჩაწერეს.

**— როგორ ფიქრობთ, ეს განზრახ გაკეთდა თუ მართლა შეცდომა მოუვიდათ?**

— არ ვიცი, ვერ გეტყვით, მაგრამ ადამიანი, რომლის პირადი ნომერიც იყო გადაცემული, სოციალურად დაუცველია. ალბათ, იცით, რომ შემოსავლების სამსახური აწვდის ინფორმაციას სოციალურ სამსახურს იმის შესახებ, არის თუ არა ადამიანი დასაქმებული და საჭიროებს თუ არა სოციალურ დახმარებას. ასეთი შეცდომა რომ მოხდა, ამ ადამიანს ხელფასი დაუდასტურდა და სოციალური დახმარება მოეხსნა, თუმცა, წლებია, პირველი ჯგუფის ინვალიდია და არც უმუშავია. ეს ადამიანი გახლავთ მანანა აზირაშვილი.

**— თანხა სინამდვილეში ვინ აიღო?**

— არ ვიცი, მაგრამ **მანანა აზირაშვილის პირადი ნომერია გამოყენებული და მაია ხუციშვილის სახელი და გვარი. ვფიქრობ, რომ მაინც შეცდომა იყო. არ მაინტერესებს, ამ ადამიანმა თანხა აიღო თუ არა, მაგრამ ვიცი, რომ ამ ინვალიდ ქალს კაპიკი არ აუღია და შემოსავლების სამსახურში ამბობენ, რომ ხელფასი აქვს. დეკლარაციაში ასეა ნაჩვენები.**

**— ვისი სახელით არის თანხა დარიცხული?**

— თანხა დარიცხულია „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ სახელით. ვერ ვხვდები, რა უნდა მომხდარიყო, შეიძლება აქ, ადგილზე, შემოსავლების სამსახურში შეეშალათ რამე, მაგრამ **რატომ იძლევიან საბუთს, რომ მანანა აზირაშვილს დაერიცხა თანხა, ნამდვილად არ მესმის, რადგან ამ ქალბატონს ეს თანხა არც აუღია, არც არავის იცნობს და „ქრისტიან-დემოკრატებთანაც“ ურთიერთობა არ ჰქონია.**

ჩვენ მივმართეთ ყველა იმ ორგანოს, რომელთაც ამ ხარვეზის გამოსწორება შეეძლოთ. ტელეფონის ნომერი მომცეს და დავრეკე შემოსავლების სამსახურში, ვიღაც ქალბატონმა მიპასუხა და სხვაგან გადამამისამართა, იქ კი მითხრეს, რომ 27 იანვარს ეს უნდა გამოსწორებულიყო, მაგრამ ჩასწორებული არ არის და ამ დრომდე ისევ დასტურდება, რომ მანანა აზირაშვილს ხელფასი ერიცხება.

რატომ არ ასწორებენ თვითონ „ქრისტიან-დემოკრატები“ თავის შეცდომას, რომ პირადი ნომერი შეეშალათ, წარმოდგენა არ მაქვს.

**— „ქრისტიან-დემოკრატებს“ არ მიმართეთ?**

— კი, ვიღაც მამუკა ხიმშიაშვილს ველაპარაკე და მითხრა, რომ შემეშალა, უკვე გამოვასწორე და ჩემი საქმე აღარ არის, რას იზამენო. აუდიტს გადავეცითო, მე ისიც არ ვიცოდი, ეს თუ აუდიტის საქმე იყო.

**მარინე ქარჩავა,** მე-100 ბაგა-ბაღის თანამშრომელი:

— თანხა დარიცხულია ნოემბერში, მაგრამ თვალითაც არ მინახავს, წარმოდგენა არ მაქვს, ვის შეეძლო ჩემი ანგარიშიდან თანხის გატანა. საბავშვო ბაღში ვმუშაობ, **სახელფასო დეკლარაცია შეივსო, ბუღალტერს თანხის სხვაობა აჩვენა და გაგიჟდა, ეს საიდან მოვიდაო. ჩემი ხელფასი 400 ლარია და ასი ლარით ზედმეტი აჩვენა. ყველა გაკვირვებულია. ბანკში ვიყავი და იქაც ვერაფერს მეუბნებიან, ვერაფერი გავარკვიე. ბანკში მითხრეს, რომ თანხა „ქრისტიან-დემოკრატების“ სახელით** ▶

**ხვალ ივანიშვილის მოწოდებას რომ გამოეხმაურებიან საქართველოში მოქმედი მეხუთე კოლონები ენჯეოებისა თუ ცალკეული ნეოლიბერალების სახით და სიბინძურის ნიაღვარს მიუშვებენ ჩვენი დედაეკლესიის, მისი საჭეთმპყრობელის მიმართ და ამას რომ „ბიძინას ხათრითაც“ ველარ მოითმენს ქართველი ერი, მოსალოდნელი ფიზიკური დაპირისპირების შედეგებზე პასუხს ვინ აგებს?**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **და მის ამალას.** ამიტომაც არის, რომ ქართველი ერი ამ ვაი-პოლიტიკოსებს ყურს აღარ უგდებს და თვითონ იწყებს მოქმედებას. ძალიან დიდ მსვლელობას ვგეგმავთ. **ცოტა ხანს დაველოდებით, როგორ აღდგება და დამკვიდრდება ქვეყანაში სამართალი და, თუ ყველაფერი ისე არ მოხდება, როგორც ერს სურს, მთელი საქართველო გარეთ გამოვა.** ხელისუფლებას კი, რასაც ვიტყვით, იმას გავაკეთებინებთ. ამის შემდეგ ამერიკასაც გავცემთ პასუხს და ევროპასაც. უფლის გზაზე წავალთ და გავაკეთებთ იმას, რაც სურს ერს და პატრიარქს.

უღმერთოები წლების განმავლობაში ისე ბღალავდნენ ქართული ეკლესიის სახელს, რომ აუცილებლად უნდა ჩატარდეს რუის-ურბნისის საეკლესიო კრება და მოხდეს წმენდა. დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე ეკლესიის წმენდას თვითონ ჩვენი უწმინდესი უხელმძღვანელებს. მეუფე კალისტრატე და მისნაირები აუცილებლად უნდა მოხვდნენ ამ წმენდაში.

**გოდერძი ოთარაშვილი:**

— როგორიც ერი — ისეთი ბერიო. თუ ვამბობთ, რომ ერი უნდა გაიმარგლოს, ასევე გასამარგლია ბერიც. ეკლესია სუფთა რომ ყოფილიყო, ერიც ასეთივე იქნებოდა. ამიტომ, **პირველ რიგში, ერი უნდა გაიწმინდოს და შემდეგ გაწმენდილმა ერმა სამღვდელოება გაწმინდოს შეგზავნილი უკეთურებისგან. ეკლესიას ბევრი უღირსი აფარებს თავს, რომლებიც სახელს უბღალავენ ჩვენს სიწმინდეს.**

ასე რომ, დაელოდეთ 17 მაისს. ამ დღეს ყველას ვანახებთ, ქართველ ერს რისი გაკეთებაც შეგვიძლია!

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

◀ **არის დარიცხულიო. ძალიან გამიკვირდა, მათთან შეხება არასოდეს მქონია.**

**— „ქრისტიან-დემოკრატებს“ დაუკავშირდით?**

— კი, მითხრეს: „ბოდიში, რაღაც შეცდომა არისო“ და ამით დამემშვიდობნენ.

**საუბრის დასრულების შემდეგ ერთ-ერთი რესპონდენტის ტელეფონიდან გადმორეკეს და გვითხრეს: „თქვენ თუ „ქრისტიან-დემოკრატები“ გარეკინებენ, გადაეცით თქვენს აფერისტ გიორგის, რომ თანხა, რომელიც მარინე ქარჩავას ანგარიშზე გამოჩნდა, ან მართლა ჩარიცხონ, ან მთელ ქვეყანას შევყრი. დგას ეგ თქვენი თარგამაძე და კორუფციაზე საუბრობს, ვინ მისცა მაგის უფლება თავად კორუმპირებულს?“**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**P.S. „საქართველო და მსოფლიო“ შემოსავლების სამსახურსაც დაუკავშირდა. მათ დაადასტურეს ინფორმაცია, რომ ასეთი პრობლემა ნამდვილად არის, თუმცა დაზარალებულთა ნებართვის გარეშე მათი სახელები და გვარები ვერ გვითხრეს.**

# ოლიგარქის ამბორი, ანუ «მოქალაქე» — პატრიარქის წინააღმდეგ

## „არ არსებობს ლიბერალზე უფრო მძვინვარე მხეცი“
### არქიმანდრიტი რაფაელი



**ოლიგარქია ბერძნული სიტყვაა და მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის მცირერიცხოვანი წარმომადგენლების პოლიტიკურ-ეკონომიკურ ბატონობას ნიშნავს და საქართველოში სააკაშვილის მმართველობიდან მოყოლებული, ვიდრე დღემდე, სწორედ ამ ტიპის მმართველობა გვაქვს.**
**დიახ, „ვიდრე დღემდე“, რადგან, როგორც აღმოჩნდა, ივანიშვილის „ქართულმა ოცნებამ“ სააკაშვილის „ამერიკული ოცნება“ ჯერ ჩაანაცვლა, ხოლო მერე — „კიდო უკეთესი“ — 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ „ნაცებ-ქოცების“ კოაბიტაცია პოლიტიკურ-იდეოლოგიურად ერთსქესიანთა ქორწინებით დასრულდა!**

ამის შედეგია ის, რომ ჯერჯერობით (რა ხიფათის შემცველია ეს უწყინარი სიტყვა „ჯერჯერობით“?!) ჭუკებივით აღარ გვიჭერენ და ცოცხებით აღარ გვაუპატიურებენ ციხეებში, წიწილებივით აღარ გვხოცავენ ქუჩაში, რისთვისაც, თუ ვინმეს ასე ესიამოვნება, მადლობა მხოლოდ და მხოლოდ ივანიშვილს! ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებელიც მხოლოდ ივანიშვილია, ანუ დიდი სტალინისა არ იყოს, „За старое спасибо, за новое отвечай!“...

რა თქმა უნდა, წელიწად-ნახევრის განმავლობაში ეკონომიკურ სასწაულს არავინ ელოდა, მაგრამ იმის გაკეთება, რასაც დიდი ფინანსური ინიექციები არ სჭირდება, ამ მოკლე ხანშიც შესაძლებელი იყო:

**არა და არ დაადგა საშველი სამართლიანობის აღდგენას** კი არა, ამ პროცესის რეალურად დაწყებას, რაც საზოგადოებას იმედიანი მოთმინებისკენ უბიძგებდა — არ არც ერთი გახმაურებული საქმე არ არის ბოლომდე გამოძიებული და დამნაშავეები დასჯილი — ეს მხოლოდ დასავლეთის ზემოქმედების ბრალი არ არის. მკვლელებსა და სადისტებს ვაშლის გათლის გამო რომ დაიჭერ, მერე არც მერაბიშვილ-ახალაიას კნეინების საპროტესტო აქციები უნდა გაიკვირვო მათი გმირი ქმრების განთავისუფლების მოთხოვნით და არც დასავლეთის აშკარა მხარდაჭერა ნებიერა „ნაცბანდის“ მიმართ;

**არ დაუბრუნებიათ არც ერთი წართმეული მსხვილი ბიზნესი კი არა, უბრალო „ბუტკაც“ კი;**

**ე. წ. იპოთეკარებისთვის ვალის ჩამოწერა თუ არა, გადავადება ხომ მაინც შეიძლებოდა?** მაგრამ არა — ივანიშვილმა ბანკირების მხარე დაიჭირა და არა ბანკების მიერ განადგურებული ხალხისა;

არ **შემცირებულა ენერგომატარებლების** (დენი, ბუნებრივი აირი, ბენზინი) **ტარიფი** და ა. შ. კიდევ ბევრი შეუსრულებელი დაპირების ჩამოთვლა შეიძლება...

რაც შეეხება „დიდ პოლიტიკას“, აქ, დაპირებისამებრ, „შუა გაიკრიფა“, რასაც თავის დროზე მოწონებით შევხვდი, რადგან მეგონა, რომ „შუის გაკრეფა“, „ნაცებთან“ ერთად, ე. წ. ფსევდოოპოზიციის მხილებასა და პოლიტიკიდან ერთხელ და სამუდამოდ მათ მოკვეთას ნიშნავდა, მაგრამ არა — ფსევდოოპოზიციის „სასტავმა“ მხოლოდ „პარავოზი“ შეიცვალა და ახლა ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნების“ ლოკომოტივს გამობმულები „ოცნება“-„ნაცების“ ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ ტელევიზიებში ყელყელაობენ. „გაკრეფვით“ კი მხოლოდ ეროვნული იდეოლოგიის მქონე არასაპარლამენტო ოპოზიცია „გაიკრიფა“ და ბურთი და მოედანი „ნაცებ-ქოცებს“ დარჩათ, ანუ, უსუფაშვილ-ბოკერიას მსგავს ნეოლიბერალებს. ჰოდა, ისინიც ბურთაობენ და ქართველი ხალხის კარში გააქვთ უპასუხო გოლები!

**ასეთ ვითარებაში რომ იტყვი, ჩემ მიერ დატოვებულ ხელისუფლებასთან შენიშვნები არ მაქვს და ეკლესიას მითითებები სჭირდებაო, რას ნიშნავს, ხალხო, ჰა?**

პატრიარქისთვის მითითებების მიცემას, იქნებ სჯობს, საკუთარ მინისტრ-დეპუტატებს მიუთითოს, რადგან, რასაც ოპოზიციაში ყოფნისას ითხოვდი, ხელისუფლებაში მოსული არ აკეთებ! რა ჰქვია ასეთ საქციელს?

**აი, ამ ფონზე მიდის ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან. პარლამენტ-მთავრობა-ოპოზიციაში ყველაფერი ჩაალიბერალა და ახლა სამოქალაქო სექტორში აპირებს „შუის გაკრეფას“ და პოლიტიკურად უკულტურო ქართველი საზოგადოების დონის ამაღლებას?**

ვნახოთ...

მანამდე კი — იმაზე, რაც უკვე ვნახეთ. 4 თებერვალს ივანიშვილმა ასო (ცუდი არაფერი იფიქროთ, ასო არასამთავრობო ორგანიზაციის აბრევიატურაა) „მოქალაქე“ დააფუძნა და ოფიციალურად გააფორმა ქართული პოლიტიკიდან წასვლა...

არ დავიწყებ ყველა იმ რეალობის განხილვას, რომ ბიძინა ივანიშვილი დღესაც ფაქტობრივი გამგებელია საქართველოსი, მე მხოლოდ „მოქალაქის“ შემადგენლობაზე გავამახვილებ ყურადღებას, რაც საშუალებას მოგვცემს, ვივარაუდოთ, რას და როგორ აპირებს ასო „მოქალაქე“ და, აქედან გამომდინარე, ბრიფინგის იმ მონაკვეთზეც ვისაუბრებ, რომლის დროსაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, პირადად მის უწმინდესობას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს შეეხნენ...

**„საზოგადოებამ უნდა გადალახოს ის ბარიერი, რომ ეკლესიის თემა არის ტაბუდადებული და იქ რაც ითქმება და როგორც ითქმება, არის უმწიკვლო და ხელშეუხებელი... ისინიც საჭიროებენ კრიტიკას, ისინიც საჭიროებენ მითითებას... ამ დროს ყველას შეიძლება შეეშალოს, პატრიარქსაც შეიძლება შეეშალოს“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

**ვერაფერს იტყვი, პატრიარქისადმი მართლაც უზომო სიყვარული და პატივისცემა გამოსჭვივის ამ ტირადაში...**

**ასევე უნდა ითქვას - გვაქვს „გონივრული ეჭვი“ რომ ასო „მოქალაქის“ (რომლის დირექტორიც, როგორც ქართული პრესა წერს, პედერასტების მხარდასაჭერად ფალოსის ფორმიანი „შიკალადნი ტორტის“ ჭამისადმი ყოფილა მიდრეკილი) ძირითადი მიმართულება იქნება ის, რომ გეიპარადის გაგონებისას შარშანდელივით კი აღარ აიფოფროს ქართველი ხალხი და ეკლესიასთან ერთად წინ აღუდგეს სიბინძურის პროპაგანდას, არამედ, პროგრესის ნიშნად, მიიღოს პედერასტების პარადები და ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების უეჭველი პერსპექტივაც ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში?**

ვნახოთ, როგორ წარიმართება პროცესი. 17 მაისი მალე მოვა და გამოჩნდება, ეს კითხვის ნიშანი უსაფუძვლო ეჭვის მოგონებად დამრჩება თუ უეჭველობის ძახილის ნიშნით შეიცვლება.

ისე, უხერხული ხომ არ არის, ჩვენთვის რომელიმე ევროპელი ჰომოსექსუალის ან მათი აპოლოგეტების (ქეთრინ ეშთონი, შტეფან ფულე, კარლ ბილდი, ფილიპ დიმიტროვი, ანდერს რასმუსენი, ვიეტნამის ტყვეობისას პატივაყრილი სენატორი მაკეინი და სხვ.) „რეკომენდაციების“ ხელშეუხებელ ჭეშმარიტებად შემოსაღებას ცდილობდნენ და, ამასთანავე, ბიძინა ამბობდეს, ერის სულიერი მამა რასაც ბრძანებს, სულაც არ არის „უმწიკვლო და ხელშეუხებელიო“?..

არადა, ღირსი მამების (როგორიც ბრძანდება ჩვენი უწმინდესი) სიტყვა ღვთის სიტყვაა მორწმუნე მრევლისთვის და მათი განკითხვა სულიწმინდის გმობის ცოდვის ტოლფასია!

ეკლესიისა და პატრიარქის კრიტიკას ვინღა დაეძებს, საპატრიარქოსთან გამართული საპროტესტო აქციები და მართლმადიდებლობის ლანძღვაგინება ცოტა გვინახავს და მოგვისმენია ვაჭარაძეების, თეა თუთბერიძეების, ნინია კაკაბაძეებისა და სხვა მრავალი ბუდარა-ბუდარიხების შესრულებით? ამ ხლისტებს კიდევ ბიძინას წაქეზება უნდოდათ?

**ხვალ ივანიშვილის მოწოდებას რომ გამოეხმაურებიან საქართველოში მოქმედი მეხუთე კოლონები ენჯეოებისა თუ ცალკეული ნეოლიბერალების სახით და სიბინძურის ნიაღვარს მიუშვებენ ჩვენი დედაეკლესიის, მისი საჭეთმპყრობელის მიმართ და ამას რომ „ბიძინას ხათრითაც“ ველარ მოითმენს ქართველი ერი, მოსალოდნელი ფიზიკური დაპირისპირების შედეგებზე პასუხს ვინ აგებს?**

რაც შეეხება გაფეტიშებას, თუ ვინმეა გაფეტიშებული, ეს არის არა პატრიარქი, არამედ ე. წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის ნაწილის მიერ კერპადქცეული ბიძინა ივანიშვილია. ინტელიგენციის ეს ნაწილი დავალებულია ბიძინა ივანიშვილისგან, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, და ადამიანურად მესმის მათი. ეს ხალხი პატრიარქის მზეს ფიცულობს, არ მოსწონს რესპუბლიკელების კადრების გაჯეჯილება „ქართულ ოცნებაში“, რაც სათავეა ყველა ჩვენი ეროვნული სატკივარისა, მაგრამ 1 ოქტომბრის შემდეგ ჯიუტად სჯერათ ან თავს იტყუებენ, რომ დღეს თუ არა, ხვალ ან ზეგ ეროვნული ბიძინა უეჭველად მოიშორებს ანტიეროვნულ ხალხს და ამ მედლეხვალიობაში სამშობლო გვეცლება ხელიდან!

ნურც ის დაავიწყდებათ ბიძინა ივანიშვილის მეხოტბეებს, რომ „ქართულ ოცნებას“ სწორედ ეკლესიამ მოაგებინა 1 ოქტომბრის არჩევნები. გაიხსენეთ, მთელი წლის განმავლობაში როგორ ღიად უჭერდნენ მხარს დარღვევებით, გაუგებრობებით, ცუდი ამბებით სავსე ეკლესიის იერარქები „ქართულ ოცნებას“, 2012 წლის სექტემბრის მიწურულს კი ციხის სკანდალური კადრებით აღშფოთებულ ათიათასობით ადამიანს ასობით ანაფორიანი მღვდელმსახური მიუძღოდა...

ერთადერთი ნამდვილი პატრონი ქართველი ერისა, თუნდაც ნაკლოვანებებით სავსე, ქართული ეკლესიაა, უწმინდესი კი მართლაც ღირსეული სულიერი მამაა საქართველოსი!

აქედან გამომდინარე, დიახაც, ვერ მივიღებ ჩვენი დედაეკლესიისა და პატრიარქის ვერანაირ კრიტიკას და, თუ ჩემი სიტყვა რამედ ღირს, მკითხველსაც ამისკენ მოვუწოდებ!

„მოქალაქე“ კარგი ცნებაა, მაგრამ მარილი აკლია, ამიტომ უფრო ჯიგრიანი და ტევადი „მამულიშვილი“ მირჩევნია და ვნახოთ, ასო „მოქალაქე“ მომავალ 17 მაისს სად იდგება — საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან, ანუ ქართველ მამულიშვილებთან, თუ რესპუბლიკელებისა და „თავისუფლების ინსტიტუტის“ ლგბტ-პედერასტებთან?!

რადგან ქართველი ეკლესიას დედაეკლესიას ეძახის, წერილს დიდი ვაჟას „სტუმარ-მასპინძლის“ ერთი სტრიქონით დავასრულებ:

**„მოსისხლე სტუმრის გულისთვის ქუქუს ვინ მოჭრის დედასა?!“**

**დავით მხეიძე**

**ამ ხლისტებს კიდევ ბიძინას წაქეზება უნდათ?**

**„ხალხს ზუსტად ის პერიოდი ახსენდება, სააკაშვილი რევოლუციისთვის რომ ემზადებოდა და დივერსიულ აქტებს აწყობდა. რეგიონში საგანგაშო ვითარებაა, რაც ხალხის უდიდეს გაღიზიანებას იწვევს, რადგან დღემდე ვერ ხვდებიან, ვინ არის ხელისუფლებაში – „ნაცები“ თუ „ოცნება“.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სამეგრელოს ახალი გუბერნატორი ლევან შონია «ნაცებს» იბარებს და სთხოვს, რომ მომავალ არჩევნებში დაეხმარონ

**„საქართველო და მსოფლიო“ (უკვე მეორე ნომერია) სამეგრელოში არსებული ვითარებით ინტერესდება. წინა ნომერში შევეცადეთ უბრალო, ადგილობრივი მოსახლეობისგან პრობლემების შესახებ ისე გაგვეგო, რომ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ ჩაგვერია. გაზეთის ამ ნომერში კი გადავწყვიტეთ „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ სამეგრელოს რეგიონის კურატორ ლერი გელენავას გავსაუბრებოდით. მანაც ზუსტად იმავე პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება, რომელზეც სამეგრელოს თითოეული მცხოვრები საუბრობს.**



— სამეგრელოში, სახელების გარდა, არაფერი შეცვლილა; ვისაც ადრე ერქვა „ნაცი“, დღეს ჰქვია „ოცნება“. მშენებლობები საერთოდ შეჩერდა, ითიშება დენი, ყველა სოფელში გაზის შესაყვანად დაწყებული სამუშაოები შეჩერდა. **ხალხს ზუსტად ის პერიოდი ახსენდება, სააკაშვილი რევოლუციისთვის რომ ემზადებოდა და დივერსიულ აქტებს აწყობდა. რეგიონში საგანგაშო ვითარებაა, რაც ხალხის უდიდეს გაღიზიანებას იწვევს, რადგან დღემდე ვერ ხვდებიან, ვინ არის ხელისუფლებაში – „ნაცები“ თუ „ოცნება“.**

სამეგრელოს ახალი გუბერნატორი ლევან შონია „ნაცებს“ იბარებს და სთხოვს, რომ მომავალ არჩევნებში დაეხმარონ. ისინი ძალიან შეხმატკბილებულნი ცხოვრობენ, ხოლო ადამიანები, რომლებიც „ნაციონალების“ წინააღმდეგ წლების განმავლობაში იბრძოდნენ, ცოტა არ იყოს, შიშით შეჰყურებენ არსებულ ვითარებას, ამას კი ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევს.

**— ბატონო ლერი, ზუგდიდის მკვიდრნი ამბობენ, რომ შესაძლებელია, „ნაცები“ 40%-ით მოვიდნენ რაიონულ თვითმმართველობებშიო...**

— თქვენ ასე გითხრეს? მე კი ვიცი, რომ **„ნაციონალები“, შესაძლებელია, უმრავლესობაში აღმოჩნდნენ, თუმცა მეგრელი ხალხის გონიერების დიდი იმედი მაქვს.**

საუბარია და ზუსტად ვიცი, რომ **მიმდინარეობს მოლაპარაკება რაიონების გადანაწილებაზე, ამბობენ, რომ ქალაქები „ოცნებას“ დარჩება, ხოლო სოფლებს „ნაცები“ მოიგებენ, რაც კატასტროფამდე მიგვიყვანს.** ხალხი გრძნობს, რომ ახალ მთავრობას ძველები სჭირდება, მათი შესაძლებლობების გამოყენება უნდათ, მაგრამ ვერ აცნობიერებენ, ამ მუხანათი ადამიანების გვერდით დგომით ხალხს როგორ აფრთხობენ, ყველა ფიქრობს, რომ „ნაცები“ „ოცნებას“ მალე ჩააჩოჩებს.

**შიში, რომელიც სამეგრელოში არსებობდა, ერთი პერიოდი მინელდა, მაგრამ ახლა კვლავ განახლდა. როლანდ ახალაია, როგორც მაჟორიტარი, ხალხში კვლავ ჩნდება, რაც შიშის საფუძველს ნამდვილად იძლევა.**

თანამდებობებზე ისევ „ნაციონალები“ არიან, თანაც აქტიური „ნაციონალები“. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ხალხს მომავლის შიში ჩაუნერგონ, რაც თითქმის უკვე სახეზე გვაქვს — ყველა ფიქრობს, რომ ძველი დრო დაბრუნდება, დრო, როდესაც არ იყო დენი, სამუშაო, იყო ძარცვა და ყაჩაღობა.

**— ბატონო ლერი, იმაზე უარესი ვითარებაა, ვიდრე „ნაციონალების“ დროს იყო?**

— აშკარად უარესი მდგომარეობაა. თან იქაურ ხალხს ყველაზე მეტად, იცით, რა აღიზიანებთ? როდესაც მთავრობა გამოდის და ამბობს, რომ კახელ გლეხს ვეხმარებით ვენახის მოვლაში, ყურძნის ჩაბარებაში, ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს და ყველა კუთხე ერთმანეთზე მდიდარი იყოს, მაგრამ მთავრობას ავიწყდება, რომ მეგრელების ერთადერთი შემოსავალი თხილია, რაზეც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ სამი ლარი ღირს და მეტი რა გინდათო. იმდენი უკვე აღარ იციან, რა უჯდება გლეხს თხილის მოვლა. **მთავრობას არ ესმის, რომ სამეგრელო კონფლიქტის ზონაშია, ჩიხში იმყოფება და მას ყველაზე მეტი დახმარება, წახალისება სჭირდება. ამ რეგიონში არ არსებობს არც ერთი ქარხანა, საწარმო. ასი საწარმო თუ სადმე გაიხსნა, ერთი მაინც ყოფილიყო სამეგრელოში?!**

სამეგრელოში წინა ხელისუფლება თავის დასაყრდენ ძალას ქმნიდა, რაც დღემდე იგრძნობა. **„ნაციონალები“ ისევ მყარად არიან, მათი წელში გატეხვა „ოცნებამ“ ვერ შეძლო, ამიტომ მთავრობას ურჩევნია, რომ სამეგრელო მიჩუმებული და დაკონსერვებული ჰყავდეს.**

**ახალი მთავრობა უსუსურია.** მოსახლეობას ხელისუფლებისგან მეტი ყურადღება რომ ეგრძნო, დარწმუნებული ვარ, „ნაციონალები“ ამ დონეზე ვერ იბოგინებდნენ, განსაკუთრებით, სამეგრელოში. ხალხი ხედავს, რომ „ნაციონალების“ კარნახით კეთდება ყველაფერი, ხალხი უკიდურესად იმედგაცრუებულია, მაგრამ რა ქნას, ახალი მთავრობა ყურადღებას არ აქცევს, ძველი აღარ უნდათ, სხვა მშველელი კი ჰორიზონტზე, სამწუხაროდ, არავინ ჩანს.

**— ივანიშვილმა გვითხრა, რომ „ნაციონალების“ გამოხდომებს იუმორით შეხედეთო...**

— მთავრობას ამომრჩეველი დაავიწყდა, აღარც ბიძინას უნდა მათი მოსმენა, უკვე თითის ქნევა დაიწყო, მაგრამ ხალხი და განსაკუთრებით სამეგრელო, მათ აიძულებს, რომ მოუსმინონ. **დიდი ფულის შოვნა არ ნიშნავს ერის სათავეში იდგე და ბრძანებები გასცე, თან თუ სააკაშვილი შენი მოყვანილი და დაფინანსებული იყო და ახლა ურეიტინგო პარტიებს აღზევებ. მეგრელებს ფულით ვერავინ გააკვირვებს...**

არ მინდა გავაზვიადო, მაგრამ ხალხთან ურთიერთობისა და მათი აზრის საფუძველზე ვაცხადებ, თუ ხელისუფლება გონს არ მოეგო, უკმაყოფილების ტალღას ვერ შეაჩერებენ. შესაძლებელია, ყოფილი პრემიერისთვის სასაცილო იყოს ის ყველაფერი, რაც სამეგრელოში ხდება, მაგრამ მისი სიტყვებიც და სხვა ბევრი რამეც ილექება და, თუ მეგრელები გაბრაზდნენ, არა მგონია, ბიძინას სიცილის თავი ექნეს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

# რომელი მაღალჩინოსანი აპირებს «ქართული ოცნების» ხმაურით დატოვებას?

**„ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს, რათა ცივი ნიავი არ მიაკაროს იმ ადამიანებს, რომლებსაც ცოტა ხნის წინ თავად უწოდებდა მწამებლებს, მკვლელებს, ქურდებს, მოძალადეებს... მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებში შეიძლება კიდევ ერთი კურიოზი მოხდეს: „ქართულმა ოცნებამ“ გააყალბოს არჩევნები ოპონენტის სასარგებლოდ... მსგავსი გარიგებებითა და ხალხის მოტყუებით „ქართული ოცნების“ ზოგიერთი ხელმძღვანელი და მათთან დაახლოებული ის პირებიც კი არიან გაკვირვებულნი, რომელთაც სააკაშვილის ხელისუფლებისგან ჩამოსაშორებლად „ნაციონალებთან“ ბრძოლისას ათასნაირი დევნა, შევიწროება და რეპრესია გადაიტანეს, შედეგად კი „ოცნებით“ გაძლიერებული „ნაციონალების“ მმართველობა მიიღეს. „საქართველო და მსოფლიოს“ „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი გიორგი ბერეჟიანი დაუკავშირდა, რომელიც ამხელს „ქართული ოცნების“ ერთ ფრთასა და „ნაცებს“ შორის არსებულ გარიგებას.**



— ერთი თვის წინ შემთხვევით შევხვდი ჩემს მეგობარს, „ქართული ოცნების“ ბობოლა წევრს (სამწუხაროდ, მის სახელსა და გვარს ამ ეტაპზე ვერ დავასახელებ, ხვდებით ალბათ რატომაც). ჰოდა, ვუთხარი ჩემს „მეოცნებე“ მეგობარს, რატომ გვთვლის ცხვრებად „ოცნება“ „ნაცების“ მსგავსად-მეთქი. ვუთხარი ასევე, რომ **მე ვიყავი დამკვირვებელი საპრეზიდენტო არჩევნებზე და სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ არჩევნებზე მუშაობდა ავადსახსენებელი სომხური კარუსელი. „ოცნებამ“ „ნაცმოძრაობას“ მისცა უფლება, ხმების 20% მიეთვისებინა.** ჩნდება კითხვა, საიდან ის 22% ბაქრაძის მხარდამჭერებისა, რომელიც იმ უბანზე დაფიქსირდა, სადაც მე ვაკვირდებოდი? ის, რომ ყალბი პირადობები მთელ საქართველოში დარიგდა, საყოველთაოდ ცნობილია.

**— თქვენ დააფიქსირეთ თქვენს უბანზე კარუსელში მონაწილე ამომრჩეველი?**

— დიახ, ორ ამომრჩეველს აღმოვუჩინე ფრჩხილის ქვეშ მარკირების სითხე. ეტყობა, კარგად ვერ დაიბანეს ხელი. აღმოჩნდა, რომ „ნაციონალების“ მიერ მიღებული კანონით, ყალბი პირადობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს ყველგან, გარდა საარჩევნო უბნისა, ანუ არანაირ რისკთან არ არის დაკავშირებული კარუსელში მონაწილეობა. მეტიც, არამარტო იმაზეა ლაპარაკი, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობა არ მოჰყვება, არამედ გაუგებარია, რა ბედი ეწევა იმ ხმას, რომელიც მიცემულ იქნა ყალბი პირადობის მოწმობით. **არჩევნებზე შეგიძლიათ გამოიყენოთ ყალბი პირადობის მოწმობა, ხოლო თუ იმავე მოწმობით წახვედით და ბანკიდან 500 ლარი ისესხეთ, ამას შეიძლება ხანგრძლივი პატიმრობა მოჰყვეს, ანუ დღეს დაკანონებული გვაქვს არჩევნების გაყალბებაც და კარუსელიც.**

სიები გაბერილია. 25-30% უპრობლემოდ შეიძლება გაყალბდეს, თანაც ისე, რომ კანონით ამ სიყალბის დამტკიცება შეუძლებელია და რომც დაამტკიცო, მაინც არაფერი მოჰყვება ამ დამტკიცებას, არავინ გამოასწორებს ამ გაყალბების შედეგებს, მით უმეტეს ახალ არჩევნებს არავინ დანიშნავს.

უკვე დავრწმუნდი, რომ თამაშია, რაც პარლამენტში ხდება. „ოცნებისა“ და „ნაციონალების“ ინტერესები ბოლომდე თანხვედრილია, ორივემ იცის, რომ ნორმალური საარჩევნო გარემო მათ მანდატებს დააკარგვინებს. „ოცნება“ გარანტიაა „ნაცებისთვის“ არჩევნებში საჭირო ხმების მოსაგროვებლად, „ნაცუმცირესობა“ კი „ოცნებას“ რეიტინგს უნარჩუნებს. „ოცნება“ გვაშინებს, თუ ჩვენ არ მოგვცემთ ხმას, დაბრუნდებიან „ნაცები“, როგორც მეორე და ყველაზე რეიტინგული ძალა პოლიტიკურ სივრცეშიო, თან **თავი ისე უჭირავს „ოცნებას“, თითქოს „ნაცები“ უშლიან ხელს იმ დაპირებების შესრულებაში, რომლებიც წინასაარჩევნოდ მისცეს ხალხს. „ნაცებსაც“ მოსწონთ ამ როლის თამაში. ეს ერთადერთია, რაც საშუალებას აძლევთ, იტივტივონ. სად თავდებიან „ნაცები“ და სად იწყება „ოცნება“, უკვე ძნელი გასარკვევია.** ჩემს „მეოცნებე“ მეგობარს ვუთხარი ეს ყველაფერი. იგი, როგორც ნამუსიანი ადამიანი, თავდახრილი იდგა. ბოლომდე მივაწექი: რა გჭირთ, რას გიშვებათ ეს სკამები, დაგავიწყდათ ორი წლის წინ რისთვის ვიბრძოდით-მეთქი?

ნუ ფიქრობ, რომ ბრმა ვარ, ვერაფერს ვხედავ და არ განვიცდიო, — მიპასუხა. ღარიბაშვილს პირდაპირ გამოვუცხადე, რომ უნდა დაიშალოს კოალიცია, „ოცნება“ უნდა გამოეყოს იმ პარტიებს, რომელთა რეიტინგი, რეალურად, არ აძლევთ მათ უფლებას, დეპუტატების მანდატები ეჭიროთ ხელში და წურბელებივით იჯდნენ ხალხის კისერზეო. ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები, რომელშიც ჩვენ დამოუკიდებლად მივიღებთ მონაწილეობას. ბუნებრივია, სამართლიანი საარჩევნო გარემოა საჭირო, დაზუსტებული სიებითა და დაკანონებული კარუსელის გარეშეო. თუ ეს არ მოხდება, მეც დავტოვებ პარტიასო, ასე მითხრა. ირაკლი ღარიბაშვილს უთქვამს, ორი თვე მაცალე, ამ პრობლემების მოგვარებაზე მეც ინტენსიურად ვმუშაობო. ვაცლი, მაგრამ, თუ დავინახე, რომ არაფერი იცვლება, წამოვალ და შენთან ერთად ვიბრძოლებ იმ მარაზმის წინააღმდეგ, რომელსაც კოალიციის დღევანდელი ქმედებები ჰქვიაო, — მითხრა მან. თურმე ძალიან საინტერესო მოსაზრებებს სთავაზობენ კოალიციის ბოსები.

შეკითხვაზე, თუ რატომ არ სწორდება საარჩევნო გარემო, პირად საუბარში ასე პასუხობენ – ინტერესების თანხვედრაა „ნაციონალებს“, რესპუბლიკელებსა და სხვა დაბალრეიტინგიან პარტიებს შორისო. „ნაციონალების“ მსგავსად დაბალი რეიტინგი აქვთ რესპუბლიკელებს – 2-დან 3 პროცენტამდე. მოკლედ, რესპუბლიკელები „ნაცებთან“ არიან შეხმატკბილებულნი და სასტიკი წინააღმდეგნი არიან საარჩევნო კანონში რაიმეს შეცვლის, ვიდეოთვალის დაყენების და ა.შ.

იმის წარმოდგენაც კი ზარავს, თუ როგორ დასხდებიან მაჭავარიანი, გოგორიშვილი და სხვა გაყალბების სპეციალისტები ადგილობრივ არჩევნებზე რესპუბლიკელებთან ერთად და გადაუწყვეტენ უკვე მერამდენედ ქართველ ერს მის მაგივრად არჩევანს ისევე, როგორც საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში ქნეს, პირველზე გაიყვანენ „ოცნების“ კანდიდატს და მეორეზე — „ნაცებისას“.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

**„ვინც რეალურად მართავს ქვეყანას, არანაირი იურიდიული პასუხისმგებლობა არ ეკისრება, ნარიყალას სასახლეშია შემალული და ქვიშაში აქვს თავი ჩარგული სირაქლემასავით. ის არის ქვეყნის დირექტორი, დირექტორი და არა — დიქტატორი, რადგან დიქტატორობისთვის შესაბამისი ჭკუა, გამოცდილება და კიდევ რაღაცებია საჭირო, რაც ივანიშვილს არ აქვს.“**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# შალვა ნათელაშვილი: უწმინდესმა მითხრა, ვეძახი ბიძინას და არ მოდის ჩემთან, გაბუტულია ჩემზეო

**„საქართველო და მსოფლიოსთან“ ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციას განიხილავს.**

**— ბატონო შალვა, „მოქალაქის“ პრეზენტაციაზე ივანიშვილმა ჰარი პოტერს შეგადარათ და „ნაციონალების“ საკუთრებად მოგიხსენიათ...**

— როცა მის ასეთ განცხადებებს ვისმენ, მიჩნდება კითხვა: მე ვაძლევდი მილიარდებს მიშას, მე მოვაწყვე ფერადი რევოლუცია, მე ვაფინანსებდი მერაბიშვილს და მის სპეცრაზმელებს და მე გავაპარე მიშა საზღვარგარეთ?..

7 ნოემბერს, როცა ოფისში შემომიცვივდნენ, დაჭერას მიპირებდნენ, დაიწყეს ჩხრეკა და დამინგრიეს სახლი, ივანიშვილს დაურეკია მერაბიშვილისთვის და უკითხავს, შალვა რატომ არ დაიჭირეო? მას კი უთქვამს, — ეგ კიდევ ჯობია სხვებს და თავი დავანებეთო. თან იმდენად ბრიყვია, ამას თვითონ ამბობს ივანიშვილი. არადა, მიჭერდნენ კი არა, მკლავდნენ. **ჩემი ლიკვიდაციის გეგმის უზრუნველყოფა ნინო ბურჯანაძეს ჰქონდა დავალებული. ის მივიდა პატრიარქთან და უთხრა, რომ მე გავიქეცი რუსეთში, ოჯახთან ერთად, ცხინვალის გავლით. ამ გეგმის შემდეგი ნაწილი იყო, რომ თითქოს დამედევნენ, მერე ვიღაცამ ცეცხლი გახსნა და შემთხვევით მოხდა ჩემი ლიკვიდაცია.**

რაც შეეხება ჰარი პოტერს, როდესაც ცხონებულმა ბადრი პატარკაციშვილმა 100 ათასი დოლარი გადმოგვირიცხა, გვინდოდა, იმ თანხით რეგიონებში ბავშვებსაც დავხმარებოდით ინგლისური ენის სწავლაში და ჰარი პოტერის ავტორის, ჯოან როულინგის, ლიტერატურის შეძენას ვაპირებდით. ამაზე ველაპარაკებოდი ბადრის წარმომადგენელს და აქედან დაიწყეს — ჰარი პოტერი და ჰარი პოტერი... როგორც ჩანს, ეს ფარული ჩანაწერი ახლა ბიძინას აქვს, უსმენს და ტკბება, მაგრამ ამის მოსმენას, ურჩევნია, ხალხს მოუსმინოს!

**საქართველოს ფინანსური მეფე 90-იანი წლებიდან ივანიშვილი იყო, როცა გამსახურდიას დამხობის საქმე დაასრულა, მხედრიონისა და გვარდიის დაფინანსება დაიწყო... ივანიშვილმა 6 მილიონი შეუგზავნა ნინო ბურჯანაძეს „ვარდების რევოლუციის“ დროს, როცა პარლამენტში შეიჭრნენ, კარგად ვიცნობ იმ ადამიანს, რომლის ხელითაც ფული შეუგზავნა, მაგრამ არ მინდა ახლა მისი დასახელება...**

რეპრესიული ნიჭით არც ივანიშვილი ჩამორჩება სააკაშვილს. უმიზეზოდ ვყავარ ამოჩემებული და მერწმუნეთ, მას რომ კონკრეტული საფუძველი მიეცეს ვინმეს წინააღმდეგ, უკან არაფერზე დაიხევს. **ისიც გავითვალისწინოთ, რომ ივანიშვილი აძლევდა პრემიებს მერაბიშვილის ხუთასკაციან სპეცრაზმს ქართველი ხალხის ყოველი დარბევის შემდეგ „ქართუ ბანკიდან“; „ქართუ ბანკის“ სახელფასო რეზიდენტი იყო ვანო მერაბიშვილიც, ვიდრე ბიძინა პოლიტიკაში მოვიდოდა. ეს ფაქტები დადასტურებულია და სადავო არაფერია ამაში.**

პიროვნულად ძალიან ვძულდი შევარდნაძეს და ასევე ვძულვარ ივანიშვილს, ჩემსა და მიშას შორის კი უფრო პოლიტიკური მტრობა იყო, ვიდრე პიროვნული.

**— როგორც ვიცი, ერთ დროს მეზობლები იყავით, აქედან ხომ არ მოდის თქვენსა და ბიძინა ივანიშვილს შორის პიროვნული დაპირისპირება?**

— მეზობლები ვიყავით, მაგრამ მე მას არ ვიცნობდი, ბირჟაზე ეგ არ გამოდიოდა და სამეზობლოში. მის ბიძაშვილებს კი ვიცნობდი, კარგი ბიჭები არიან. სამეზობლოში ამბობდნენ, რომ ეს კაცი ფსიქოლოგიით იყო გატაცებული, პირადი ფსიქოლოგი ჰყავდა და სეანსებს იტარებდა, გარდა ამისა, მოსკოვიდან ფრანგული „დუხები“ ჩამოჰქონდა გასაყიდად. როგორც ჩანს, ამ სუნამოებს მეზობლებს აძლევდა ხოლმე გასაყიდად და სანაცვლოდ ფულს ჰპირდებოდა. ერთი მეზობელი გვყავდა, ჟორა ჩხეტია. ერთხელაც მისი მეუღლე მოვიდა და მთხოვა, პროკურატურაში მუშაობ და იქნებ დამეხმარო, ბიძინას „დუხები“ გავუყიდე და ახლა დაპირებულ 50 მანეთს აღარ მაძლევსო... ვუთხარი, უხერხულია ჩემთვის ამ საქმეში ჩარევა-მეთქი და ქალბატონი უარით გავისტუმრე. ეს იყო და ეს, ჩემი და ივანიშვილის მეზობლობა ამით შემოიფარგლა. ეს „დუხების“ ამბავი თუ ახსოვს ძაღლის ნაკბენივით, არ ვიცი!

**— ბატონო შალვა, როგორ ფიქრობთ, რა სახის მმართველობა მივიღეთ? სააკაშვილის ტოტალიტარიზმიდან რა ტიპის მმართველობაში აღმოვჩნდით?**

— წმინდა წყლის ოლიგარქატია, წმინდა წყლის ფულის მმართველობა მივიღეთ, სადაც არ არსებობს კონკრეტული პასუხისმგებელი პირი. **ვინც რეალურად მართავს ქვეყანას, არანაირი იურიდიული პასუხისმგებლობა არ ეკისრება, ნარიყალას სასახლეშია შემალული და ქვიშაში აქვს თავი ჩარგული სირაქლემასავით. ის არის ქვეყნის დირექტორი, დირექტორი და არა — დიქტატორი, რადგან დიქტატორობისთვის შესაბამისი ჭკუა, გამოცდილება და კიდევ რაღაცებია საჭირო, რაც ივანიშვილს არ აქვს.** „დირექტორობა“ მან ღირსებითა და დამსახურებით კი არა, შიშველი დოლარებითა და ხალხის მოტყუებით მოიპოვა. მის მიერ პირველ, მეორე და მესამე პირებად დანიშნული მარიონეტები კი პოლიტიკური და იურიდიული პასუხისმგებლობით, არიან სამნეო ნაწილის გამგეები, რომელთაც ივანიშვილის ბიზნესისა და ინტერესების დაცვა ევალებათ და საკუთარი სახე არ გააჩნიათ. არ მინდა, ვინმეს პიროვნული შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ **მათ შემხედვარეს ფრანგული კომედია „სათამაშო“ მახსენდება, როცა ერთ-ერთ პერსონაჟს შეფი შარვლის ჩახდას უბრძანებს და ისიც შარვლის ჩახდას იწყებს, შეფი კი აჩერებს და ეკითხება: ახლა მე უფრო დიდი ნაძირალა ვარ თუ შენო? — ამ სიტუაციაში ვართ.**

**— ბატონი ბიძინა ხშირად ამბობს, რომ გაცილებით მეტიც გააკეთა, ვიდრე დაგვპირდა, როცა შეუსრულებელ დაპირებებს ახსენებენ...**

— ალბათ, იმას გულისხმობს, რომ სააკაშვილი მოგვაცილა, მაგრამ, სააკაშვილმა მაინც ბოლომდე ამოწურა თავისი ვადა და არც იმის საშიშროება იყო, რომ პრემიერად დარჩენილიყო, რადგან ამერიკა არ აძლევდა ამის ნებას. სააკაშვილის მოცილება სისტემის შეცვლას დამნაშავეთა დასჯას ნიშნავდა და არა — მიშას მშვიდობიან გაპარებას საზღვარგარეთ და მისი კარის მსახურების ივანიშვილთან გადმობარგებას. **რა მნიშვნელობა აქვს, სააკაშვილის მთავრობა იყიდდა 23 მილიონის ჯიპებს თუ ივანიშვილის? „ნაცები“ მოიპარავდნენ 21 მილიონს ბიუჯეტიდან თუ „ოცნება“ — 18 მილიონს?**

**ერთი დაასაქმებდა ათ ნათესავს თუ მეორე თხუთმეტს? ყოველდღიურად ერთმანეთის პირისპირ ტელეეთერში ზის ეს ორი ერთმანეთის ანალოგი, ხელისუფლებად და ოპოზიციად წოდებული პარტია, ერთმანეთს ადანაშაულებს და ცდილობს, ორპოლუსიანი სისტემა შექმნას ქვეყანაში, რომ ხალხმა იფიქროს, თუ არა „ოცნება“, მაშ, ვინ? — „ნაცები!“ და თუ არა „ნაცები“, მაშ, ვინ? — „ოცნება“ და გააკეთოს არჩევანი ცუდსა და უარესს შორის.**

მეორდება იგივე სცენარი, რომელიც გვქონდა შევარდნაძის დროს – თუ არა „მოქალაქეთა კავშირი“, მაშ, ვინ? — ასლანი და მისი „აღორძინება“!

თურმე ამისთვის დრუნჩი უნდა ავულოკოთ ივანიშვილს, როგორც მადლიერმა ერმა, მაგრამ უმადურები ვართ, რადგან ვერ დავაფასეთ მისი „სიდიადე“.

**— ვერავინ უარყოფს, რომ ივანიშვილი დიდი ქველმოქმედი იყო, ვიდრე პოლიტიკაში მოვიდოდა, თქვენ კი თავიდანვე სკეპტიკურად იყავით მის მიმართ განწყობილი.**

— **იძულებით აკეთებდა ყველაფერს.** ხომ დარწმუნდით? ის, ფაქტობრივად, ტყვე იყო ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი — სააკაშვილის. პოლიტიკაში მოსვლაც იმიტომ გადაწყვიტა, რომ ბევრს „აწერდნენ“ და ამით არა მარტო ჩამოიშორა ისინი, ის მილიარდებიც ამოიღო, რომლებიც ქველმოქმედებაზე დახარჯა. **პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ თუნდაც ერთი პატარა სვეტი მაჩვენეთ მისი გაკეთებული! მას შემდეგ, რაც სახელმწიფო იყიდა და გამომძალველებიც ჩამოიშორა, ქველმოქმედების სურვილი დაკარგა.** ჩვენ კი თურმე იუმორით უნდა შევხედოთ, როგორ ვიღუპებით, როგორ გაირღვა ბიუჯეტი მილიარდით, როგორ გახდა 12-ლარიანი ხორცი 17 ლარი, როგორ დაუკარგეს კურსი ლარს, რომ პროდუქცია გაძვირებულიყო, ცოტა ხანში კი ლარს თავის კურსს დაუბრუნებენ, მაგრამ პროდუქცია აღარ გაიაფდება და მილიარდიანი გარღვევაც ბიუჯეტში ამ გზით შეივსება. ეს ფინანსური მაქინაციაა, რომელსაც ივანიშვილს ვერავინ ასწავლის. იუმორითა და გაგებით უნდა მოვეკიდოთ „ნაცმოძრაობასა“ და სააკაშვილს, რომელმაც ისეთივე ხელშეუხებლობის გარანტია მიიღო ამ მთავრობისგან, როგორც შევარდნაძემ — მისგან, ისე გააპარა ქვეყნიდან ივანიშვილმა, დაკითხვაზეც არ დაიბარეს, ამდენი უბედურება რომ დაგვმართე, ქვეყანა რომ დააპატარავე და დააქუცმაცე, რომ გადაგვიარე, დაგვხოცე და დაგვარბიე, რის საფუძველზე მიიღე ეს გადაწყვეტილებებიო, ხომ უნდა ეკითხა მაინც ვინმეს? მესამე, მეოთხე და მეხუთე პირების დაპატიმრებით კი გულისგადასაყოლებელი სპექტაკლები გაგვიმართეს; ვერაფერი დაუმტკიცეს და ვერც დაუმტკიცებენ მათ, რადგან ორგანიზატორი გაუშვეს და მეისრეებზე გადავიდნენ. იურიდიული პროცედურებიდან გამომდინარე, ორგანიზატორის გარეშე დანაშაულის გახსნა ძალიან ძნელია, მაგრამ იმდენად არაპროფესიონალები არიან, მთავარი პროკურორის პოსტზეც კი ვერ შეარჩიეს ადამიანი, რომელიც ნასამართლევი არ იქნებოდა, თან ისეთი დანაშაულისთვის, როგორიც ყაჩაღობაა, თორემ შერლოკ ჰოლმსობას არც არავინ ელოდა მათგან.



# «ჩემი ლიკვიდაციის გეგმის უზრუნველყოფა ნინო ბურჯანაძეს ჰქონდა დავალებული»

**— კი, მაგრამ, ბატონო შალვა, ის მილიარდერად არ დაბადებულა, ღარიბი გლეხის ოჯახში იზრდებოდა...**

— ამიტომაც სძულს ორგანულად თავისი წარსული, სძულს ღარიბები, სიღატაკის სიძულვილითა და შეუბრალებლობით სურს, დავოსის ფორმატში აიმაღლოს საკუთარი იმიჯი და თქვას, რომ მაგარი ნეოლიბერალია. ნეოლიბერალი და მხეცი კი ერთი და იგივეა. ნეოლიბერალიზმი ნიშნავს სამასი ოჯახის ბატონობას კაცობრიობაზე, 300-ოდე ოჯახი ფლობს იმ ქონებას დედამიწაზე, რაც 7 მილიარდ ადამიანს სჭირდება. ნეოლიბერალიზმის პროდუქტია პირდაპირი შეტევა ოჯახებზე, როგორც საზოგადოების მთავარ უჯრედზე, რაც ახლა ჰომოსექსუალიზმის დაკანონებით ხორციელდება მსოფლიოში, მიდის სერიოზული ბრძოლა — ვისი იქნება დედამიწა: ამ სამასი ოჯახის თუ თითოეული ჩვენგანის? ივანიშვილი მათი ოჯახის წარმომადგენელია. ნეოლიბერალიზმი გმობს ტრადიციებს და არ სცნობს ღმერთს, ებრძვის ავტორიტეტებს. **ნეოლიბერალმა ვაჭარმა რასელმა დააფუძნა იეღოვას სექტა, რათა თავად მოვლენოდა ღმერთად კაცობრიობას და ამით უკვდავეყო თავისი სახელი. ივანიშვილიც ვერ იტანს, ვისაც ავტორიტეტი აქვს, კონკურენტად თვლის პატრიარქს, რადგან უწმინდესის ავტორიტეტის ფონზე ივანიშვილი მეორე კაცად ითვლება და ამ მეორე კაცობას ძალიან ვერ იტანს. მე და თქვენი კოლეგები კი „მიგვჯირყვნა“, მაგრამ პატრიარქის ჩაყენება საკონტროლებელთა სიაში როგორ უნდა იკადრო?!**

ვგრძნობდი, რომ ეს კაცი საბედისწერო როლს ითამაშებდა საქართველოს ისტორიაში და ჯერ კიდევ 2004 წელს მივედი უწმინდესთან და ვთხოვე ბიძინასთან შუამდგომლობა, რომ იქნებ მიშას გაძლიერება შეეწყვიტა. უწმინდესმა მითხრა, ორი წელია, ვეძახი ბიძინას და არ მოდის ჩემთან, გაბუტულია ჩემზეო. როგორც გავიგე, სამების მშენებლობისთვის განკუთვნილი ოქრო დაკარგულა და ამის გამო გაბუტვია პატრიარქს...

ესაუბრა
**ნონა ქარქაშაძე**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თითქოს თამაშს არავინ გაძალებს, მაგრამ ეს — ერთი შეხედვით. სინამდვილეში კი თამაშს გვაძალებენ და ყველამ იცის, რა შედეგით დასრულდება. კარტი, ზარი... — ყველაფერს თამაშობენ. მერე მობილურს მოგცემენ და ახლობელს ურეკავ, სადაც გინდა და როგორც გინდა, 3 ათასი მიშოვეო. ადმინისტრაციამ იცის, ძალიან კარგად იცის, რაც ხდება, მაგრამ არაფერს აკეთებს.“

## შს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის საყურადღებოდ!




## «საქართველო და მსოფლიოში» გამოქვეყნებული ინტერვიუს გამო ნაცრეჟიმის მსხვერპლ ქალბატონს შინ სააკაშვილის დაცვის წევრი მიუვარდა

**გაზეთ „საქართველო და და მსოფლიოში“ (№4. 5-11 თებერვალი, 2014 წ.) გამოქვეყნდა საკაშვილის რეჟიმის მსხვერპლის, ბიზნესვუმენ ელენე ჩიტუაშვილის ინტერვიუ, რომელშიც ქალბატონი ელენე საუბრობდა იმაზე, თუ როგორ წაართვა გორის ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი ქარხანა ვანო მერაბიშვილის მფარველობის ქვეშ მყოფმა ივანე გოგლიძემ და როგორ აქცია მან ბრენდ „კულად“ ელენეს მიერ ფეხზე დაყენებული საწარმო. ამ ინტერვიუს გამოქვეყნებიდან მეორე დღეს ქალბატონ ელენე ჩიტუაშვილს შინ 3 უცხო პირი მიადგა.**

— 6 თებერვალს, საღამოს საათებში, ჩემთან 3 თუ 4 სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი მამაკაცი მოსულა (მე პირველ სართულზე, ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ), იმხანად შინ არ ვიმყოფებოდი და ერთ-ერთ მამაკაცს მეზობლისთვის უკითხავს, ამ ეზოში ბინა ხომ არ ქირავდებაო? მეზობლის ქალს უთქვამს, ჩემ ქვემოთ ბინა გაქირავებულიაო. შემდეგ უცნობ მამაკაცს უკითხავს, ამ ბინაში ხომ ელენე ცხოვრობს, ჩემი ახლობელია და მაინტერესებს, რომელი კარით სარგებლობსო? ჩემ ბინას ორი მხრიდან აქვს შესასვლელი. მოკლედ, დაუწყია ჩემი მეზობლის დაკითხვა, შინ რომელ საათზე ბრუნდებიან ელენე და მისი ოჯახის წევრებიო, განსაკუთრებით ჩემი უფროსი ვაჟით დაინტერესებულან, რადგან ისიც კი სცოდნიათ, რომ ჩემი მეუღლე ერთი კვირის წინ იტალიაში გაემგზავრა. ჩემი ტელეფონის ნომერიც უთხოვიათ მეზობლისთვის და, რადგან არ მისცა, გამოემშიდობა და წავიდა.

ცოტა ხანში მეზობელი ისევ გამოსულა აივანზე და დაუნახავს, რომ პირველ სართულზე, ანუ ჩემი ბინის შესასვლელთან მდგარან და **ჩემი ბინის კარს ტელეფონით სურათებს უღებდნენ. ერთ-ერთს ისიც უთქვამს, მართლა არ არიან შინ და შაბათ-კვირას „დავუსატკავოთო“. თავზე დამდგარი მეზობელი რომ დაუნახავთ, დაბნეულან და მალევე გაცლიან იქაურობას. არ ვიცი, მეზობელი როგორ და რით მიხვდა, მაგრამ დარწუნებით მითხრა, ეს ადამიანები სამართალდამცავები იყვნენო.**

როდესაც შინ დავბრუნდი და მეზობელმა ყველაფერი დეტალურად მიამბო და აღმიწერა ერთ-ერთი მამაკაცი, რომელსაც სპეციფიკური გარეგნობა აქვს, მაშინვე მივხვდი, ვისზეც იყო საუბარი. მოვიძიე ამ პიროვნების ნომერი, დავურეკე და ვკითხე, რა გინდოდა ჩემს სახლთან, რატომ მეძებდი-მეთქი? უარყო, მე არ ვყოფილვარო. შემდეგ ვუთხარი, ჩემს ეზოში კამერა აყენია, ჩანაწერი ვნახე და გიცანი-მეთქი და გამოტყდა — კაი, კაი, მე ვიყავიო. როდესაც ვკითხე „სტუმრობის“ მიზეზი და ის, თუ რატომ უღებდნენ ჩემი ბინის კარსა და ფანჯარას ფოტოებს, მიპასუხა: მე იმ ადამიანებს, უბრალოდ, გამოვყევი, რომ შენი სახლი მესწავლებინა, რაც შეეხება ფოტოებს, არ ვიღებდით, მობილურს შენს ფანჯარაში ვანათებდით, რათა დავრწმუნებულიყავით, რომ შინ ნამდვილად არ იყავიო. ამ პიროვნებას ვუთხარი, ჩემი ნომერი მიეცი მათ, ვინც მეძებს და დამირეკონ-მეთქი, მაგრამ დღემდე არავის დაურეკავს. **არ ვიცი, რა უნდათ — ჩემი შეშინება თუ დაშინება, მაგრამ ფაქტია, რომ რაღაცას ცდილობენ...**

**— ვინ იყო ის პიროვნება, ვინც ამოიცანით?**

— **სააკაშვილის დაცვის ყოფილი წევრი.** ჯერჯერობით მისი ვინაობის გამხელისგან თავს ვიკავებ, რადგან მაინტერესებს, ამჯერად თუ დაინტერესდებიან სამართალდამცველები.

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

# ციხეებში სუბარდაკია



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი საჯაროდ კი ამბობს ხოლმე, მთავრობის მუშაობით კმაყოფილი ვარ და არც ერთ მინისტრთან პრეტენზია არ მაქვსო, მაგრამ ცხადია, რომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ სოზარ სუბარის მუშაობით კმაყოფილი ვერ იქნება. მიზეზი ყველასთვის ნათელია — კვირა არ გავა, რომელიმე დაწესებულებაში რამდენიმე პატიმარმა შიმშილობა არ დაიწყოს. ამასთანავე, ბოლო ხანს მსჯავრდებულები არასათანადო მოპყრობაზეც აპელირებენ. და მაინც, რა ხდება ციხეებში, სადაც არსებული ვითარება ბევრისთვის დღემდე იდუმალებით არის მოცული? ამ სტატიის მომზადებამდე გეგუთის, ქსნის, რუსთავისა და მეექვსე დაწესებულების, ე. წ. კრიტის პატიმრებს ვესაუბრეთ და შევეცადეთ, დაგვეხატა სურათი, რომელიც რეალობასთან ძალიან მიახლოებულია.**

## «გარდა იმისა, რომ აქედან ადმინისტრაცია ამკაცრებს რეჟიმს და იქედან მაყურებლები გვავიწროებენ, ხელისუფლება რეალურად აღარ ზრუნავს ჩვენზე. ამოგვადინეს ყელში, — ამდენი კაცი გავუშვით, მეტი რა გინდათო?!»

გეგუთის ციხის პატიმრებმა უკვე მერამდენედ დაიწყეს მასობრივი შიმშილობა. ამჯერად მიზეზი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შეფის, დიმიტრი დარბაისელის ქმედებაა. მართალია, პატიმრებმა ჩვენთან საუბარში განაცხადეს, დარბაისელი დაწესებულებაში შემოვიდა და ახალაიას პერიოდის დაბრუნებით დაგვემუქრაო, მაგრამ ეს ამბავი ძნელადდასაჯერებელია. სამაგიეროდ, ის არის სარწმუნო, რომ **დარბაისელმა პატიმრებს ქამრების შემოჭერისკენ მოუწოდა და რეჟიმი ყველა დაწესებულებაში გაამკაცრა, რომელსაც უკმაყოფილება მოჰყვა. ყველაზე დიდი ხმაური კი ჯინსების აკრძალვამ გამოიწვია.** ვერ გეტყვით, რა მოსაზრებით, მაგრამ ზონებსა და ციხეებში ჯინსის შეგზავნა ძველი ხელისუფლების დროსაც აკრძალული იყო და პატიმრებს ზამთარ-ზაფხულ ე. წ. სპორტულებით უწევდათ ყოფნა. ხელისუფლების ცვლილების შეედეგ ჯინსები დაუშვეს, ახლა კი ისევ აიკრძალა.

**„მიზეზი მარტივია: ზამთარში ვიყინებით და ჯინსი ყველას გვინდა. ვთხოვთ ადმინისტრაციის თანამშრომლებს, რომ ჯინსის შემოგზავნის უფლება მოგვცენ. ისინი კი სანაცვლოდ თანამშრომლობას, ანუ სხვა პატიმრების „ჩაშვებას“ გვთხოვენ და უკმაყოფილებაც იწყება. ყველაფერი კი კარცერით სრულდება. ზუსტად ასე იქცეოდა წინა ხელისუფლებაც. ვინმემ აგვიხსნას, რა გახდა ეს ჯინსი?! სხვათა შორის, ცემატყეპა ნელ-ნელა, მაგრამ საფუძვლიანად დაიწყეს. თუ ვინმე კარცერში შემოელახებათ, სხვა ზონაში მიჰყავთ, ჩვენ რომ არ გავიგოთ პატიმრის გალახვის ამბავი“,** — გვითხრა გეგუთის დაწესებულებაში მყოფმა პატიმარმა.

**კვირის ბოლოს გეგუთში სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ პატიმრებს სპეცრაზმის შეყვანით დაემუქრნენ, თანაც ტელეფონები გაუთიშეს, მაგრამ მათ მაინც მოახერხეს მშობლებთან დაკავშირება და დახმარების თხოვნა.**

ტელეფონების თემა კიდევ ერთი პრობლემაა, რომელსაც საუბარი, უბრალოდ, ვერ აგვარებს.

„ვითომ რა ქნეს, ტელეფონები რომ გაგვითიშეს? ზონაში მობილური ბევრს აქვს და მარტივად დავრეკეთ. **თითო ტელეფონის შემოტანა 2000 ლარი ღირს და ეს ყველამ კარგად იცის. ამ თანხას დაწესებულების უფროსს ვუხდით. რა, არ იციან, რომ ტელეფონები გვაქვს? არ უყენიათ ამომცნობი აპარატები, რომ აქედან ზარი გადის? ან ზონიდან ზონაში რომ ვლაპარაკობთ მობილურებით, არ იციან?** თავიანთი ჭკუით, მაგრები არიან, ჩვენს საუბრებს უსმენენ, აქაოდა, რამე თუ წამოსცდათ, გავიგებთო. ჯერ ერთი, არაფერი წამოგვცდება და მეორეც, **როგორ უნდა ახსნან ზონაზე ათეულობით მობილურის არსებობა? მაშინ სუბარმა ყველა დაწესებულების შეფი უნდა გაწიროს და თქვას, რომ სისტემამ კრახი განიცადა, ამას კი არ იზამს. დაგვიჯერეთ, რომ სხვაზე ნაკლებად არ ვიცით კანონები“,** — ესეც გეგუთის პატიმრის სიტყვებია.

მობილური ტელეფონების არსებობა ე. წ. ბლატატა (კაი ბიჭები) პატიმრებს აძლევთ ხელს, მაგრამ ტელეფონის აპარატები რიგითი პატიმრებისთვის ნამდვილი სატანჯველია. საქმე ის არის, რომ **სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ე. წ. თამაშები დაიწყო, რის შედეგადაც არაერთი პატიმარი ზარალდება. მართალია, „მაყურებლების“ მოთხოვნით, თანხა 3 ათას ლარს არ აჭარბებს, მაგრამ როგორი გადასახდელია თუნდაც ეს 3 ათასი ლარი, თავად განსაჯეთ.**

„თითქოს თამაშს არავინ გაძალებს, მაგრამ ეს — ერთი შეხედვით. სინამდვილეში კი თამაშს გვაძალებენ და ყველამ იცის, რა შედეგით დასრულდება. კარტი, ზარი... — ყველაფერს თამაშობენ. მერე მობილურს მოგცემენ და ახლობელს ურეკავ, — სადაც გინდა და როგორც გინდა, 3 ათასი მიშოვეო. ადმინისტრაციამ იცის, ძალიან კარგად იცის, რაც ხდება, მაგრამ არაფერს აკეთებს“, — გვითხრა რუსთავის მე-17 დაწესებულების ერთ-ერთმა მსჯავრდებულმა.

სხვათა შორის, ახლა აღარავინ ახსენებს, რატომ დაიხურა რეალურად რუსთავის მე-16 დაწესებულება. ადმინისტრაცია იმდენად ვეღარ აკონტროლებდა სიტუაციას, რომ მთლიანი ზონის დაშლა და პატიმრების გადანაწილება გადაწყვიტა. ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ზონის დაშლის შემდეგ, სამართალდამცავებმა სპეციალური საძებნი საშუალებებით ორი ტომარა მობილური ტელეფონები გაიტანეს.

**„გარდა იმისა, რომ აქედან ადმინისტრაცია ამკაცრებს რეჟიმს და იქედან მაყურებლები გვავიწროებენ, ხელისუფლება რეალურად აღარ ზრუნავს ჩემზე. ამოგვადინეს ყელში, — ამდენი კაცი გავუშვით, მეტი რა გინდათო?! სხვა თუ გავიდა, ამით მე რამე მეშველა? ეკა ბესელია შეგვპირდა, თითოეულის საქმეს განვიხილავთ და ამისთვის ორ კვირაში სპეციალური კომისია შეიქმნებაო. ორი კი არა, რვა კვირა გავიდა და არავის მოუკითხავს. ახლა ბესელია კიდევ ორ კვირას ითხოვს. არჩევნებამდე უნდათ მშვიდად მისვლა, მერე კი, სულ ცოტა, ორი წლით დაგვივიწყებენ.**

გაჩუმებას აღარ ვაპირებთ, სულერთია, სპეცრაზმი შემოვა თუ არა, ადმინისტრაცია და მაყურებლები სპეცრაზმზე უარეს დღეში გვაგდებენ. გარეთ ჩვენი ახლობლები ყოველდღიურად ფულის საშოვნელად დარბიან და, თუ ვერ იშოვიან, თავის მოკვლა სჯობს“, — ესეც გეგუთიდან გვითხრეს.

მოკლედ, დღეს რეალობა ასეთია: **ხელისუფლება პატიმართა მიმართ ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდა. თუ მანამდე ციხეში მოხვედრილ ადამიანს ადმინისტრაცია სასტიკად უსწორდებოდა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მსჯავრდებულებმა არნახული თავისუფლება იგრძნეს.** მთავრობა მიხვდა, რომ ასე არ შეიძლებოდა და მოშვებული რეჟიმის მოჭერა გადაწყვიტა, თუმცა პატიმრებმა დათმობა არ ისურვეს. ამიტომ კარგად აპრობირებულ მეთოდს მიმართეს და საქმეში „მაყურებლები“ ჩართეს. მათ კი, თავის მხრივ, სრული ავტონომია მოითხოვეს და მიიღეს კიდეც. შედეგად, დღეს რიგითი პატიმარი ყველა მხრიდან იჩაგრება და საშველიც არსაიდან ჩანს. ისიც გვითხრეს, თუ სიტუაცია მალე არ შეიცვალა, სასჯელაღსრულების სისტემაში არნახულ და გაუგონარ პროტესტს ელოდეთო.

**დავით მინდიაშვილი**

**P.S.** **საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 10 თებერვალს ქუთაისის ინტერვენციული მედიცინის ცენტრში ხელ-ფეხდასერილი 3 პატიმარი გადაიყვანეს, სხვა პატიმრები კი ქალაქის სხვადასხვა საავადმყოფოშია მათავსეს. შეგახსენებთ, რომ გეგუთის კოლონიაში 800-მდე პატიმარი, უკვე რამდენიმე დღეა, შიმშილობს.**

„ბიძინა ივანიშვილი არ მოითხოვს საზოგადოებისგან მისი აზრის ბრმად გაზიარებას. ეკლესიას დიდი დამსახურება აქვს ქვეყნის გადარჩენის საქმეში. ეკლესიამ საუკუნეების მანძილზე უამრავი გაჭირვება გამოიარა და ქვეყანას ერთიანობის განცდა შეუნარჩუნა. ეს ივანიშვილსაც და ყველას, ვინც გონივრულად აფასებს მოვლენებს, თუნდაც ათეისტი იყოს, კარგად ახსოვს.“

ქრონიკა-ჩეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საავადმყოფოებში პედერასტების სისხლს გაუფრთხილებლად გადაგისხამენ

**2000 წელს მიღებული კანონის თანახმად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქართველოს მოქალაქეებს გარკვეულ შემთხვევებში სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობას უკრძალავდა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებების „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენების განსაზღვრის შესახებ“ და „სისხლის გადასხმის დაწესებულებების ფუნქციონირებისთვის სავალდებულო ნორმატივების დამტკიცების შესახებ“ თანახმად, აკრძალვის ერთ-ერთი წინაპირობა იყო ჰომოსექსუალიზმი, ანუ ლგბტ პირებს სისხლის დონორობის უფლება არ ჰქონდათ...**



## მესაჯდომეებს დონორობის უფლება დაუკანონდათ

**2012 წლის 10 ივლისს ორგანიზაცია „იდენტობამ“ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა და ამ კანონის გაუქმება მოითხოვა, — აქაოდა, ჩვენი უფლებები ირღვევა და გვიშველეთო. საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი თითქმის ორი წელი „აწვალა“ და... დააკმაყოფილა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან ლგბტ პირებს დონორობის უფლება ექნებათ...**

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ „იდენტობის“ წარმომადგენლებში, მათ მხარდამჭერებსა და, საზოგადოდ, ლგბტ ადამიანებში დიდი სიხარული და ჟრიამული გამოიწვია. ვერ გეტყვით, პომპეზურად აღნიშნეს თუ არა მათ ეს გამარჯვება, მაგრამ ფაქტია, რომ ამ გადაწყვეტილებით უკვე ჩვენი, რიგითი ადამიანების, უფლებები ირღვევა და ახლავე აგიხსნით რატომ.

ძალიან დიდი ალბათობით, ლგბტ ადამიანები სისხლის ჩაბარების საჩვენებელ აქციას გამართავენ, სისხლს გაიღებენ და სისხლის ბანკი მათ სისხლსაც, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ისე მიიღებს, როგორც ნორმალური ადამიანებისას. შემდეგ, შესაძლოა, ჩემი, თქვენი, ნებისმიერის შვილი, დედა, მამა, ოჯახის ნებისმიერი წევრი მოხვდეს საავადმყოფოში და სისხლი დასჭირდეს. აქ ჩნდება კითხვა — **თუ ლგბტ პირებს აქვთ სისხლის ჩაბარების უფლება, ჩვენ, დანარჩენებს, გვაქვს თუ არა უფლება, ვიცოდეთ, ვის სისხლს უსხამენ ჩვენი ოჯახის წევრებს ან თუნდაც ჩვენ? უნდა ვიცოდეთ თუ არა, რომ, როცა საავადმყოფოში სისხლის გადასხმა ჩვილს დასჭირდება, მას ლგბტ-ს წარმომადგენელთა სისხლს გადაუსხამენ თუ არა? ხომ უნდა ვიცოდეთ, ჩვენი მომავლის სისხლს შეერევა თუ არა ლესბოსელის, ჰომოსექსუალის, ბისექსუალისა და კიდევ რა ვიცი, ვისი სისხლი? იქნებ არ მაქვს ამის სურვილი? იქნებ ბავშვი რომ გაიზრდება, თვითონ მოითხოვოს პასუხი, რატომ გადავუსხი მას ლგბტ პირების სისხლი?!**

ვერ გეტყვით, რატომ არ ფიქრობდა ამაზე საკონსტიტუციო სასამართლო, მაგრამ, თუ ამ სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილს დავუჯერებთ, ეს კანონი ბევრ კითხვას ბადებდა და ახლა ეს კითხვები აღარ არსებობს. არადა, პირიქით მგონია — კითხვები ახლა უფრო მეტია და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ პასუხს არავინ გვეტყვის. ამ ამბავს ძალიან მარტივად ჩაატარებენ, მაშინ, როცა მარტივად საქმე სრულად არ არის. **არ შეიძლება, ამ ადამიანთა სისხლი დაინომროს, დაეწეროს, მაგალითად, ციფრი 69 და ვიცოდეთ, რომ ეს მათი სისხლია?**

**მერე, ჩვენი გადასაწყვეტი იქნება, გადავისხამ ამ სისხლს თუ განსხვავებულით დავლევ.**

... რატომღაც მგონია, რომ პარლამენტი ამ ამბავს ყურადღებას არ მიაქცევს, ევროპასთან თავი რომ არ შეირცხვინოს. **ჩვენ კი უკვე დღეიდან უნდა ვიცოდეთ, — სისხლის ბანკში არატრადიციული ორიენტაციის ადამიანთა სისხლიც არის!**

**დავით მინდიაშვილი**

## გიორგი ვოლსკი:

# მარგველაშვილის სოჭში არჩასვლასთან ამერიკის ელჩს არაფერი აკავშირებს

**ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან საშინაო და საგარეოპოლიტიკურ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე და „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრი გიორგი ვოლსკი ესაუბრა.**



**— ბატონო გიორგი, საქართველოში მიმდინარე პროცესებზე ევროპისა და ამერიკის გავლენაზე ბევრს საუბრობენ და ხშირ შემთხვევაში ეს ჩარევა ღიად ხდება. მაგალითად, ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ-ის ელჩმა საქართველოს პრეზიდენტს სოჭში ჩასვლის ნებართვა არ მისცა. რა კომენტარს გააკეთებთ ამასთან დაკავშირებით?**

— გიორგი მარგველაშვილის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, არც მე და, ვფიქრობ, არც სხვებს დამატებითი შეკითხვები არ გაგვაჩნია, რადგან მან სავსებით გასაგები განცხადება გააკეთა. **როდესაც რადიკალურად დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს ხვდებიან, ეს მთელ მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა, ამაში გასაკვირი არაფერია და მომავალში, შესაძლოა, საქართველოს პრეზიდენტი პუტინსაც შეხვდეს, თუ ეს ქვეყნისთვის საჭირო იქნება, მაგრამ ჯერჯერობით ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას.**

რაც შეეხება აშშ-ის ზეგავლენას, როცა ამერიკის ელჩს ეკითხებიან ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ის, უბრალოდ, თავის აზრს აფიქსირებს. ასე რომ, მარგველაშვილის სოჭში არჩასვლასთან ამერიკის ელჩს არაფერი აკავშირებს.

**— ბიძინა ივანიშვილი ამჯერად უკვე სამოქალაქო სექტორის რანგში შეხვდა ჟურნალისტებს, თუმცა ის საკმაოდ კრიტიკული იყო ჟურნალისტებისა და საპატრიარქოს მიმართ. როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი, როგორ ფიქრობთ, რამდენად მართებულია ასეთი ტონით ჟურნალისტებთან, ექსპერტებთან, ეკლესიასთან, პატრიარქთან საუბარი?**

— ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილის ბევრი შეფასება უტრირებულია ზოგიერთი მედიასაშუალების, თუნდაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისა და საზოგადოების გარკვეული ჯგუფების მიერ. ბიძინა ივანიშვილს საერთოდ ახასიათებს გულწრფელობა და, როდესაც ადამიანი გულწრფელად საუბრობს, შეიძლება მოვთხოვოთ გარკვეული სტანდარტების დაცვა? ქართული საზოგადოება უნდა შეეჩვიოს, რომ გულწრფელობა უფრო სიკეთის მომტანია ქვეყნისთვის, ვიდრე საუბრის დროს რაღაც ფორმების შერჩევა. თუ ვინმე რაღაცამ გაალიზიანა, ვურჩევ, უფრო ღრმად ჩაიხედოს არა მარტო გადმოცემის ფორმაში, არამედ საუბრის შინაარსში. პოლიტიკური სპეკულაციებისგან უნდა გათავისუფლდეს ყველა, ექსპერტებიც და მედიასაშუალებებიც.

**— ბატონო გიორგი, ერთია გულწრფელობა, მაგრამ მისი ეს განცხადებები ხომ არ აუნთებს „მწვანე შუქს“ და კიდევ უფრო ხომ არ გაათამამებს იმ ადამიანებს, რომლებიც ისედაც არ არიან ეკლესიის მიმართ კეთილგანწყობილნი?**

— არა მგონია. **ბიძინა ივანიშვილი არ მოითხოვს საზოგადოებისგან მისი აზრის ბრმად გაზიარებას. ეკლესიას დიდი დამსახურება აქვს ქვეყნის გადარჩენის საქმეში. ეკლესიამ საუკუნეების მანძილზე უამრავი გაჭირვება გამოიარა და ქვეყანას ერთიანობის განცდა შეუნარჩუნა. ეს ივანიშვილსაც და ყველას, ვინც გონივრულად აფასებს მოვლენებს, თუნდაც ათეისტი იყოს, კარგად ახსოვს.** მე ვიცი ივანიშვილის დამოკიდებულება ეკლესიისადმი. იგი მოწიწებით ეპყრობა ეკლესიას, მაგრამ შეიძლება რაღაც საკითხზე განსხვავებული აზრი ჰქონდეს. თავად ქართული ეკლესიაც იმიტომ არის საზოგადოებაში ესოდენ პოპულარული, რომ ცეცხლით და მახვილით არ ამკვიდრებს თავის სწავლებას და შეიძლება გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით არსებობდეს თუნდაც თამამი შეხედულებები, რომლებიც ეკლესიის დოგმებისგან განსხვავდება. საზოგადოებაში ჩაბუდებული წინააღმდეგობრივი აზრი, რომელსაც გარეთ არ გამოიტან, გაცილებით საშიში და ზიანის მომტანია, ვიდრე ღიად ნათქვამი, თუნდაც ესა თუ ის კრიტიკული განცხადება. „მწვანე შუქის“ ანთებას რაც შეეხება, **არავითარ შემთხვევაში ივანიშვილის ეს აზრი საზოგადოებისთვის არ უნდა გახდეს რაღაც მოწოდება. აბსოლუტურად ცივილიზებულად ითქვა, რომ ადამიანს, შესაძლოა, განსხვავებული აზრი გააჩნდეს. მე კარგად ვიცნობ ბიძინა ივანიშვილს და ეს ის ადამიანია, რომლისთვისაც სავსებით მისაღებია საწინააღმდეგო აზრი.**

## «ივანიშვილის პიროვნული ფაქტორიდან გამომდინარე, საქართველოში ოლიგარქატის შექმნის საშიშროება არ არსებობს»

**— თუმცა მას არ უყვარს, როდესაც აკრიტიკებენ...**

— კრიტიკა არავის უყვარს, მაგრამ მე არ მახსოვს, განსხვავებული, საპირისპირო აზრის გამო, ბიძინა ივანიშვილი ოდესმე ვინმეს დაპირისპირებოდა. პირიქით, განსხვავებულ აზრს ყოველთვის ახალისებდა. ბიძინა ივანიშვილი თუ განსხვავებულ მოსაზრებას ეუბნება რომელიმე ორგანიზაციას ან პიროვნებას, ეს მასთან დაპირისპირებას არ ნიშნავს. როგორი გამოხატვის ფორმა აქვს, მოდი ამაზე ნუ მოვედავებით, რადგან მას ქვეყნისთვის სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია და თუნდაც ეკლესიის გაძლიერების საქმეშიც დიდი წვლილი მიუძღვის.

**— სამოქალაქო სექტორში გადასული ბიძინა ივანიშვილის გავლენაზე კვლავ საუბრობენ. ხომ არ გამართლდება ზოგიერთი პოლიტიკოსის შიში ქვეყანაში ოლიგარქატის შექმნის თაობაზე?**

— იცით, მე შეიძლება ვინმესგან განსხვავებული აზრი მქონდეს, მაგრამ მიმაჩნია, რომ, **თუნდაც ივანიშვილის პიროვნული ფაქტორიდან გამომდინარე, საქართველოში ოლიგარქატის შექმნის საშიშროება არ არსებობს, ვინაიდან საქართველოში ბიძინა ივანიშვილის საქმიანობა მხოლოდ სიკეთის თესვას და აღმშენებლობას უკავშირდება.** ამას გარდა, ქართული საზოგადოება საკმაოდ ძლიერია იმისთვის, რომ, თუ რაიმე პროცესების არასწორ ან მახინჯ განვითარებას შეამჩნევს, დაუპირისპირდეს მას და გაერთიანდეს ამ ყველაფრის წინააღმდეგ.

**ესაუბრა შორენა ციქარაშვილი**

ჩეაქსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ ასე გაგრძელდა, ეს ხელისუფლება სხვა შანსს არ ტოვებს, გარდა იმისა, რომ გაზაფხულიდან უკვე ქუჩაში გამოვიდეს ხალხი. „ქართული ოცნების“ რეიტინგი კატასტროფულად ეცემა და ამის კონკრეტულ შედეგს, ქმედების სახით, ისინი მიიღებენ ძალიან მალე.“**

**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

# ეს არის შეუნიღბავი ზეწოლა პატრიარქზე

**საქართველოს მოქალაქეობის მსურველთათვის მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის კრიტერიუმების გამარტივება, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ლგბტ პროპაგანდის ლობირება და პატრიარქის მიმართ ბოლო დროს გახშირებული შეტევები საზოგადოებას უკიდურესად ძაბავს და აღიზიანებს. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ამომრჩევლებს ეს არ მოსწონთ, პატრიარქისა და ეკლესიის გაკრიტიკების მოწოდება არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ პრეზენტაციაზე ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმაც გააკეთა. მის განცხადებაში სასულიერო პირების, ზოგადად ეკლესიის, მედიისა და ექსპერტების საყოველთაო კრიტიკისა და კონტროლისკენ წამქეზებლური მითითებები პრევალირებდა. „საქართველო და მსოფლიო“ ამ საკითხებზე უფლებადამცველ დიმიტრი ლორთქიფანიძეს დაუკავშირდა.**



**— ბატონო დიმიტრი, კრიტერიუმები გამარტივდა და ამიერიდან საქართველოს მოქალაქეობის მსურველთათვის მხოლოდ ქართული ენის ცოდნაა სავალდებულო. კანონის თანახმად, მათ არ მოეთხოვებათ საქართველოს ისტორიისა და სამართლის ცოდნა. თქვენ ეთანხმებით კრიტერიუმების ამგვარ გამარტივებას?**

— ქვეყნის დერეფნად გადაქცევა, სადაც ყველა მსურველი თავის ნებაზე მიდი-მოდის, კარგს არაფერს მოგვიტანს. ეს დემოგრაფიული სურათის მკვეთრ ცვლას გამოიწვევს. საქართველოს მოქალაქეობის მსურველთა მიმართ კრიტერიუმების ამგავრი გამარტივება ჩემთვის სრულიად გაუგებარია. სააკაშვილი პრეზიდენტობის ბოლო პერიოდში იმგვარად გააქტიურდა, რომ 2013 წლის სექტემბერში თურქეთის 2700 მოქალაქეს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა ისე, რომ მათ აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა საქართველოს ისტორიასა და ქართულ ენაზე. ეს მოტივირებული იყო იმით, რომ თითქოს ეს ადამიანები იყვნენ ეთნიკურად ქართული წარმოშობის. ამის შესახებ კი, საზოგადოებისთვის არასდროს არავის არანაირი დოკუმენტი არ წარუდგენია.

ჩვენ, სამწუხაროდ, ვერშემდგარ სახელმწიფოთა რიგში ვირიცხებით და ჩვენთვის არჩევითი დემოკრატია მხოლოდ აუსრულებელი ოცნებაა. რაც საქართველოში ხდება, ეს არის ლიბერალიზმის ნიღაბს ამოფარებული რეალური ფაშიზმი, ისეთი სისტემის დამყარების მცდელობა, რომელმაც გეოსტრატეგიული მიზნების განხორციელებისთვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჭირვეული ქართველი ხალხის მორჯულება უნდა უზრუნველყოს. **დააკვირდით, რესპუბლიკური პარტია, რომელიც, მათი ამერიკელი კურატორების დიდი მონდომების მიუხედავად, არასდროს 3%-ს არ აცდენია, ბატონი ბიძინას მთავარი ფავორიტი აღმოჩნდა. სწორედ მან მოიყვანა ხელისუფლებაში ის ძალა, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაწყებული ყოვლად ანტიქართული პოლიტიკა აქვს დასასრულებელი.**

რესპუბლიკელების მხრიდან ბოლო პერიოდში წამოვიდა რამდენიმე ანტისახელმწიფოებრივი საკანონმდებლო ინიციატივა, მათ შორის ე. წ. ანტიდისკრიმინაციული საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ადვილად შეიძლება იქნას გამოყენებული ანტიზნეობრივი პროცესებისა და ლგბტ პროპაგანდისადმი არალოიალურად განწყობილი სასულიერო პირების წინააღმდეგ. **ამ კანონმდებლობით, მათ მიერ ქადაგებისას მრევლის წინაშე წარმოთქმული კონკრეტული ფრაზა თუ წინადადება შეიძლება ჩაითვალოს სიძულვილის ენად და კონკრეტული სამღვდელო პირის მიმართ დაიწყოს დევნა. ეს ყველაფერი კი არის საყრდენის მომზადება დასავლეთის მხრიდან განხორციელებული შეკვეთების ზედმიწევნით შესრულების უზრუნველსაყოფად.** ხენაყოფით იცნობა, ამ ყველაფრიდან კი ნათლად ჩანს, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლით ქვეყნის პოლიტიკური სისტემა და კურსი არ შეცვლილა – პირიქით, ანტიქართული მისწრაფებები უფრო გაღრმავდა.

**— მინდა შევეხო ასევე ბიძინა ივანიშვილის მიერ გამართულ პრეზენტაციასაც. მან სასულიერო პირების მისამართით განაცხადა, რომ ისინიც საჭიროებენ კრიტიკას და მითითებას. საზოგადოებამ კი უნდა გადალახოს ის ბარიერი, რომ ეკლესიის თემა არის ტაბუდადებული და, იქ რაც ითქმება და როგორც ითქმება, არის უმწიკვლო და ხელშეუხებელი... როგორ ფიქრობთ, ამ ნათქვამში ხომ არ ჩანდა ეკლესიაზე კონტროლის დამყარების ფარული სურვილი?**

— რა თქმა უნდა, ეს არის ეკლესიის გაკონტროლების სურვილი. მეტიც, არა მხოლოდ ეკლესიაზე ფარული კონტროლის სურვილი, არამედ აბსოლუტური ამბიცია და პრეტენზია იმაზე, რომ ივანიშვილზე მაღალი რეიტინგით არც ერთი სუბიექტი და ინსტიტუცია არ უნდა სარგებლობდეს ქვეყანაში. **მსგავსი ტიპის განცხადებები, მითუმეტეს ეკლესიის მისამართით, მიუღებელია! ეკლესიის, როგორც სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი ინსტიტუციის, მთავარი ამოცანა სულიერებაზე ზრუნვაა. და მისი კრიტიკა ყოფილი პრემიერის მიერ, რომელიც თანამდებობას მხოლოდ ფორმალურად ჩამოშორდა და დღემდე რჩება მმართველი პოლიტიკური ძალის საპატიო თავმჯდომარედ, არის შეუნიღბავი ზეწოლა პატრიარქზე და უხეში ჩარევა ეკლესიის საქმეებში. ასევე სახეზეა მილიონობით მართლმადიდებელი ქართველის რელიგიური გრძნობების ხელყოფა.** თქვენ მიერ ხსენებულ განცხადებაში ბატონი ივანიშვილის მხრიდან სხვადასხვა სახიფათო და საგანგაშო მესიჯიც გავრცელდა, რომლებიც მედიის კონტროლსა და ექსპერტების აღზრდას შეეხებოდა. სხვანაირად ვერც შევაფასებ მის განცხადებას, როდესაც მის მიერ შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება სხვადასხვა მედიასაშუალებაში გავრცელებული ინფორმაციის გადამოწმება ▶



**ლევან ჩაჩუა:**

# უნდა ველოდოთ ახალ რეპრესიულ ტალღას, რომლის სამიზნეც, უწინარესად, იქნება ეკლესია

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ყოფილი პოლიტპატიმარი და პრეზიდენტობის კანდიდატი ლევან ჩაჩუა.**

**— ბატონო ლევან, წინა კვირას არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ პრეზენტაციაზე ბიძინა ივანიშვილმა ეკლესია ირიბად გააკრიტიკა და განაცხადა, რომ რაღაც-რაღაცები შეიძლება პატრიარქსაც შეეშალოს, ამიტომ შენიშვნები მასაც სჭირდება. ბევრმა ეს აღიქვა, როგორც შეტევა სარწმუნოებაზე, ბევრმა კი, ძირითადად პოლიტელიტამ, ყოფილ პრემიერს მოუწონა შეხედულებები. თქვენ რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე?**

— ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში (საპრეზიდენტო არჩევნებს ვგულისხმობ), ვაფრთხილებდი მოსახლეობას, რომ არ აქვს მნიშვნელობა, „ოცნების“ კანდიდატი გაიმარჯვებს თუ „ნაციონალების“, ორივე შემთხვევაში ესენი კოაბიტირებულად გააგრძელებენ უფრო დიდ შეტევას ეკლესიასა და ეროვნულ ცნობიერებაზე-მეთქი. სამწუხაროდ, ხალხმა არ დაიჯერა და რა მივიღეთ? — მივიღეთ ის, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ისევ რუხი კარდინალის როლს თამაშობს ივანიშვილი, ხოლო სათავეში არიან რესპუბლიკელები, რომლებიც დომინანტობენ პარლამენტში და ასევე თავიანთი ოდიოზურობით გამოირჩევიან. **როგორც ყოველთვის, ახლაც გვიჭირს ქართველებს, გამოვუტყდეთ საკუთარ თავს, რომ მორიგი პოლიტიკური აფერის მსხვერპლი გავხდით.** სხვათა შორის, **ამჯერად უკვე რელიგიური თაღლითობის მსხვერპლნიც ვართ, იმიტომ, რომ ყველას კარგად გვახსოვს წინასაარჩევნო პერიოდში მუხლებზე დაჩოქილი ბატონი ივანიშვილი როგორ ეამბორებოდა ხელზე ჩვენს უწმინდესს, როგორ ეძახდა მას თავის სულიერ მოძღვარს და როგორ ეზიარებოდა კამერების წინ. ჩვენდა საუბედუროდ, ეს ამბორი დაემსგავსა იუდას ამბორს მას შემდეგ, რაც მოზრძანდნენ სათავეში და ძალაუფლება ჩაიგდეს ხელთ.**

ახლა რაც შეეხება ევროპული ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელზეც ივანიშვილი ხშირად საუბრობს ხოლმე, არა ერთხელ მითქვამს და გავიმეორებ, რომ ნებისმიერი ნათელღებული ერის ნებისმიერი ლიდერი, რომელსაც სურს ქრისტეს ცნებების გვერდის ავლით სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, ამ ხალხს ბედნიერების აღთქმულ მიწაზე კი არ მიიყვანს, არამედ უფსკრულში გადაჩეხავს, საიდანაც დასაბრუნებელი გზა აღარ არსებობს; ამიტომ მინდა კიდევ ერთხელ მივმართო საზოგადოებას: მაგ გზით არ წახვიდეთ, ქართველებო! ეგ გზა „მიუღწეველი ოცნების“ ქვესკნელისკენ მიდის!..

**— ივანიშვილის მიერ საპატრიარქოსა და პატრიარქზე გაკეთებული განცხადების შემდეგ თქვენ სოციალურ ქსელში დაწერეთ სტატუსი — ნიღაბი ჩამოიხსნაო. როგორ ფიქრობთ, საზოგადოების რამდენად დიდი ნაწილის თვალში ჩამოიხსნა მან ეს ნიღაბი?**

— თავის დროზე, როცა ივანიშვილი პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოჩნდა და გვერდით დაიყენა ანტიეროვნული ცნობიერებით გამორჩეული სუბიექტები, მახსოვს, მაშინ რას ამბობდა ხალხი, — ახლა ამას იმიტომ აკეთებს ბატონი ბიძინა, რომ ამერიკელებს მოაწონოს თავი, თორემ, ხელისუფლებაში როცა მოვა, მაგათ ყველას მოიშორებსო. საუბედუროდ, ესეც ისეთივე უსაფუძვლო მოლოდინი აღმოჩნდა, როგორც „ქართული ოცნების“ დაპირებები. ახლა ამას რატომ ვიხსენებ, საზოგადოებაზე მკითხეთ და, სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება ძალიან იოლად იჯერებს ბევრ რამეს. არადა, როცა ადამიანი ერთხელ მოგატყუებს, ორჯერ და სამჯერ, ამას უკვე, გულუბრყვილობა კი არა, სიბრიყვე ჰქვია. აი, ამ ბრიყვული დამოკიდებულების გამოა, რომ ვერ გამოვდივართ მოჯადოებული წრიდან, ვერ ვახერხებთ, მიუხედავად ამდენი წინააღმდეგობისა, გავარღვიოთ ის ჩარჩოები, რომლებშიც მოგვაქციეს ფსევდოლიბერალურმა ძალებმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ თუ მათი ხელისუფლებაში ყოფნა ხანგრძლივად გაგრძელდა (ღმერთმა დაგვიფაროს), დარწმუნებული ვარ, მრავალი მართლმადიდებელი ქართველი, ზოგი უკვე მერამდენედ, გაემგზავრება გულაგებში...

**— ივანიშვილის ორგანიზაციაზე რა აზრის ხართ? როგორ ფიქრობთ, რისთვის შეიქმნა?**

— ძალიან გამიკვირდა, როცა ბატონ ივანიშვილს გაუჩნდა სურვილი, რომ არასამთავრობო ორგანიზაციამ უნდა აკონტროლოს ხელისუფლება. რა ლოგიკაა ამ ყველაფერში, ვერ გამიგია. ხელისუფლება რომელიმე ორგანიზაციამ კი არ უნდა აკონტროლოს, არამედ ხალხმა, საზოგადოებამ. ჯერ ერთი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **მისი საუბარი სულ არ ჰგავდა მაკონტროლებლის საუბარს, ეს იყო ხელისუფალის რიტორიკა და მეორეც, მმართველი გუნდის კრიტიკის მოსმენა არ უნდა ამ კაცს და როგორ გააკონტროლებს ან პარლამენტს, ან მთავრობას?!** საერთოდ, რაც მან ილაპარაკა იმ კონფერენციაზე, იყო ლოგიკასთან ახლოს?! საზოგადოებას დარჩა ნორმალური შთაბეჭდილება?!

**— სხვათა შორის, მან ისიც თქვა, რომ ხელისუფლებამ დაპირებების დიდი ნაწილი შეასრულა.**

— და რომელი დაპირებაა შესრულებული, ქვეყანაში სიღატაკე რომაა და ხალხი უცხოეთშია გახიზნული, ქალაქში ნაგვის ურნები რომ აქვთ ადამიანებს გადანაწილებული და დედებს შვილები აკვდებათ ხელში უწამლობის გამო — ესაა შესრულებული დაპირება?! რაღაცას რომ ამბობ, ელემენტარულად ხომ უნდა იყოს რეალობასთან ახლოს?!

**— თქვენ გულაგები ახსენეთ და თქვით, რომ მრავალი გაემგზავრება საპატიმროებში. კონკრეტულად რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— ამის საფუძველს მაძლევს ზუსტად ის რიტორიკა, რომლითაც გვესაუბრება ბოლო დროს ივანიშვილი. **ამ კაცმა, რომელიც მშვიდი, ღიმილიანი სახით გამოდიოდა ხოლმე ერთი წლის განმავლობაში, დღეს გამოამჟღავნა ძალიან დიდი აგრესია. ამიტომ დარწმუნებული ვარ, განსხვავებული აზრის მიმართ მისი დამოკიდებულება იქნება ისეთივე, როგორიც „ნა-** ▶

„ივანიშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების პატრონაჟით საქართველოში ჩამოაყალიბა მმართველობის ახალი ფორმა – ოლიგარქატი, რა თქმა უნდა, საკუთარი!.. ყოველივე ეს არის საქართველოს, ქართველი ერის წინააღმდეგ მიზანმიმართული აქცია, ორგანიზებული დასავლეთის კოსმოპოლიტ-გლობალისტების მიერ...“

ჩეაქსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ იქნება. შემდეგ კი მითითება კონკრეტული მედიასაშუალებისთვის, მის მიერ მოპოვებული და გავრცელებული ინფორმაციის ობიექტურობასთან დაკავშირებით.

აბსოლუტურად გაუგებრად მიმაჩნია ბატონ ბიძინას მიერ გაკეთებული განცხადება ექსპერტების აღზრდასთან დაკავშირებითაც. ექსპერტებს აღზრდა კი არა, დაფინანსება სჭირდებათ, რომლის ფარგლებშიც ნიჭიერი სტუდენტები, ისტორიკოსები, პოლიტოლოგები თუ სხვები, სამეცნიერო თემატურ პროექტებში მიიღებენ მონაწილეობას. ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს, შესაბამისად, მისი არასამთავრობოს მიერ გამოზრდილი და დაკვალიანებული ექსპერტების ობიექტურობის საკითხი, ყოველთვის კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

ადამიანი ჭურჭელია სულიწმიდისა და ტაძარს ყოველი ქრისტიანი ჯერ საკუთარ სულში უნდა აგებდეს. თუკი ადამიანი ტაძრის ამშენებელი მხოლოდ გარეგნული სახით ან ფულადი სახსრებით იქნება, ხოლო მისი სული ამპარტავნობით იქნება დამძიმებული, ამგვარ ქმედებას ნამდვილად არ ექნება მადლი. ვფიქრობ, საზოგადოება ამ შემთხვევაშიც ძალიან კარგად გაიგებს, რისი თქმაც მსურს და დარწმუნებული ვარ საზოგადოების დიდი ნაწილი უკვე მიხვდა, სინამდვილეში რა პროცესებთან გვაქვს საქმე.

ესაუბრა
**შორენა ღვაჩლიანი**

---

**◀ ცმოძრაობის“ დროს იყო. უნდა ველოდოთ ახალ რეპრესიულ ტალღას, რომლის სამიზნეც, პირველ რიგში, იქნება სწორედ ეკლესია.**

**— კი მაგრამ, რაში სჭირდება ხელისუფლებას რეპრესიები, რა არის ამის საბოლოო მიზანი, როგორ ფიქრობთ?**

— მათ უნდათ, მოსპონ ის ჯგუფი, საზოგადოების ის ნაწილი, რომლისგანაც აწყდებიან ყველაზე მძაფრ წინააღმდეგობას ამ თავიანთი ე. წ. რეფორმების გაგრძელების პროცესში. ამის შემდეგ კი უკვე თავისუფლად ჩაატარებენ გეიაღლუმებს, დააკანონებენ ერთსქესიანთა ქორწინებასაც და ა. შ. აგერ 17 მაისიც მოდის და ამისთვის არის მთელი მზადება. ის კი არა, **შარშანდელი 17 მაისის მოვლენებზე რომ იმართება ხოლმე სასამართლო პროცესები, ლგბტ საზოგადოების წარმომადგენლები პირდაპირ იქადნიან, მიუხედავად იმისა, რომ წინათ სიკვდილს ჩავხედეთ თვალებში, წელს მაინც ჩავატარებთ აღლუმსო. აი, ამას უწყობს ხელს დღევანდელი ხელისუფლება და ვფიქრობ, სწორედ ეს პროცესები იქნება წყალგამყოფი.**

**— რას ელოდებით ამ წყალგამყოფის შემდეგ?**

— პირდაპირ ვაცხადებ: თუ ასე გაგრძელდა, ეს ხელისუფლება სხვა შანსს არ ტოვებს, გარდა იმისა, რომ გაზაფხულიდან უკვე ქუჩაში გამოვიდეს ხალხი. „ქართული ოცნების“ რეიტინგი კატასტროფულად ეცემა და ამის კონკრეტულ შედეგს, ქმედების სახით, ისინი ძალიან მალე მიიღებენ.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

---

**გივი ბერძენიშვილი:**

# ივანიშვილისა და «ქართული ოცნების» სახით საქართველომ მმართველობის ახალი ფორმა — ოლიგარქატი მიიღო!

**დაავადებული ეროვნული ცნობიერება, რომლითაც ქართველი საზოგადოება XXI საუკუნეს შეხვდა, გარანტიაა ერის ზნეობრივი დაცემისა და სულიერი გადაგვარებისა. სწორედ ამ დაავადების ვირუსი გავრცელდა ქართული საზოგადოების, უდიდეს თუ არა, დიდ ნაწილში მაინც; შედეგად, საზოგადოების ამ ნაწილს მოყვასი მტრად მიაჩნია და მტერი — მოყვრად. სხვაგვარად ვერ ამიხსნია ჩვენი ქვეყნის ბედოვლათი მესვეურების მიერ რუსეთის — ისტორიულ მტრად, ხოლო თურქეთის ისტორიულ მოყვარედ გამოცხადება!..**



**ვისაც საქართველოს ისტორიისთვის გადაუვლია თვალი, კარგად იცის, როგორი „ისტორიული მოყვარე“ იყო ჩვენთვის თურქეთი. მას, ასევე, ეცოდინება, რომ XIX საუკუნეში რუსეთმა იხსნა საქართველო და მისი მოსახლეობა ფიზიკური განადგურებისგან, რომელსაც გვიქადდნენ დასავლეთიდან თურქეთი, აღმოსავლეთიდან — სპარსეთი, ჩრდილოეთიდან კი — ჩეჩნეთ-ლეკეთი.**

**სწორედ რუსეთის მიერ საქართველოსადმი გაწეულმა ამ დაუფასებელმა დახმარებამ, გნებავთ, თანადგომამ, XIX საუკუნის ერის წინამძღოლების — ილიას, აკაკის, ვაჟას, გოგებაშვილის — ცნობიერებაში დაამკვიდრა აზრი: თუ გინდა, მოსპო ქართველები, გადაამტერეთ ისინი ერთმორწმუნე რუსეთს. მტერს შეუსრულდება საწადელი: საქართველო — ქართველების გარეშე.**

იმათ კი, ვისაც ამის არ სჯერა, ვურჩევ წაიკითხონ ილია ჭავჭავაძის „ასი წლის შემდეგ“.

ტრილიონების ფასად საბჭოთა კავშირის დაშლა-დანაწევრებისა და გაძარცვის შემდეგ, დასავლეთმა, კერძოდ კი, ამერიკულმა პირსისხლიანმა იმპერიალიზმმა საქართველოში მისივე ჩანერგილ „ეროვნულ მთავრობებს“ უპირველეს ამოცანად სწორედ რუსეთის გადამტერება დაუსახა, რაც ზედმიწევნით შეასრულა „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებამ, რომელმაც თავის „საგარეო სამოქმედო ქარტიის“ დოკუმენტებში რუსეთი №1 მტრად დაასახელა. ამ კონტექსტშიც უნდა განვიხილოთ ბრძოლა სტალინის ფენომენთან. ამ ფენომენის დისკრედიტაციისთვის გააფთრებით იბრძვის დასავლური კოსმოპოლიტიზმი, რომელმაც ამ ბინძურ და სამარცხვინო საქმიანობაში მასშტაბურად ჩააბა ქვეყანაში არსებული ანტიეროვნული ძალები, ე. წ. მეხუთე კოლონა — არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც გრანტებით ფინანსდებიან უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებისგან. დღეს „ნაცმოძრაობის“ მიერ სტალინის ფენომენის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის ესტაფეტა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ გადაიბარა, და ამ ბრძოლას შესაშური ენთუზიაზმით განაგრძობს.

ამას წინათ თელავში „თავისუფლების ინსტიტუტის“ ემმაკუვებმა მორიგი „შაბაში“ ჩაატარეს — დაამხეს სტალინის ძეგლი. ამ კუდიანთა თემობის მთავარ „ქურუმად“ მოგვევლინა ვინმე ჩერგოლეიშვილი, რომელმაც საზოგადოებაში თავი უფრო ბოკერიას ცოლობით გაითქვა.

**გვესაუბრება სტალინის ეპოქის გამოჩენილი მკვლევარი, მწერალი, დავით აღმაშენებლის პრემიის ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ტექნიკური და სამხედრო აკადემიების ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი გივი ბერძენიშვილი.**

**— ბატონო გივი, სტალინის შეურაცხმყოფელი ფანჯიკიძეების, ოდიშარიების, ბერძენიშვილ-კორძაიებისა და სხვათა საქმეების გამგრძელებელმა ჩერგოლეიშვილმა თელავში სტალინის ძეგლის დამხობისას სტალინს სისხლიანი დიქტატორი უწოდა და ჰიტლერს შეადარა. თქვენი კომენტარი.**

— მკითხველმა განსაჯოს, რა შეიძლება ერქვას იმ ქვეყანას, იმ სახელმწიფოს, იმ ხელისუფლებას, იმ ერს, რომელშიც ნებისმიერი ვიგინდარა უფლებამოსილია, შეურაცხყოს და ყველა ბრუნვაში მოიხსენიოს კაცობრიობის მიერ მსოფლიოს გადამრჩენლად აღიარებული უძლეველი გენერალისიმუსი?! ან კიდევ, **როგორ შეაფასებ იმ მთავრობის ზნეობრივ სახეს, რომელიც თავის სამშობლოში, ამერიკის ბრძანებით, სტალინის ძეგლებს ანგრევს, მაშინ, როცა თვითონ ამერიკაში სტალინის ძეგლებს დგამენ. ამერიკელთა ეს პრიმიტიული ხრიკი მოწოდებულია მხოლოდ იმისთვის, რომ ჩვენი საზოგადოება დაარწმუნოს საქართველოს ხელისუფლების აშშ-ისგან აბსოლუტურ დამოუკიდებლობაში!.. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! ჩვენ ხომ ვიცით, საქართველოს მართავენ აქ მოვლენილი ამერიკელი ელჩები, რომელთა გარეშე არ წყდებოდა და არ წყდება არც ერთი საშინაო თუ საგარეო საკითხი!..**

დავუბრუნდეთ მთავარ საკითხს: რატომ ებრძვიან სამოცი წლის წინათ გარდაცვლილ სტალინს ცოფმორეული ცილისმწამებლები? იმიტომ ხომ არა, რომ სტალინი დედამიწაზე ერთადერთი ლეგიტიმური „ხელმწიფე“ იყო, რომელმაც ქრისტეს მოძღვრება გაიხადა ხალხთა ცხოვრების მოწყობის პროგრამად? იმიტომ ხომ არა, რომ სტალინის გაკეთებული უდიდესი მსოფლიო-ისტორიული სიკეთე ამხელს მათ? იმიტომ ხომ არა, რომ სტალინმა 1937 წელს შემუსრა, ტროცკიზმის სახით, საერთაშორისო კოსმოპოლიტიზმი? სტალინს მაშინ ტროცკიზმი რომ არ გაენადგურებინა, მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერს ვერ დაამარცხებდა! ან, იმიტომ ხომ არა, რომ სტალინმა შეწყვიტა ლენინისა და ტროცკის მიერ დაგეგმილი მსოფლიო რევოლუცია და, ნაცვლად კოსმოპოლიტური სახელმწიფოსი, შექმნა ეროვნულ-ინტერნაციონალური ზნეობრივი სახელმწიფო და კონკრეტული სამშობლო დაუბრუნა ხალხებს? ამით სტალინმა გააკეთა სიკეთე, რომლის მსგავსი მანამდე არც ერთ სახელმწიფო ლიდერს არ გაუკეთებია!

**— ბატონო გივი, რას ნიშნავს ნეოლიბერალების მიერ ასე მოწონებული კოსმოპოლიტიზმი?**

— ჩავიხედოთ ენციკლოპედიაში: „კოსმოპოლიტიზმი“ — ბურჟუაზიული რეაქციული იდეოლოგია, რომელიც ქადაგებს უარის თქმას ეროვნულ სუვერენიტეტზე, ეროვნულ ტრადიციებსა და კულტურაზე, უარყოფს პატრიოტიზმს“. აქედან დასკვნა: **სტალინი ებრძოდა კოსმოპოლიტიზმს, ბურჟუაზიულ-რეაქციული ძალები კი ებრძვიან სტალინს; და, რაც მთავარია, სტალინის წინააღმდეგ იბრძვიან ისეთი ცოფმორევით, გეგონებათ, ცოცხალ გამანადგურებელ ძალას ებრძვიანო!** ესეც იმიტომ, რომ სტალინის მიერ შექმნილი სახელმწიფო მოდელი კაპიტალიზმს ამხელს გახრწნილებაში, ბოროტებაში, მილიონობით ადამიანის დამონებასა და რეპრესიებში. დღევანდელ კაპიტალიზმს არანაირი ადამიანური, ზნეობრივი ღირსება არ აქვს. მის ხელში უკვე მილიარდობით ადამიანი გმინავს!.. **რა მივიღეთ 1991 წლის მერე, ანუ მას შემდეგ, რაც ქვეყანას თავს მოახვიეს კაპიტალისტური წყობა შესაბამისი „ეროვნული“ ხელისუფლებებით?! 20 წელიწადში საქართველოს მოსახლეობა შემცირდა 2 მილიონით და ახლა 3,5 მილიონსღა თუ შეადგენს. პირწმინდად განადგურდა ეკონომიკა, მიწასთან გასწორდა ქვეყნის სამრეწველო პოტენციალი, გავერანდა სოფლის მეურნეობა; ყველაზე ნოყიერი მიწები, რომლებიც გლეხობამ უსახსრობის გამო ვერ დაამუშავა, ჩალის ფასად ხელთ იგდეს ამერიკელებმა, თურქებმა, არაბებმა, ინდოელებმა და სხვა გადამთიელებმა...**

მას შემდეგ, რაც „ნაცმოს“ ხელისუფლება „ოცნებამ“ შეცვალა, ადამიანებს გაუჩნდათ იმედი, რომ ქვეყანაში მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლებოდა, როგორც სამართლიანობის აღდგენის, ასევე ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მხრივ, რასაც ჰპირდებოდა კიდეც წინასაარჩევნოდ „ოცნება“ ხალხს. სამწუხაროდ, ყველა დაპირება მოსახლეობის ფართო ფენისთვის აუხდენელ ოცნებად დარჩა. ის მხოლოდ ხელისუფლებაში მოსულ მმართველ ელიტას აუხდა, რომელმაც მიიღო გაორმაგებული, ასტრონომიული (ღარიბ-ღატაკი მოსახლეობის კვალობაზე) სიდიდის ხელფასები, პლუს თავისთვის გაწერილი ათიათასობით ლარის პრემიები, თურმე ნუ იტყვით, „ძალიან კარგი“ (როგორც თვითონ ამბობენ) მუშაობისთვის. საინტერესოა, ფინანსთა მინისტრი, ბატონი ხადური რას ეძახის „ძალიან კარგ“ მუშაობას? წლის ბოლოს დაცემულ ეკონომიკურ მაჩვენებლებს თუ მორღვეულ, მილიარდიანი დეფიციტის სახელმწიფო ბიუჯეტს?! შედეგად, **მმართველი ელიტა ახალ, 2014 წელს შეხვდა „ძალიან მსუყე“ ქისით, გამთბარ-გალუღუნებული სრასასახლეებით, დელიკატესებით გაძეძგილი მაცივრებით; სამაგიეროდ, მოსახლეობის 90%, მათ შორის პენსიონერები, ამავე 2014 წელს შეხვდნენ მწირი პენსიებითა და შემოსავლებით, ფასების უსაშველო ზრდით, გაყინული საცხოვრებელი ბინებითა და ცარიელი მაცივრებით.**

**რამდენიმე დღის წინათ ყურადღებით მოვუსმინე საქართველოს ე. წ. გადამრჩენელს — ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც, ფაქტობრივად, „ჯვაროსნული ომი“ გამოუცხადა ჩვენი ერის ერთადერთ დასაყრდენს — მართლმადიდებლობას და წმინდა ეკლესიის — ქრისტეს სხეულის გაკრიტიკებისკენ მოუწოდა ყველას, ვისაც კი არ ეზარება! ეს არნახული მკრეხელობაა და მინდა შევეკითხო ამ ბატონს — ვინ ხართ თქვენ, მოკვდავო ადამიანო, რომ ამას ბედავთ?!**

ერთადერთი, რაც ამ გაუნათლებელმა (განსაკუთრებით ისტორიაში) კაცმა მოახერხა, არის ის, რომ ამერიკის დახმარებით ქვეყანას მოაშორა სრულიად დისკრედიტებული სააკაშვილი, შემდეგ საზოგადოების თვალის ასახვევად თავისი მარიონეტი ღარიბაშვილი დასვა პრემიერმინისტრად. ივანიშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების პატრონაჟით საქართველოში ჩამოაყალიბა მმართველობის ახალი ფორმა — ოლიგარქატი, რა თქმა უნდა, საკუთარი!.. ყოველივე ეს არის საქართველოს, ქართველი ერის წინააღმდეგ მიზანმიმართული აქცია, ორგანიზებული დასავლეთის კოსმოპოლიტ-გლობალისტების მიერ; და ეს მიზნად ისახავს ქართველი ერის, ქართველი გენის ფიზიკურ და სულიერ განადგურებას და ქართული სახელმწიფოს ისტორიის დასრულებას! ამიტომ ვალდებულნი ვართ, ხმა ავიმაღლოთ ქვეყანაში დამკვიდრებული ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ და ვაიძულოთ ხელისუფლება, უარყოს წინამორბედის მიერ აღიარებული დამღუპველი საგარეო პოლიტიკა!

## «საქართველოს მართავენ ამერიკელი ელჩები, რომელთა გარეშეც არ წყდება არც ერთი საშინაო თუ საგარეო საკითხი!»

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საკითხავია, ამერიკელი „მეგობრები“, ჩვენთვის ხომ არ ამზადებენ მომავალ პოლიციელებს, ადმინისტრატორებს, პორტების ოპერატორებს, ბანკის მმართველებს და ა.შ.? თუ დავფიქრდებით, ამ ბოლო დროს, რა აურზაურია ჩვენს სახელმწიფოში, ასეთი ვარაუდი ნამდვილად არ მოგეჩვენება ფანტასტიკად.**

# «განორლანდებული» საქართველო

**უნდა გამოგიტყდეთ, ამერიკული დიპლომატიური კორპუსის მუშაკებზე ძალზე არასახარბიელო წარმოდგენა შემიქმნა თავად ამერიკელმა, კერძოდ, უბრწყინვალესმა ნოველისტმა ო.ჰენრიმ. ნოველაში „საზიზღარი მატყუარა“ მან იუველირული სინატიფით გამოძერწა ხარბი, თაღლითი, ყველაფერზე წამსვლელი (ქვეყნის ღალატზეც კი, თუ ეს, რა თქმა უნდა, მას გაამდიდრებდა), კონსულ ტეკერის დაუვიწყარი ფიზიონომია. ასი წლის შემდეგაც ამერიკელი დიპლომატების „მენტალიტეტში“ არაფერი შეცვლილა. ისინი, უპირველეს ყოვლისა, უსაზიზღრესი ვაჭრული სულით არიან შეპყრობილნი!**

აგერ, გავიხსენოთ, საქართველოში პირველი ამერიკელი ელჩი, ვინმე ბრაუნი. ამ ბატონმა კარგად გამოიყენა ჩვენს ქვეყანაში ამერიკელების მიერვე ხელოვნურად შექმნილი მძიმე ეკონომიკური და საფინანსო ბედლამი და თითო ინდაურში გაჭირვებულ ქართველ გლეხს გადაუხადა... თითო დოლარი! (გახსოვთ, ალბათ, ეს დრო). მერე, დატვირთა ამ ინდაურებით აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალების სატრანსპორტო თვითმფრინავი და საკუთარ სამშობლოში, სულ ცოტა, ორასჯერ მეტად მიჰყიდა რიგით და ურიგო თანამემამულეებს „ეკოლოგიურად სუფთა ქართული ინდაური“!.. ვაჭრული ე.წ. გამჭრიახობა არც მომდევნო ელჩებს აკლდათ და აბორიგენ პოლიტიკურ თაღლითებთან ერთად, ჩვენივე ქვეყნის საზიანოდ, არაერთ „საფინანსო ოპერაციაზე“ მოითბეს ხელი.

**მაგრამ ყველაზე დამამცირებელია ის, რომ ამერიკის ელჩები ჩვენს ქვეყანაში მოვლენილი არიან, ვითარცა გუბერნატორები ამერიკის შტატებში,** ოღონდ საგუბერნატორო არჩევნების გარეშე! ადგილობრივი მარიონეტული, ბოდიში, ეროვნული ხელისუფლებების წარმომადგენლებიც არათუ მალავენ ამ სამარცხვინო ფაქტს, პირიქით, ძალიანაც ამაყობენ შექმნილი უმსგავსობით! **მაგალითისთვის მოვიყვან ყოფილი შსს-ს მინისტრის, ამჟამად კი პრემიერმინისტრის — ღარიბაშვილის სიტყვებს: ჩვენს ოპერატიულ თათბირებს ესწრება ამერიკელი ელჩიო...**



საკითხავია, რა ესაქმება უცხო სახელმწიფოს მეორეხარისხოვან დიპმოხელეს, გაეროს მიერ ოფიციალურად აღიარებულ დამოუკიდებელი ქვეყნის შსს-ს ოპერატიულ თათბირზე?! ამის გასარკვევად გადავინაცვლოთ 2008 წლის ივლისში. მაშინ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტთან შეიქმნა ძალზე საინტერესო ორგანიზაცია: Civilian Response Corps of the United States of America, ანუ აშშ-ს რეაგირების სამოქალაქო კორპუსი (ან, ზოგიერთის თარგმნით, სწრაფი რეაგირების სამოქალაქო კორპუსი); და, **მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის ივლის-აგვისტოში მსოფლიოს თავს დაატყდა უსასტიკესი ეკონომიკური კრიზისი და უამრავი პროგრამა-პროექტი ან შეიკვეცა, ან, საერთოდ, გაუქმდა, ამერიკის ხელისუფლებამ ამ კორპუსისთვის 248 მილიონი დოლარი არ დაიშურა!**

ეს რა ასეთი უსაშველო „კანტორაა“, რომლისთვისაც ამერიკელებმა ამდენი თანხა გამოჰყვეს? რა და, იქ ქირაობენ პირებს, რომლებიც წარმოადგენენ ამერიკის ხელისუფლების ფედერალურ და ადგილობრივ ორგანოებს, ინჟინრებს, ეკონომისტებს, იურისტებს, პოლიციელებსაც კი. სასურველია უცხო ენების ცოდნა. რისთვის სჭირდებათ ეს ხალხი? აი, რას წერს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“: **„რეაგირების სამოქალაქო კორპუსი სახდეპარტამენტის ქვედანაყოფია, რომლის მოვალეობაა მსოფლიოს ცხელ წერტილებში, სახელმწიფოების დაცემის ან ხელისუფლებების დამხობის შემთხვევაში, გაიშალოს აშშ-ს შეიარაღებულ ძალებთან ერთად ან მის შემდეგ. კორპუსმა უნდა აიღოს თავის თავზე ისეთი ობიექტების მართვა, როგორიცაა ადგილობრივი პოლიცია, სასამართლო, საბანკო სისტემა და აეროპორტები“.**

მაშინდელი აშშ-ს სახელმწიფო მდივანი **კონდოლიზა რაისი** გამოტყდა: **დღეს აშკარაა, რომ დაცემული სახელმწიფოების და უმართავი ტერიტორიების პრობლემების გადაწყვეტა, მოგვწონს ეს თუ არა, გახდება ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ფუნქციად განუსაზღვრელი დროის განმავლობაშიო...**

ახლა კი, მოდით, გავეცნოთ ამ კორპუსის სტრუქტურას. ის შედგება სამი ძირითადი ქვედანაყოფისგან. მათში ყველაზე მობილურია თავად სწრაფი რეაგირების კორპუსი, ანუ, როგორც მას უწოდებენ, „აქტიური კომპონენტი“ (250 ადამიანი). სახდეპარტამენტის თანახმად, ეს სწრაფი რეაგირების სპეციალისტები არიან ექსპერტები, რომლებიც ჩაებმებიან კრიზისში არაუმეტეს 48 საათით ადრე. კორპუსის ძირითადი მასა (2 ათასი ადამიანი) შეადგენს ჯგუფს „სთენდბაი“-ს. ეს ნავარჯიშები, კუნთმაგარი „ექსპერტები“ იმოქმედებენ განსაკუთრებულ პირობებში და საჭირო ქვეყანაში გაიშლებიან კრიზისამდე 30-180 დღით ადრე. კორპუსის მესამე ქვედანაყოფი (ასევე 2 ათასი ადამიანი) ითვლება „სათადარიგოდ“. მასში შედიან პოლიციელები, ადმინისტრატორები, პორტების ოპერატორები და ა.შ. ამ პირებს მოიწვევენ (საჭიროების შემთხვევაში) კონტროლირებადი ტერიტორიების სამართავად.

**საკითხავია, ამერიკელი „მეგობრები“, ჩვენთვის ხომ არ ამზადებენ მომავალ პოლიციელებს, ადმინისტრატორებს, პორტების ოპერატორებს, ბანკის მმართველებს და ა.შ.? თუ დავფიქრდებით, ამ ბოლო დროს, რა აურზაურია ჩვენს სახელმწიფოში, ასეთი ვარაუდი ნამდვილად არ მოგეჩვენება ფანტასტიკად.**

მანამდე კი, აშშ-ს სრულუფლებიანი ელჩისთვის საქართველოში, ბატონ ნორლანდისთვის, დამოუკიდებელი ქვეყნის პარლამენტის და ყველა სამინისტროს კარი ღიაა!..

**გიორგი კორძაძე**

# მეფეს მახათი დაჟანგებია

**ხომ გაგაფრთხილეთ, ხომ გთხოვეთ, უჟანგავი მასალისგან იყოს გაკეთებული-თქო? არ დამიჯერეთ და მე ნუ დამაბრალებთ. საქართველოს მეფეს მახათი დაუჟანგდა და დაჯილდოების მორიგი ცერემონიისთვის მოიცალა.**

**ბრაზილიის პრეზიდენტის აპარატის ისტორიული დოკუმენტაციის საბჭოს წევრის შემდეგ, საქართველოს სამეფო სახლის ორდენით კრისტიინა ოიულანდი დაჯილდოვდა და შესაბამისად, ბალტიისპირა ქვეყნებში სამეფო სახლის წარმომადგენლად დაინიშნა.** კრისტიინა ოიულანდი ესტონეთის მოქალაქეა, ამჟამად ევროპარლამენტის წევრი და ლიბერალურ-დემოკრატიული და რეფორმების პარტიის ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ.

საინტერესოა, რომ ჯილდოს მიღების შემდეგ კრისტიინამ ფიცი დადო და ისეთ რამეებს დაგვპირდა, ნახევარი მაინც რომ შეასრულოს, ლარის კურსი დოლარისას აჯობებს. ყველაზე საინტერესო მაინც სამეფო სახლის კანცლერ კახა ქორიძის განცხადება იყო.

**„ქალბატონი ქრისტიინა გააღრმავებს ურთიერთობებს ჩვენსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს შორის და, რაც მთავარია, მოიზიდავს სახსრებს ჩვენს სამეფო ფონდში და ჩვენს რიგებში წარმატებულ და ღირსეულ ადამიანებს ჩააყენებს“,** — განაცხადა ქორიძემ.

სხვათა შორის, სამეფო სახლის ოფიციალურ ვებგვერდზე დიდი ასოებითა და სასოებით წერია, რომ სპონსორი იძებნება და ისე ჩანს, ამ ხალხს მახათი კი არა, ფული უნდა. მეფობანას თამაშიც ამის ბრალი უნდა იყოს და, თუ მკითხავთ, ბოლომდეა საჭირო გართობა. მეფეს მასხარაც უნდა ჰყავდეს, ნაზირ-ვეზირებიც, თუქსუსიც, ტუტუციც და ხარჭა ხომ უნდა ჰყავდეს და ჰყავდეს. ჰოდა, კრისტინა კი არა, კონკურსი გამოვაცხადოთ და ეს თანამდებობები სასწრაფოდ გადავანაწილოთ. გვეცოდინება მაინც, რამდენ კაცს აქვს თუქსუს-ტუტუცობის, მასხრობისა თუ ვეზირობის სურვილი.

**დავით მინდიაშვილი**

**P.S. სხვათა შორის, უჟანგავი მახათის დასამზადებლად თანხის გამოყოფა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მოვითხოვე, მაგრამ უარი მითხრეს — პრეზიდენტის სარეზერვო ფონდმა ერთი მახათი პირადი მოხმარებისთვის უკვე დაამზადებინა და მეორეს ველარ გაწვდებაო.**

# «მოქკავშირიდან» «მოქალაქემდე»

**1993 წელს საქართველოში ახალი პარტია „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“ დაფუძნდა და მის ლიდერად ედუარდ შევარდნაძე მოგვევლინა. იმხანად ამ პარტიის რიგებში გაერთიანება ერთგვარი ვალდებულებაც კი იყო და, ვისაც აინტერესებდა თუ არ აინტერესებდა, „მოქკავშირის“ მანდატს ყველა იღებდა. საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ ნახევარი საქართველო ედუარდ შევარდნაძისა და მისი პარტიის მხარდამჭერი გახდა. მაშინ ისე ჩანდა, რომ „მოქალაქეთა კავშირს“ ვერავინ და ვერაფერი დაშლიდა, სტრუქტურა აეწყო, წელში გაიმართა და... „მოქალაქეთა კავშირი“ მალე იქცა მოქალაქეთა საწინააღმდეგო იარაღად.**

სულ რაღაც 3-4 წლის შემდეგ პარტიამ რღვევა დაიწყო, მას ჯერ იმ დროისთვის საკმაოდ ცნობილი ადამიანები, ლევან გაჩეჩილაძე და დავით გამყრელიძე, გამოეყვნენ (მათ მოგვიანებით „ახალი მემარჯვენეები“ დააარსეს), მერე კი, ზურაბ ჟვანიას მეთაურობით, იმ ახალგაზრდა რეფორმატორთა გუნდი წავიდა, რომელზეც რეალურად იდგა პარტია და „მოქკავშირი“ საძირკვლის გამოცლისთანავე ხუხულასავით დაიშალა. ძველებმა ვერ შეძლეს პარტიის შენარჩუნება, რადგან მზად არ იყვნენ. მათ ეგონათ, რომ „მოქკავშირს“ არაფერი დაემუქრებოდა, მაგრამ...

**ერთი თვეც არ არის, რაც არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“ დაფუძნდა და ისტორიის კარუსელი თითქოს ხელახლა დატრიალდა. მოსახლეობის უმრავლესობას სწორედ ამ არასამთავრობო ორგანიზაციაში სურს შესვლა და, თუ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ეს სურვილი მომავალზე იყო გათვლილი, ახლა გათვლა აწმყოზე კეთდება — ყველა ფიქრობს, ბიძინა ივანიშვილის ფრთებქვეშ ყოფნა სარგებელს დღესვე მოუტანს და ეს იმის მიუხედავად, რომ თავად დამფუძნებელი ჯიუტად ამბობს, ადამიანთა ძალიან მცირერიცხოვან ჯგუფს დავასაქმებ, დიდი-დიდი ოც კაცსო.**

ორგანიზაციის პრეზენტაციაზე ივანიშვილი ისევ საინტერესოდ ორიგინალური იყო. მან არ დამალა, რომ მედიას (მათ შორის, ბეჭდურს) დააფინანსებს და გააკონტროლებს კიდეც. **არ გვახსენდება ასე თამამად, ასე პირდაპირ ვინმეს გაებედოს და ეთქვას, მედიის კონტროლის სურვილი მაქვსო. ივანიშვილმა კი გაბედა და გაბედა იმიტომ, რომ ხელისუფლებიდან სიტყვას არავინ შეუბრუნებს.** ხელისუფალნი დღეს მისდამი დამოკიდებულებას მარტივად ხსნიან — **„თუ ბიძინა ამბობს, რომ ნიანგი დაფრინავს, ე. ი. დაფრინავს“.** ვის რაში სჭირდება კონტროლსდაქვემდებარებული მედია დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის (ასე ამბობენ) დროს, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ ამისთვის უკვე ემზადებიან. **ახლა იმას ვფიქრობ, მომავალში, როცა კონტროლის მექანიზმი ჩაირთვება, სტატიის შინაარსი რედაქტორთან უნდა შევათანხმო თუ „მოქალაქესთან“? თათბირს რედაქტორი ჩაგვიტარებს თუ „მოქალაქე“? ხელფასს რედაქტორი გამოგვიწერს თუ „მოქალაქე“? და, საერთოდ, დავრჩებით ჩვენ ამ ქვეყნის მოქალაქედ თუ არა, ესეც „მოქალაქემ“ უნდა გადაწყვიტოს?!**

სხვათა შორის, ივანიშვილმა ისიც თქვა, შეუმცდარი არავინ არის და ხანდახან პატრიარქიც ცდებაო. გვერწმუნეთ, ეს რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს ეთქვათ (და არც თუ იშვიათად ამბობდნენ კიდეც), ერი და ბერი არ აპატიებდა, ივანიშვილს კი არაფერი უთხრეს. რა თქმა უნდა, შეუმცდარი არავინ არის ამქვეყნად და **შეცდომები ყველას მოგვდის, მაგრამ ნუთუ ერთი შეცდომა არ დაუშვია ივანიშვილს, ერთხელ მაინც არ შემცდარა თუ ამ თემაზე ხმამაღლა არ საუბრობს?! ნუთუ მართლა სჯერა, რომ ყველა დაპირება შესრულებულია?! ნუთუ მართლა სჯერა, რომ სამართლიანობის აღდგენა სრული სვლით მიდის?** თუ სამართლიანობის აღდგენას იმას ეძახის, რომ სახელმწიფოს მიერ უკანონოდ წართმეული 80 მილიონი დაიბრუნა, მაშინ — ჰო, მაგრამ **დანარჩენმა მოქალაქეებმა რა ქნან, რომლებსაც სახლ-კარი წაართვეს, გალოკილი თითით დატოვეს და დღემდე სამართალს ვერ პოულობენ?! აუცილებლად 80 მილიონი უნდა ყოფილიყო თანხა, თუ აუცილებლად მოქალაქეობის არმქონე მთავარი მოქალაქე უნდა ყოფილიყავი?!**

ამ ეტაპზე შორს ვართ იმ აზრისგან, რომ №1 მოქალაქის „მოქალაქეს“ იგივე ბედი ეწევა, რაც „მოქალაქეთა კავშირს“, მაგრამ თავდაპირველად ისიც ასეთი უძლეველი და შეურყეველი ჩანდა. სწორედ ამან დაღუპა იმჟამინდელი ხელისუფლება და მისი შემცვლელიც. **ქართველი ერი ნამდვილად არის „ყოვლის მთმენი, ვით ჯორ-ცხენი“, მაგრამ ყველაფერს აქვს ბოლო.** როდის იქნება „მოქალაქის“ ბოლო, ვერ გეტყვით, მაგრამ სტარტი აშკარად არ არის ისეთი, უსასრულობას რომ გვპირდებოდეს. **„მოქალაქეთა კავშირიდან“ რიგით „მოქალაქემდე“ თითქოს ვერაფერი ვისწავლეთ.**

**დავით მინდიაშვილი**

**P.S. როდესაც ლიბიაში ნატოს ჯარებმა სისხლის გუბეები დააყენეს, მსოფლიო სახელმწიფოთა მეთაურები მუამარ კადაფის გადადგომისკენ მოუწოდებდნენ. კადაფი გაოცებული კითხულობდა, საიდან გადავდგე, არანაირი თანამდებობა არ მიკავიაო. იგი ფორმალურად მხოლოდ „ჯამახირიის“ ლიდერი იყო, რეალურად კი მთელ ლიბიას მართავდა.**

**მოქალაქე
მოქალაქემ
მოქალაქეს
მოქალაქის
მოქალაქით
მოქალაქედ
მოქალაქევ!
ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ?**



**ჰომოსექსუალობის პროპაგანდის წინააღმდეგ საკანონმდებლო ნორმები აშშ-ის რვა შტატში და კიდევ რამდენიმე ქალაქსა და ოლქში მოქმედებს. ამიტომ, სანამ რუსეთის კანონს დაგმობენ სიტყვისა და აკადემიურ თავისუფლებათა შეზღუდვის გამო, შეერთებულმა შტატებმა, უპრიანი იქნება, აღიაროს, რომ ჩვენი საკუთარი მმართველობის რესპუბლიკური ფორმა არა ერთხელ შობდა ანალოგიურ შეზღუდვებს.**

ჰკა მამათა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფარისეველო, გამოიძრე თვალიდან დირე!

**ცნობილია, რომ ვაშინგტონი სიხარულით გამოიყენებს ხოლმე ხელსაყრელ მიზეზს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩასარევად. ამას, გინდა, „მსოფლიო ჟანდარმი“ უწოდეთ, გნებავთ, მსოფლიო ჰეგემონობის აკვიატებული იდეა.**

## სექსუმცირესობები — აშშ-ის ოლიმპიური იარაღი

**თეთრ სახლს, როგორც წესი, პოლიტიკურ სიბრტყეში გადაჰყავს სპორტული შეჯიბრების გამართვის საკითხი, თუ ორგანიზატორებს ჩაფიქრებული აქვთ მისი მოწყობა ისეთ ქვეყანაში, რომლის მთავრობა და ხალხი არ იზიარებს ამერიკული ისტებლიშმენტის შეხედულებებს.**

მაგალითად, 2008 წელს აშშ კონგრესმა კინაღამ კენჭი უყარა პეკინის ზაფხულის ოლიმპიადის ბოიკოტირებას. დოკუმენტს მხარი დაუჭირეს სენატორებმა ბარაკ ობამამ და ჰილარი კლინტონმა. ავტორებმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მოსთხოვეს, ურთიერთობა გაეწყვიტა იმ სახელმწიფოებთან, რომლებმაც საერთო ენა ვერ მონახეს ამერიკის შეერთებულ შტატებთან. მაშინ ყველაფერი დალაგდა მას შემდეგ, რაც აშშ ოლიმპიური ნაკრების ოფიციალურმა სპონსორმა განაცხადა, რომ „Nike-ის ხელმძღვანელობა, რა თქმა უნდა, მხარს უჭერს ადამიანის უფლებათა დაცვას, მაგრამ კონტრაქტის თანხა იმდენად დიდია, რომ აშშ-ის ნაკრები უეჭველად გაემგზავრება პეკინში, რაც გინდა მოხდეს“.

**აშშ-ს კონგრესს მეორედ ხელი მაშინ მოეცარა, როცა ბელარუსის რესპუბლიკაში ჰოკეის მსოფლიო პირველობის 2014 წლის მაისში გამართვის ბოიკოტირებას შეეცადა. მაშინ 30-მდე კონგრესმენმა მოითხოვა მინსკისთვის მასპინძლის უფლების ჩამორთმევა, მაგრამ ჰოკეის მსოფლიო ფედერაციამ მათ მხარი არ დაუჭირა.**

**ბოლო მცდელობა სოჭის ოლიმპიადაზე უარის თქმა იყო. მიზეზი — თუ რუსეთი ედუარდ სნოუდენს არ გამოაძევებს, ამერიკელი სპორტსმენები სოჭში არ გაემგზავრებიან.** ამისკენ მოუწოდებდნენ სენატორები — **ლინდსი გრიმი** და **ჯონ მაკკეინი** (ამ უკანასკნელს ვიეტნამში აშშ აგრესიის დროს ტყვეობაგადატანილი დამარცხებულის სინდრომი და რევანშის წყურვილი, ეტყობა, სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება), მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ; **დღეს რუსეთის მდგომარეობა მსოფლიოში ისეთია, რომ, ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აშშ ერთადერთი გამონაკლისის უსიამოვნო როლში აღმოჩნდებოდა.**

**ამერიკელების დელეგაცია სოჭის ოლიმპიადის გახსნაზე ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო.**

ეს მცდელობაც ჩაეფუშათ.

ამერიკელ მრჩეველთა დაჟინებული ჩიჩინის მიუხედავად, სოჭში საქართველოს სპორტსმენებიც გაემგზავრნენ, რომელთაც, რუსეთის პირველი ტელეარხის კომენტატორ დარია ასლამოვას თუ დავუჯერებთ, საზეიმო გახსნაზე დამსწრენი სიხარულით შეეგებნენ: **„გამარჯობა, გენაცვალე!“**, თუმცა სრულიად გაუგებარი და უადგილო იყო რეპლიკა, რომ საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების მოკლე პერიოდში ორჯერ შეცვალა თავისი დროშა.

**გულუბრყვილობა იქნებოდა იმის გაფიქრებაც კი, რომ ჩაშლილ ბოიკოტს შეეგუებოდნენ აშშ-ის ქორები და, მართლაც, თავიანთ სამიზნედ მათ აირჩიეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებული კანონი არასრულწლოვანთა შორის ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ.**

**შეუტიეს რუსეთს და რატომღაც „მხედველობიდან გამორჩათ“, რომ აშშ კანონმდებლობაშიც ზუსტად ის პრინციპებია დაფიქსირებული, რომელთა გამოც რუსეთის ამ ყბადაღებული კანონის წინააღმდეგ ილაშქრებენ ამერიკელები.**

სწორედ ამაზე წერენ იელის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ლექტორები **იენ ეირესი** და **უილიამ ესკრიჯი** თავიანთ სტატიაში, რომელიც The Washington Post-მა 4 თებერვალს გამოაქვეყნა და დღეს უმნიშვნელო შემცირებით გთავაზობთ.

### „ანტიგეური კანონი რუსეთში და აშშ თვალთმაქცობა“

...სხვათა პრობლემების მიმართ მგრძნობიარე მსოფლიო ლიდერები, პრეზიდენტ ობამას ჩათვლით, რუსეთს გეების სტიგმატიზაციის გამო აკრიტიკებენ.

მათგან ბევრს, ვინც ახლა რუსეთს აკრიტიკებს, გაუკვირდება, როცა 2014 წელს თანამედროვე ინდუსტრიული სახელმწიფოს კანონებში აღმოაჩენს ასეთ შუასაუკუნეობრივ დებულებებს:

**„ადგილობრივი სასკოლო საბჭოს მიერ მოწონებული მასალები... უნდა შეესაბამებოდეს კანონს და განათლების კომიტეტის მიერ მიღებულ ნორმებს... რომლებიც კრძალავს სასკოლო მასალებში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას“;**

**„არასრულწლოვანთა შორის ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა ისჯება ადმინისტრაციული ჯარიმით“;**

**„არც ერთმა ოლქმა თავის სასწავლო კურსებში არ უნდა ჩართოს მასალები: 1. რომლებიც პროპაგანდას უწევს ჰომოსექსუალური ცხოვრების წესს; 2. რომლებიც პოზიტიურად წარმოაჩენს ჰომოსექსუალობას, როგორც ალტერნატიულ ცხოვრების წესს; 3. რომლებიც ცდილობს, დაადასტუროს, რომ არსებობს ერთსქესიანთა სექსის უსაფრთხო მეთოდები“.**

**„მასალებმა, რომლებიც დაკავშირებულია სექსუალურ განათლებასთან და სექსუალური ურთიერთობების გზით გავრცელებულ დაავადებებთან, ფაქტებზე დაყრდნობით ხაზი უნდა გაუსვას, რომ, ჯანდაცვის თვალსაზრისით, ჰომოსექსუალობა არ შეიძლება ვაღიაროთ საზოგადოებრივად მიღებულ ცხოვრების წესად, ასევე, რომ ჰომოსექსუალური ქცევა ითვლება სისხლისსამართლებრივ დანაშაულად“.**

ამ ოთხი ციტატიდან (მეორის გამოკლებით) სამი ამოკრეფილია ამერიკის კანონმდებლობიდან.

**იუტას შტატი** კრძალავს „სასწავლო მასალებში ჰომოსექსუალობის პროპაგანდას“. **არიზონის შტატი** გამოდის „ჰომოსექსუალობის, როგორც ცხოვრების ალტერნატიული წესის წარმოდგენის“ წინააღმდეგ და კანონმდებლობით კრძალავს, რომ ბავშვებს უთხრან, თითქოს არსებობს „ერთსქესიანთა სექსის უსაფრთხო მეთოდები“. **ალაბამასა** და **ტეხასის** შტატებში მოითხოვენ, რომ სექსუალური განათლების გაკვეთილებზე ხაზი გაესვას ჰომოსექსუალობის საზოგადოებრივ მიუღებლობას.

**ჰომოსექსუალობის პროპაგანდის წინააღმდეგ საკანონმდებლო ნორმები აშშ-ის რვა შტატში და კიდევ რამდენიმე ქალაქსა და ოლქში მოქმედებს. ამიტომ, სანამ რუსეთის კანონს დაგმობენ სიტყვისა და აკადემიურ თავისუფლებათა შეზღუდვის გამო, შეერთებულმა შტატებმა, უპრიანი იქნება, აღიაროს, რომ ჩვენი საკუთარი მმართველობის რესპუბლიკური ფორმა არაერთხელ შობდა ანალოგიურ შეზღუდვებს.**

შემთხვევითი არ არის, რომ ყველა ამ მაგალითში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რისი თქმა შეიძლება ბავშვებისთვის და რისი — არა. 2013 წლის რუსეთის კანონის განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ იგი **მიმართულია ბავშვების დასაცავად ისეთი ფაქტორებისგან, რომლებიც „ნეგატიურად მოქმედებს მათ ფიზიკურ, ინტელექტუალურ, ფსიქიკურ, სულიერ და ზნეობრივ განვითარებაზე“.** ამერიკული კანონების მომხრეებიც იმოწმებენ მსგავს არგუმენტებს. ზუსტად ისევე, როგორც ამ თვეში პრეზიდენტი პუტინი, ამერიკის კანონები აფრთხილებს გეებსა და მათ მომხრეებს: **„თავი დაანებეთ ბავშვებს, გეთაყვა“...**

**პუტინმა დაარწმუნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, რომ რუსეთში მიღებულ კანონს წმინდა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. მაგრამ შეერთებულ შტატებში ოფიციალურად სანქცირებული წინასწარაკვიატებულობა ხელს უწყობს ჭაბუკი გეების დევნას და მათ შორის თვითმკვლელობის რაოდენობის ერთ-ერთ ფაქტორად ითვლება.**



მსახიობმა და დრამატურგმა **ჰარვი ფირსტაინმა** შეერთებულ შტატებს სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირებისკენ მოუწოდა, რადგან რუსეთში კრძალავენ „ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას“. მაგრამ გავიხსენოთ, რომ 2002 წელს აშშ-მა სიამაყის გრძნობითა და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გააგზავნა თავისი ოლიმპიური დელეგაცია შტატში, რომელშიც ზუსტად იგივეა აკრძალული, რაც რუსეთში...

...ახლა კი პუტინს მშვიდად შეუძლია უპასუხოს ამერიკულ კრიტიკას: **„ფარისეველო, გამოიძრე თვალიდან დირე!“** (www.inosmi.ru).

### პედერასტებით გაჯერებული აშშ-ის ოლიმპიური გუნდი

რახან ოლიმპიადის ბოიკოტირება არ გამოუვიდა, პრეზიდენტმა ობამამ მწყაზარი გამომეტყველების შესანარჩუნებლად ცუდი თამაშის დროს გასცა განკარგულება, რუსეთის ჯინაზე აშშ ოლიმპიური დელეგაციისა და ნაკრები გუნდის ლგბტ წარმომადგენლებით გაჯერების შესახებ.

ორიგინალურად აღიქვა ბატონმა პრეზიდენტმა რუსეთში მიღებული კანონი, რომელიც „იცავს ბავშვებს მათი ჯანმრთელობისა და განვითარებისთვის საზიანო ინფორმაციისგან“ და არამც და არამც არ ზღუდავს მოზრდილი ადამიანების, მათ შორის, უცხოეთის მოქალაქეების პირად უფლებებს, რომლებიც რუსეთის ფედერაციაში ჩადიან.

17 დეკემბერს დამტკიცებულ აშშ დელეგაციის შემადგენლობაში ორი ლესბოსელი ქალია — ჩოგბურთელი **ბილი ჯინ კინგი** და ჰოკეისტი **კეიტლინ კეჰოუ**, რომლებიც აღჭურვილნი არიან უფლებით, ილაპარაკონ ობამას სახელით. იტალიური La Republica-ს აზრით, ეს არის ძლიერი გზავნილი რუსეთისადმი „ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვის წინააღმდეგ“. და აქაც თეთრი სახლის საამებლად მცდარად არის დასმული აქცენტები.

დელეგაციის კიდევ ერთმა წევრმა, ექსჩემპიონმა ფიგურულ სრიალში **ბრაიან ბოიტანომ** საჯაროდ აღიარა თავისი არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია. უეჭველია, რომ ეს აღიარება დაკავშირებულია „სახელმწიფოებრივ აუცილებლობასთან“, როგორც ეს თეთრ სახლს აქვს წარმოდგენილი. სხვაგვარად რთულია იმის წარმოდგენა, რატომ გაამჟღავნა სამოც წელს მიღწეულმა სპორტსმენმა თავისი საიდუმლო, რომელსაც წლების განმავლობაში მალავდა.

ობამას დავალების შესაბამისად, სპორტში გეებისა და ლესბოსელების საზოგადოების Athlete Ally-ის მმართველობის წევრმა **ბრაიან ელნერმა**, რომელსაც თავი უნდა დაედგა ლგბტ-ს მომხრე სპორტსმენების რაოდენობის გაზრდისთვის, არაორაზროვნად მიანიშნა: „ველოდებით, რომ ბევრი სპორტსმენი სოჭში გადადგამს სამართლიანობის მხარდამჭერ ნაბიჯებს“.

**„თუ რუსეთს თავის სპორტსმენთა შორის არ ჰყავს გეები და ლესბოსელები, ეს მის გუნდს მხოლოდ აუძლურებს“, — თავის მხრივ დარწმუნებით აცხადებს ბარაკ ობამა.**

გეიისტერია სინამდვილეში თვით აშშ-ის გუნდს აუძლურებს. თავად განსაჯეთ:

**„ოლიმპიადაზე მომეცემა უნიკალური საშუალება**, — განაცხადა მოციგურავე ფიგურისტმა **ეშლი ვაგნერმა, — ...საკუთარი აზრის გამოთქმის. ჩემს ოჯახში არიან არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები. ბევრი მეგობარი მყავს მათი თანამეგობრობიდან. მე, ფაქტობრივად, მათ წრეში ვიზრდებოდი“,** — ციტირებდა სპორტსმენ ქალს USA Today. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეშლი ვაგნერი სულაც არ არის ამერიკული ფიგურული სრიალის პრიმა — აშშ-ის წლევანდელ ჩემპიონატში მან მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა. მაგრამ მაინც და მაინც იგი ჩართეს გუნდში ოქროსა და ვერცხლის პრიზიორებთან ერთად. **მირაი ნაგასუ**, რომელმაც ბრინჯაო დაიმსახურა, ბორტს მიღმა დატოვეს. ამ როქმა, საეჭვოა, გააძლიეროს აშშ-ის ნაკრები.

ვანკუვერის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ბოდე მილერმა** 2012 წლის გაზაფხულზე მუხლის ოპერაცია გაიკეთა და წელიწად-ნახევარი არ უვარჯიშია. სოჭში მისი გამგზავრება დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. მაგრამ მისი ინტერვიუების სერიის შემდეგ, რომლებშიც მან გააკრიტიკა რუსეთის ზემოთ აღნიშნული კანონი, იგი აშშ-ის ნაკრებში ჩართეს.

ეს ცალკეული ფაქტებია თუ დაგეგმილი ტენდენცია? როგორ გავიგოთ?

ყოველ შემთხვევაში, 34-მა ამერიკელმა ოლიმპიელმა განაცხადა, რომ მიემგზავრებიან სოჭში სექსუალურ უმცირესობათა მხარდასაჭერად.

მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც მოაწყვეს „ამბოხი ხომალდზე“. უპირველესად, ეს იყო ორგზის ოლიმპიელი ფიგურისტი და აშკარა გეი **ჯონ ვეირი**, რომელსაც მთელი შარშანდელი წლის განმავლობაში უტევდა ლგბტ თანამეგობრობა ხმის ამოუღებლობისთვის. ბოლოს და ბოლოს, როცა ვეირი დარწმუნდა, რომ მისგან ანტირუსული კამპანიის ხატის გაკეთება სურდათ, უარი თქვა კვალიფიკაციურ შეჯიბრში მონაწილეობაზეც კი. **„ოლიმპიადა ის ადგილი არ არის, სადაც უნდა იბრძოლო სექსუმცირესობათა უფლებებისთვის. ოლიმპიადა სპორტული შეჯიბრების ასპარეზია და არა პოლიტიკური მოვლენა“**, — აღიარა სპორტსმენმა.

ეტყობა, უნდა დავეთანხმოთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრ **მარიო პესკანტეს**, რომელმაც ობამას გადაწყვეტილებას ოლიმპიადაზე არატრადიციული სექსუმცირესობის მიმდევარ სპორტსმენთა გაგზავნას **„პოლიტიკური გამომძალველობა“** უწოდა. **„აბსურდია, როცა აშშ რუსეთში ოთხ ლესბოსელს აგზავნის მხოლოდ იმიტომ, რომ ხაზი გაუსვას — მათ ქვეყანაში სექსუმცირესობებს აქვთ უფლებები. თამაშები არ უნდა იყოს ადამიანის უფლებათა განმტკიცების მოედანი, რადგან სპორტული მოძრაობა ისედაც განამტკიცებს მათ“**, — დაასკვნა პესკანტემ.

მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

ცნობისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## პროსტიტუციის მუზეუმი

**ანტვერპენში (ბელგია) გაიხსნა მუზეუმი, რომელიც ეძღვნება ერთ-ერთ მომგებიან ინდუსტრიას — პროსტიტუციას.** მუზეუმში შესულ ნებისმიერ დამთვალიერებელს შე ეძლება, შეიხედოს ღამის ბიზნესის კულისებში, ხოლო უფრო მწვავე განცდების მოყვარულთ, დამატებითი თანხის გადახდის შემდეგ, — „სიყვარულის ქურუმების“ თვალთვალიც.





## თაღლითები აშშ-ის არმიაში

**აშშ-ის არმიაში კოლოსალური თანხის დატაცების ფაქტები აღმოაჩინეს. ეროვნული გვარდიის წარმომადგენლები თაღლითურად ითვისებდნენ თანხებს, რომლებიც მოხალისეთა გადაბარებისთვის იყო განკუთვნილი — რამდენიმე სამხედრო პირმა მილიონობით დოლარი მიითვისა.**

ფულის მასშტაბური დატაცება ერაყისა და ავღანეთის სამხედრო კამპანიის პერიოდში დაიწყო. ჯარისკაცთა რიგების შესავსებად 2005 წელს ამოქმედდა სპეციალური პროგრამა, რომელიც არმიაში მოხალისეთა მიყვანის გამო გარკვეულ ფულად ჯილდოს ითვალისწინებდა. სამხედრო პირი, რომელიც მეგობარს ან სხვა პირს მიიყვანდა არმიაში ჩასაწერად, პრემიად 1000 დოლარს იღებდა. საპრემიო თანხის მიღების მიზნით კი სამხედროები არმიაში წერდნენ ყველა მოხალისეს, მათ მიმყვანად რეგისტრაციაში ატარებდნენ ან საკუთარ თავს, ან ახლობელ პირს სამხედროთა რიგებიდან. **აფერაში ეჭვმიტანილია 1200 სამხედრო პირი, მათ შორის 200-ზე მეტი უმცროსი ოფიცერი, ათეულობით პოლკოვნიკი და ორი გენერალი. ექსპერტთა ვარაუდით, ბიუჯეტიდან დატაცებულია 29 მილიონი დოლარი.**



## აშშ-ის სპეცსამსახური გერმანიის კანცლერს უთვალთვალებდა

**გერმანიის კანცლერს, მისი კრიტიკული პოზიციის გამო ერაყის სამხედრო კამპანიისადმი, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო აკონტროლებდა.**

გერმანული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის — ანგელა მერკელის წინამორბედ გერჰარდს შრედერს აშშ-ის სპეცსამსახურის წარმომადგენლები 2002 წლიდან უთვალთვალებდნენ და მის სატელეფონო საუბრებს უსმენდნენ, ეს გამოწვეული იყო შრედერის მკაცრი პოზიციით აშშ-ის ჯარების ერაყში შეჭრის მიმართ.

2013 წლის ოქტომბერში, როცა ედვარდ სნოუდენის მიერ გავრცელებული მასალებიდან ცნობილი გახდა, რომ აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის სატელეფონო საუბრებს უსმენდა, პრეზიდენტი ბარაკ ობამა შეეცადა, საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ ამერიკული სპეცსამსახურები თავს დაანებებენ გერმანიის ლიდერების თვალთვალს.

# ქვეყნები, რომელთაც ყველაზე მეტად სძულთ აშშ



**საზოგადოებრივი აზრის კვლევის ამერიკული ინსტიტუტ „გელაპისა“ და საერთაშორისო ცენტრ „მერიდიანის“ მიერ ჩატარებული კვლევის („აშშ — გლობალური ლიდერობის პროექტი“) მონაცემების მიხედვით, შარშან აშშ-ის პოლიტიკით უკმაყოფილოთა რაოდენობა არ შემცირებულა. „გელაპის“ მიერ გამოკითხული 130 ქვეყნის მოქალაქეთა მხოლოდ 25 პროცენტს მოსწონს პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის მუშაობის ხარისხი, უმრავლესობა კი აშშ-ის ხელისუფლების გადაწყვეტილებებსა და მუშაობას უარყოფითად აფასებს.**



## პაკისტანი

**აშშ-ის ხელისუფლების მიმართ მტრულად არის განწყობილი 79 პროცენტი.**

2013 წელს პაკისტანში ობამას ადმინისტრაციით უკმაყოფილება გამოკითხულთა 79 პროცენტმა გამოხატა. ეს 30 პროცენტით მეტია 2012 წელთან შედარებით. ექსპერტთა აზრით, უმაყოფილების ზრდა ამერიკელების მიერ პაკისტანის ტერიტორიაზე გაჩაღებულმა სამხედრო მოქმედებებმა და ანტიისლამური ფილმის გადაღებამ გამოიწვია.

აშშ-სა და პაკისტანს შორის დიპლომატიური ურთიერთობა გაუარესდა 2011 წელს, როდესაც ამერიკელები პაკისტანის საუკეთესო სამხედრო აკადემიის გვერდით მდებარე სახლში შეიჭრნენ ოსამა ბენ ლადენის მოსაკლავად. იმხანად პაკისტანი ამტკიცებდა, რომ ბენ ლადენი ქვეყანაში არ იმყოფებოდა.



## პალესტინა

**აშშ-ის ხელისუფლების მიმართ მტრულად არის განწყობილი 77 პროცენტი.**

პალესტინელები, დიდი ხანია, არ მალავენ მტრულ დამოკიდებულებას აშშ-ის მიმართ, ამ ქვეყანასა და ისრაელს შორის მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობის გამო.

2012 წელს გაერომ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც პალესტინა აღიარებული იყო, როგორც სახელმწიფო-დამკვირვებელი, ოღონდ არა გაეროს წევრი.

აშშ-მა და კიდევ 8 სხვა სახელმწიფომ, მათ შორის, ისრაელმა, ამ რეზოლუციის წინააღმდეგ მისცეს ხმა. მიუხედავად იმისა, რომ ბარაკ ობამა ემხრობა პალესტინის სახელმწიფოს არსებობის იდეას, აშშ-ს ბევრი ადანაშაულებს ამ პრობლემის გადაწყვეტის უუნარობაში.




## ალჟირი

**აშშ-ის ხელისუფლების მიმართ მტრულად არის განწყობილი 67 პროცენტი.**

აშშ-ისადმი მტრული განწყობა განსაკუთრებით ბოლო წლებში გაიზარდა. 2009 წელს აშშ-ის ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი იყო ალჟირის მხოლოდ 45 პროცენტი. დღეს კი ეს მაჩვენებელი 22 პროცენტით გაიზარდა.

ყველაფერი კი მას შემდეგ დაიწყო, როცა ტერორისტები ბუნებრივი აირის გადამამუშავებელ ქარხანაში შეიჭრნენ და მუშები მძევლად აიყვანეს. ამ თავდასხმას სხვადასხვა ქვეყნის 38 თანამშრომლის სიცოცხლე შეეწირა, მათ შორის — სამი ამერიკელის.



## ეგვიპტე

**აშშ-ის ხელისუფლების მიმართ მტრულად არის განწყობილი 62 პროცენტი.**

2011 წელს, პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის დამხობის შემდეგ, აშშ-სა და ეგვიპტეს შორის ურთიერთობა ძალიან გამწვავდა. 2011 წლის დეკემბერში ეგვიპტის სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა 17 არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისი გაჩხრიკეს, მათ შორის 3 ამერიკული ორგანიზაციის, რომლებიც უცხო ქვეყნებში სამართლიანი არჩევნების ჩატარებაზე მუშაობდნენ. აშშ-ის ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ ეს ჩხრეკა ეგვიპტეში დემოკრატიის ჩახშობის მიზნით ჩატარდა.

მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტის პოსტი ბარაკ ობამამ დაიკავა, ეგვიპტეში აშშ-ის მიმართ მტრული განწყობა გაიზარდა. ეგვიპტელები აშშ-ის ეკონომიკურ დახმარებაზე უარს ამბობენ და თვლიან, რომ აშშ მათ საშინაო საქმეებში ერევა.



## ირანი

**აშშ-ის ხელისუფლების მიმართ მტრულად არის განწყობილ 61 პროცენტი.**

1970-იანი წლების ბოლოს ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ აშშ-ს ამ ქვეყანაში არ აქვს დიპლომატიური წარმომადგენლობა. გარდა ამისა, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ამერიკელებს ურჩევს, თავი შეიკავონ ამ ქვეყანაში მოგზაურობისგან.

აშშ-სა და ირანს შორის ამჟამინდელი დაპირისპირების მთავარი თემა ირანის მიერ ატომური ენერგიის წარმოებაა. ამერიკელები ეჭვობენ, რომ ირანი ატომური იარაღის შექმნას ცდილობს, თუმცა, ამ ქვეყნის ხელისუფლების მტკიცებით, ატომურ ენერგიას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის იყენებენ.



## ერაყი

**აშშ-ის ხელისუფლების მიმართ მტრულად არის განწყობილი 60 პროცენტი.**

2003 წელს ამერიკელი ჯარისკაცები ერაყში შეიჭრნენ და სადამ ჰუსეინის რეჟიმი დაამხეს. ამ ქვეყანაში ამერიკელი სამხედროების ყოფნა 2011 წლამდე გაგრძელდა. ერაყელები ამერიკელებს კულტურის ძეგლებისა და ხელოვნების ნიმუშების ქურდობაში ადანაშაულებენ.

გარდა ამისა, „გელაპის“ მიერ გამოკითხული ერაყელების 42 პროცენტი ამბობს, რომ ქვეყანაში უსაფრთხოების დონე მხოლოდ ამერიკული სამხედრო შენაერთების გაყვანის შემდეგ გაიზარდა.



## საბერძნეთი

**აშშ-ის ხელისუფლების მიმართ მტრულად არის განწყობილი 57 პროცენტი.**

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, საბერძნეთის სახელმწფოს საგარეო ვალი ძალიან დიდია და ის ამ მხრივ მსოფლიოში მეორე ადგილზეა.

ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისში ბერძნები ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას, აგრეთვე, გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს ადანაშაულებენ.



## სერბეთი

**აშშ-ის ხელისუფლების მიმართ მტრულად არის განწყობილი 57 პროცენტი.**

სერბეთი ყოფილი იუგოსლავიის ფედერაციის ნაწილი იყო. 6 წლის წინათ, 2008 წელს, როდესაც კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, აშშ პირველი დიდი ქვეყანა იყო, რომელმაც ამ ტერიტორიის დამოუკიდებლობა ცნო. ამან ძალიან აღაშფოთა სერბები. პასუხად ამერიკელებმა თავიანთი ქვეყნიდან სერბეთის ელჩი გააძევეს. მას შემდეგ, აშშ-ის მცდელობის მიუხედავად, სერბეთში ანტიამერიკული განწყობა არ შემცირებულა.



**P.S. ჩამონათვალში იმ ქვეყნებისა, რომლებშიც აშშ-ის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულობა დიდია, არ არის საქართველო. „გელაპის“ ინსტიტუტსა და საერთაშორისო ცენტრ „მერიდიანს“, როგორც ჩანს, ჩვენთან ეს საკითხი არ გამოუკვლევიათ, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რაც ამერიკელების მიერ ხელდასხმულმა სააკაშვილმა საქართველოს დამართა, აგრეთვე, იმის გათვალისწინებითაც, რასაც ამჟამინდელი ხელისუფლება ქვეყანას უპირებს, როდესაც მედიის კონტროლსა და საქართველოს პატრიარქის კრიტიკაზე ლაპარაკობს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რა დამოკიდებულება ექნება საქართველოს მოსახლეობას იმ ქვეყნის მიმართ, რომელსაც სურს, ყველა სახელმწიფოს ხელისუფლება მარიონეტად ჰყავდეს.**



## მდიდრებსა და ღატაკებს შორის უფსკრული ღრმავდება

**დედამიწის ყველაზე ღარიბი მოსახლეობის, ანუ დაახლოებით 3,6 მლრდ ადამიანის ქონება 1,7 ტრილიონ დოლარს შეადგენს, ამდენივეა პლანეტის ყველაზე მდიდარი 85 ადამიანის ხელში, — ასეთია საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია Oxfam-ის კვლევის შედეგები.** ექსპერტთა გათვლების მიხედვით, მსოფლიოში არსებული ფულის თითქმის ნახევარი (46 პროცენტი, ანუ 110 ტრილიონი) მოსახლეობის მხოლოდ 1 პროცენტის კუთვნილებაა. Oxfam-ის სპეციალისტები, რომლებიც 90 ქვეყანაში მუშაობენ, გვაფრთხილებენ: თუ ვითარება არ გამოსწორდება, სოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობას იმ ქვეყნებისა, რომლებშიც უთანასწორობის დონე მაღალია, საფრთხე დაემუქრება. ექსპერტები ამ პრობლემის გადაწყვეტას სამართლიან დაბეგვრაში, საწარმოებისა და ორგანიზაციების რიგითი თანამშრომლებისთვის ანაზღაურების მომატებაში ხედავენ.

ცნობისათვის
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# Fuch the EU, ანუ «თოჯინები მაიდანიდან»

**ინტერნეტში („YouTube“) გამოქვეყნებულმა სატელეფონო საუბარმა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულანდსა და უკრაინაში აშშ-ის ელჩ ჯეფრი ჰაიეტს შორის საჯარო გახადა აშშ-ის დამოკიდებულება უკრაინაში მიმდინარე პროცესებისა და ევროკავშირისადმი.**

ამერიკელი დიპლომატები უკრაინის მთავრობის დაკომპლექტებაზე, ამ ქვეყანაში შექმნილ კრიზისზე, მათი მოგვარების გზებსა და ამ პროცესში ევროპის როლზე საუბრობენ. აუდიოჩანაწერში ნულანდი ეუბნება აშშ-ის ელჩ ჯეფრი ჰაიეტს, რომ აუცილებელი არ არის, ვიტალი კლიჩკო — კრივში მსოფლიო ჩემპიონი — იყოს მთავრობაში. ვიქტორია ნულანდი ევროკავშირის ქმედებებს კრიტიკულად აფასებს და მას უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებს: **„Fuck the EU!“**



ვიქტორია ნულანდი

მიუხედავად იმისა, რომ ვიქტორია ნულანდმა ევროკავშირის ხელმძღვანელობას ოფიციალურად მოუბოდიშა, მის განცხადებას გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა „აბსოლუტურად მიუღებელი“ უწოდა.

ექსპერტთა აზრით, ნულანდისა და უკრაინაში აშშ-ის ელჩის სატელეფონო საუბრით კიდევ უფრო მტკიცდება თვალსაზრისი, რომ უკრაინის ოპოზიციას მანიპულირებას უწევს ვაშინგტონი, გარდა ამისა, აშშ-ის მტკიცება, რომ რუსეთმა ხელი შეუწყო ამ სატელეფონო საუბრის გასაჯაროებას, კიდევ უფრო დაძაბავს ისედაც მწვავე ურთიერთობას მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის.

ამერიკელ მაღალჩინოსნებს, რომლებმაც უარი განაცხადეს აუდიოჩანაწერის შინაარსის კომენტირებაზე, აუდიოჩანაწერის ავთენტურობა არ უარუყვიათ.

YouTube-ზე ატვირთული აუდიოჩანაწერი მოწმობს, რომ უკრაინის მიმართ აშშ-ისა და ევროკავშირის თვალსაზრისს შორის დიდი განსხვავებაა — აშშ ცდილობს, მარიონეტი მთავრობა დაასვას თავზე უკრაინელ ხალხს. სწორედ ამიტომ დაარქვეს ამ ვიდეოჩანაწერს Puppets of Maidan, ანუ „თოჯინები მაიდანიდან“.



# გუბერნატორის მცველი ქურდობისთვის დააკავეს

**35 წლის უილიამ კარვონიუსი ქალაქ ჰამბურგის (პენსილვანიის შტატი) სამონადირეო და სასპორტო ნივთების მაღაზია Cabela's-ში შევიდა და თაროებიდან ჩამოღებული ნივთებით სავაჭრო კალათა პირთამდე გაავსო, ხოლო, რაც იქ არ ჩაეტია, ჯიბეებში ჩაიწყო.**

ამასთან, ზოგ ნივთს, რომელთა საფასურის გადახდასაც შეეცადა, სხვა, უფრო დაბალფასიანი იარლიყი მიაწება. კარვონიუსი შეეცადა, მაღაზიიდან გაეტანა პისტოლეტის სახელურები, მჭიდი და ქუდი, სულ 268 დოლარის ღირებულების საქონელი, მაგრამ მას სათვალთვალო კამერით უყურებდნენ და მაღაზიიდან გასვლისას დააკავეს. კარვონიუსმა პოლიციელებს განუცხადა, რომ ნიუ-ჯერსის შტატის გუბერნატორ კრის კრისტისთან მუშაობს და მოითხოვა, რომ გაეშვათ, მაგრამ ბრალი მაინც წაუყენეს და სამსახურიდანაც გაათავისუფლეს.

აღსანიშნავია, რომ კარვონიუსის ბოსი, გუბერნატორი კრის კრისტი ამჟამად ფიგურანტია სკანდალური საქმისა, რომელსაც Bridgegate შეარქვეს — 2013 წლის შემოდგომაზე გადაკეტეს ქალაქ ფორტ ლიში მიმავალი შოსე. მომხდარში კი შტატის გუბერნატორი დაადანაშაულეს — ამ ქალაქის მერმა არჩევნებში მხარი არ დაუჭირა და ამის გამო შური იძიაო. გარდა ამისა, ქალაქ ჰობოკენის მერი გუბერნატორს მოქრთამვის მცდელობაში ადანაშაულებს.

**მერი ამტკიცებს, რომ კრის კრისტის წარმომადგენლები მას, დიდი თანხის სანაცვლოდ, დეველოპერული კომპანია Rocrfeller Group-ის მხარდაჭერას სთავაზობდნენ.**

აშშ-ის საელჩოს ყოფილი თანამშრომელი:

# ივანიშვილს სააკაშვილის რეჟიმის ოპოზიციონერის როლი უნდა შეესრულებინა



**ინტერნეტში (YOUTUBE.COM) გავრცელდა რუსეთში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ყოფილი თანამშრომლის — პატრიკ დაუნის ვიდეოინტერვიუ, რომელშიც ის ამბობს:**

**„აშშ-ში ძალაუფლების სამი შტოა და ისინი რუსეთის განადგურებას გეგმავენ. ჩვენს ქვეყანას დიდი დანაშაულებრივი სინდიკატის წევრი ბანკები მართავენ. ყველაფერი, რაც მათ საქმიანობას ეხება, გასაიდუმლოებულია. არ არის თავისუფალი მასმედია, ირღვევა ადამიანის უფლებები, ყვავის კორუფცია და შპიონაჟი. რუსეთი უდიდესი ქვეყანაა დიდი მომავლით. არ მესმის, რატომ ხედავს ამერიკა მასში მტერს. მე აქ ძალიან მომწონს“.** სამშობლოს მიმართ პატრიკ დაუნის ასეთ დამოკიდებულებას დიდი იმედგაცრუება უძღვოდა. ამერიკის შეერთებული შტატების კულუარულ თამაშებში პატრიკი მოსკოვში აშშ-ის საელჩოში გაერკვა, სადაც ის რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა. საელჩოში მიღებულმა გამოცდილებამ მას თეთრი სახლის რეალურ დიპლომატიურ საქმიანობაზე აუხილა თვალი. პატრიკ დაუნი წამოვიდა საელჩოდან და სცადა, პოლიტიკას გასცლოდა. იგი ქართველ ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილთან მოეწყო კერძო მასწავლებლად. თუმცა, როგორც პატრიკი ამბობს, აშშ-ის დაზვერვას ვერც იქ დააღწია თავი. თბილისში ყოფნისას პატრიკს ხელთ ჩაუვარდა ივანიშვილის ანტირუსული მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ ივანიშვილს სააკაშვილის რეჟიმის ოპოზიციონერის როლი უნდა შეესრულებინა.

**„აი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დოკუმენტი. აშშ ამ ბანკის აქციათა 60 %-ის მფლობელია. დოკუმენტიდან ჩანს, რომ ივანიშვილის „ქართუ“ ბანკში 12 მილიონი დოლარი გადაირიცხა სტრუქტურების განვითარების მიზნით. შემდეგ მოდის ივანიშვილის პიროვნული დახასიათება. ეს არის 2007 წლის დოკუმენტი“,** — ამბობს პატრიკ დაუნი.

როგორც კი პატრიკმა ამ დოკუმენტაციის გარშემო შეკითხვების დასმა დაიწყო, საქართველოდან გაქცევა მოუწია. ის სიმართლის გარკვევას შეეცადა სამშობლოში, აშშ-ში, რომლის დემოკრატიულობისა ჯერ კიდევ სჯეროდა, მაგრამ ეს თემა მისთვის ტაბუდადებული აღმოჩნდა. ამერიკაში მას ადამიანი-პრობლემა შეარქვეს. სცადეს მისი მოწამვლა, შეშინება, გააძევეს ქვეყნიდან, ბოლოს მან თავი რუსეთს შეაფარა.

# CNN-მა მოიბოდიშა



**ამერიკული ტელეარხის — CNN-ის ხელმძღვანელობამ თავის ვებგვერდზე განახლებული მასალა გამოაქვეყნა სარეიტინგო სიის „მსოფლიოში ყველაზე მახინჯი მონუმენტების“ შესახებ:**

„ჩვენ გვესმის, რომ ამ სიაში „ბრესტის ციხესიმაგრის“ ჩართვამ აღშფოთება გამოიწვია ბელარუსსა და რუსეთში. ეს წინასწარგანზრახვით არ მომხდარა და ჩვენ გულწრფელად ვიხდით ბოდიშს.

**CNN აღიარებს, რომ ეს ძეგლი წმინდათაწმინდაა ბევრი ადამიანისთვის და ჯარისკაცების გმირობის უკვდავსაყოფად დაიდგა.**

შეგახსენებთ, რომ CNN-მა მსოფლიოს ყველაზე მახინჯი ძეგლების სიაში „ბრესტის ციხესიმაგრის“ მემორიალური კომპლექსი შეიტანა. ამერიკელი ჟურნალისტები „ფოტოსიმამაცეზე“ წერდნენ, რომ „სიმამაცე ამ მონუმენტის შეხედვისთვის არის საჭირო“. მათი აზრით, გმირის სახის გამომეტყველება ბოლმის ან ნაწლავების პრობლემის სიმბოლოა. ყოფილი სსრკ-ის ბევრ ქვეყანაში სოციალური ქსელების მომხმარებლებმა CNN-ის ეს რეიტინგი შეურაცხყოფად და გრძნობების შებილწვად აღიქვეს.

**ბრესტის ციხესიმაგრის დაცვისას, რომელიც თითქმის ერთ თვეს გრძელდებოდა, 4 ათასი ადამიანი დაიღუპა.**

**P.S.** რუსულ ტელეარხ „დოჟდის“ გადაცემების ტრანსლირებაზე უარი თქვეს რუსეთის უმსხვილესმა ოპერატორებმა.

**ტელეარხმა ლენინგრადის ფაშისტური ბლოკადიდან გათავისუფლების 70 წლისთავზე ჩაატარა ასეთი შინაარსის გამოკითხვა — ღირდა თუ არა ლენინგრადის გერმანელებისთვის ჩაბარება და ამით ასი ათასობით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა? ამ გამოკითხვამ ისეთი აღშფოთება გამოიწვია, რომ რუსეთის საკანონმდებლო ორგანომ პროკურატურას საქმის შესწავლისა და „დოჟდის“ ხელმძღვანელობის პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა ეროვნული სიწმინდეების შებღალვისთვის.**

**საქართველოში კი, უკვე წლებია, ანტიქართული პროპაგანდა მიმდინარეობს, ებრძვიან ქართულ სიწმინდეებს, კულტურის ძეგლებს, მართლმადიდებლობას, მაგრამ ამის გამო პასუხი არავისთვის მოგვითხოვია.**

# მასწავლებელი ქალი მოსწავლე გოგონებს რყვნიდა

**კალათბურთელთა ყოფილი მწვრთნელი ანდრეა კარდოსა ორ მოსწავლე გოგონას მასთან ინტიმურ კავშირს აიძულებდა. იმ მომენტში ერთ-ერთი გოგონა 12 წლისა იყო.**

40 წლის ქალი, რომელიც გასულ კვირას დააპატიმრეს ქალაქ პერისში (აშშ), მცირეწლოვნებზე სექსუალური ძალადობის 5 ეპიზოდში დაადანაშაულეს. მწვრთნელმა, როგორც სამართალდამცველები ამბობენ, სექსუალური ძალადობა 1997-2001 და 2009-2010 წლებში ჩაიდინა.

ანდრეა კარდოსა რივერსაიდის ოლქის სკოლის საკალათბურთო გუნდის მწვრთნელი იყო. ქალი გოგონებს რომ რყვნიდა, ცნობილი გახდა YouTube-ზე გამოქვეყნებულ ვიდეოთი, რომელიც ჯეიმი კარილიომ, ერთ-ერთმა მსხვერპლმა, ატვირთა. კარილიომ, რომელიც ახლა 28 წლისაა, განაცხადა, რომ 12 წლის იყო, როდესაც მასზე ძალადობა დაიწყო და ამის გამო ბავშვობა დაენგრა.



მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის ჩადენიდან 16 წელი გავიდა, კარდოსას მაინც მოუწევს პასუხისგება ჩადენილის გამო. გარდა ამისა, მეორე მსხვერპლის მიმართ ჩადენილ დანაშაულს ხანდაზმულობის ვადა არ გასვლია.

**მკაცრი საკანონმდებლო ზომების მიუხედავად, ამერიკის სკოლებში რეგულარულად ხდება ბავშვებზე სექსუალური ძალადობა. „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში (№4, 5-11 თებერვალი, 2014 წ.) ვწერდით მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ უეიმუტში ატეხილი სკანდალის შესახებ — ამ ქალაქის სკოლის თანამშრომელმა ქალმა 15 წლის ბიჭთან დაამყარა სექსუალური კავშირი.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2007 წელს ამერიკამ თითქმის მილიარდ-ნახევარი დოლარი გამოყო სამი წლის მანძილზე მექსიკური ნარკოკარტელების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ უკვე 2008 წელს მექსიკაში ჰეროინის წარმოების მოცულობა ორჯერ და მეტად გაიზარდა — 17-დან 38 ტონამდე. ამან აშშ-ში ჰეროინზე ფასის ვარდნა განაპირობა. შესაბამისად, გაიზარდა დოზის გადაჭარბების გამო სიკვდილიანობის მაჩვენებელი.**



# აშშ-ის ხელისუფლება, როგორც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის მფარველი



**2014 წელი ამერიკისთვის გრანდიოზული სკანდალით დაიწყო. ჟურნალისტებმა გამოაქვეყნეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთი ქვეგანყოფილება — ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სააგენტო (Drug Enforcement Administration, DEA) — აქტიურად თანამშრომლობდა უმსხვილეს მექსიკურ ნარკოკარტელებთან.**



მექსიკურმა გამოცემა El Universal-მა გამოაქვეყნა ჟურნალისტური გამოძიების შედეგები, რომლებიც ადასტურებს, რომ ამერიკის სახელისუფლო სააგენტოს მჭიდრო საქმიანი კავშირები ჰქონდა უმსხვილეს ნარკოკარტელ სინალოასთან, იმავე წყნარი ოკეანის კარტელთან.

**მხოლოდ 1990-2009 წლებში სინალოამ, ამერიკის ანტინარკოტიკულ უწყებასთან შეთანხმებით, აშშ-სა და კანადაში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე განახორციელა 200 ტონა კოკაინის იმპორტი და ამით 5,8 მილიარდი დოლარი გამოიმუშავა.** ამ დაჯგუფების წილი შეადგენდა აშშ-ში შეტანილი მთელი ნარკოტიკული ნივთიერებების ტრაფიკის დაახლოებით მეოთხედს.

მადლობის ნიშნად სააგენტომ მექსიკელებისგან მათი კონკურენტი ნარკოკარტელების შესახებ ზღვა ინფორმაცია მიიღო. საერთოდ აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო ფართოდ იყენებდა „დაყავი და იბატონე“-ს პოლიტიკას „ნარკოტიკების წინააღმდეგ საბრძოლველად“. თუმცა მისი საბოლოო მიზანი იყო არა ქვეყანაში ნარკოტიკული ნივთიერებების მოხვედრის აღკვეთა, არამედ ნარკოტრაფიკზე კონტროლის დაწესება. ამასთან, **იუსტიციის სამინისტროს საერთოდ არ ადარდებდა, რომ მექსიკიდან აშშ-ში ნარკოტიკების ტრაფიკი არ მცირდებოდა, ამერიკა-მექსიკის საზღვრის ორივე მხარეს კი ათასობით ადამიანი იხოცებოდა.**

კარტელ სინალოას ლიდერი ხოაკინ „ელ ჩაპო“ გუსმანი ნარკოვაჭრობის სამყაროში ყველაზე გავლენიან ადამიანად ითვლება. ფორბსის რეიტინგის მიხედვით, იგი 2009 წლიდან მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების სიაში შედის და მისი ქონება მილიარდ დოლარადაა შეფასებული. **არა ერთხელ გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ელ ჩაპო დაკავშირებულია აშშ-ის ოფიციალურ პირებთან, მაგრამ მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი, თუ რამდენად მაღალი დონის კავშირებზეა საუბარი და რომ საქმე ეხება არა ცალკეული ჩინოვნიკებისთვის ქრთამის მიცემას, არამედ სამთავრობო სააგენტოსთან ურთიერთსასარგებლო გარიგებას.**

**ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სააგენტოს ოფიცრები მონაწილეობდნენ სინალოას ლიდერებთან 50-ზე მეტ შეხვედრაში. ნაროკარტელის მეთაურებს DEA-მ დერეფანი გაუხსნა ამერიკულ-მექსიკურ საზღვარზე და იურიდიული იმუნიტეტი მიანიჭა აშშ-ის ტერიტორიაზე.**

აშშ-ის სახელისუფლო სტრუქტურებსა და ნაროკარტელს შორის ურთიერთობაში გადამწყვეტი 2006 წელი გახდა.

ამ დრომდე სინალოა მრავალთა შორის ერთ-ერთი მოთამაშე იყო ნარკოვაჭრობის ბაზარზე. მიუხედავად ამისა, სამართალდამცავი ორგანოებისა და დამნაშავეობრივი დაჯგუფების ურთიერთობა იმდენად მჭიდრო და ურთიერთმომგებიანი გახდა, რომ მათ გადაწყვიტეს, ბაზრიდან სრულად განედევნათ კონკურენტები — სხვა ნარკოკარტელები.

ამ დრომდე ნარკომაფიოზურ კლანებს შორის გაჩაღებული გარჩევები პრაქტიკულად არ აისახებოდა მექსიკის უბრალო მოქალაქეების ცხოვრებაზე. ნარკოკარტელები ამერიკის ყოველდღიური რეალობა იყო. რელიგიურ მექსიკაში ნარკოკარტელებს საკუთარი „წმიდა მფარველებიც“ კი გაუჩნდათ — იესო მალვერდე (მისი მთავარი ტაძარი, სხვათა შორის, შტატის სინალოას დედაქალაქში დგას) და სანტა მუერტე. **2006 წლიდან აშშ-ში ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სააგენტოს ლოცვა-კურთხევით მექსიკაში ნარკობანდებს შორის ნამდვილი ხოცვა-ჟლეტა დაიწყო. შედეგად ელ ჩაპოს ხალხმა გაიმარჯვა: სინალოა ნარკოვაჭრობის „ელიტის“ წევრი გახდა.**

ამასთან, „წყნარი ოკეანის კარტელს“ იარაღსაც აშშ აწვდიდა. მას ყიდულობდნენ ნარკოტიკებით უპრობლემო ვაჭრობის შედეგად მიღებული კარტელის უზარმაზარი შემოსავლებიდან გამოყოფილი ფულით. იარაღს ამერიკული სპეცსამსახურები აწვდიდნენ, რაც დაადასტურა კიდეც სინალოას ერთ-ერთმა ლიდერმა ზამბადა-ნიებლამ, რომელიც პირადად მოელაპარაკა ამ სქემით იარაღის შეძენის თობაზე ფედერალურ ▶

# გაბოროტებული ამერიკა



**ადამიანები სულ უფრო გაღიზიანებულნი და გაბრაზებულნი ხდებიან. ეს ყველგან შეიმჩნევა: სახლებში, სკოლებში, სამსახურებში, სატელევიზიო შოუებში, ფილმებში და, რაღა თქმა უნდა, პოლიტიკურ ტრიბუნებზე. მრავალი ფსიქოლოგი და სოციოლოგი დარწმუნებულია, რომ ამერიკა „მრისხანების ეპიდემიას“ განიცდის, რაც მის ისტორიაში პირველი არ არის, მაგრამ ერთ-ერთი უმწვავესია. ამას მთელი რიგი კვლევებისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები ადასტურებს.**



ერი გახლეჩილია მდიდრებად და ღარიბებად, მემარჯვენეებად და მემარცხენეებად და ეკონომიკური კრიზისის ყოველი ახალი წელი მხოლოდ აღრმავებს განხეთქილებას. ადამიანები ახლა უფრო მეტს მუშაობენ, ვიდრე ოდესმე, ამერიკელები უფრო ნაკლებ შვებულებებს იღებენ, ვიდრე ოდესმე, მაგრამ ოჯახების საშუალო შემოსავალი კლებას განაგრძობს. **ამერიკელები აბსოლუტურად ყველაფრით უკმაყოფილონი არიან: პირადი ცხოვრებით, სამსახურით, მეზობლებით, პოლიტიკოსებით...**

ყველა თანხმდება იმ აზრზე, რომ „ასე გაგრძელება აღარ შეიძლება“, მაგრამ ვერ თანხმდებიან იმაზე, თუ როგორ არის საჭირო და სასურველი გაგრძელება.

ყველა გრძნობს, რომ ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანება, მაგრამ ადამიანებს აბსოლუტურად განსხვავებული აზრი აქვთ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა ამოათრიონ ის ამ უფსკრულიდან. და თუ არ არსებობს პასუხი კითხვაზე „რა ვქნათ“, კითხვასთან „ვინაა დამნაშავე“ დაკავშირებით ყველაფერი გაცილებით უფრო რთულადაა.

**ამერიკაში ურთიერთბრალდებები უკვე სპორტის ნაციონალურ სახეობად იქცა.**

სხვადასხვა კვლევის შედეგად დადგინდა უამრავი ფაქტი, რომელთაგან თითოეული ადასტურებს, რომ საზოგადოებაში დაძაბულობა მატულობს.

საკუთარ თავს „დემოკრატად“ მიიჩნევს ამერიკელთა 31%, უფრო ნაკლები, ვიდრე ოდესმე.

საკუთარ თავს „რესპუბლიკელად“ მიიჩნევს ამერიკელთა 25%, უფრო ნაკლები, ვიდრე ოდესმე.

საკუთარ თავს „დამოუკიდებლად“ მიიჩნევს ამერიკელთა 42%, უფრო მეტი, ვიდრე ოდესმე.

**ამერიკელთა 65% უკმაყოფილოა ამერიკის სახელმწიფოებრივი სახელისუფლო სისტემითა და მისი ეფექტურობით. ეს უკმაყოფილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, რაც კი სააგენტო Gallup-ს ოდესმე დაუფიქსირებია.**

გამოკითხულთა 66% უკმაყოფილოა ბიუროკრატიული აპარატის მოცულობით და ფედერალური ხელისუფლების ძლევამოსილებით.

70% არ არის დარწმუნებული, რომ ხელისუფლება პროგრესს მიაღწევს იმ მნიშვნელოვან საკითხებთან და პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც 2014 წლისთვის დგას ქვეყნის წინაშე.

65% რაღაც დოზით ძალიან უკმაყოფილოა ქვეყნის ხელმძღვანელობით. **აშშ-ის კონგრესს მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტი უცხადებს ნდობას.**

მხოლოდ 8% მიიჩნევს, რომ კონგრესი თავის სამუშაოს „კარგად“ ან „შესანიშნავად“ ართმევს თავს.

მხოლოდ 4% მიიჩნევს, რომ კონგრესი უარესად იმუშავებს, თუ მისი შემადგენლობა სრულად შეიცვლება მომდევნო არჩევნების შედეგად.

53% მიიჩნევს, რომ ობამას ადმინისტრაცია არაკომპეტენტურია მართვის საქმეში.

**73% მიიჩნევს, რომ ობამას მცდელობა ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს რეფორმირებასთან დაკავშირებით დიდად არ წაადგება ადამიანთა პირადი ცხოვრების დაცვის საქმეს.**

**მოსახლეობის ნახევარი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი შეგნებულად ატყუებდა ხალხს, რათა ჯანდაცვის საკუთარი რეფორმა გაეტანა.**

40%-ზე ნაკლები აფასებს ობამას მუშაობას დადებითად. იმ ეკონომიკურ ცვლილებებს, რომელთაც ობამა ახორციელებს, მოსახლეობის მხოლოდ 38% ამართლებს. ▶




**„შიდა კრიზისების სერიამ, შესაძლოა, ფართომასშტაბიანი სამოქალაქო არეულობების პროვოცირება განაპიროზოს, ეს კი აშშ-ის პოლიტიკური სისტემის კოლაფსამდე, მართლწესრიგის განადგურებამდე, წინააღმდეგობისა და ამბოხის მიზანმიმართულ აქციებამდე მიგვიყვანს“.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ პროკურატურას. ძირითადად, ამ „სპეცოპერაციების“ შედეგად მხოლოდ 2006-დან 2013 წლამდე პერიოდში ნარკოვაჭრობასთან დაკავშირებული გარჩევებისას 60 ათასი ადამიანი დაიღუპა.

კიდევ რამდენიმე მაჩვენებელი ასეთია: **2007 წელს ამერიკამ თითქმის მილიარდ-ნახევარი დოლარი გამოყო სამი წლის მანძილზე მექსიკური ნარკოკარტელების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ უკვე 2008 წელს მექსიკაში ჰეროინის წარმოების მოცულობა ორჯერ და მეტად გაიზარდა — 17-დან 38 ტონამდე. ამან აშშ-ში ჰეროინზე ფასის ვარდნა განაპირობა. შესაბამისად, გაიზარდა დოზის გადაჭარბების გამო სიკვდილიანობის მაჩვენებელი. ამასთან, მექსიკურ არტელებს აშშ-ში ნარკოტიკებით ვაჭრობა წელიწადში 40 მილიარდ დოლარს აძლევს.**

უნდა აღინიშნოს, რომ გამოცემა El Universal-ის ინფორმაცია ცალსახად შეესაბამება სინამდვილეს: მთელი წლის განმავლობაში გამოცემის თანამშრომლები აგროვებდნენ მტკიცებულებებს, მათ შორის ოფიციალურ დოკუმენტებს როგორც მექსიკაში, ასევე აშშ-ში, როგორც მოქმედი, ასევე ყოფილი აგენტებისა და პოლიციელების ჩვენებებს ორივე მხარეს, დაპატიმრებული ნარკოკურიერებისა და მათი ოჯახის წევრების ჩვენებებს. პუბლიკაციის ყოველი სიტყვა დოკუმენტურადაა დასაბუთებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამერიკის ხელისუფლება ამ სკანდალს იოლად ვერ ჩაფარცხავს...

fbii.org

◀ **ამერიკელები იტალიელებზე ხშირად გრძნობენ, რომ პოლიტიკა, ბიზნესი და მასმედია ზემოდან ქვემოთაა კორუფციით გამსჭვალული.**

ამერიკელთა 60% მიიჩნევს, რომ ამ ქვეყნის ეკონომიკური სისტემა მდიდრებს არასამართლიან უპირატესობას ანიჭებს.

77% ნაციონალური ეკონომიკის მდგომარეობას ახასიათებს როგორც „კარგი“ ან „ცუდი“.

70% უკმაყოფილოა იმ სამსახურით, სადაც მუშაობს.

ამერიკელთა 60% იტყობინება, რომ მუდმივად განიცდის სიბრაზეს ან გაღიზიანებას. ორი წლის წინ ეს მაჩვენებელი 50%-ს არ აღემატებოდა.

**ამერიკელთა ორი მესამედი მიიჩნევს, რომ არავის ნდობა არ შეიძლება. 40 წლის წინ იმავე პოზიციას ქვეყნის ნახევარი იზიარებდა.**

ამერიკელი მოზარდების ორი მესამედი აღიარებს, რომ მრისხანება განიცადა ქონების განადგურებასთან, ძალადობის გამოყენებასთან ან ამ ყველაფრით მუქარასთან დაკავშირებით.

**თამაში „ნოკაუტი“, რომელსაც სხვაგვარად „გათიშე თეთრკანიანი“ ჰქვია, სულ უფრო პოპულარული ხდება ამერიკის ფერადკანიან მოზარდების წრეში.**

forum.polismi.org

# პენტაგონი ამერიკელებთან ომისთვის მზადაა




**რამდენიმე წელი პენტაგონი თეთრი სახლისგან ითხოვდა სანქციას ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემებით განპირობებული სამოქალაქო საპროტესტო აქციების ჩასახშობად არმიის გამოყენებისთვის. ბოლოს და ბოლოს, გენერლებმა მიიღეს ის, რაც სურდათ.**

**„მომავალი ეკოლოგიური ნგრევები, რომლებიც განპირობებული იქნება ადამიანის აქტივობის ან ბუნებრივი მეგაკატასტროფების შედეგად, აშშ-ში ისეთი მასშტაბის პრობლემებად იქცევა, რომ, შესაძლოა, დაძლეულ იქნას ადგილობრივი ხელისუფლების ანტიკრიზისული პოტენციალი,** — აცხადებდნენ აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სტრატეგები ჯერ კიდევ 2006 წელს. — **ამრიგად, სიტუაციაზე კონტროლის შესანარჩუნებლად საჭირო გახდება შეიარაღებული ძალების მონაწილეობა“.**

ორი წლის შემდეგ აშშ-ის არმიის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის (SSI) ექსპერტები კიდევ უკეთ ჩამოყალიბდნენ. **„შიდა კრიზისების სერიამ, შესაძლოა, ფართომასშტაბიანი სამოქალაქო არეულობების პროვოცირება განაპიროზოს, ეს კი აშშ-ის პოლიტიკური სისტემის კოლაფსამდე, მართლწესრიგის განადგურებამდე, წინააღმდეგობისა და ამბოხის მიზანმიმართულ აქციებამდე მიგვიყვანს“.**

დოკუმენტის ავტორები ირწმუნებიან, რომ ამგვარი სცენარის პირობებში პენტაგონი იძულებული გახდება, თავისი ფართო შესაძლებლობები სამოქალაქო ხელისუფლების განკარგულებაში გასცეს, რათა სიმშვიდის დამრღვევებს სათანადო წინააღმდეგობა გაუწიოს. **განსაკუთრებით ექსტრემალურ სიტუაციებში ეს შესაძლოა მოიცავდეს საჯარისო შენაერთების გამოყენებას უშუალოდ მტრული ჯგუფების წინააღმდეგ აშშ-ის ფარგლებში.** გარდა ამისა, **თავდაცვის სამინისტროს შეუძლია უზრუნველყოს მართვის სისტემის ფუნქციონირების უწყვეტობა საერთოეროვნული სამოქალაქო კონფლიქტის დროს მრავალი ურთიერთდაპირისპირებული მხარის გათვალისწინებით.**

ვინც ოდნავ მაინც იცნობს ამერიკის კონსტიტუციას, უკანასკნელ წინადადებაში ზედმეტი ძალისხმევის გარეშე შენიშნავს მცნებების ჩანაცვლებას, სამხედრო დიქტატურისკენ გადადგმულ ნაბიჯს, უკეთეს შემთხვევაში კი „ეგვიპტურ ვარიანტს“, რომლის დროსაც ხელისუფლება პირდაპირ ინიშნება და იხსნება უმაღლესი გენერალიტეტის მიერ.

საინტერესოა, რომ იმავე ანგარიშში SSI-ის ექსპერტები, ზუსტად ისევე, როგორც აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სტრატეგები, განსაკუთრებული დაჟინებით იხსენიებენ ეკოლოგიური კატასტროფებით განპირობებულ განსაკუთრებულ ავარიულ სიტუაციებს. **ამერიკული ელიტის წინაშე მდგარ საფრთხეებს შორის კი, აშშ-ის შეიარაღებული ძალების მოდერნიზების სტრატეგიის შესაბამისად, უმთავრეს ადგილზეა რადიკალურად ანტისახელისუფლო იდეოლოგიის ორგანიზაციები.**

გასაკვირი არაა, რომ 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის საპასუხოდ პენტაგონი ნელ-ნელა შეუდგა იმ 20-ათასიანი სამხედრო შენაერთის ფორმირებას, რომელიც მუდამ მზად იქნება შიდა კატასტროფებისა და სამოქალაქო არეულობების შემთხვევისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ში პოლიციისა და არმიის ფუნქციები მკაცრადაა გამიჯნული — ბოლო დრომდე სამხედრო ნაწილებს, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე არიან განლაგებულნი, უფლება არ ჰქონდათ, მონაწილეობა მიეღოთ ნებისმიერ პოლიციურ ოპერაციაში.

სწორედ ამის გამო უფლებადამცველებმა უმალ განგაშის ზარებს შემოკრეს. **შიდა საავარიო მზადება, შესაძლოა, საპრეზიდენტო უფლებამოსილების გაფართოების, სამხედროების ძალაუფლების ზრდის და შიდა კონტროლის მატების პირველი მაგალითი იყოს.**

**ეს სხვა არაფერია, თუ არა ნაციონალური უსაფრთხოებით შენიღბული მცოცავი მილიტარიზაცია.**

ვაშინგტონს კი ხალხის ხმა არ ესმოდა და სამხედრო წრეები საკუთარი გზით განაგრძობდნენ სვლას. 2009 წელს RAND Corporation-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა სამხედროების შფოთვა. პატივსაცემი არაკომერციული ცენტრის ექსპერტებმა მხარი დაუჭირეს სამოქალაქო არეულობების ჩასახშობად არმიის სპეციალური ნაწილების შექმნის იდეას.

**2010 წელს შიშს ამძაფრებდნენ უკვე აშშ-ის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის ანალიტიკოსები. ახალი კვლევა მოიცავდა სამომავლო ტენდენციებისა და პოტენციური გლობალური საფრთხეების საბოლოო ხედვას, პირველ რიგში მოიაზრებოდა კლიმატის ცვლა, რაც შიდა არეულობების რისკს ზრდიდა.**

იმავე წელს აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ოთხწლიან ანგარიშში კვლავ გაუსვეს ხაზი, რომ, სამხედრო წრეების აზრით, კლიმატის შეცვლა, ენერგეტიკული უსაფრთხოება და ეკონომიკური სტაბილურობა განუყოფლადაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

იმავე წელს პენტაგონმა სამხედრო თამაშები ჩაატარა იმ მიზნით, რომ გაეთვალა აშშ-ში ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრახის შედეგები, რომლებიც ზეგავლენას მოახდენდა სურსათის მიწოდებასა და სხვა აუცილებელ მომსახურებაზე. ამასთან, პასუხი გაეცა კითხვაზე, თუ როგორ უნდა აღუდგნენ წინ სამოქალაქო არეულობებს. მომდევნო თამაშები მსგავსი სცენარით იმართებოდა.

2011 წლის სამხედრო თამაშები კვლავ აგებული იყო აშშ-ში ჰიპოთეზური კრიზისის რეალურ სცენარებზე. მათ შორის იყო სერიოზული სტიქიური უბედურების შედეგად გაჩენილი კრიზისის სცენარიც.

რაც უნდა უცნაური იყოს, **სახელმწიფოში, სადაც მოსახლეობის ხელშია დაახლოებით 300 მილიონი ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, პოლიცია კი აშკარად ვერ ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, პენტაგონმა უმთავრეს მტრებად ეკოლოგები გამოაცხადა.** და **სამხედროების „საგანგებო უფლებამოსილებები“ გამოყენებულ უნდა იქნეს, პირველ რიგში, იმ ამერიკელების წინააღმდეგ, რომლებიც მავნე გამონაბოლქვზე ლაპარაკობენ და ფიქლური გაზის მოპოვების წინააღმდეგნი არიან.**

2013 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნდა აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სამინისტროს დოკუმენტები, რომელთაგანაც ჩანს, რომ ქვეყნის ყველა ძალოვანი სტრუქტურა და უმსხვილესი დამსაქმებლები აღშფოთებულნი არიან საპროტესტო ეკოლოგიური მოძრაობის წევრების გამოვლინებით. **იმ კორპორაციებს შორის, რომლებიც ეკოლოგიური უსაფრთხოების აქტივისტების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად საიდუმლო მეთოდებს იყენებენ, აღმოჩნდა MCDONALDS, NESTLE, SHELL...**

გასულ წელს თეთრმა სახლმა ბოლოს და ბოლოს ნება დართო პენტაგონს, ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები კოდექსში, რომლის სახელწოდებაა „სამოქალაქო სამართალდამცავი ორგანოების დაცვის მხარდაჭერა“. **ამერიკის არმიამ მიიღო უფლებამოსილება, რომელიც საკმარისია „საგანგებო სიტუაციების“ ან „სამოქალაქო არეულობების“ დროს საქმეში ჩარევისთვის.**

**ახლა ფედერალურ სამხედრო მეთაურობას უფლება აქვს, იმ საგანგებო სიტუაციების დროს, როდესაც პრეზიდენტის მხრიდან წინასწარი ნებართვის მიღება შეუძლებელია, ადგილობრივი ხელისუფლება კი ვერ ახერხებს სიტუაციის სათანადოდ გაკონტროლებას, დაკავდნენ დროებითი ქმედებებით, რომლებიც საჭიროა მასშტაბური, მოულოდნელი სამოქალაქო არეულობების ჩასახშობად.**

იურისტების განცხადებით, ეს შესწორებები განაპირობებს სამხედროების მეტ მონაწილეობას აშშ-ის შიდა პოლიტიკის ყველა სფეროში, მით უფრო, რომ მცნებები „საგანგებო სიტუაცია“ და „სამოქალაქო პროტესტი“ ფართოდ შეიძლება განიმარტოს.

პრაქტიკულად განხორციელდა შეიარაღებული ძალების მიერ ხელისუფლების ექსტრავაგანტული მითვისება. ამას კი ნულამდე დაჰყავს დემოკრატიული პრინციპი იმის შესახებ, რომ შეიარაღებული ძალები სამოქალაქო კონტროლს უნდა ექვემდებარებოდნენ.

პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ **სამხედროებს შეეძლებათ ქუჩების პატრულირება, ფედერალური პოლიციისთვის შეტყობინებისა და ადგილობრივი ხელისუფლებისგან ნებართვის გარეშე მოქალაქეთა გაჩერება, დაკითხვა და დაკავებაც კი.** სინამდვილეში ეს იმას ნიშნავს, რომ **მსოფლიოს ყველაზე დემოკრატიული ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მუდმივი კომენდანტის საათი დაიწყო.**

fbii.org

## მსოფლიოს ყველაზე დემოკრატიული ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მუდმივი კომენდანტის საათი დაიწყო



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არ დაუშვან ის, რომ ერებმა თავად გადაწყვიტონ საკუთარი ბედი, ამ მიზნით ხელოვნურად შექმნან სხვადასხვა კრიზისული სიტუაციები, ამ კრიზისების შემდგომი „მართვით“. ეს მოსახლეობის შესუსტებას და დემორალიზაციას მოახდენს იმ დონემდე, რომ მეტად ფართო არჩევანის შესაძლებლობათა პირობებში ადამიანთა მასებს, უბრალოდ, აპათია მოიცავს.**

ჯონ კოლემანი

# «300-თა კომიტეტი»

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-4 (236-239)

**განვითარებულ ქვეყნებში შეზღუდული ომების გზით, ხოლო მსოფლიოს მესამე ქვეყნებში – შიმშილისა და დაავადებების მეშვეობით, მილიარდობით ადამიანის განადგურების განხორციელებასთან დაკავშირებით „300-თა კომიტეტმა“ საირუს ვენსს დაავალა ანგარიშის მომზადება, თუ როგორი გზაა საუკეთესო ამ გენოციდის განსახორციელებლად. 2050 წლისთვის აშშ-ის მოსახლეობა 100 მილიონი ადამიანით უნდა შემცირდეს.**

„რომის კლუბის“ მიერ გატარებული ნულოვანი სამრეწველო ზრდის პოლიტიკის შედეგად სამუშაო ადგილების შემცირების გამო, დემორალიზირებული და იმედგაცრუებული მუშები ალკოჰოლსა და ნარკოტიკს მიეძალებიან. ქვეყნის ახალგაზრდობას როკმუსიკისა და ნარკოტიკების დახმარებით არსებული წესრიგის წინააღმდეგ ბუნტისკენ უბიძგებენ, რის შედეგადაც ძირი გამოეთხრება და საბოლოო ჯამში დაინგრევა ოჯახების საფუძვლები. „300-თა კომიტეტმა“ ტავისტოკის ინსტიტუტს დაავალა ამ მიზნების მისაღწევი გეგმის მომზადება. ტავისტოკმა, თავის მხრივ, ეს სამუშაო სტენფორდის უნივერსიტეტს დაავალა, სადაც პროფესორ უილის ჰარმონის ხელმძღვანელობით შედგა ეს გეგმა, რომელიც ცნობილი გახდა, როგორც **„მერწყულის ხანის შეთქმულება“.**

**არ დაუშვან ის, რომ ერებმა თავად გადაწყვიტონ საკუთარი ბედი, ამ მიზნით ხელოვნურად შექმნან სხვადასხვა კრიზისული სიტუაციები, ამ კრიზისების შემდგომი „მართვით“. ეს მოსახლეობის შესუსტებას და დემორალიზაციას მოახდენს იმ დონემდე, რომ მეტად ფართო არჩევანის შესაძლებლობათა პირობებში ადამიანთა მასებს, უბრალოდ, აპათია მოიცავს.** აშშ-ში შექმნილია კრიზისების მართვის სპეციალური სააგენტო. მას ჰქვია **„საგანგებო სიტუაციების მართვის ფედერალური სააგენტო“** (FEMA), მის შესახებ მე პირველად საჯაროდ 1980 წელს განვაცხადე. შემდგომში წიგნში FEMA-ს შესახებ უფრო ფართო ინფორმაცია იქნება წარმოდგენილი.

ახალი კულტების შექმნა და უკვე არსებულთა მხარდაჭერა, რომლებშიც შედიან როკმუსიკის ისეთი განგსტერები, როგორიცაა ბინძური დეგენერატის, მიკ ჯაგერის, „როლინგ სტოუნზი“ (ჯგუფი, რომელიც ევროპული „შავი არისტოკრატიის“ განსაკუთრებული თაყვანისცემით სარგებლობს), აგრეთვე, ტავისტოკის მიერ შექმნილი ყველა როკჯგუფის მხარდაჭერა, „ბითლზ“-ისგან მოყოლებული. „ბრიტანული ოსტ-ინდური კომპანიის“ მსახური დარბის მიერ შექმნილი ქრისტიანული ფუნდამენტალიზმის კულტის გავრცელების გაგრძელება. **სინამდვილეში ეს კულტი ისრაელის სიონისტური სახელმწიფოს გაძლიერებისკენ იქნება მიმართული, „ღვთის მიერ რჩეული ერის“ მითის დახმარებით კულტის მიმდევრების ებრაელებთან იდენტიფიკაციის საშუალებით და ასევე მნიშვნელოვანი ფულადი შემოწირულობებით იმისთვის, რასაც კულტის მიმდევრები შეცდომით ქრისტიანობის გაძლიერებაზე მიმართულ საქმედ მიიჩნევენ.**

ისეთი რელიგიური კულტების გავრცელებისთვის ხელშეწყობა, როგორიცაა „ძმები-მუსლიმანები“, სხვადასხვა სახის მუსლიმანი ფუნდამენტალისტები, სიკჰიზმი და ასევე ჯიმ ჯონსის „სემის შვილების“ მაგალითზე მკვლელობებით ექსპერიმენტირება. უნდა აღინიშნოს, რომ აწ განსვენებული აიათოლა ჰომეინი მი-6-ის სახელით ცნობილი ბრიტანული სამხედრო დაზვერვის სამსახურის მეექვსე განყოფილების კრეატურა იყო, რის შესახებაც ჩემს 1985 წლის ნაშრომში „რა მოხდა სინამდვილეში ირანში“ ვწერდი.

**„რელიგიური გათავისუფლების“ იდეების გავრცელება მთელ მსოფლიოში არსებული რელიგიებისა და, განსაკუთრებით, ქრისტიანობისთვის ძირის გამოსათხრელად „გათავისუფლების იეზუიტური იდეოლოგიიდან“ დაიწყო,** რომელმაც ნიკარაგუაში სომოსას რეჟიმის დამხობა გამოიწვია, ხოლო დღეს 25 წლის მანძილზე „სამოქალაქო ომის“ მდგომარეობაში მყოფი სალვადორის, კოსტა რიკისა და ჰონდურასის ნგრევა მიმდინარეობს. **ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ორგანიზაცია, რომელიც ე. წ. გათავისუფლების თეოლოგიას ავრცელებს, გახლავთ პროკომუნისტური „მარია კნოლის მისია“** (Mary Knoll Mission). ამით აიხსნება მედიის განსაკუთრებული ყურადღება სალვადორში რამდენიმე წლის წინ ე. წ. მარია კნოლის 4 მონაზვნის მკვლელობის მიმართ.



**«300-თა კომიტეტის» სახელით ბჟეზინსკიმ განაცხადა, რომ შეერთებული შტატები შედის «ხანაში, რომელიც არც ერთ წინას არ ჰგავს; ჩვენ მივდივართ ტექნოტრონული ხანისკენ, რომელიც ადვილად შეიძლება დიქტატურაში გადაიზარდოს»**

ეს ოთხი მონაზონი კომუნისტების დივერსიული აგენტები იყვნენ და მათი საქმიანობა სალვადორის ხელისუფლების დოკუმენტებში დეტალურად იყო აღწერილი. **ამერიკულმა საინფორმაციო სააგენტოებმა და პრესამ კატეგორიული უარი განაცხადეს სალვადორის ხელისუფლების ხელთ არსებული მრავალრიცხოვანი საბუთების გამოქვეყნებაზე ან კომენტირებაზე, რომლებშიც იყო იმის მტკიცებულება, თუ რას საქმიანობდნენ სინამდვილეში „მარია კნოლის მისიის“ მონაზვნები ქვეყანაში.** მარია კნოლი ბევრ ქვეყანაში მოქმედებს, როდეზიაში, მოზამბიკში, ანგოლასა და სამხრეთ აფრიკაში კომუნიზმის გავრცელებაში მას დიდი წვლილი აქვს:

**მსოფლიო ეკონომიკაში საყოველთაო კრიზისის შექმნა და საყოველთაო პოლიტიკური ქაოსის წარმოქმნა;**

**შეერთებული შტატების საგარეო და საშინაო პოლიტიკის კონტროლზე აყვანა;**

სრული მხარდაჭერის გაწევა ისეთი ზეეროვნული ორგანიზაციებისთვის, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ), საერთაშორისო საანგარიშო ბანკი, მსოფლიო სასამართლო და ასევე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ადგილობრივი დაწესებულებების გავლენის გარეშე დატოვება, თანდათანობით მათი როლის ნულზე დაყვანა ან გაეროს ეგიდის ქვეშ გადაცემა;

**ძირგამომთხრელი აგენტების ჩანერგვა ყველა ხელისუფლებაში და ქვეყნების სუვერენული მთლიანობის რღვევაზე მიმართული საქმიანობის განხორციელება, ამ ხელისუფლებების შიგნიდან;**

**მსოფლიო ტერორისტული აპარატის ორგანიზაცია და ტერორისტებთან მოლაპარაკებების გამართვა ყველგან, სადაც ადგილი აქვს ტერორისტულ საქმიანობას.**

უნდა გავიხსენოთ, რომ სწორედ ბენიტო კრაკსიმ დაარწმუნა იტალიისა და აშშ-ის ხელისუფლებები, დაეწყოთ მოლაპარაკებები „წითელ ბრიგადებთან“, რომლებმაც პრემიერ-მინისტრი მორო და გენერალი დოციერი (General Dozier) გაიტაცეს. სხვათაშორის, გენერალმა დოციერმა მიიღო ბრძანება, არ გაემჟღავნებინა ის, რაც შეემთხვა. თუ იგი სიჩუმეს დაარღვევს, მისგან უდავოდ „საშინელ, ჭკუის სასწავლებელ მაგალითს“ შექმნიან, იმის მსგავსს, რაც კისინჯერმა ალდო მოროსგან, ალი ბხუტოსგან და გენერალ ზია ულ ჰაკისგან შექმნა;

**აშშ-ში განათლებაზე კონტროლის დაწესება მისი სრული და საბოლოო განადგურების მიზნით;**

ბევრი ამ მიზნებიდან, რომლებიც მე პირველად 1969 წელს ჩამოვთვალე, ან უკვე იყო, ან მალე იქნება მიღწეული. **განსაკუთრებულ ინტერესს „300-თა კომიტეტის“ პროგრამაში წარმოადგენს მისი ეკონომიკური პოლიტიკის არსი, რომელიც სრულად ეფუძნება მალთუსის, ინგლისელი სოფლის მღვდლის შვილის სწავლებას, რომელიც დაწინაურდა და ცნობილი გახდა „ბრიტანული ოსტ-ინდური კომპანიის“ წყალობით, რაც მოდელად იქცა „300-თა კომიტეტის“ შექმნისას.**

მალთუსი ამტკიცებდა, რომ კაცობრიობის პროგრესი განისაზღვრება დედამიწის ბუნებრივი უნარით, უზრუნველყოს ადამიანების გარკვეული რაოდენობის არსებობა, ამასთან, ამ ზღურბლის გადალახვის შემდეგ დედამიწის შეზღუდული ბუნებრივი რესურსები სწრაფად ამოიწურება. თუ ეს ბუნებრივი რესურსები გამოყენებული იქნება, მათი შეცვლა ან აღდგენა შეუძლებელი გახდება. აქედან, აღნიშნავს მალთუსი, წარმოიშობა მოსახლეობის ზრდის შემცირების აუცილებლობა შემცირებადი ბუნებრივი რესურსების საკმარისობის ფარგლებში. არაა აუცილებელი, ვისაუბროთ იმაზე, რომ ელიტა არ დაუშვებს საკუთარი არსებობის კითხვის ქვეშ დაყენებას „უსარგებლო მჭამელთა“ რიცხვის მძაფრი მომატების საფრთხის გამო. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, შერჩევის პრაქტიკა დაინერგოს. როგორც ზემოთ აღვნიშნავდი, „შერჩევის“ პროცესი უკვე დაიწყო და „ანგარიშ გლობალ 2000“-ში გაწერილი მეთოდებით იწარმოება.

**კომიტეტის ეკონომიკური გეგმის ყველა მიმართულებას მალთუსისა და ფრედერიკ ფონ ჰაიეკის გზაჯვარედინთან მივყავართ. ფონ ჰაიეკი კიდევ ერთი პირქუში ეკონომისტია, რომელსაც „რომის კლუბი“ ასპონსორებდა.** ავსტრიაში დაბადებული ფონ ჰაიეკი დიდი ხნის მანძილზე იმყოფებოდა დევიდ როკფელერის მფარველობის ქვეშ და ახლა ფონ ჰაიეკის თეორიებმა საკმაოდ ფართო გავრცელება ჰპოვა აშშ-ში. **ფონ ჰაიეკის თანახმად, აშშ-ის ეკონომიკას საფუძვლად უნდა დაედოს — ა) ქალაქების შავი ბაზრები; ბ) ჰონგკონგის ტიპის მცირე სამრეწველო კომპანიები, რომლებიც მონური შრომის სისტემას იყენებენ; გ) ტურისტული ვაჭრობა; დ) თავისუფალი მეწარმეობის ზონები, სადაც სპეკულანტებისთვის მოქმედების სრული თავისუფლებაა და სადაც შესაძლებელია ნარკოტიკებით ვაჭრობის აყვავება; ე) სამრეწველო მეწარმეობის შეჩერება და ვ) ყველა ატომური ელექტროსადგურის დახურვა.**

ფონ ჰაიეკის იდეები სრულიად შეესაბამება „რომის კლუბის“ იდეებს, რომელიც, როგორც ჩანს, არის კიდეც ამერიკულ წრეებში მისი გაძლიერებული მხარდაჭერის მიზეზი. ფონ ჰაიეკის მანტიას ახლა ახალი, უფრო ახალგაზრდა ეკონომისტი ჯეფრი საკსი იხდენს, რომელიც პოლონეთში ფონ ჰაიეკის მიერ დაწყებული საქმის გასაგრძელებლად იქნა მივლინებული. უნდა გავიხსენოთ, რომ „რომის კლუბმა“ პოლონეთში ორგანიზება გაუწია ეკონომიკურ კრიზისს, რომელმაც ქვეყანა პოლიტიკურ დესტაბილიზაციამდე მიიყვანა. ზუსტად ასეთივე, ეგრეთ წოდებული ეკონომიკური დაგეგმარება იქნება თავსმოხვეული რუსეთისთვის, მაგრამ თუ მას ძლიერი ოპოზიცია ეყოლება, ფასების დოტაციის ძველი სისტემა მალე აღდგება.

**„300-თა კომიტეტმა“ უბრძანა „რომის კლუბს“, გამოეყენებინა პოლონური ნაციონალიზმი, როგორც კათოლიკური ეკლესიის ნგრევის ხელსაწყო და საბჭოთა ოკუპაციური ჯარებისთვის გზის გამწმენდი საშუალება.**

მოძრაობა „სოლიდარობა“ „300-თა კომიტეტის“ წევრის, ზბიგნევ ბჟეზინსკის, მიერ იყო შექმნილი, რომელმაც თავად აირჩია სახელი ამ „პროფკავშირისთვის“ და მისი წევრები და ორგანიზატორები თავად დანიშნა. „სოლიდარობა“ არ წარმოადგენს „პროფკავშირულ“ მოძრაობას, თუმცა გდანსკის გემთმშენებელი ქარხნის მუშები ▶

**მოძრაობა „სოლიდარობა“ „300-თა კომიტეტის“ წევრის, ზბიგნევ ბჟეზინსკის, მიერ იყო შექმნილი, რომელმაც თავად აირჩია სახელი ამ „პროფკავშირისთვის“ და მისი წევრები და ორგანიზატორები თავად დანიშნა**



## თუ გავითვალისწინებთ ფინანსირების შეუზღუდავ შესაძლებლობებს, საინფორმაციო მონაცემთა ბანკების შექმნასა და მსოფლიოს მთავრობების უმრავლესობაზე კონტროლის დაწესებას, ჩვენ წინაშე არნახული მასშტაბების პრობლემა დგება, რომელთან გამკლავებასაც დღეს ვერც ერთი ცალკე აღებული ქვეყანა ვერ შეძლებს.

გეოსტრატეგი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**განსაკუთრებულ ინტერესს «300-თა კომიტეტის» პროგრამაში წარმოადგენს მისი ეკონომიკური პოლიტიკის არსი, რომელიც სრულად ეფუძნება მალთუსის, ინგლისელი სოფლის მღვდლის შვილის, სწავლებას, რომელიც დაწინაურდა და ცნობილი გახდა «ბრიტანული ოსტ-ინდური კომპანიის» წყალობით, რაც მოდელად იქცა «300-თა კომიტეტის» შექმნისას. კომიტეტის ეკონომიკური გეგმის ყველა მიმართულებას მალთუსისა და ფრედერიკ ფონ ჰაიეკის გზაჯვარედინთან მივყავართ. ფონ ჰაიეკი კიდევ ერთი პირქუში ეკონომისტია, რომელსაც «რომის კლუბი» ასპონსორებდა**



◀ გამოიყენეს ასეთი შთაბეჭდილების შექმნისთვის. ეს უფრო მაღალი დონის პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა ერთიანი მსოფლიო მთავრობის მოსასვლელად გარკვეული მოსამზადებელი ღონისძიებების განსახორციელებლად.

„სოლიდარობის“ ლიდერების უმრავლესობა ოდესელი ებრაელი ბოლშევიკების შთამომავლები იყვნენ და თავს კომუნიზმის მოწინააღმდეგეებად არ აჩენდნენ. ეს ფაქტი გვაძლევს უფლებას, გავიგოთ, თუ რატომ უთმობდნენ ამდენ ყურადღებას ამ მოძრაობას ამერიკის მედიასაშუალებები. პროფესორმა საკსმა ეს პროცესი ნაბიჯით წინ გადასწია, რითაც **პოლონეთი, რომელიც ახლახან გათავისუფლდა სსრკ-ის დიქტატისგან, ახალი ეკონომიკური დამონებით უზრუნველყო. ახლა პოლონეთი შეერთებული შტატების ეკონომიკური მონა გახდება — მხოლოდ პატრონი შეიცვალა.**

**ბჟეზინსკი** გახლავთ წიგნის ავტორი, რომელიც თავისი ქვეყნის მომავლით შეშფოთებულმა ყველა ამერიკელმა უნდა წაიკითხოს. მას **„ტექნოტრონული ხანა“** ეწოდება და **იგი „რომის კლუბის“ შეკვეთით დაიწერა.** წიგნი იმ ხერხებისა და მეთოდების დაუფარავ აღწერას წარმოადგენს, რომლებიც შეერთებული შტატების მართვისთვის იქნება გამოყენებული. მასში ასევე ნახსენებია კლონირება და „რობოტოიდები“, ანუ ქმნილებები, რომლებიც ადამიანებივით მოქმედებენ და გარეგნულად ადამიანებს გვანან, თუმცა ადამიანებს არ წარმოადგენენ. **„300-თა კომიტეტის“ სახელით ბჟეზინსკიმ განაცხადა, რომ შეერთებული შტატები შედის „ხანაში, რომელიც არც ერთ წინას არ ჰგავს; ჩვენ მივდივართ ტექნოტრონული ხანისკენ, რომელიც ადვილად შეიძლება დიქტატურაში გადაიზარდოს“.** მე გამოვაქვეყნე სრული ანგარიში „ტექნოტრონული ხანის“ შესახებ 1981 წელს და არა ერთხელ მიხსენებია ეს წიგნი ჩემს საინფორმაციო ბიულეტენებში.

**ბჟეზინსკი შემდეგ ამბობს, რომ ჩვენი საზოგადოება „ინფორმაციულ რევოლუციას განიცდის, რომელიც გართობასა და მასობრივ სანახაობებს (გაუთავებელი ტელეგადაცემები სპორტული შეჯიბრებების შესახებ) ეფუძნება. ეს ნარკოტიკის კიდევ ერთ სახეობას წარმოადგენს ადამიანებისთვის, რომლებიც სულ უფრო უსარგებლონი ხდებიან“.** იყო თუ არა ბჟეზინსკი მორიგი ნათელმხილველი და წინასწარმეტყველი? შეეძლო თუ არა დაენახა მომავალი? რა თქმა უნდა, არა; ის რაც მან დაწერა თავის წიგნში, მხოლოდ „300-თა კომიტეტის“ გეგმის ასლია, რომელიც „რომის კლუბს“ გადაეცა განსახორციელებლად. **მართალია თუ არა, რომ 1991 წელს ჩვენ უკვე გვყავდა მოსახლეობის უსარგებლო მასა? შეიძლება ითქვას, რომ 30 მილიონი უმუშევარი და 4 მილიონი უსახლკარო ადამიანი „უსარგებლო მასას“ ან, ყოველ შემთხვევაში, მის ბირთვს წარმოადგენენ.**

რელიგიასთან, „ხალხის ოპიუმთან“ ერთად, რომელიც ლენინისა და მარქსის აღიარებით აუცილებელი იყო, ახლა დამატებით ახალი „ოპიატებია“ მასობრივი სპორტული სანახაობების, აღვირახსნილი სექსუალური მიდრეკილებებისა და როკმუსიკის სახით. ნარკომანების მთელი თაობა აღიზარდა. **აღვირახსნილი სექსის პროპაგანდა და ნარკომანიის ეპიდემია მიმდინარე მოვლენებისგან ხალხის ყურადღების გადატანას ემსახურება.**

„ტექნოტრონულ ხანაში“ ბჟეზინსკი საუბრობს ხალხის „მასებზე“, როგორც უსულო საგნებზე – შესაძლებელია, „300-თა კომიტეტი“ ასეც გვხედავს. ბჟეზინსკი მუდამ საუბრობს ჩვენი, „მასების“, კონტროლის აუცილებლობაზე.

ერთ ადგილას მას წამოსცდა:

**„ამავე დროს, პიროვნებაზე სოციალური და პოლიტიკური კონტროლის შესაძლებლობები გაიზრდება. მალე შესაძლებელი გახდება თითქმის უწყვეტი კონტროლის განხორციელება ყველა მოქალაქეზე და მუდმივად განახლებადი კომპიუტერული ფაილ-დოსიეების მართვა, რომლებიც, ჩვეულებრივი ინფორმაციის გარდა, ყველაზე კონფიდენციალურ დეტალებს შეიცავს ყველა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ქცევაზე“.**

**„შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს ექნებათ მყისიერი წვდომა ამ ფაილებზე. ხელისუფლება იქნება ფოკუსირებული მათ ხელში, ვინც ინფორმაციას აკონტროლებს. ხელისუფლების არსებულ ორგანოებს კრიზისის წინა სიტუაციების მართვის დაწესებულებები ჩაანაცვლებს, რომელთა ამოცანაც იქნება შესაძლო სოციალური კრიზისების წინმსწრები გამოვლენა და ამ კრიზისების მართვის პროგრამების შემუშავება“** (აქ სააგენტო FEMA-ს სტრუქტურის აღწერილობაა მოცემული, რომელიც ბევრად გვიან გამოჩნდა).

**„ეს შექმნის ტენდენციებს შემდგომი რამდენიმე ათწლეულისთვის, რომლებიც მიგვიყვანს ტექნოტრონულ ხანამდე — დიქტატურამდე, რომლის დროსაც თითქმის ბოლომდე გაუქმდება არსებული პოლიტიკური პროცედურები. საბოლოოდ, თუ საუკუნის ბოლოსკენ გავიხედავთ, ცნობიერებაზე ბიოქიმიური კონტროლისა და ადამიანებზე ჩატარებული გენეტიკური მანიპულაციების შესაძლებლობა, მათ შორის, ისეთი არსებების შექმნა, რომლებიც არა მხოლოდ იმოქმედებენ, არამედ იფიქრებენ კიდეც, როგორც ადამიანები, შესაძლოა, სერიოზული კითხვები გამოიწვიოს“.**

**ბჟეზინსკი წერდა ამ ყველაფერს არა როგორც კერძო პირი, არამედ როგორც პრეზიდენტ კარტერის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, „რომის კლუბის“ წამყვანი წევრი, „300-თა კომიტეტის“, „საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს“ წევრი და ასევე ძველი პოლონური „შავი არისტოკრატიის“ წარმომადგენელი.** მის წიგნში ახსნილია, როგორი გზით უნდა თქვას უარი ამერიკამ თავის სამრეწველო ბაზაზე და შეაბიჯოს იქ, როგორც მან უწოდა, **„სრულიად ახალ ისტორიულ ხანაში“.**

**„ის, რაც გახდის ამერიკას უნიკალურს — ესაა მისი სწრაფვა, გამოსცადოს საკუთარ თავზე მომავალი, იქნება ეს პოპარტი თუ ლსდ (ლიზერგინული მჟავის დიეთილამიდი). დღეს ამერიკა შემოქმედებითი საზოგადოებაა, როდესაც დანარჩენები შეგნებულად თუ შეუგნებლად მიმბაძველები არიან“.** მას ერჩივნა ეთქვა, რომ **არსებითად ამერიკა „300-თა კომიტეტის“ პოლიტიკისა და მეთოდების გამოსაცდელი პოლიგონია, რომელსაც პირდაპირ მიჰყავს არსებული წესრიგი განადგურებისკენ და ერთიანი მსოფლიო მთავრობის — ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებისკენ.**

# აღვირახსნილი სექსის პროპაგანდა და ნარკომანიის ეპიდემია მიმდინარე მოვლენებისგან ხალხის ყურადღების გადატანას ემსახურება





„ტექნოტრონული ხანის“ ერთ-ერთ თავში ახსნილია, თუ როგორ გამოიწვევს ახალი ტექნოლოგიების განვითარება ინტენსიურ კონფრონტაციას და ასევე სოციალური და საერთაშორისო დაძაბულობის ზრდას. როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, ჩვენ უკვე განვიცდით ძლიერ დაძაბულობას მუდმივი თვალთვალის გამო. ასეთი თვალთვალის ერთ-ერთი ცენტრია კუბაზე ლურდესის ბაზა. კიდევ ერთი ასეთი ცენტრია ნატოს შტაბბინა ბრიუსელში, ბელგიაში, სადაც დგას გიგანტური კომპიუტერი კოდური ნომრით „666“, რომელსაც შეუძლია ბჟეზინსკის წიგნში ნახსენები ყველა ტიპის მონაცემის შენახვა და ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ფლობს მონაცემთა ბაზის გაფართოების შესაძლებლობას კიდევ რამდენიმე მილიარდ ადამიანზე.

**აშშ-ში ამგვარი მონაცემთა ბაზის გამოყენება ძალიან ადვილი იქნება – საკმარისია მხოლოდ შეიყვანოთ კომპიუტერ „666“-ში მართვის მოწმობის ან სოციალური დაზღვევის ნომერი და თვალთვალი, რომლის შესახებაც ბჟეზინსკი და მისი კოლეგები „300-თა კომიტეტიდან“ საუბრობენ, უზრუნველყოფილი იქნება.** კომიტეტმა ჯერ კიდევ 1991 წელს გააფრთხილა ყველა მთავრობა, მათ შორის სსრკ-ის მთავრობაც იმის შესახებ, რომ **„თუ „300-თა კომიტეტი“ თავის თავზე არ აიღებს სრულ კონტროლს ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების სამზადისზე, შეიქმნება ქაოსი. კონტროლი განხორციელდება ჩვენი კომიტეტისგან და ასევე, გლობალური დაგეგმარებისა და კრიზისების მართვის მეშვეობით“.** მე ამ ფაქტების შესახებ განვაცხადე რამდენიმე თვეში, მას შემდეგ, რაც 1981 წელს მათ შესახებ ინფორმაცია მივიღე. კიდევ ერთი ფაქტი, რომლის შესახებაც მე მაშინ განვაცხადე, მდგომარეობდა იმაში, რომ რუსეთი მიწვეული იყო ერთიანი მსოფლიო მთავრობის დამყარების სამზადისში მონაწილეობის მისაღებად.

როდესაც 1981 წელს ამ ყველაფრის შესახებ ვწერდი, შეთქმულთა გლობალური გეგმები მზადყოფნის წინწასულ სტადიაზე იმყოფებოდა. გასული 10 წლის გადახედვისას ადვილად შეამჩნევთ, თუ რამდენად სწრაფად ხორციელდება ეს გეგმები. თუ ამ ინფორმაციას შეეძლო 1981 წელს მღელვარება გამოეწვია, დღეს იგი მეტ მღელვარებას იწვევს, როდესაც ჩვენ იმ შეერთებული შტატების ნგრევის საბოლოო ეტაპებს ვუახლოვდებით, რომელშიც ვცხოვრობთ. **თუ გავითვალისწინებთ ფინანსირების შეუზღუდავ შესაძლებლობებს, საინფორმაციო მონაცემთა ბანკების შექმნასა და მსოფლიოს მთავრობების უმრავლესობაზე კონტროლის დაწესებას, ჩვენ წინაშე არნახული მასშტაბების პრობლემა დგება, რომელთან გამკლავებასაც დღეს ვერც ერთი ცალკე აღებული ქვეყანა ვერ შეძლებს.**

**«რელიგიური გათავისუფლების» იდეების გავრცელება მთელ მსოფლიოში არსებული რელიგიებისა და, განსაკუთრებით, ქრისტიანობისთვის ძირის გამოსათხრელად «გათავისუფლების იეზუიტური იდეოლოგიიდან» დაიწყო**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სტუ-ის გამოჩენილ და ღვაწლმოსილ ადამიანთა სრული ბიოგრაფიული ცნობების გარდა წარმოჩენილია და გაანალიზებულია ამ მამულიშვილთა მიღწევა-აღმოჩენები, მოღვაწეობის სფერო-არეალები, საინჟინრო გამოგონებათა დანერგვის ობიექტები სამეცნიერო გარემოსა თუ ნიუანსების გათვალისწინებით, რაც, ფაქტობრივად, აღნიშნულ გამოცემებს ქართული საინჟინრო მეცნიერებისა და განათლების ისტორიის სახელმძღვანელო ენციკლოპედიად აქცევს. მსგავსი ფუნდამენტური ნაშრომი საქართველოში ამ კუთხით, ვგონებ, არც შემხვედრია დღემდე...

# ქართული საინჟინრო მეცნიერების მატიანე

**ნებისმიერი ქვეყნის ძლიერებისა და განვითარების გარანტი მისი ინტელექტუალური პოტენციალია. სამეცნიერო კადრების, ანუ მოაზროვნე ადამიანთა კოჰორტის დონე განსაზღვრავდა და განსაზღვრავს სახელმწიფოს ღირსეულ არსებობას. უფლის მადლით, საქართველოში — ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, დღემდე ძირითადად შენარჩუნებულია, თავმოყრილია და განფენილია ჩვენი დიდი წინაპრების მიერ სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი სულიერ-ინტელექტუალური ძეგლები. ამასთანავე, ივერიული კულტურისა და მეცნიერების ყველა მიღწევა გაჟღენთილია და ნასაზრდოებია ქრისტიანული მსოფლმხედველობითა და ესთეტიკური ნააზრევით.**



განათლების უკმარისობა, სამეცნიერო კადრების სიმცირე საფრთხეს უქადის თავისუფალი და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს არსებობას. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, გავიხსენოთ **„რანი ვიყავით და რანი ვართ...“,** რათა მხოლოდ ტკივილიან კითხვად არ დარჩეს დიდი ვაჟას დარდიანი ნათქვამი: **„გაზრდისღა კიდევ მშობელი, ვაჟკაცებს ჩვენისთანასა?..“,** ამიტომაც მიმაჩნია ფართო საზოგადოებისთვის (და არა მარტო სამეცნიერო-პედაგოგიური წრეებისთვის) უძვირფასეს შენაძენად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია II-ს ლოცვა კურთხევით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საიუბილეო 90-ე წლისადმი მიძღვნილი ორი მნიშვნელოვანი კრებულის გამოცემა — **„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სათავეებთან 1922-2012“** და **„გამოჩენილი ინჟინრები და მეცნიერები,“** თბილისი 2012 წ. ამ ნაშრომების სამეცნიერო რედაქტორია საქართველოდ ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი **არჩილ ფრანგიშვილი,** ხოლო შემდგენლები — ამავე უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი თანამშრომლები: **მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ზურაბ გასიტაშვილი, დავით გორგიძე, ივანე გორგიძე, ალექსანდრე გრიგოლიშვილი** და **შალვა ნაჭყებია.**

აღნიშნული კრებულები ეძღვნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ყოფილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის) გამოჩენილი მოღვაწეების — ფუძემდებლების, რექტორების, ცნობილი მეცნიერების, პედაგოგებისა და ინჟინრების — ნათელ ხსოვნას. „არდავიწყება მოყვრისა“ ხომ სათავეებთან მიახლების უდიდეს მისტერიას გულისხმობს უპირველესად, მით უმეტეს ქართული საინჟინრო მეცნიერებისა განათლების სათავეებთან. რადგან **ჩვენ ხომ ის ერი ვართ, რომელსაც იყალთოსა და გელათის აკადემიები ჰქონდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობა უწიგნური იყო.** გიორგი მერჩულის სიტყვებით, რომ ვთქვათ, **აუცილებლად დასაფასებელია „შრომა და მოღვაწეობა“ იმ ხალხისა, რომელმაც ჩვენს უახლოეს წარსულში** (ვგულისხმობ — გასულ საუკუნეში) **საფუძველი ჩაუყარა ქართული საინჟინრო მეცნიერებისა და განათლების ეროვნული ტაძრის მშენებლობას.** ეს ლაშქარი კი მიითვლის ივერთა ერის ისეთ სახელოვან შვილებს, როგორებიც იყვნენ: **ივანე ჯავახიშვილი, ანდრია რაზმაძე, ანდრია ბენაშვილი, ნიკო მუსხელიშვილი, გიორგი ნიკოლაძე, ალექსანდრე ჯანელიძე, ალექსანდრე თვალჭრელიძე, გრიგოლ წულუკიძე, გიორგი გედევანიშვილი, ვასილ კაკაბაძე, გიორგი მუხაძე, არჩილ ხარაძე** და სხვ.

ხაზგასასმელია, რომ **აღნიშნული კრებულები, ჩემი აზრით, ჟანრობრივად ახალი სამეცნიერო-ტექნიკური პუბლიცისტიკისა და ესეისტიკის ნაზავია და, ფაქტობრივად, ანთოლოგიურ-ენციკლოპედიური ხასიათისაა.** დღეს, როდესაც ახალი საინჟინრო ტექნოლოგიები სულ უფრო გაბედულად, ხშირად ელვის სისწრაფით, იჭრება საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში, აუცილებელია საინჟინრო-სამეცნიერო ტრადიციების დაცვა, განვითარება, წინსვლა, ქვეყანა მსოფლიო ცივილიზაციის განათლების მაღალ დონეს რომ ჩამორჩეს. სწორედ სამეცნიერო-პედაგოგიური ტრადიციების გახსენების, გადარჩენისა და დაცვის კუთხითაც მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნულ კრებულთა გამოცემა. **ამ კრებულების შემდგენელთა და გამომცემელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ არ გამორჩენიათ არც ერთი მნიშვნელოვანი მომენტი თუ პერიოდი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (და არა მარტო ტექნიკური უნივერსიტეტის) დაარსების ისტორიიდან და არც ერთი ღირსეული ადამიანი, რომელმაც თავდაუზოგავად იღვაწა ამ ისტორიის შესაქმნელად. ჩვენი ბრძენი პატრიარქი – ილია II ხომ ბრძანებს ერთ-ერთ საშობაო ეპისტოლეში:**

„ერის ღირსებას და მის სიმტკიცეს ღირსეული ადამიანები განაპირობებენ. ბედნიერია ის ქვეყანა, რომელშიც ასეთი პიროვნებების სიმრავლეა...“.

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ასეთი პიროვნებების წარმოსაჩენადაცაა ეს კრებული-ანთოლოგიები შექმნილი და ჩვენ თვალწინ კიდევ ერთხელ გაიელვებს სახელები საქვეყნოდ აღიარებული ისეთი მეცნიერებისა და ინჟინრებისა, როგორებიც იყვნენ: **ბესარიონ ჭიჭინაძე, ივანე თულაშვილი, კალისტრატე გაბუნია, ლევან დიასამიძე, ალექსანდრე ჩიქოვანი, გრიგოლ ქურდიანი, ივანე ყიფშიძე, ივანე ვაწაძე, კონსტანტინე მარჯანიშვილი, რუსუდან ნიკოლაძე, ალექსი გორგიძე, არჩილ გულისაშვილი** და სხვ.

თანამედროვე მსოფლიოში განათლება ჩვეულებრივ გააზრებულია, დაგროვილი ცოდნისა და კულტურის წინა თაობებიდან დღევანდელთათვის გადაცემად. **„თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი!“** — ბრძანებდა დავით გურამიშვილი მე-18 საუკუნის 50-იან წლებში და **დღევანდელი ქართველობისა და გლობალიზაციის ტალღებზე მოტორტმანე საქართველოსთვის ზარის რეკვასავით გაისმის დიდი პოეტის ეს მოწოდება.** ჭეშმარიტ მეცნიერთა და პედაგოგთა კოჰორტა ხომ საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე სწავლობს და სხვასაც ასწავლის. მათ მართლაც **„კაცნი ჰქვია — შვილნი სოფლისა“** (ნიკოლოზ ბარათაშვილი), რათა მათ შემდგომ (მომავალ) თაობებს ცხოვრების გზა გაუადვილდეს. ამ კუთხითაც მნიშვნელოვანი და მისასალმებელია აღნიშნული კრებულების გამოცემა, რამეთუ ამ ვრცელ ნაშრომებში წარმოჩენილმა ღირსეულმა პიროვნებებმა და მამულიშვილებმა „კვალი ნათელი“ დატოვეს ქართველი ერის ცხოვრებაში.

და კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი რამ ამ წიგნებისა — **სტუ-ის გამოჩენილ და ღვაწლმოსილ ადამიანთა სრული ბიოგრაფიული ცნობების გარდა წარმოჩენილია და გაანალიზებულია ამ მამულიშვილთა მიღწევა-აღმოჩენები, მოღვაწეობის სფერო-არეალები, საინჟინრო გამოგონებათა დანერგვის ობიექტები სამეცნიერო გარემოსა თუ ნიუანსების გათვალისწინებით, რაც, ფაქტობრივად, აღნიშნულ გამოცემებს ქართული საინჟინრო მეცნიერებისა და განათლების ისტორიის სახელმძღვანელო ენციკლოპედიად აქცევს. მსგავსი ფუნდამენტური ნაშრომი საქართველოში ამ კუთხით, ვგონებ, არც შემხვედრია დღემდე...**

**ერის მამა ილია ჭავჭავაძე** დაჩლუნგებული ქართული აზრის გამოსაფხიზლებლად გასული საუკუნის დასაწყისში ბრძანებდა: **„ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულგანათლებული კაცები არ ჰყავს...“**

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს, 1912 წელს, კავკასიაში უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გახსნის ადგილად თბილისი იყო შერჩეული. ამაზე მეტყველებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული უნიკალური დოკუმენტები. ერთ-ერთი მათგანია „Проектъ организации Тифлисского Политехнического института 1912 გ. 30.IX – 1913გ. 31.I.“, რომლის ვრცელი და სქელტანიანი პროექტი ამიერკავკასიის მთავარმმართებლის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის განკარგულებით შეუსრულებია კავკასიის სასწავლო ოლქის იმჟამინდელ მზრუნველს — ნ. რუდოლფს 1912 წელს!

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსების ისტორიული თარიღიდან, 1917 წლის თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან, შემდგომ 1922 წლის 16 იანვრიდან დღემდე, ამ კრებულში წარმოჩინებულია ქართული ტექნიკური მეცნიერებისა და ინჟინერთა თაობების ყველა „გონებაგახსნილი და გულგანათლებული კაცები“, ხალხი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ივერიელთა ეროვნული იდეოლოგიის შექმნაში მე-20 საუკუნეში.** ერის ცოდნა, განათლება ხომ ეროვნული იდეოლოგიის საყრდენია, სანთელია. **„სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ბჟუტავდეს შორს სადმე სიბნელში, ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხობს, იქ სინათლეა, სჩანს, ჰღვიძავთო. დაგვიანებულ მოყვარეს კი ახარებს იმით, რომ იქ ღვიძილია, მღვიძარები დამხვდებიანო“,** — ამბობდა დიდი ილია და იქვე საოცარი ქურუმული სიბრძნით დასძენდა: **„სანთელს ცოდნა მარტო იმაში არა ჰგავს, რომ სანთელი, როცა იქნება, ჩაიწვის და გაქრება ხოლმე; ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავის დღეში არა. მამიდამ შვილზედ გადადის, შვილიდამ — შვილისშვილზედ, უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული...“**

ვფიქრობ, **ამ კრებულების შემდგენელ-გამომცემლებმაც ის ჩაუქრობელი სანთელი დაანთეს, რომელიც ღვაწლმოსილ მამულიშვილთა ნაამაგარსაც აცისკროვნებს, მათ სულებსაც იხსენიებს, ხოლო მომავალ თაობებს მოუწოდებს, — არ ჩააქრონ ღირსეულ მამა-პაპათა დანთებული ცოდნის სანთელი...**

ეს კრებულები ქართული საინჟინრო მეცნიერებისა და განათლების – ცოდნის ტაძრის ძვირფას მსახურთა უბრალო გახსენება კი არა, ჩვენი სამეცნიერო-ტექნიკური ისტორიოგრაფიის მთრთოლვარე ფურცლებია ქრისტიანული სიყვარულითა და რუდუნებით ჩვენამდე მოტანილი, მოყვასის სულის მოსახსენებელ ლოცვასავით ჩუმი, ნაღვლიანი და ამაღლებული, უფლის რწმენით სავსე... და გწამს, რომ ასეთი მდიდარი გონის, მეცნიერული მიღწევების და მამულიშვილების მშობელი **„საქართველო გაუძლებს დროის გამოცდას და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეოხებით ღვთის მადიდებელი სული მუდამ იზეიმებს ჩვენს ქვეყანაში...“** (ილია II – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი).

**ვაჟა ოთარაშვილი**,
პოეტი

**აუცილებლად დასაფასებელია «შრომა და მოღვაწეობა» იმ ხალხისა, რომელმაც ჩვენს უახლოეს წარსულში საფუძველი ჩაუყარა ქართული საინჟინრო მეცნიერებისა და განათლების ეროვნული ტაძრის მშენებლობას**

**ამ კრებულების შემდგენელ-გამომცემლებმაც ის ჩაუქრობელი სანთელი დაანთეს, რომელიც ღვაწლმოსილ მამულიშვილთა ნაამაგარსაც აცისკროვნებს, მათ სულებსაც იხსენიებს, ხოლო მომავალ თაობებს მოუწოდებს, — არ ჩააქრონ ღირსეულ მამა-პაპათა დანთებული ცოდნის სანთელი...**

**P.S. აღნიშნული ძვირფასი გამოცემები კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეროვნული მეცნიერებისა და განათლების ისტორიის შესწავლას. უდიდესი სურვილია, შემდგენელ-გამომცემელთა ამ კოლექტივმა გააგრძელოს თავდაუზოგავი მუშაობა ქართულ საინჟინრო-ტექნიკურ ისტორიოგრაფიაზე ამ კუთხით, რაც გლობალიზაციის პირობებში ესოდენ აუცილებელი და საჭიროა დღევანდელი საქართველოსთვის, რათა შეიქმნას ჩვენი ეროვნული მეცნიერებისა და ინჟინერიის ოქროს წიგნი.**

## ტექნოლოგიური უნივერსიტეტის იდეა დაგვიწუნეს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ ტექნოლოგიური უნივერსიტეტზე განმარტება გააკეთა:

**„ტექნოლოგიური უნივერსიტეტის იდეა შემოთავაზებული იყო საქართველოს მთავრობის მიერ, მაგრამ მილენიუმის კორპორაციამ ის შეაფასა, როგორც არამომგებიანი და დაიწუნა. შესაბამისად, ეს იდეა მას შემდეგ არ განვითარებულა. არც დაგეგმილა, არც განვითარებულა ამის კონცეფცია და, შესაბამისად, არც ახლა წარმოადგენს განხილვის საგანს და პრიორიტეტს“**, — აღნიშნა თამარ სანიკიძემ.



ფოსტა

www.geworld.net

# დუშეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თაღლითობის ბრალდებით დააკავეს

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, დუშეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ოტიაშვილი თაღლითობის, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და კანონით აკრძალული საჩუქრის მიღების ფაქტებზე დააკავეს.**



თაღლითობისა და ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტზე, აგრეთვე, დაკავებულია შპს „ბასა+2008“-ის დირექტორი გიორგი ბასაძიშვილი.

„გამოძიებით დადგენილი იქნა, რომ ზურაბ ოტიაშვილმა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში გადაწყვიტა შენიღბული ფორმით, ფიქტიური აუქციონის ჩატარების მეშვეობით რეალურ ღირებულებაზე გაცილებით ნაკლები თანხის გადახდით თაღლითურად დაუფლებოდა დუშეთში მდებარე სახელმწიფოს კუთვნილ 920.8 კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობასა და 839 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. 2009 წლის 12 აგვიტოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლმა ზურაბ ოტიაშვილმა ზემოთ მითითებული 70821 ლარად ღირებული უძრავი ქონება ფიქტიურად მოწყობილ აუქციონზე შეიძინა 10000 ლარად და შენიღბვის მიზნით გააფორმა თავის მეგობარზე.

გარდა ამისა, ზურაბ ოტიაშვილი მუშაობდა რა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გამშვები პუნქტის — „ყაზბეგის“ უფროსის თანამდებობაზე, გადაამეტა თავის სამსახურეობრივ უფლებამოსილებას და მისი დავალებით, საბაჟო დეპარტამენტის სხვა თანამშრომლები არ ატარებდნენ თურქეთიდან სგპ „ყაზბეგის“ მიმართულებით ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით გადაადგილებულ ტექსტილის ნაწარმს, რითაც არსებითად ირღვეოდა მათი უფლებები. გამოძიებით დადგენილი იქნა ასევე, რომ ზურაბ ოტიაშვილმა, მუშაობდა რა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე, კანონის მოთხოვნთა საწინააღმდეგოდ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსის — დავით ბიგვავასგან საჩუქრად მიიღო ამ უკანასკნელის შვილის — ავთანდილ ბიგვავას სახელზე რეგისტრირებული, 24 950 (ოცდაოთი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარად ღირებული დუშეთის რაიონის სოფელ ჩანადირებში მდებარე 2 399 კვ.მ ფართობის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ზურაბ ოტიაშვილის მითითებით, ბადრი ყარსიმაშვილთან გაფორმებული იქნა ჩუქების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2009 წლის 3 ივლისს ბადრი ყარსიმაშვილის სახელზე დარეგისტრირებული იქნა აღნიშნული მიწის ნაკვეთი.

ზურაბ ოტიაშვილმა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე ყოფნისას 2008-2009 წლებში დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით გაუფორმა ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ თავისი ცოლის ძმის — გიორგი ბასაძიშვილის ფირმას — შპს „ბასა + 2008“-ს. ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას გიორგი ბასაძიშვილი ყალბი დოკუმენტების საფუძველზე თაღლითურად დაეუფლა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ დიდი ოდენობით ფულად თანხებს,“ — ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.

# საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩატარდება

**2014 წლის 5-19 ნოემბერს საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩატარდება, — განაცხადეს საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა.**

მოსახლეობის საყოველთაო აღწერა საქართველოში ბოლოს 2002 წელს ჩატარდა. წელს ის გაეროს მიერ რეკომენდებულ ვადაში ჩატარდება, რადგან ეს ორგანიზაცია წევრ ქვეყნებს მოსახლეობის აღწერის ჩატარებას 10-12 წელიწადში ერთხელ ურჩევს.





საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ფარგლებში მოსამზადებელი სამუშაოები უკვე ჩატარდა აჭარის, გურიის, კახეთის რეგიონებსა და დედაქალაქში. ახლა ეს პროცესი ზუგდიდის, აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთში დაიწყება, სიების შედგენა 20 თებერვლიდან გაგრძელდება შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის, მარტში — სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, ხოლო პირველი ეტაპი აპრილში იმერეთის რეგიონით დასრულდება. საყოველთაო აღწერის მოსამზადებელ სამუშაოებზე სულ 4 ათასი ადამიანი დასაქმდება.

# ტრაილერების მძღოლებს თურქმა მებაჟეებმა პრობლემები შეუქმნეს

**სარფის საბაჟოზე საქართველოდან მიმავალი ტრაილერების მძღოლებს თურქმა მებაჟეებმა პრობლემები შეუქმნეს.** თურქი მებაჟეები ტრაილერების საწვავის ავზს ამოწმებდნენ და 300 ლიტრზე მეტი საწვავის მქონე მძიმე სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას აფერხებდნენ. ერთ-ერთი ვერსიით, სარფის საბაჟოზე მძღოლსა და თურქ მებაჟეს შორის დაპირისპირება მოხდა. შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის — ხატია მოისწრაფიშვილის ინფორმაციით, სარფის საბაჟოზე თურქმა მებაჟეებმა საქართველოდან მიმავალი ტრაილერების საწვავის ავზის გაკონტროლება და შემოწმება დაიწყეს და ამ პროცედურის გამო 300-მდე ტრაილერი საცობში მოყვა.



# ო, ეს ზოროს ნიშანი, ანუ სიურპრიზი ვეებერთელა ინგლისურენოვან სამყაროს... პატარა საქართველოდან!

**სიურპრიზი ფრანგული სიტყვა კია, მაგრამ ქართულადაც და ინგლისურადაც მოულოდნელ საჩუქარს, უფრო ზუსტად, მოულოდნელ სასიამოვნო საჩუქარს ნიშნავს. მოულოდნელი საჩუქარი ნამდვილად გამოგვივიდა, მაგრამ რამდენად იქნება ეს სასიამოვნო მილიონობით ადამიანისთვის, ვერ გეტყვით.**





საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა, რომელიც ბოლო ხანებში განსაკუთრებული აქტიურობითა და ნაყოფიერებით გამოირჩევა, ქართული თეატრისა და კინოს მშვენების, საქართველოს სახალხო არტისტის — **მედეა ჯაფარიძის** დაბადების 90 წლისთავის აღსანიშნავად უხვად ილუსტრირებული და ფერადი ფოტოალბომი გამოსცა. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ალბომი ორენოვანია (ქართულ-ინგლისური) და სწორედ ამ გარემოებამ მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება — ალბომი ხომ უცხოელებისთვის არის განკუთვნილი.

**ინგლისურ ენაში, როგორც ცნობილია, 26 ასოა და მავანმა, ალბათ, იფიქრა, მოდი, ცოტას წავუმატებ, თორემ ჩვენ, ქართველებს, 33 გვაქვს და უხერხულიაო. იფიქრა და აღასრულა კიდეც — ასე გაჩნდა ამ ალბომის ინგლისურ ტექსტში ასო — Z** (ანუ, ზოროს აღიარებული ნიშანი) **და ჰაიდა!** ტრადიციული ქართული გვარების დაბოლოებაში სულ ჩაწიკწიკებულია ეს ჩვენი ზოროს ნიშანი — მარტო თვით მედეა ჯაფარიძის გვარში, ყდისა და პირველი გვერდის თავფურცლის გარდა (საოცარია, მაგრამ ალბომს საერთოდ არ აქვს ნუმერაცია!), ყველგან Z-ია გამოყენებული. ასევე ბევრი სხვა ქართული გვარის (სააკაძე, კიკვაძე, რუხაძე, კაკაბაძე, ჩხიკვაძე და ა. შ.) დაბოლოებაში და, თქვენ წარმოიდგინეთ, სახელებშიც (აzიმე, zაბული, zევინარ და სხვ.).

მაგრამ ხომ არ გგონიათ, ეს ზოროს ნიშანი მხოლოდ ქართულ გვარებსა და სახელებშია? როგორ გეკადრებათ! თურმე ჩვენი ინკოგნიტო მავანის აზრით, ამ, 27-ე ასოთი უნდა დაიწეროს ისეთი ინგლისური სიტყვები, როგორიც არის, ვთქვათ, „Prize“ (მავანის აზრით, — „PriZe“), „Citizenship“ („CitiZenship“) და ა. შ.

სხვა საკითხებიც იპყრობს ყურადღებას:

1. ქართული **„ფ“** (ჯაფარიძე თუ ფალიაშვილი და ა. შ.) ინგლისურში უნდა გადავიტანოთ არა როგორც „**P**“, არამედ როგორც „**Ph**“, თორემ გამოდის არა **„ჯაფარიძე“**, არამედ **„ჯაპარიძე“**; არა — **„ფალიაშვილი“**, არამედ **„პალიაშვილი“** და ა. შ. სხვა შემთხვევაში თუ მრავალჯერ და, რაც მთავარია, სწორადაა თარგმნილი, ვთქვათ, „ბიოგრაფიული ფოტოები“ („Biographical photos“ — დააკვირდით, ორივე სიტყვაშია **„ფ“** და ორივეჯერ იგი სწორად იქნა გააზრებული), გვარებშიც ასე უნდა გაეკეთებინათ.

2. ქართული „ღ“ ერთგან სწორად არის გადატანილი (O. Meghvinetukhutsesi), მაგრამ კინოფილმ „ჯურღაის ფარის“ შემთხვევაში კი — არა (Jurgai).

3. ასევე: ერთგან „Georgy“ (ტოვსტონოგოვი), მეორეგან კი — „Giorgi“ (სააკაძე).

4. არც „Davit“ არის სწორი – უნდა იყოს „David“.

5. რაღა შორს წავიდეთ, ზოგი ინგლისური სიტყვაც კი არ არის სწორად მოცემული: „Daugter“ კი არა, უნდა იყოს „Daughter“ („ასული“, „ქალიშვილი“).

6. ზოგჯერ აზრობრივად არ არის სწორად თარგმნილი: როცა საუბარია, 1988 წელს მ. ჯაფარიძე თბილისის საპატიო მოქალაქე გახდაო, უნდა იყოს „Citizen“ და არა — „Citi?enship“ („მოქალაქეობა“).

7. ქართული ფილმების სახელწოდებები ყველგან თარგმნილია, გარდა ერთი შემთხვევისა — „მწვერვალთა დამპყრობნი“, რომელიც მხოლოდ ტრანსკრიფციულად არის მოცემული: „Mtsvervalta dampkrobni“. ამდენად, ინგლისელი მკითხველისთვის გაუგებარია, რას ნიშნავს ეს „Mtsvervalta dampkrobni“.

8. ამავე ფილმის გმირი — ალიოშა (ანუ მამაკაცი), ინგლისურად თარგმნილია, როგორც „Aleqsandra“, ანუ, როგორც ქალი.

9. როცა ლაპარაკია კ. მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრზე, სიტყვა „state“ უნდა იყოს დიდი ასოთი, ხოლო ნაცვალსახელი „She“ (პირველსავე გვერდზე) — პატარა ასოთი.

10. მოსკოვის სამხატვრო თეატრი ინგლისურად იქნება არა — „Moscow Artistically Theatre“, არამედ — „Moscow Art Theatre“.

**ქართული ტექსტი ლაკონიური და დახვეწილია (მშვენიერია დიზაინიც), თუმცა ორიოდე ზოგადი შენიშვნაც უნდა გაკეთდეს**:

1. ბუმბერაზი მსახიობის – **სერგო ზაქარიაძის** მოხსენიება მხოლოდ, როგორც რუსთაველის თეატრის დირექტორისა, უხერხულია.

2. ერთგან **მედეა ჯაფარიძისა** და **რეზო თაბუკაშვილის** ფოტოა. აქ აუცილებლად უნდა ყოფილიყო შენიშვნა, რომ ისინი ცოლ-ქმარი არიან.

3. ასევე მეტი დაკონკრეტება იყო საჭირო, როცა ნაჩვენებია კადრი ფილმიდან „იყო შაშვი მგალობელი“ და მასზე **მედეა ჯაფარიძე** და **ლაშა თაბუკაშვილი** არიან აღბეჭდილნი. ეს კადრი ძირითადად იმით არის საინტერესო, რომ მასზე ქალბატონი **მედეა** თავის ვაჟიშვილთან ერთად არის გადაღებული...

4. ფოტოზე აღბეჭდილ პირთა წარმოდგენასაც თავისი წესი აქვს — კინოფილმ „ეთერის სიმღერის“ ჯგუფურ ფოტოზე კი ვერ გაიგებს მკითხველი, ვინ ვინ არის და ა. შ. და ა. შ.

**ერთი სიტყვით, ძვირფასო მეგობრებო და კოლეგებო (მივმართავ არქივის თანამშრომლებს, რომლებთანაც, უკვე რამდენიმე ათეული წელია, მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა მაკავშირებს), ძალიან კარგ საქმეებს აკეთებთ და არ იქნება ურიგო, თუ ხანდახან სპეციალისტებსაც შეეკითხებით რამეს, თორემ სხვა დროსაც ასეთ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებით — ჩვენ ხომ საერთო საქმეს ვემსახურებით.**

პროფესორი
**გოგი დოლიძე**,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი კონსულტანტი,
აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი

უბრალო ქვეყანა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„1922 წელს, როცა სტალინი და ორჯონიკიძე ერთად ჩამოვიდნენ თბილისში, სტალინთან მივიდა დედამისი და ჰკითხა: „შვილო, ხელებზე მეფის სისხლი ხომ არ გცხია?“ „აი, გეფიცები, ნამდვილად არა!“ — და ყველას თვალწინ სტალინმა პირჯვარი გადაისახა. გაკვირვებულ ორჯონიკიძეს კი უთხრა: „ის ხომ მორწმუნეა! ღმერთმა ქნას, ჩვენმა ხალხმა ირწმუნოს მარქსიზმი ისე, როგორც მას ღმერთი სწამს!“**

ევგენი გუსლიაროვი

# სტალინი ცხოვრებაში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-4 (236-239)

## დასაბამი. როგორ ინრთობოდა სტალინი

**ჩვენს დღევანდელ პუბლიკაციაში მკითხველი გაეცნობა იოსებ სტალინის სემინარიაში სწავლის პერიოდის საინტერესო ამბებს, მის დამოკიდებულებას თანატოლებისადმი, წიგნების „მოპოვების“ საინტერესო „მეთოდს“, ხასიათის ზოგიერთ თავისებურებას. რატომ დაირქვა ახალგაზრდა რევოლუციონერმა მეტსახელად კობა, რით მოხიბლა ალექსანდრე ყაზბეგის „მამის მკვლელის“ ამ გმირმა სოსო ჯუღაშვილი? მკვლევართა და სტალინის ბიოგრაფთა მოსაზრებების გაცნობაც არ იქნება უინტერესო ჩვენი მკითხველებისთვის.**

**ნახევრადწიგნიერი მშობლები, გლეხები (ყმების ჩამომავლები) ღარიბები იყვნენ და ცხოვრობდნენ პატარა, ნაქირავებ სახლში, გორის განაპირა უბანში, ე. წ. რუსულ კვარტალში, ძველი რუსული საარმიო ბარაკების გვერდით.**

**Такер Р. с. 75.**

**სოსო მხოლოდ დედას აღიარებდა. მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით თუ არა, რომ მან შეითვისა დედის აზროვნებისა და ხასიათის თავისებურება, უეჭველია, რომ მას დედა ძალიან უყვარდა და მან ძლიერი გავლენა იქონია შვილის პიროვნების ჩამოყალიბებაზე.** ასეთი ზეგავლენის არსი ახსნა ფროიდმა, რომელმაც შენიშნა, რომ „მამაკაცი, რომელიც დედამისის უეჭველი ფავორიტი იყო, მთელი ცხოვრების მანძილზე ინარჩუნებს გამარჯვებულის შეგრძნებას, წარმატების მოპოვების სწორედ იმ დარწმუნებულობას, რომელსაც ხშირად ნამდვილი წარმატება მოაქვს“.

**Такер Р. с. 79-80.**

იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც მის შესახებ გამიგონია ადამიანებისგან, ვინც მას იცნობდა, ასევე, უამრავ ფოტოსურათზე აღბეჭდილი მისი ტუჩების მოხაზულობითა და თვალების გამომეტყველებით, უნდა ვირწმუნოთ, რომ **იგი იყო უკიდურესად შრომისმოყვარე და პედანტური ყველა საქმეში და ამის გამო არცთუ ძალიან მგრძნობიარე ცხოვრების გასართობი მხარეების მიმართ.** ბესარიონ ივანეს ძეს სწორედ იმიტომ მოეწონა იგი, რომ ოჯახის კერის მოსავლელად განსაკუთრებით გამოსადეგი იქნებოდა.

**Г.Я. Джугашвили (внучка Сталина). Дед, отец, мама и другие.**

**М.: Олимп, 1993. с. 15.**

ხუთი წლისამ გადაიტანა ყვავილი, რაც ლამის სიცოცხლედ დაუჯდა და რამაც მრავალი ნაყვავილარი დაუტოვა სახეზე.

**Ноймайр А. Диктаторы в зеркале медицины.**

**Ростов-на-Дону: Деникс, 1997, с. 446.**

მედიკოსებს არცთუ მცირე საფუძველი აქვთ, ივარაუდონ, რომ **საკმაოდ ახალგაზრდულ ასაკში ბელადმა გადაიტანა ინსულტი, რომლის შედეგადაც მას მნიშვნელოვნად დაუპატარავდა ტვინის მარცხენა შუბლის წილი, რომელშიც ლოკალიზდება უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციები.** სწორედ ამით ხსნის ბევრი მკვლევარი **სტალინის იუმორის თავისებურებას, რომელიც თავზარს სცემდა მისი გარემოცვის უახლოეს ადამიანებსაც კი.**

**Красиков С. с. 179-180.**

**11 წლამდე რუსულად არ ლაპარაკობდა.**

**Фельштинский Ю. Вожди в законе.**

**М.: Терра-Книжный клуб, 1999, с. 3**

**(შემდეგ ციტირებულია — Фельштинский Ю.)**

იგი ყოველნაირად გამოხატავდა მისდამი სიყვარულს, ჩაუნერგა წარმატებისადმი მუდმივი სწრაფვა, რაც თავად მას არ ეღირსა. შედეგად სოსოს ჩამოუყალიბდა **„გამარჯვებულის გრძნობა“** და **„დარწმუნება წარმატებაში“**, რომელზეც ფროიდი ლაპარაკობდა.

**Такер Р. с. 80.**

ბებიას თავისი პრინციპები ჰქონდა — მორწმუნე ადამიანის პრინციპები, რომელმაც გადაიტანა მკაცრი, მძიმე, პატიოსანი და ღირსეული ცხოვრება. მისი სიმტკიცე, სიჯიუტე, საკუთარი თავისადმი სიმკაცრე, მისი პურიტანული მორალი, პირქუში, ვაჟკაცური ხასიათი — ეს ყველაფერი მამას გადაეცა.

**მის საფლავთან რომ ვიდექი, მთელ მის ცხოვრებას რომ ვიხსენებდი, განა შეიძლებოდა არ მეფიქრა ღმერთზე, რომელიც მას სწამდა?!**

**Аллилуева С. 180.**

სტალინის შვილიშვილ ე. ი. ჯუღაშვილისგან შევიტყვე, რომ 1922 წელს, როცა სტალინი და ორჯონიკიძე ერთად ჩამოვიდნენ თბილისში, **სტალინთან მივიდა დედამისი და ჰკითხა: „შვილო, ხელებზე მეფის სისხლი ხომ არ გცხია?“ „აი, გეფიცები, ნამდვილად არა!“ — და ყველას თვალწინ სტალინმა პირჯვარი გადაისახა.** გაკვირვებულ ორჯონიკიძეს კი უთხრა: **„ის ხომ მორწმუნეა! ღმერთმა ქნას, ჩვენმა ხალხმა ირწმუნოს მარქსიზმი ისე, როგორც მას ღმერთი სწამს!“**

**Чуев Ф.И. Молотов. Полудержавный властелин.**

**М.: ОЛМА-ПРЕСС, 2000. с. 24.**



დედა-შვილი. 1936 წ.

**სოსო მხოლოდ დედას აღიარებდა. მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით თუ არა, რომ მან შეითვისა დედის აზროვნებისა და ხასიათის თავისებურება, უეჭველია, რომ მას დედა ძალიან უყვარდა და მან ძლიერი გავლენა იქონია შვილის პიროვნების ჩამოყალიბებაზე**

მან არ მოისურვა საქართველოს დატოვება და მოსკოვში გადმოსახლება, მიუხედავად იმისა, რომ მამა ეპატიჟებოდა, დედაც. მას არ სჭირდებოდა დედაქალაქური ცხოვრების წესი, იგი განაგრძობდა უბრალო ღვთისმოსავი ქალის ჩუმ და თავმდაბლურ ცხოვრებას. გარდაიცვალა 1936 წელს ოთხმოც წლამდე ასაკისა. მამამ ძალიან განიცადა და მოგვიანებით მასზე ხშირად ლაპარაკობდა. მაგრამ იგი ისეთივე ცუდი, უყურადღებო შვილი იყო, როგორიც მამა და ქმარი...

**Радзинский Э. Сталин. М.: 1997. с. 413.**

**მის არქივში ვიპოვე თბილისიდან გამოგზავნილი ნივთების ღატაკური სია, რომელიც დარჩა დედამისს — ნახევარი სამყაროს მბრძანებლის მშობელს.**

**(სტალინის წერილი — დედას:**

***„დედა — ჩემო! გამარჯობა!***

***იცოცხლე ათი თასი წელიწადი, გკოცნი. შენი სოსო“– 01.01.1923წ.)***

„რამდენიმეჯერ ვიყავით ბებიასთან. ბებია ძალიან მომეწონა. მე ის შემიყვარდა და კიდევ ჩავალ მასთან“.

**С. Аллилуева — Сталину. 1935 щдтм твнтмт.**

იგი ცხოვრობდა რომელიღაც ძველ ლამაზ სასახლეში... ეკავა ბნელი, დაბალჭერიანი ოთახი ეზოში გამავალი პატარა ფანჯრებით.

**Аллилуева С. с. 123.**

ჩვენ **(„პრავდის“ ჟურნალისტები. — ე. გ.)** ვესტუმრეთ იოსებ ბესარიონის ძე სტალინის დედას. სამი დღით ადრე — 17 ოქტომბერს — აქ იყო სტალინი. შვილი. 75 წლის დედა კეკე ალერსიანია, მხნე. გვიყვება დაუვიწყარი წუთების შესახებ.

— **სიხარული?** — ამბობს იგი, — **მეკითხებით, რა სიხარული ვიგრძენი? მთელ მსოფლიოს უხარია, ჩემს შვილს და ჩვენს ქვეყანას რომ უცქერიან. რა უნდა მეგრძნო მე — დედას?**

ჩვენ დავსხედით დიდ ნათელ ოთახში, რომლის შუაგულში იდგა თეთრ სუფრაგადაფარებული მრგვალი მაგიდა. ყვავილების თაიგული. ტახტი, საწოლი, სკამები. საწოლის თავზე — შვილის პორტრეტები. აი, იგი ლენინთან ერთად, ახალგაზრდა, კაბინეტში...

**— მოულოდნელად მოვიდა, გაუფრთხილებლად. გაიღო კარი — აი, ეს, — და შემოვიდა. ვუყურებ — ისაა. დიდხანს მკოცნიდა, მეც ასევე. როგორ მოგწონს ჩვენი ახალი თბილისი? — ვკითხე. თქვა, რომ კარგია. გაიხსენა წარსული, როგორ ვცხოვრობდით მაშინ. დღიურად ვმუშაობდი და შვილსა ვზრდიდი. ძნელი იყო. პატარა, ბნელ სახლში სახურავიდან წვიმა ჩამოდიოდა და ნესტი იდგა. ვიკვებებოდით ცუდად, მაგრამ არასოდეს, არასოდეს არ მახსოვს, რომ შვილი ცუდად მომქცეოდა. ყოველთვის — ზრუნვა და სიყვარული. სამაგალითო შვილია!**

ვემშვიდობებით. ახალი თბილისი ბობოქრობს, ბრწყინავს და ყვავის. გონებაში კი დედის სიტყვები ჟღერს:

**— ყველას ასეთ შვილს ვუსურვებ!**

**Правда. 1935. 23 окт.**

გორში, სტალინის მუზეუმში არ მოისურვეს გაედიდებინათ შესანიშნავი სურათი მამაჩემის დედამისთან ერთად, უკანასკნელ — 1936 წელს — სტუმრობისას გადაღებული. ისინი ერთმანეთის გვერდით სხედან მაგიდასთან, ეტყობა, ბებიას ოთახში, და ბებიას მის მხარზე ხელი აქვს დადებული, მამას კი ისეთი ბედნიერი, ისეთი სიყვარულით სავსე გამომეტყველება აქვს, როგორიც საერთოდ არასოდეს მენახა.

**Аллилуева С. с. 210.**

იმ შემოდგომაზე საქართველოში ბებიაჩემ ეკატერინეზე ვფიქრობდი. იგი დასაფლავებულია გრიბოედოვის საფლავის გვერდით, თბილისში, მამადავითის მთაზე, წმ. დავითის ეკლესიასთან. იქ სიმშვიდე და სილამაზეა, არაფრით რომ არ არის გაფუჭებული, არაფრით წარყვნილი.

**Аллилуева С. с. 179.**

**იგი ამბობდა, რომ (ბებია) ჭკვიანი ქალი იყო. მხედველობაში ჰქონდა მისი სულიერი თვისებები და არა განათლება** — მას თავისი სახელის დაჩხაპნა თუ შეეძლო. იგი ზოგჯერ ყვებოდა, როგორ ცემდა, როცა პატარა იყო, როგორ ცემდა მამამისსაც, რომელსაც დალევა უყვარდა. როგორც ჩანს, მას მკაცრი და კუშტი ხასიათი ჰქონდა და ეს აღაფრთოვანებდა მამას. იგი (ბებია) ადრე დაქვრივდა და უფრო პირქუში გახდა...

**Аллилуева С. с. 140-141.**

ბესო ჯუღაშვილი იყო გამხდარი, შავი თმებით, წვერითა და ულვაშით. **თანამედროვენი აღნიშნავდნენ, რომ ახალგაზრდობაში სოსო ძალიან ჰგავდა მამას.**

**Такер Р. с. 80.**

**ბებიას თავისი პრინციპები ჰქონდა — მორწმუნე ადამიანის პრინციპები, რომელმაც გადაიტანა მკაცრი, მძიმე, პატიოსანი და ღირსეული ცხოვრება. მისი სიმტკიცე, სიჯიუტე, საკუთარი თავისადმი სიმკაცრე, მისი პურიტანული მორალი, პირქუში, ვაჟკაცური ხასიათი — ეს ყველაფერი მამას გადაეცა**

▶

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „გორში, სტალინის მუზეუმში არ მოისურვეს გაედიდებინათ შესანიშნავი სურათი მამაჩემის დედამისთან ერთად, უკანასკნელ — 1936 წელს — სტუმრობისას გადაღებული. ისინი ერთმანეთის გვერდით სხედან მაგიდასთან, ეტყობა, ბებიას ოთახში, და ბებიას მის მხარზე ხელი აქვს დადებული, მამას კი ისეთი ბედნიერი, ისეთი სიყვარულით სავსე გამომეტყველება აქვს, როგორიც საერთოდ არასოდეს მენახა.“

◀ იგი ცნობილი ოსტატი იყო, მის მიერ შეკერილ ჩექმებს მთელ გორში სახელი ჰქონდა გავარდნილი.

**Яковлев Н.Н. с. 18.**

პრეზიდენტის არქივში განგვიმარტეს: **„სტალინის მამის შესახებ არავითარი დოკუმენტური მასალები არ გვაქვს“.**

წარმოუდგენელია, **არავის არასოდეს ფოტოსურათიც კი არ უნახავს ხალხთა ბელადის მამის!..** როდის გარდაიცვალა, სადაა დასაფლავებული, მხოლოდ ღმერთმა იცის. ოფიციალური ცნობების არქონამ, ალბათ, შეგნებულად(!) დაბადა უამრავი ჭორი და ლეგენდა.

**Зенькович Н.Н. Тайны уходящего века-3.**

**М.: ОЛМА-Пресс, 1999, с. 21.**

**(შემდეგი ციტირება: Зенькович Н.)**

საწყალი კატერინა — მედღეური მუშა ქალი, კატერინა — ლეიბების მკერავი! წარმოედგინა კი მას, სხვების იატაკებს რომ წმენდდა, სხვის თეთრეულს რომ რეცხავდა, ძუძუს რომ აწოვებდა სხვების ბავშვებს, სხვის ლეიბებს რომ კერავდა, როგორ ბოროტ გველებად დაიკლაკნებოდა მისი მწითური თმები იმ ადამიანების წარმოდგენაში, რომლებიც საუკუნის შემდეგ „რომანტიკით ყველასთვის“ გათელილი მტვრიანი გზით გავარდებოდნენ უაზრო მიზნისკენ; ლეგენდით შეებორკათ იგი, ვინც არ მომკვდარა — მისი ნაშობი ერთ-ერთი შვილი...

**Джугашвили Г. с. 14.**

1888 წელს მან (დედამ) იოსები სასწავლებელში განაწესა, სადაც გაითვალისწინეს ოჯახის სიღატაკე და დაუწესეს პენსია — 3 რუბლი თვეში.

**Яковлев Н.Н. с. 19.**

**სოსო მდიდრულად არ იყო ჩაცმული, მაგრამ ყველაფერი, რაც ეცვა, სუფთა და კოხტა იყო.**

**Гоглицидзе С. (преподаватель духовного училища).**

**РЦХИНДИ. Ф. 558, оп. 4, д. 665, л. 242.**

პატარა სოსოს სასწავლებელში ჩარიცხვის შემდეგ, კერძოდ კი 1889 წელს, როცა იოსები 10 წლისა იყო, იმ დროისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა კულტურულ ცხოვრებაში: თბილისში გამოჩნდა იმ დროისთვის არაჩვეულებრივი გამოცემა — შოთა რუსთაველის ხუთ ენაზე თარგმნილი ნაწარმოები „ვეფხისტყაოსანი“.

უცნობია, ნახა თუ არა მაშინ ან ცოტა ხნის შემდეგ ეს გამოცემა მოსწავლე ჯუღაშვილმა.

**Похлебкин В. с. 73.**

**სასულიერო სასწავლებელში იოსები დაეუფლა**

გორის სასულიერო სასწავლებლის აღსაზრდელები. სოსო ჯუღაშვილი ზედა რიგის ცენტრში



## სასულიერო სასწავლებელში იოსები დაეუფლა რუსულ ენას, მთელი ცხოვრების მანძილზე სტალინს ახასიათებდა აბსოლუტური წიგნიერება და მკაფიო, თითქმის კალიგრაფიული ხელწერა

**რუსულ ენას, მთელი ცხოვრების მანძილზე სტალინს ახასიათებდა აბსოლუტური წიგნიერება და მკაფიო, თითქმის კალიგრაფიული ხელწერა.**

**Яковлев Н.Н. с. 20.**

**გორის სკოლაში სწავლების წლებში იგი იყო ხალისიანი, გულგახსნილი და კარგი საამხანაგო ბიჭი...**

**Ноймайр А. с. 335.**

და კიდევ: მას შეეძლო სხვისი დამორჩილება. მან შეაგროვა ყველაზე ღონიერი ბიჭების გუნდი და მათ „სამი მუშკეტერი“ დაარქვა. პეტა კაპანაძე, ცერაძე, გრიშა გლურჯიძე — ეს იმ ბიჭების სახელებია, რომლებიც უსიტყვოდ ასრულებდნენ დარტანიანის — სოსოს განკარგულებებს.

სტალინი რომ გახდება... იგი შეძლებს შეინარჩუნოს მისთვის უცხო სენტიმენტური დამოკიდებულება პატარა სოსოს მეგობრებისადმი. **ომის მძიმე წლებში იგი უგზავნის პეტას, მიშას და გრიშას იმ დროისთვის არცთუ მცირე თანხას... „მიიღე ჩემგან მცირე საჩუქარი. შენი სოსო“, — თბილად მისწერს 68 წლის სტალინი მორიგ ბარათს 70 წლის კაპანაძეს.** ეს ბარათები მის არქივში დარჩა.

**Радзинский Э. с. 34.**

სოსოს საყვარელი თამაში კრივი იყო... მოკრივეთა ორი გუნდი იყო — ისინი, ვინც ზემო ქალაქში ცხოვრობდნენ, და ისინი, ვინც ქვედას წარმომადგენლები იყვნენ. ჩვენ ერთმანეთს უმოწყალოდ ვურტყამდით და **პატარა, უძლური სოსო ერთ-ერთი ყველაზე მოქნილი მოჩხუბარი იყო. მას შეეძლო მოულოდნელად ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგის უკან აღმოჩენილიყო,** მაგრამ კარგად ნაკვები ბავშვები ქვემო ქალაქიდან უფრო ძლიერები იყვნენ.

**М. Церодзе**

**Цит. по Радзинский Э. с. 34.**

**...სწავლის პირველ წლებში სოსო ძალიან მორწმუნე იყო, ესწრებოდა ყველა ღვთისმსახურებას, მღეროდა საეკლესიო გუნდში. კარგად მახსოვს, რომ იგი არა მხოლოდ ასრულებდა რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, არამედ ყველას გვახსენებდა მათ დაცვას.**

**Магулия В. Сталин в годы учебы в духовном**

**училище. Безбожник. 1939. 21 дек.**

გორის სასულიერო სასწავლებელში იოსები არა მხოლოდ საუკეთესო მოსწავლეთა შორის იყო, **„გაკვეთილებზე მთელი მისი ყურადღება მიპყრობილი იყო იმისკენ, რომ არც ერთი სიტყვა, არც ერთი ცნება არ გამოეტოვებინა. სმენად იყო ქცეული ჩვეულებრივ ძალიან ცოცხალი, მოძრავი და მკვირცხლი სოსო“,** — ასე იხსენებს სტალინს მისი თანაკლასელი. მაშინ 13 წლისამ ღვთის რწმენა დაკარგა, როცა წაიკითხა პოპულარული სტატია დარვინის მოძღვრების შესახებ. მაშინვე გორის სასწავლებელში დაიწყეს რუსულის, როგორც ძირითადი ენის, ძალადობრივი დანერგვა. ქართულ მეტყველებაზე გადასვლა მკაცრად ისჯებოდა — ცემდნენ მუშტით ან სახაზავით, წვრილ კენჭებზე მუხლებით აყენებდნენ.

**Иванов Я. Независим. газета 1996. 21 дек.**

ერთხელ, როცა უფროსი ბიჭების ჯგუფი სასწავლებლის ზედამხედველთან ერთად ქალაქგარეთ გავიდა, სოსო პირველი გამოქანდა და გადაახტა ფართე ღელეს. ხოლო როცა ერთი მონაფე შუა მდინარებაში ჩადგა, საკუთარი ზურგი გადასასვლელად ხიდად შეუშვირა მშიშარა ზედამხედველს და გადასვლაში დაეხმარა, სოსომ ჩაიბუზღუნა: **„ვირი ხარ, თუ რა? მე თვით ღმერთსაც არ შევუშვერდი ზურგს, ზედამხედველს კი არა“.**

**Такер Р. с. 81.**

გლურჯიძე, თავის მხრივ, იხსენებს, რა უთხრა მას ერთხელ ცამეტი წლის იოსებმა. **„იცი, ჩვენ გვატყუებენ, ღმერთი არ არსებობს...“** გაოცებული თანამოსაუბრის ამ შეძახებაზე, იოსებმა ურჩია, წაეკითხა წიგნი, რომლითაც მიხვდებოდა, რომ **„ღმერთზე ლაპარაკი ცარიელი ლაყბობაა“. „რა წიგნია?“ — „დარვინი. აუცილებლად წაიკითხე“.**

**Троцкий Л.1 с. 223-224.**

**სწავლობდა იგი შესანიშნავად, მაგრამ მამამისმა, ჩემმა გარდაცვლილმა ქმარმა ბესარიონმა განიზრახა, გამოეყვანა ბიჭი სკოლიდან და მეწაღის (თავისი) ხელობა შეესწავლებინა. ვეწინააღმდეგებოდი, როგორც შემეძლო, წავეჩხუბე კიდეც, მაგრამ ვერ ვუშველე: ქმარმა თავისი გაიტანა.**

**Джугашвили Г. Правда, 1935. 27 окт.**

მასწავლებლებმაც და ეკლესიის მსახურებმაც ურჩიეს მხარდაჭერის მაძიებელ დედას, დამორჩილებოდა და მის რამენაირად დამშვიდებას შეეცადნენ იმით, რომ დაპირდნენ — სოსოს თბილისში საქართველოს ეგზარქოსის საეკლესიო გუნდში მოაწყობდნენ.

**Такер Р. с. 79.**

— შენ გინდა, რომ შენი შვილი მიტროპოლიტი გახდეს? ვერასოდეს მოესწრები ამას. მე ხარაზი ვარ და ისიც იქნება, — ხშირად ამბობდა ბესო. მან შვილი თბილისში ჩაიყვანა და ადელხანოვის ფაბრიკაში მოაწყო: პატარა სოსო ეხმარებოდა მუშებს, ემსახურებოდა მოხუცებს, მაგრამ კეკე ჩამოვიდა თბილისში და წაიყვანა შვილი. ბელიაევი **(სასწავლებლის ინსპექტორი. — ე. გ.)** დაეხმარა მას, კვლავ მოეწყო ბიჭი სასწავლებელში.

**С. Гоглидзе.**

**Цит. по: Радзинский Э. с. 37.**

ყოფილი თანასკოლელის სიტყვით, მასწავლებელმა ილურიძემ, რომელიც ყოველთვის ცდილობდა, ჩაეჭრა სოსო, როგორც „ღარიბთა და უბედურთა“ ჯგუფის ხელმძღვანელი, ერთხელ ჰკითხა, რა მანძილია სანკტ-პეტერბურგსა და პეტერგოფს შორის. პასუხი მცდარად მიიჩნია, მაგრამ სოსო თავისაზე იდგა, ხოლო როცა გაბრაზებული მასწავლებელი დაემუქრა და ბოდიშის მოხდა მოსთხოვა, სოსომ ხმა არ ამოიღო, თვალები კი მრისხანებით გაუფართოვდა.

**Такер Р. с. 81.**

**...მას ნამდვილად უყვარდა მხოლოდ ერთი ადამიანი — საკუთარი დედა. როგორც ბიჭი და ჭაბუკი, იგი კარგი მეგობარი იყო ყველასთვის, ვინც მის ნებას ემორჩილებოდა.**

**Иремашвили И. с. 5-6.**

**სოსო ჯუღაშვილი აღმოჩნდა თავის წლებთან შედარებით უფრო განვითარებული, სწავლაში ნიჭიერი, ენერგიული, ფიზიკურად მოძრავი ნათელთვალება ბავშვი, რომელსაც ძალიან უყვარდა სხვადასხვა გასართობი. კარგი ხმა ჰქონდა და გორის ეკლესიის სასკოლო გუნდში მღეროდა.**

**Такер Р. с. 79.**

საეკლესიო მარხვის დროს მღეროდნენ სამნი. ეს იყო მონანიების ლოცვა. შეარჩევდნენ საუკეთესო ხმების მქონე მომღერლებს, მათგან ერთ-ერთი ყოველთვის სოსო იყო. მწუხრის ღვთისმსახურება... სამი ბიჭი მუხლებზე დგას და საგალობელს მღერის... სამი ბავშვის ანგელოსური ხმები, გახსნილია სამეფო ოქროს ბჭე, მღვდელი ხელებს აღაპყრობს — და ჩვენ, არამქვეყნიური აღმაფრენით აღვსილნი მიწაზე დამხობილი ვართ...

**Д. Сулиашвили.**

**Цит. по: Радзинский Э. с. 33.**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რუბრიკას უძღვება არმაზ სანებლიძე

## სოსო ჯუღაშვილი აღმოჩნდა თავის წლებთან შედარებით უფრო განვითარებული, სწავლაში ნიჭიერი, ენერგიული, ფიზიკურად მოძრავი ნათელთვალება ბავშვი, რომელსაც ძალიან უყვარდა სხვადასხვა გასართობი. კარგი ხმა ჰქონდა და გორის ეკლესიის სასკოლო გუნდში მღეროდა



## მოზარდმა მეგობარი საფანტის თოფიდან გასროლით მოკლა

**ინციდენტი გასულ კვირას ვაშინგტონის შტატის ქალაქ პუიალში მოხდა. 12-14 წლის ოთხი მოზარდი ერთ-ერთი მათგანის სახლის წინ იჯდა. ბიჭმა, რომელიც იმ სახლში ცხოვრობდა, გადაწყვიტა, მეგობრებისთვის საფანტის თოფი ეჩვენებინა. თოფმა სწორედ ერთ-ერთი მათგანის ხელში გაისროლა. 13 წლის ბიჭი, რომელსაც ტყვია მკერდში მოხვდა, საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.**

ამჟამად აშშ-ის მოქალაქეების ხელში 270 მილიონზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღია. მათი ადვილი ხელმისაწვდომობა და ლიცენზირების მკაცრი პოლიტიკის არარსებობა ხშირად ხდება ტრაგიკული შემთხვევის მიზეზი. **შარშან აშშ-ში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით 12 წლამდე ასაკის 194 ბავშვი დაიღუპა.**



## პოლონეთის ექსპრეზიდენტს ღალატში ადანაშაულებენ

**პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი, 90 წლის გენერალი ვოიცეხ იარუზელსკი, მეუღლე ბარბარამ, 53 წლის თანაცხოვრების შემდეგ, ღალატში დაადანაშაულა და განზრახული აქვს, სასამართლოში განცხადება შეიტანოს განქორწინების მოთხოვნით.**

84 წლის ქალმა განაცხადა, რომ დოკუმენტები უკვე მზად აქვს და, თუკი ქმარი არ გაწყვეტს ურთიერთობას ქალთან, რომელთანაც ღალატობს, სასამართლოში სარჩელს აღძრავს.

პოლონეთის ყოფილი პირველი ლედის აზრით, ქმარი მას 50 წლის ქალთან ღალატობს, რომელიც იარუზელსკების ოჯახში მოსამსახურედ მუშაობდა.

ბარბარა იარუზელსკაიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მეუღლე განქორწინებაზე თანახმა არ არის.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ოქროს საცვლები

**ჩინეთში ოქროსგან ქალის თეთრეული შექმნეს. კომპლექტის პრეზენტაცია ქალაქ უჰანის საიუველირო მაღაზიაში გაიმართა.**

საცვლების შექმნაზე სპეციალისტები ნახევარი წელი მუშაობდნენ. თეთრეულის საერთო წონა დაახლოებით 3 კგ-ია, მისი ღირებულება კი — 827 000 დოლარი. ამასთან, მაღაზია ოქროს თეთრეულის გაყიდვას არ აპირებს. ადრე ოქროს ტანსაცმელი თურქმა დიზაინერმაც შექმნა. აჰმეტ ატაკანმა იანვრის დასაწყისში 8 ოქროს კაბის გაყიდვა შეძლო. თითო კაბის ღირებულება 138 000 დოლარი იყო.





# ყინულის ქალაქი



**ჩინეთის ქალაქ ხარბინში გიგანტური ყინულის სასახლეები ააგეს. სპეციალურად თოვლის ფესტივალისთვის 26 მეტრი სიმაღლის სასახლე რამდენიმე კვირის განმავლობაში შენდებოდა.**

როგორც პროექტის ორგანიზატორები ამბობენ, დაახლოებით 10 000 ადამიანი დაიქირავეს, რათა ყინულისგან სხვადასხვა სკულპტურა შეექმნათ. ყინულის კომპოზიციებს, საერთო ჯამში, 180 000 კვადრატული მეტრი ყინული და 150 000 კვადრატული მეტრი თოვლი დასჭირდა.

სადღესასწაულო განწყობის შესაქმნელად ყინულის ნამუშევრები სხვადასხვა ფერით გაანათეს. ორგანიზატორები ამბობენ, რომ ადგილობრივებსა და ტურისტებს საინტერესო თეატრალური წარმოდგენებით, კონცერტებითა და შოუ-პროგრამებით გაანებივრებენ.













# «მის ყველაზე გრძელი ფეხები»

**ნოვოსიბირსკელმა გოგონამ, 18 წლის ანასტასია სტრაშევსკაიამ, რუსი გოგონებისთვის საოცნებო კონკურსში გაიმარჯვა.**

კონკურსში „მის გრძელი ფეხები“ მან 52 მონაწილე დაჩრდილა. ანასტასიას ჯილდოდ 1 600 გირვანქა სტერლინგი გადასცეს. მისი ფეხების სიგრძე 106 სანტიმეტრია. სხვა გოგონებმა შემდეგ კატეგორიებში — „მის ღიმილი“, „მის სპორტული აღნაგობა“, „მის ქერა“ და „მის შავგვრემანი“ გაიმარჯვეს.

ანასტასია უნივერსიტეტის სტუდენტია და მომავალი ადვოკატია. როგორც ამბობს, მისი ყველა მეგობარი მაღალი და ტანადია, მაგრამ მათგან გრძელი ფეხებით ყოველთვის გამოირჩეოდა. ანასტასიას პოპულარობა კონკურსში გამარჯვების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა.

**„ამ ფულით მშობლებისთვის საჩუქარს ვიყიდი, ნაწილს კი სიმსივნით დაავადებული ბავშვების ცენტრში გადავრიცხავ“,** — ამბობს ის.

# შაქარი ისეთივე მავნებელია, როგორც თამბაქო



**იმ კომპანიებს, რომლებიც პროდუქტებსა და ტკბილეულს აწარმოებენ, ლივერპულის უნივერსიტეტის მეცნიერები მოუწოდებენ, საკვებში შაქრის რაოდენობა მაქსიმალურად შეამცირონ, რადგან ჯანმრთელობისთვის ტკბილეულის დიდი დოზით მიღება სახიფათოა. მათი თქმით, ნულპროცენტიან იოგურტშიც კი 5 კოვზი შაქარია.**

**„შაქარი ახალი თამბაქოა. ყველგან შაქრიანი სასმელები და საკვებია“,** — ამბობს ლივერპულის უნივერსიტეტის მეცნიერი საიმონ კეპიუელი. მათი თქმით, ამის გამო მსოფლიოში ლამის პირველ პრობლემად ჭარბი წონა სახელდება და, თუ ადრე სიმსუქნე შუახნის ასაკის ადამიანებს აწუხებდათ, ახლა ყოველი მესამე ახალგაზრდა ჭარბ წონას არაფრისმომცემი დიეტით ებრძვის. ამასთან, პრობლემა მხოლოდ სიმსუქნე არაა, ასევე იმატა დიაბეტით დაავადებულთა რიცხვმა.

„წყლის გარდა, ნებისმიერი სასმელი შაქარს შეიცავს. ეს კი დიაბეტის, სიმსუქნისა და კარდიოვასკულარული ავადმყოფობების რისკს ზრდის“, — ამბობს ჰარვარდის ჯანდაცვის უმაღლესი სკოლის კარდიოლოგი, პროფესორი შრინათ რედი.



## ღმერთთან სიახლოვისთვის სამხრეთ აფრიკელებმა ბალახის ჭამა დაიწყეს

**სამხრეთ აფრიკელმა პასტორმა მრევლს მოუწოდა, ბალახი ეჭამათ და ამ გზით ღმერთთან მიახლოებას შეძლებდნენ.** მას შემდეგ, რაც პასტორმა ლესეგო დანიელმა მსგავსი შინაარსის განცხადება გააკეთა, პრეტორიას მცხოვრებლები ქუჩებში გავიდნენ და ბალახის ჭამა დაიწყეს. დასავლურ გამოცემებში დაბეჭდილმა ფოტოებმა, რომლებზეც აღბეჭდილია, თუ როგორ „სადილობს“ ხალხი ბალახით, ყველა აღაშფოთა. ბალახის ჭამის შემდეგ უამრავი ადამიანი მოიწამლა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მსოფლიოში ყოველი მესამე ზრდასრული ადამიანი ჭარბწონიანია



**„მსოფლიოში თითქმის ნახევარ მილიარდ ადამიანს ზედმეტი წონა აწუხებს ან ჭარბწონიანია“, — აღნიშნულია ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების ინსტიტუტის მოხსენებაში.** სპეციალისტებმა დათვალეს, რომ 1980 წლიდან 2008 წლამდე ასეთი ადამიანების რაოდენობა თითქმის სამჯერ — 250 მილიონიდან 904 მილიონამდე გაიზარდა, ხოლო ბოლო 5 წელიწადში მსუქანი ადამიანების რაოდენობამ ნახევარ მილიარდს მიაღწია.

ბრიტანეთის ინსტიტუტის მოხსენებაში ნათქვამია, რომ სიმსუქნე პრობლემას განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში წარმოადგენს, რადგან იქ მოსახლეობა უპირატესობას ცხიმიანი პროდუქტების მოხმარებას ანიჭებს.

ანალიტიკოსები შეგვახსენებენ, რომ ზედმეტი წონა კიბოს, დიაბეტისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებას უწყობს ხელს. ბრიტანელ სწავლულთა აზრით, ყველა ქვეყნის მთავრობამ ჭარბწონიანობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მოსახლეობის ინფორმირებას მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიმსუქნით დაავადებულთა რაოდენობა გაიზრდება.

## მასწავლებელმა მოსწავლე თანაკლასელებს აცემინა

**ჩინეთში ბავშვის საჯაროდ ფიზიკური დასჯა ჩვეულებრივი მოვლენაა. ამასთან, არსებობს სპეციალური კანონი, რომელიც სხვადასხვა დაწესებულების ხელმძღვანელებს ავალდებულებს, მშობლებს შეატყობინოს, რომ ცუდ საქციელში შემჩნეული შვილები მკაცრად დასაჯონ.**



ხენანის პროვინციაში მცხოვრები 12 წლის მოსწავლე იმის გამო, რომ საშინაო დავალება არ შეასრულა, სასტიკად აწამეს. მასწავლებელმა მოსწავლეებს თანაკლასელის ცემა, სახეში 40-ჯერ ჩარტყმა დაავალა. ის ბავშვი, რომელიც თანაკლასელს განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდებოდა, სპეციალურ ჯილდოს მიიღებდა. როგორც დაზარალებული ბავშვი ამბობს, დასჯის შემდეგ მასწავლებელმა საკლასო ოთახში ყველას თანდასწრებით აზიდვების გაკეთება დაავალა და ლანჩის ჭამა აუკრძალა. მოსწავლემ განაცხადა, რომ სახლში ღამე გაეღვიძა და მიხვდა, რომ მარცხენა თვალით ვერაფერს ხედავდა.

ბავშვი ამ დრომდე საავადმყოფოშია და ოპერაციის შემდეგ მკურნალობის კურსს გადის. კომპენსაციის სახით ოჯახს დირექტორმა 3 000 გირვანქა სტერლინგი გადაურიცხა; მასწავლებელი თავს დამნაშავედ არ ცნობს და ამბობს, რომ სხვა ბავშვებისთვის ეს სასჯელი კარგი გაკვეთილი იქნება.

## მშობლებმა დაკარგული ვაჟი ფოტოთი იპოვეს

**უგზოუკვლოდ დაკარგული ამერიკელი Associated Press-ის თანამშრომლის გადაღებული ფოტოს წყალობით იპოვეს.**



პირველად ფოტოს ყურადღება სოციალურ ქსელ Facebook-ის მომხმარებლებმა მიაქციეს. სახლიდან წასული ახალგაზრდა მამაკაცის მშობლების მიერ შექმნილ გვერდზე სოციალური ქსელის ერთმა მომხმარებელმა დაწერა, რომ მათი ვაჟი გაზეთ USA Today-ს ფოტოზე ნახა.

როგორც გაირკვა, გაზეთში გამოქვეყნებულ სურათზე ნამდვილად აღბეჭდილი იყო 20 წლის ნიკოლას სიმონსი, რომელიც იანვრის დასაწყისში წავიდა სახლიდან. ჟაკლინ მარტინის გადაღებულ ფოტოზე ახალგაზრდა ვაშინგტონში, აშშ-ის ფედერალური სავაჭრო კომისიის შენობასთან უსახლკაროებთან ერთად იკვებება და ვენტილაციასთან თბება.

ფოტოთი გაოცებული სიმონსის მშობლები ჟაკლინ მარტინს Facebook-ით დაუკავშირდნენ. მალე, სიმონსის ნათესავების თხოვნით, მარტინი ფოტოს გადაღების ადგილზე დაბრუნდა. გარკვეული დროის შემდეგ პოლიციელების დახმარებით ახალგაზრდა იპოვეს. ნიკოლას სიმონსი ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მშობლებიც მივიდნენ.

ნიკოლას სიმონსი სახლიდან 1 იანვარს წავიდა. მან არავის უთხრა, სად მიდიოდა და სახლში საფულე, მობილური ტელეფონი და დოკუმენტები დატოვა. როდესაც ვაჟი სახლში არ დაბრუნდა, პოლ და მიშელ სიმონსებმა პოლიციაში დარეკეს და დაკარგული ნიკოლასის მოსაძებნად Facebook-ში გვერდი შექმნეს.

## ზოოპარკი, რომელშიც ლომებთან და ვეფხვებთან დაგაძინებენ

**არგენტინაში მდებარე ზოოპარკში Lujan Zoo-ში მისულ სტუმრებს მსოფლიოში ყველაზე საშიშ მტაცებლებთან — ლომებთან და ვეფხვებთან ძილი შეუძლიათ.**



ზოოპარკში ცხოველები ძაღლებთან ერთად იზრდებიან და ადამიანებთან ახლო კონტაქტს სწავლობენ. ზოოპარკი პირველად 1994 წელს გაიხსნა. მთელი 20 წლის განმავლობაში მტაცებლები ზოოპარკის სტუმრებს თავს არასდროს დასხმიან.

საქმე ის არის, რომ დაწესებულებას ხშირად სტუმრობენ პატარები, რომლებიც საკუთარი ხელით კვებავენ ცხოველებს. როგორც ადმინისტრაციაში ამბობენ, ცხოველები ყოველთვის დანაყრებულები არიან, სწორედ ამიტომ ადამიანების ხორცს საკვებად აღარ აღიქვამენ.

თუმცა, Lujan Zoo-ს ბევრი კრიტიკოსი ჰყავს. ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციები ადმინისტრაციას სასამართლოში უჩივიან, რადგან მათი მტკიცებით, ცხოველებს დამამშვიდებელი ნარკოტიკი სისტემატურად უკეთდებათ და ეს მათი სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის საზიანოა.

## მაღვიძარა, რომლის ხმაც მხოლოდ თქვენ გესმით



**დილით გაღვიძება ზოგიერთისთვის სერიოზული პრობლემაა. მაღვიძარა კი ოჯახის სხვა წევრებსაც აღვიძებს.** სამხრეთ კორეელმა 24 წლის კიუნგმი მუნმა სპეციალური მაღვიძარა შექმნა, რომელიც ყურსასმენის წყალობით მხოლოდ თქვენ გაგაღვიძებთ.

მაღვიძარა Earlarm ბლუთუზის წყალობით სმარტფონში აპლიკაციას ტვირთავს და მითითებულ დროს გაღვიძებთ. დიზაინერმა მაღვიძარას შექმნა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მის მეზობელ ოთახში ხმაურიანი მეგობრები გადმობარგდნენ.

„ძალიან ფხიზელი ძილი მაქვს და ნებისმიერ ხმაურზე მეღვიძება, შემდეგ კი დაძინება მიჭირს. ხმაურიანი მეზობლები მყავს და კლუბიდან შუაღამისას მოდიან, მხიარულებას კი ოთახში აგრძელებენ. ყურსასმენებს ვიკეთებდი, რათა ხმაური ჩამეხშო, მაგრამ მაღვიძარას ხმას ველარ ვიგებდი და დილით უნივერსიტეტში ლექციებზე მაგვიანდებოდა, ამიტომ Earlarm შევქმენი“, — ამბობს დიზაინერი.

# კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე თანამდებობიდან გაათავისუფლეს



**პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დააკმაყოფილა კულტურის მინისტრის — გურამ ოდიშარიას მოთხოვნა, მისი მოადგილის — მარინე მიზანდარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.**

პრემიერმინისტრის შესაბამისი ბრძანება, რომელიც 10 თებერვლით თარიღდება, მთავრობის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. ბრძანების თანახმად, კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან მარინე მიზანდარი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე გათავისუფლდა, რაც სამსახურეობრივი მოვალეობების უხეშად დარღვევას გულისხმობს.

მარინე მიზანდარის განცხადებით, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონპროექტზე, რომელიც ძეგლისთვის სტატუსის მინიჭება-მოხსნის საკითხს ეხებოდა, კულტურის სამინისტროსა და მინისტრის პოზიცია ძალიან სუსტი იყო და მინისტრმა ვერ დაიცვა დარგი.

მარინე მიზანდარმა აღნიშნა, რომ ასეთი მიდგომით, მართვითა და ასეთი დამოკიდებულებით პრინციპული საკითხებისადმი კულტურის მინისტრ გურამ ოდიშარიას დიდი მომავალი არ უწერია.



# აშშ-მა ქართულ კომპანიებს შეზღუდვები დაუწესა

**აშშ-ის სახაზინოს დეპარტამენტის შეზღუდვები ირანის სანქციების გვერდის ავლისთვის 3 მეწარმეს და მათ 8 კომპანიას ეხება.**

შეერთებული შტატების სახაზინო დეპარტამენტმა განცხადება იმ ზომების შესახებ გაავრცელა, რომელსაც ის ირანზე დაწესებული სანქციების დაცვისთვის ახორციელებს. შეზღუდვები უწესდება იმ კომპანიებს და პირებს, რომლებიც, ხაზინის დეპარტამენტის მონაცემებით, გარკვეულ როლს თამაშობენ ირანის ბირთვული პროგრამის განვითარების ხელშეწყობაში.

ეს კომპანიები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არიან ბაზირებული. ესენია: საქართველო, თურქეთი, ესპანეთი, ავღანეთი, ირანი, გაერთიანებული არაბული საამიროები და ლიხტენშტეინი.

განკარგულება №13608-ით სანქციები საქართველოში მოქმედ 3 ადამიანს უწესდება: **პორუა ნაების, ჰოშანგ ჰოსეინპურს და ჰოშანგ ფარსოდეს** (Pourya Nayebi, Houshang Hosseinpour, Houshang Farsoudeh), ისინი 8 კომპანიას ფლობენ და აკონტროლებენ.

ამ სამმა პირმა 2011 წელს საქართველოში ლიცენზირებული ბანკის აქციების დიდი ნაწილი შეიძინა და შემდეგ ამ ბანკის მეშვეობით ათობით მილიონ დოლარს ირანულ ბანკებში გადარიცხვისთვის იყენებდა.

# ამერიკული კომპანია ტურისტებს ურჩევს, სოჭში «რუსული დელიკატესები» — ჩურჩხელა, ხაჭაპური და ხინკალი გასინჯონ




**„რუსული დელიკატესები: ჩურჩხელა, ხაჭაპური და ხინკალი“ — სწორედ ასეთი წარწერა ამშვენებს ინფორმაციას სოჭის შესახებ, რომელიც ამერიკული ტანსაცმლისა და აქსესუარების ბითუმად მოვაჭრე კომპანიის — American Eagle Outfitters-ის ვებგვერდზე ტურისტებისთვისაა განთავსებული.**

„60-70-80-იან წლებში სოჭი ძალიან პოპულარული კურორტი იყო და იქ რუსეთის მოსახლეობის 40%-ზე მეტი ერთხელ მაინც იყო ნამყოფი. სოჭში ყოფნისას, შეგიძლიათ დააგემოვნოთ სოჭის განთქმული ჩებურეკი, ხაჭაპური და ხინკალი. დესერტად კი მიირთვით ჩურჩხელა, და არ დაგავიწყდეთ და რამდენიმე მათგანი თან გაიყოლეთ თქვენი ოჯახისა და მეგობრებისთვის“, — ურჩევს American Eagle Outfitters-ი მომხმარებლებს.

# თემურ ქეცბაიას ხელფასი 30%-ით შეუმცირეს



**საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მთავარ მწვრთნელ თემურ ქეცბაიას ხელფასი 30%-ით შეუმცირდა, — განაცხადა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ.** მისივე თქმით, ხელფასის შემცირება ქეცბაიასთან შეთანხმებით მოხდა.

**„არავის ეგონოს, ხელფასი იმიტომ შევამცირეთ, რომ სახელმწიფოს ნაცვლად ჩვენ ვიხდით მის ხელფასს. მართლა გასაჭირია და ამან განაპირობა“,** — აღნიშნა **სიჭინავამ.**

ქეცბაიასა და ნაკრების სამწვრთნელო შტაბის წლიური ხელფასი 2 მილიონ 520 ათასს შეადგენდა.


# თანამედროვე ტექნოლოგიების კლინიკა «გიდმედი»

**თუ გაწუხებთ კონსტიპაცია — ყაბზობა, დარღვეული დეფეკაცია შემაწუხებელი ჭინთვებით, სისხლდენა სწორი ნაწლავიდან, რთული და რეციდიული მუცლის კედლის თიაქრები, მუცლის ღრუს ორგანოთა ქირურგიული დაავადებები, სწორი ნაწლავის ჩირქოვანი ფისტულები წამლით ან ოპერაციული მკურნალობისათვის დაუკავშირდით მედიცინის დოქტორს, ზოგად ქირურგსა და პროქტოლოგს ნავოლის ქობულიას.**

**მისამართი: დიღომი, ლუბლიანას ქ. 6**

**ტელ. 577-40-09-20, 598-99-38-21**




# თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრი და საბალეტო დასი ალ ბუსტანის ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის ორკესტრი და საბალეტო დასი ბეირუთში (ლიბანი) ალ ბუსტანის 21-ე საერთაშორისო ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას. ალ ბუსტანის საერთაშორისო ფესტივალის მუსიკალური ხელმძღვანელია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო.**

**წელს ფესტივალი 18 თებერვალს დაიწყება და 23 მარტამდე გასტანს. ამჯერად, ფესტივალი თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრის კონცერტით გაიხსნება.**

შესრულდება ანტონინ დვორჟაკის უვერტიურა „ბუნების წიაღში“ და მე-9 სიმფონია „ახალი სამყაროდან“, ნინო როტას სიუიტა, რობერტო მოლინელის „გაზაფხულის გული“ და „ქარბუქიანი ზამთარი“. სოლისტის ამპლუაში წარსდგება მსოფლიო აღიარების მქონე ბანდონეონისტი მარიო სტეფანო პიეტროდარკი. იგივე პროგრამა შესრულდება 20 თებერვალსაც.

**22 თებერვალს თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრი სცენაზე ფრანგ მევიოლინე ალექსანდრა სუმთან ერთად გამოვა.** პროგრამაშია ფელიქს მენდელსონის უვერტიურა „ჰიბრიდები“, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის სავიოლინო კონცერტი და პეტრე ჩაიკოვსკის პირველი სიმფონია.

**ქართულ ორკესტრს ფესტივალის აუდიტორია 26 თებერვალსაც მოუსმენს. ამჯერად შესრულდება უვერტიურა კარლ მარია ვებერის ოპერიდან „ჯადოსნური მსროლელი“, პეტრე ჩაიკოვსკის მეოთხე სიმფონია, სოპრანო ჯოჰანი ფონ ოოსტრუმი იმღერებს რიხარდ შტრაუსის „ოთხ უკანასკნელ სიმღერას“.**

**ალ ბუსტანის ფესტივალის მსმენელეთა წინაშე ჩვენი ორკესტრი ბოლოს 28 თებერვალს წარსდგება — მევიოლინე სერგეი კრილოვთან ერთად დაუკრავს პეტრე ჩაიკოვსკის სავიოლინო კონცერტს.** პროგრამაშია ასევე უვერტიურები ჯოაკინო როსინის ოპერებიდან „ვილჰელმ ტელი“, „სევილიელი დალაქი“, „კონკია“ და ჩაიკოვსკის უვერტიურა „ჭექა-ქუხილი“.

**ხუთივე კონცერტს ჯანლუკა მარჩანო იდირიჟორებს.**

ევროპის საფესტივალო ასოციაციის წევრის, ალ ბუსტანის მუსიკისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის აუდიტორიის წინაშე თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი ამჯერად უკვე მეოთხედ წარსდგება (2011 წლიდან ყოველწლიურად მონაწილეობს ფესტივალში), რაც, ცხადია, გასულ წლებში მიღწეული დიდი წარმატების დასტურია.

**წლეულს ფესტივალში პირველად მიიღებს მონაწილეობას თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი. 15 და 16 მარტს მაყურებელი იხილავს სპექტაკლებს „შოპენიანა“ და „მარგარიტა და არმანი“, რომლებშიც მარგარიტას როლს პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი შეასრულებს, იგი ასევე იცეკვებს კამილ სენ-სანსის მომაკვდავ გედს.**

**ალ ბუსტანის ფესტივალზე წლეულს იმღერებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი ირაკლი მურჯიკნელი** — იგი 19 მარტს იასკო ფუჯიისთან, კლეარ პრისლენდთან, საშა ჩანოსთან, ლიბანის კონსერვატორიისა და ანტონინის უნივერსიტეტის გუნდებთან, სომხეთის სახელმწიფო ახალგაზრდულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის შესრულებაში. ამ კონცერტსაც ჯანლუკა მარჩანო იდირიჟორებს.


# ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდური ართროზის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით, წონის დაკლება 5-15 კგ-მდე თვეში, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით დიეტებისა და ვარჯიშების გარეშე. ასევე **სიმაღლეში სწრაფი ზრდა 20-დან 25 წლამდე**, კურსით 3-5 სმ. მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული პრეპარატების უკუჩვენებების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერებით (კეთდება მასაჟი ძვალ-სახსართა პრობლემებზე) შედეგები გარანტირებულია.

**ტ. 555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი;**
**ტ. 218-46-08 ოფისი**

# მკურნალობა მამაკაცებისთვის

**პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.**

**პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.**

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**


ყოველკვირეული გაზეთი
საქართველო & მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894